საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფილოსოფიის ინსტიტუტი

გ. შუშანაშვილი

# ღირებულების ფილოსოფიური ცნება

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი

1985

87
1
ბ 963

შრომაში განხილულია შემეცნებითი და ღირებულებითი მიმართება ადამიანისა სინამდვილისადმი. შემეცნებითი მიმართება არის ზეპიროვნული, ღირებულებითი და პიროვნული, ე.ი. ადამიანი სინამდვილეს უდგება გარკვეული მიზნის მიხედვით, ამის მიხედვით მსჯელობებიც იყოფა ჭეშმარიტ და ღირებულებით მსჯელობებად. ჭეშმარიტი მსჯელობა გამოხატავს საგანს მის თავისთავადობაში, ხოლო ღირებულებითი მსჯელობა — ჯერარსობით.

ბ 0302020200 / M607(06)-85 190-85
© გამომცემლობა "მეცნიერება", 1985

## თ ა ვ ი I

## ღირებულების ცნება

### I. შემეცნებითი და შეფასებითი მიმართება

ადამიანის სინამდვილისადმი დამოკიდებულება სხვადასხვანაირია, დამოკიდებულების ერთი სახე შემეცნება. მისი თავისებურება იმაშია, რომ მან სინამდვილე ისე უნდა გამოხატოს როგორც არსებობს, ის იმის შემეცნებაა, რაც არის, ამიტომ მეცნიერულ შემეცნებას შეიძლება არსული შემეცნება ეწოდოს. არსის შემეცნება განსაზღვრული ცნებების საშუალებით სრულდება. შემეცნების საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ამიტომ ეს ცნებებიც, რომელთა მეოხებით შემეცნება სრულდება, განსხვავებულია. ბუნებისმეტყველებაში შესამეცნებელია ცოცხალი არსი მისი მრავალი საქმიანობით, ქიმიაში სხეულების შემადგენელი ქიმიური ელემენტები, გეოგრაფიაში დედამიწის ზედაპირი და მისი სხვადასხვანაირი აგებულება და სიმდიდრენი, ისტორიაში ხალხთა მრავალნაირი მოდგმის ცხოვრება და მისი საფეხურები, ასე რომ, შემეცნების საგნის ასეთი მრავალფეროვნება ცნებების მრავალნაირობის საფუძველია.

შემეცნების თეორიისათვის, რომელიც შემეცნების საგანს შემეცნებისაგან დამოუკიდებლად აღიარებს, საგანი და შემეცნება ერთმანეთისადმი გულგრილებია, საგნისათვის უმნიშვნელოა შემეცნების არსებობა, რადგან შემეცნება არის თუ არა საგანი, მაინც არის, ხოლო შემეცნებისათვის საგანი კია აუცილებელი, მაგრამ მისთვის სულ ერთია, ის როგორი იქნება, მთავარია, რომ ის არსებობდეს, საგნის არსებობის და მისთვის მისი მოცემულობის გარეშე შემეცნება განუხორციელებელია. არც საგანი უყენებს შემეცნებას რაიმე მოთხოვნას და არც შემეცნებაა საგნისადმი რაიმეს მომთხოვნი, რადგან ის, რაც შემეცნებისათვის საჭიროა, იმთავითვე არსებობს, ეს არის საგნის გარკვეული არსებობა. აქ ამ შემთხვევაში შემეცნებას თავის თავში აქვს მოთხოვნა, არსი ისე შეიცნოს, როგორც ის არსებობს, ეს არის შემეცნებითი მოთხოვნა, რაც შემეცნების არსისაგან განსაზღვრულობას ამტკიცებს, ეს განსაზღვრულობა კარგად აქვს გამოთქმული ანტიკური ხანის დიდ მოაზროვნეს პარმენიდეს, რომელიც ამბობს: აზრი არის არსის აზრი. თუ იდეალისტური ფილოსოფიის შემეცნების თეორიას მივაქცევთ ყურადღებას, რომე-

ლიც შემეცნებისაგან დამოუკიდებელ საგანს უარყოფს, იქაც აღმოჩნდება, რომ შემეცნება არის არსის შემეცნება, მაგალითისათვის კანტის შემეცნების თეორია ავიღოთ, ინტუიციის ფორმებში, დროსა და სივრცეში, მოცემულია აღქმები, რომლებიც უწესრიგოა და არავითარი კანონზომიერება არა აქვთ, მათში კანონზომიერებას კატეგორიებს შეაქვთ.

კანტი თავის თვალსაზრისს შემდეგი მაგალითით ნათელყოფს: ამოდის მზე, მისი სხივები ქვას ეცემა და ქვა არის თბილი. ასე რომ, მოცემული გვაქვს მზის ამოსვლა, მისი სხივების ქვაზე დაცემა და ქვის გათბობა. აქ არ არის აუცილებლობა, ის ასეთად მაშინ ხდება, როცა მიზეზობრიობის კატეგორიას დაემორჩილება, რაც შემდეგი მსჯელობით გამოითქმება - "ქვის გათბობის მიზეზი არის მზე". სინამდვილეში კანტი ამ ორ მოვლენას შორის მიზეზობრივ კავშირს ამყარებს იმიტომ, რომ ეს კავშირი მათ შორის ნამდვილი არის. მხოლოდ საქმე ის არის, რომ მიზეზობრიობა, როგორც ასეთი, აღქმაში არ არის მოცემული. მზისა და ქვის გათბობის მიზეზობრივი კავშირიც, კანტის აზრით, აღქმის საგანი არ არის, აღქმის საგანია ცალ-ცალკე მათი არსებობა და არა მათი მიზეზობრივი კავშირი. ასე რომ, კანტისათვის მიზეზობრივი კავშირის შემეცნება რაკი აღქმებით არ შეიძლება, ამიტომ ის არ არის აღქმის საგნებში და ამიტომ ის აზრის მიერაა შეტანილი. ამ გზით კანტის წინაშე უფრო მეტი სიძნელეები იბადება, კერძოდ ის, თუ რატომ მაინც და მაინც მიზეზობრიობის კატეგორია უნდა მოვიხმაროთ და არა სხვა რომელიმე. აზროვნებას შეაქვს აღქმის მასალაში მიზეზობრიობის კატეგორია და მას ამით გამოხატავს იმიტომ, რომ არსი ამ კატეგორიით არსებობს, ის ამ კატეგორიით უნდა შევიცნოთ; ასე რომ, კანტის ფილოსოფიაში შემეცნება არსს აგებს არსის მოთხოვნის საფუძველზე და ის ისეთ არსს აგებს, როგორიც შეიძლება შემეცნებისათვის არსებობდეს. შემეცნებისათვის არსებული არსი მიზეზობრივი კატეგორიით გამოხატული არსია.

სინამდვილისადმი მხოლოდ შემეცნებითი დამოკიდებულება არ არსებობს, მას მისდამი აქვს, ამას გარდა, შეფასებითი დამოკიდებულება, ეს სულ სხვა საფუძველს ემყარება, თუ შემეცნება გამოდის არსიდან და მისი შემეცნების მოთხოვნითაა განსაზღვრული, შეფასებითი დამოკიდებულება სინამდვილის ავკარგიანობას გულისხმობს, ეს ისეთი დამოკიდებულებაა, რომელიც გამოდის არა არსებულის აღიარებიდან, არამედ იმის ცნობიდან, რაც ადამიანისათვის მნიშვნელობის მქონეა, რაც მისთვის ღირებულია. თუ შემეცნება არსის აღიარებიდან ამოდის და ის არსული ბუნებისაა, ღირებულება ჯერარსული ბუნებისაა, ანუ ღირებულებითი დამოკიდებულება იმის აღიარებაა, რაც უნდა იყოს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველთვის მიისწრაფვის რაღაცისაკენ, რაც ჯერ მოცემული არ აქვს და არც არასდროს ექნება მოცემული. ეს ასე რომ იყოს, არსებობა მხოლოდ ტანჯვა და მწუხარება იქნებოდა. ჯერარსი არსის გარეშე არ არის. ჯერარსი ისეთი არსია, რომელიც არის და ამავე დროს უნდა იყოს, ამით მათი გაიგივება არ არის მომხდარი, არამედ ჯერარსი არსმა უნდა ატაროს, მას უნდა ჰქონდეს, მას უნდა ახლდეს, არსი ჯერარსის მატერიალური მხარეა. ისე როგორც დაახლოებით, ზოგადი ერ-

თეულის გარეშე არ არის და ერთეული ზოგადის მატარებელია, ასევე შეიძლება ითქვას არსის და ჯერარსის ურთიერთობაზე. ღირებულია საგანი არა თავისი ფიზიკური თუ ქიმიური თვისებებით, არამედ იმით, რომ ის არის ადამიანის სურვილების განხორციელება.

სინამდვილე შემეცნებით დანახული და იგივე სინამდვილე ღირებულებით დანახული სხვადასხვაა, პირველში სინამდვილე დაჭერილია ადამიანის სურვილების მონაწილეობის გარეშე, ის, როგორც თავისთავად არსებული, ხოლო მეორეში ის, როგორც ადამიანის სურვილების განხორციელება. თუ შემეცნება ემყარება შეგრძნებებს და განყენებულ აზროვნებას, რომელთა მთლიანობით შემეცნება აიგება, სინამდვილის ღირებულებითი მხარის დაჭერა გრძნობების საშუალებით ხდება; იმისათვის რომ რომელიმე საგანი განვიცადოთ როგორც კარგი, სასიამოვნო, მშვენიერი, ამისათვის საჭიროა ის საგანი მოცემული გვქონდეს შეგრძნების ასოებით, მაგრამ ეს ღირებულებით დამოკიდებულებას არ ნიშნავს, ეს დამოკიდებულება ამის მერე იბადება, როდესაც მის მიმართ საკითხი დაისმება იმაზე, თუ როგორია ეს საგანი, კარგი თუ ცუდი.

შეგრძნებისათვის საგნის ეს მხარე მოცემული არ არის, შეგრძნებაში საგანი მოცემულია ღირებულებითი მიმართების გარეშე, ფერის აღქმიდან არც გამომდინარეობს და არც უშუალოდ ნიშნავს, რომ ეს ლამაზია ან ულამაზო, კარგია ან ცუდი. აღქმა გვაძლევს ფერს მის გარკვეულობაში და მეტი არაფერი. რაც შეეხება მის სიმშვენიერეს, ეს არის ადამიანის სიმშვენიერის გრძნობით განსაზღვრული, რომლის მიხედვითაც ფერზე ითქმება, ან ის, რომ ის მშვენიერია, ან ის, რომ არ არის მშვენიერი. მაშასადამე, ღირებულების გრძნობა ძირეულად განსხვავებულია შეგრძნება-აღქმისაგან.

ადამიანი ცხოვრებაში მიზნის მიხედვით მოქმედებს. მართალია, ის აუცილებლობის რკალშია მოქცეული, მაგრამ მასში მნს მიზანი კი არ მოუსპია, არამედ ის ცდილობს, თავის ცხოვრება მიზნის მიხედვით წარმართოს. ადამიანი, როგორც მიზნობრივი არსი, ცდილობს, თავის ირგვლივ არსებული საგანთა სამყარო თავისი მიზნისათვის გამოიყენოს, ის თავისი სურვილების განხორციელებად აქციოს; ის ცდილობს სინამდვილის გაუცხოება მოხსნას და მასში თავისი თავი ჭვრიტოს, სინამდვილე თავისი მეობის ანარეკლად აქციოს, სინამდვილე, როგორც უბრალოდ არსებული, ღირებულ არსებულად აქციოს. ღირებულების მიმართ ადამიანს გრძნობადი დამოკიდებულება აქვს, ის მოსწონს, ან არ მოსწონს, მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ის თავის მოსაწონ სინამდვილედ გახადოს.

ადამიანი გრძნობადი არსია, რომელსაც მიზნად აქვს თავისი გრძნობების დაკმაყოფილება, როცა ის საჭმელს ჭამს, მისი მიზანი მარტო ის კი არ არის, კუჭის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და შიმშილის შეგრძნება დაამშვიდოს; მისი მიზანი ისიც არის, რომ ისე და ისეთი რამ ჭამოს, რაც მისთვის სასიამოვნო იქნება; რაც სასიამოვნოა, მას შეჭამს ან შესვამს, რაც არა და მას უკუაგდებს. ეს არის ღირებულებითი დამოკიდებულების მარტივი სახე. მოკლედ, ადამიანი არსებობს იმისათვის, რომ თავისი გრძნო-

ბები დაიკმაყოფილოს. ადამიანისა და მთელი კაცობრიობის ისტორია სწორედ გრძნობათა დაკმაყოფილებისათვის შრომის და ბრძოლის ისტორიაა, ეს არის მიზანი. რაც შეეხება შემეცნებას, განყენებული აზროვნებით და შეგრძნებებით ესენი მხოლოდ საშუალებებია, რომელთა საშუალებით ამ გრძნობების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს. ცხადია, მათ უშუალოდ ეს არ შეუძლიათ; სინამდვილე შემეცნების საფუძველზე ისე გარდაიქმნება, რომ მას ადამიანისათვის ღირებულება ექნება.

ადამიანის გრძნობები გაქვავებული, უცვლელი არ არიან, ისინი იცვლებიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ უხეშობას კარგავენ, რაც პირველადი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი და უფრო ნარნარი ხდებიან; ხოლო ასეთი განვითარებული გრძნობები უმაღლესი და უძვირფასესი ღირებულების შექმნის წყაროა. ეს გრძნობები მოითხოვენ მაღალ ღირებულებას, ხოლო ამისი შექმნისათვის ადამიანის აზროვნებაა მოწოდებული. ასე რომ, ამ მიმართებით აზროვნება ამ გრძნობების მსახურია. ყოველგვარ აზრს დაკარგავდა შემეცნება, როგორი სახისაც უნდა იყოს, თუ მის საფუძველში ადამიანის გრძნობების დაკმაყოფილება არ იგულისხმებოდა. რატომ უნდა შეეცნო ადამიანს სინამდვილე? მხოლოდ იმისათვის, რომ შეცნობილი ყოფილიყო? რას მიუმატებდა ეს ადამიანს, ან რას მიუმატებდა ეს თვითონ სინამდვილეს? არაფერს. ასე რომ, შემეცნება ადამიანური გრძნობების გარეშე უსაზრისო და თუ რისთვის იარსებებდა შემეცნება, აუხსნელი გახდებოდა.

სინამდვილეში ყველაფერი რაიმესათვის არსებობს, განყენებული არსებობა არაფერს არა აქვს, ერთის არსებობა მეორითაა განსაზღვრული და ამიტომ მეორეს პირველში აქვს გამართლება, ასევეა შემეცნება, ის ადამიანური გრძნობების გარეშე აუხსნელია. შემეცნება არა შემეცნებისათვის, არამედ შემეცნება ადამიანური გრძნობებისათვის. ადამიანის მთელი ისტორია ადამიანური გრძნობების განვითარებისა და დაკმაყოფილების ისტორიაა. მთელი კაცობრიობის კულტურა სულიერი თუ ნივთიერი ადამიანის გრძნობების უკუფენილი სახეა, რომელშიც ადამიანი კმაყოფილებითაა ჩაძირული. უკანასკნელი ღირებულება, რომლის შექმნით დამთავრდებოდა კულტურის ისტორია, არ არის და ამიტომ ღირებულებათა შექმნა განუსაზღვრელია, რაც ადამიანის სულიერი შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა.

იცვლება ადამიანის გრძნობები და იცვლება მასთან ერთად ღირებულების თავისებურებები, რომლებიც ამ გრძნობებს უნდა შეესაბამებოდეს.

მარქსი ადამიანის გრძნობების ისტორიულ ბუნებას აღიარებდა იმით, რომ ამბობდა: "ადამიანის ყურს სხვანაირად ესმის ვიდრე ცხოველს, ადამიანს აქვს მუსიკალური გრძნობა, მისი გრძნობები და გრძნობების საგანი ერთმანეთს შეესაბამება, მუსიკა მუსიკალურ გრძნობას მოითხოვს, მუსიკალური გრძნობა თანამედროვე ადამიანისა და პირველყოფილისა ერთნაირი არ არის, ერთი განვითარებულია, მეორე კი დაბალ საფეხურზეა. როგორც ჩანს, ღირებულებაში ადამიანია განსხვავებული და ის მასში თავის თავს ხედავს, ეს უნდა ითქვას არა მხოლოდ ადამიანის როგორც გვარის, როგორც კაცობრიობის შესახებ, არამედ ეს უნდა ითქვას ყოველი ერთეული ადამიანის შესახებ,

თუ ერთეული ადამიანი ღირებულებაში თავის თავს არ ხედავს და ის მასში რაღაც მისთვის უცხოს ჭვრეტს, მას და ამ ღირებულებას შორის შინაგანი კავშირი არ დამყარდება. ასეთი ღირებულება მას შეიძლება თავზე მოახვიო და ის მისთვის სულისშემხუთავად გადაიქცეს. ამისათვის საჭირო ის არის, რომ მან თავისუფლად მასში თავის თავი დაინახოს.

პირველყოფილი ადამიანის თანამედროვე წარმომადგენლებს, რომ იმ მუსიკის მაგიერ, რომელიც მათ აქვთ, თანამედროვე მუსიკა, მაგალითად, ბეთჰოვენის სიმფონია მოასმენინოთ, ის მათთვის სრულიად უცხო იქნება. ამისათვის საჭიროა, რომ იგი განვითარების იმ დონეზე აიყვანო, რა დონეზეც მისთვის ბეთჰოვენის მუსიკა გასაგები გახდება, ასე რომ, ღირებულებასა და მის შემფასებელ მიმღებს შორის შესაბამისობაა მოსათხოვნი. ამის გარეშე ღირებულება იქნება უბრალო, ჩვეულებრივი საგანი, რომელიც მიზეზობრივ ქსელშია მოქცეული და როგორც არსი რამეთია განსაზღვრული და რაიმეს განმსაზღვრელია, ის არის აღქმისა და, საერთოდ, შემეცნების საგანი და არა გრძნობებისა.

ცოცხალი ბუნების წარმოშობით ბუნება გამდიდრდა, არაორგანულის გვერდით ორგანული წარმოიშვა. ადამიანის წარმოშობით ბუნება უფრო გამდიდრდა, ის ბუნების ნაწილია, მასში წარმოიშვა ისეთი არსი, რომელიც აღქმისა და აზროვნების უნარით არის დაჯილდოებული. ასე რომ, ადამიანის სახით ბუნებაში აზროვნება გაჩნდა, რაშიც ბუნება აღიარდა იმად, რაც ის არის. საქმე ის არის, რომ ეს აღიარება, ბუნების შემეცნება, ახალი სინამდვილეა, რომელიც მანამდე არ ყოფილა.

რაკი ადამიანისადმი ყველაფერი შემეცნებით ან ღირებულებით დამოკიდებულებაშია, ეს შეიძლება ითქვას თვითონ შემეცნებაზეც; შემეცნება, როგორც არსი, არის ისევ შემეცნების საგანი, რაც თვითშემეცნებას ნიშნავს; ხოლო, როგორც შეფასების საგანი, ის არის ღირებულება. შემეცნება და მისი შედეგი მეცნიერება ადამიანურ ცხოვრებაში ღირებულებას წარმოადგენენ. მართალია, არც შემეცნება და არც მეცნიერება გრძნობის საგნები არ არიან, ე.ი. შემეცნება და მეცნიერება გრძნობებით არ შეფასდებიან, მაგრამ ისინი ღირებულების არეს მიეკუთვნებიან იმიტომ, რომ მათ საფუძველზე შესაძლებელი მრავალი ღირებულების შექმნა და არსებობა.

მთელი თანამედროვე ქალაქური კულტურა შენობებით, რომელთა მხატვრული აგებულება ადამიანს ხიბლავს, შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე. მაშასადამე, მეცნიერება არის ღირებულება, რამდენადაც ის ღირებულების შექმნის საფუძველია. მეცნიერების შესაბამის საგანში მარტო ის კი არ არის მოცემული, რაც საგანია, არამედ ისიც, რაც შეიძლება საგანი იყოს, როგორც ღირებულების მქონე.

## 2. ღირებულება ადამიანის საგნისადმი მიმართებაა

ადამიანის წარმოშობით სინამდვილე გაორდა, ის იქცა საგანთა და ღირებულებათა სამეფოდ. არის საგნები, რომელთაც გარკვეული თვისებები აქვს და ის ამ თვისებათა ერთიანობაა. სახლი, რაშიც ადამიანები ცხოვრობენ,

გარკვეულ ნიშანთა ერთიანობაა, მას აქვს კედლები, სახურავი, კარებები, კანდელები, შიგ აქვს სხვადასხვა მოწყობილობა, სანთლები, მაგიდები, სკამები, კარადები და სხვა. ადამიანის გარეშე ის არ არის, ის მისი შექმნილია, და, როგორც სახლი, მხოლოდ მასთან მიმართებით არსებობს. არის ბუნების ისეთი საგნებიც, რომლებსაც რაღაც გარკვეული ნიშანი მეორე საგნის გარეშე არა აქვთ, მაგალითად, დედაკაცი და მამაკაცი, ესენი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საგნებია, მაგრამ დედაკაცობა და მამაკაცობა მათ ურთიერთმიმართებით აქვთ; მოსპეთ დედაკაცი და მოისპობა მამაკაციც, ერთი ნამდვილია მეორესთან მიმართებით. ადამიანს აქვს ყურები,ბუნებაში არის ბგერის ტალღები, მეცნიერება ამტკიცებს, რომ ყურების გარეშე ბგერები არ არის, ისინი წარმოიშობიან ყურებთან მიმართებაში. მას, ვისაც ყურები დაზიანებული აქვს,ბგერები არა აქვს,იმიტომ,რომ მისი დაზიანებული ყურები ბგერის ტალღებს ბგერებად ვეღარ გარდაქმნის.მაშასადამე, ბგერები იბადებიან მხოლოდ ყურებთან მიმართებაში, ასევე შეიძლება ითქვას სინათლის შესახებ. მეცნიერება ამტკიცებს, რომ სინათლე ბუნებაში არ არის, ბუნებაში არის ელექტრომაგნიტური ტალღები, რომელთა ზემოქმედება ადამიანის თვალზე სინათლეს ბადებს, მაშასადამე,თვალებდაზიანებული ადამიანისათვის სინათლე არ არსებობს, აქედან შეიძლება დასკვნა გაკეთდეს: ცოცხალი სამყარო რომ არ იყოს, არც ხმა იქნებოდა და არც სინათლე; ბუნებას არა ხმა აქვს, არამედ ტალღები, რომელთა ყურთან მიმართებით ბგერა წარმოიშობა. ბუნებას არა აქვს სინათლე, მას აქვს ელექტრომაგნიტური ტალღები, რომელთა ადამიანის თვალზე ზემოქმედება სინათლეს ბადებს. მაშასადამე გამოდის, რომ ბგერა და სინათლე მიმართებითი სინამდვილეებია,რომელთა არსებობა ცოცხალი არსის არსებობით არის განსაზღვრული.

მიმართება უბრალო რამ არ ყოფილა, ის სინამდვილეს თურმე რაღაცას უმატებს, ან რაღაცას აკლებს. ეს ასე რომ არ იყოს, მივიღებდით, რომ ადამიანამდე, ცოცხალი არსის წარმოშობამდე ყველაფერი იყო, მაშინ რაღა ყოფილა თვით ამ ცოცხალი არსის წარმოშობა, თუ მან არაფერი არ შეიტანა სინამდვილეში, თუ მან სინამდვილე არაფრით არ გაამდიდრა. ცოცხალმა არსმა ცვლილება შეიტანა მანამდე არსებულში არა მხოლოდ იმით, რომ ის წარმოიშვა, არამედ იმითაც, რომ მასთან მიმართულებით ისეთი რამ წარმოიშვა,რაც მანამდე მხოლოდ შესაძლებლობა იყო.

ასე შეიძლება მივუდგეთ ღირებულების საკითხსაც. ადამიანის გარეშე ბუნება არც კარგია და არც ცუდი, არც ლამაზია და არც ულამაზო, არც კეთილი და არც ბოროტი, ბუნება მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში იძენს იმ თვისებრიობას, რომელიც შეიძლება როგორც ლამაზი, ან როგორც ულამაზო დახასიათდეს. ბუნება სასარგებლოა, ან არ არის სასარგებლო მხოლოდ ადამიანთან მიმართებით. უბრალო და გავრცელებული მაგალითი რომ ავიღოთ – "შაქრის სიტკბო" – ამის ნათელყოფა იქნება; შაქრის ნატეხს აქვს გარკვეული მოლეკულიარული წყობა, ანუ მასში ნივთიერებები განსაზღვრული მოლეკულიარული წყობით არის აგებული, ის არც ტკბილია და არც მწარე, ის ტკბილი ხდება მხოლოდ ადამიანის გემოვნების გრძნობასთან მიმართებაში, ეს სიტ-

კბო, როგორც რომელობს, ნამდვილად ამ მიმართებაშია წარმოშობილი. თუ ეს ასეა, რომ ის მიმართებაშია წარმოშობილი, რატომ მივაწერთ მას საგანს და არა ჩვენ გრძნობას?... ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ გრძნობა და მისი შინაარსი; ჩვენ ვგრძნობთ სითბოს, მაშასადამე, სითბოს გრძნობა და სითბო ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მე განვიცდი სითბოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი განცდის შინაარსი სითბოა. მაშასადამე, თუმცა ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან შინაგანადაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი მაინც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამიტომ ჩემი გრძნობა კი არ არის თბილი, არამედ საგანია თბილი; ამ შემთხვევაში თბილია შაქარი. ამ თვისებას შაქარს იმიტომ ვაწერთ, რომ ჩემს გრძნობაში სითბოს ბადებს საგნის ჩემს გრძნობასთან მიმართება. ნიორი მწარეა იმიტომ, რომ მისი შემადგენელი ნივთიერება და ამ ნივთიერების მოლეკულების წყობის თავისებურება ჩემს გრძნობასთან მიმართებაში სიმწარეს ბადებს.

ადამიანს აქვს სიმშვენიერის გრძნობა, ამით ის მიმართებაშია ბუნების სხვადასხვა საგნებთან, როგორიცაა მთა და მის ფერდობზე გაშენებული ტყე, რომლის შუაში ანკარა მდინარე მორაკრაკებს და ის მასში სილამაზეს ხედავს. ადამიანის გარეშე ის არც ლამაზია და არც ულამაზო, ის ასეთია მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში. ღირებულებათა სამყარო არ არის ადამიანისათვის უცხო ნების განხორციელება, ეს მისი განცდების, აზრების, მთელი მისი მეობის უკუფენილი სახე, ამიტომ ადამიანი ღირებულებაში თავის თავს ჭვრეტს. რაკი ეს ასეა, უმაღლესი არსი, რომლის მიმართ მთელი ღირებულებათა არე ფასდება, არის ადამიანი.

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს თავისი თავი აქვს მიზნად ქცეული, ადამიანი არის უმაღლესი ღირებულება, ეს არის ყველა დანარჩენ ღირებულებათა საზომი. ადამიანი ისტორიული მოვლენაა, იგი განვითარებაშია და მაინც მასში არის ისეთი რამ, რაც ყოველთვის უცვლელია. ადამიანში ეს უცვლელი არის თვითონ ადამიანობა, ის ყველა საფეხურზე ადამიანია და მიისწრაფვის თავის თავის განამდვილებისაკენ. ადამიანს სურს თავისი ცხოვრების მოწყობა ისე, რომ თვით ეს ცხოვრება მას კი არ უნდა უპირისპირდებოდეს, როგორც რაღაც უცხო ძალა, არამედ ის მისი მეობის განხორციელება უნდა იყოს; სადაც ეს გაუცხოება აღმოჩნდება, იქ ადამიანი მიისწრაფვის მისი მოხსნისაკენ, თავისსა და გარემოს შორის შესაბამისობის დამყარებისაკენ.

ადამიანი თავის ცხოვრების პირობებს, რომელშიც ის ცხოვრობს, მხოლოდ შემეცნების თვალსაზრისით კი არ იკვლევს, არამედ იგი მას ღირებულების მიხედვით აფასებს, მას ეს ცხოვრება ან მოსწონს, ან იწუნებს, თუკი ის ადამიანის მოთხოვნილებებს აღარ აკმაყოფილებს და ეძებს ახალს, რაშიც მისი მიზნები განხორციელდება.

კაცობრიობის ისტორია ახალ-ახალ ღირებულებათა შექმნის ისტორიაა, ის ადამიანთა მიზნების თანდათანობით ფრთების შესხმაა. ადამიანები ყოველთვის ისეთ მიზნებს უნდა ისახავდნენ, რომელთა განხორციელების თავისთავადი პირობები არსებობს. ადამიანში რაღაც უცვლელის აღიარება შეცდომას არ

წარმოადგენს, თუ ადამიანი ამ ცვალებადობაში თავის საწინააღმდეგოდ იქცევა, მაშინ ის აღარ იქნება ადამიანი და აღარც მის ისტორიასთან გვექნება საქმე. ასე რომ, ადამიანში უცვლელი ისევ ადამიანობაა, ხოლო ამის არსება კი მუდმივი მისწრაფებაა ღირებულებათა შექმნისაკენ მიმართული, რომელიც მისი არსების უკუფენილი სახე იქნება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მთელი ღირებულებათა ისტორია არის საბოლოოდ ადამიანის ისტორია.

## 3. მეცნიერული და ღირებულებითი მსჯელობანი

ღირებულება გრძნობით გამოხატება რაც, თავის მხრივ, მსჯელობაში პოვებს განხორციელებას. შემეცნებითი და ღირებულებითი მსჯელობები განსხვავდებიან; შემეცნებითი მსჯელობა არსს ისე გამოხატავს, როგორც ისაა თავისთავად. მაგალითად, "ბაღში ხის ფოთლები მწვანეა", მსჯელობის სუბიექტია "ხე", ხოლო მისი პრედიკატია "მწვანე ფოთლები". აქ საგნის და მისი თვისების კავშირია მოცემული. ეს მსჯელობა ჭეშმარიტია, ის არ შეიძლება ამავე დროს მცდარი იყოს. ვინც ბაღში ხეს ნახავს, ის მხოლოდ ასეთ მსჯელობას გამოთქვამს, ამის საწინააღმდეგო მსჯელობა მცდარი იქნება; ე.ი. მსჯელობა ან ჭეშმარიტი, ან მცდარია, მესამე შესაძლებლობა არ არსებობს. ჭეშმარიტ მსჯელობებზე არ შეიძლება ითქვას, რომ ერთი მეორეზე მეტად ან ნაკლებად არის ჭეშმარიტი. ყველა მსჯელობა ერთნაირადაა ჭეშმარიტი.

ჭეშმარიტებას ხარისხები არა აქვს, სულ სხვაა ღირებულებებზე მსჯელობა, რაც იმაზე არ მიგვითითებს, რომ ის ჭეშმარიტია თუ მცდარი, ის აღნიშნავს მოწონების ამბავს; მაგალითად, "ილია-აკაკის ძეგლი არის ლამაზი", "ვახტანგ გორგასლის ძეგლი არის ულამაზო", აქ მოცემულია არა ის, თუ რაა საგანი თავისთავად, არამედ ის, თუ როგორია ის ჩვენს გრძნობებთან მიმართებაში, ის ან ლამაზია, ან ულამაზო. ეს მსჯელობები შეფასებითი მსჯელობებია, რომელიც გულისხმობს საგანს და შემფასებელს, შემეცნებითი მსჯელობისათვის საჭიროა საგნის შინაარსი იყოს მოცემული, ხოლო შეფასებითი მსჯელობისას საჭიროა, თვითონ საგანი იყოს მოცემული. შეიძლება ითქვას, რომ აქ ჭეშმარიტების ნიშანი უკუგდებულია; როცა ითქმება, რომ ეს საგანი ულამაზოა, საჭიროა ვნახოთ ის და ჩვენი მსჯელობა დადასტურდეს, რომ ის ნამდვილად ულამაზოა. ამისათვის საჭიროა სილამაზის შეფასების თავისთავადი ზოგადი საზომი, მაგრამ ასეთი საზომი არ არის, ის, რაც ერთისათვის ულამაზოა, შეიძლება მეორისათვის ლამაზი იყოს. სილამაზე საგნის ისეთი თვისებაა, რომელსაც მას ჩვენ მივაწერთ, ამიტომ მისი შემოწმება ცდისეული ხერხებით შეუძლებელია, მისი მხოლოდ უშუალო ჭვრეტა შეიძლება; საგანი უნდა მოექცეს ესთეტიკური გრძნობის არეში და ის შეიძლება ყველასათვის ერთნაირი არ იყოს, ამიტომ რაც ერთს ლამაზად ეძლევა, ის მეორესათვის ულამაზოა.

ღირებულებითი მსჯელობების ხარისხი შემდეგშია – "მზია უფრო კეთილია,

პიდრე ლელა", ანდა "ცარიელი უფრო ბოროტია, ვიდრე ავთანდილი". ასე რომ, შემეცნებით მსჯელობებს ღირებულებითი მსჯელობისაგან ეს მხარე განასხვავებს. შემეცნებითი მსჯელობა შემეცნების საგანთან მიმართებას გამოხატავს, ხოლო ღირებულებითი მსჯელობა ჩვენი გრძნობების საგანთან დამოკიდებულებას; საგანს ისე გამოხატავს, როგორც ის ჩვენს გრძნობებშია მოცემული. ორივე შემთხვევაში აღქმაშია მოცემული არსი, მაგრამ ერთ შემთხვევაში აღქმაში მოცემულობა ასე თუ ისე საფუძველია მსჯელობის აგების, მაგალითად, აღქმაში გვაქვს მოცემული გარბენილი მანქანა და გამოვთქვამთ მსჯელობას - "ეს მანქანა მირბის", ხოლო მეორენაირი მსჯელობის აგებისათვის აღქმა საკმარისი არ არის. მას საჭიროა დაერთოს ჩვენი დამოკიდებულება, ანუ უნდა მისი შეფასება მოხდეს, უნდა გაირკვეს, მანქანის გარბენა ჩვენს მოთხოვნას აკმაყოფილებს თუ არა. ამის მიხედვით აიგება მსჯელობა - ეს მანქანა კარგია.

ჯერარსული მსჯელობების ჭეშმარიტება ნიშნავს არა მსჯელობის საგანთან შესაბამისობას, არამედ ამ მსჯელობების იდეალთან შესაბამისობას.ასე მაგალითად, სასურველია, რომ ყველა მასწავლებელი იყოს კარგი. ეს მსჯელობა გამოხატავს სწორედ მსჯელობის იდეალთან შესაბამისობას. არ შეიძლება ღირებულება ცდისეულ კატეგორიად ჩაითვალოს. ცდის ცნების შინაარსს ის შეადგენს, რომ რაც მისი საგანი გახდება, ის მასში უნდა შემოწმდეს, მან უნდა ღირებულებითი მსჯელობის შინაარსი უარყოს ან დაადასტუროს. ღირებულებითი მსჯელობა ასეთი ცდით არ შემოწმდება, "ილიას და აკაკის ძეგლი ლამაზია", ამისათვის შეიძლება ადამიანები მივიდნენ იქ, სადაც ეს ძეგლია და ნახონ. მაგრამ ამით ის კი არ დასტურდება ან უარიყოფა, რომ ის ლამაზია, თუ ულამაზო, არამედ ის, რომ აქა და ამ ადგილზე ასეთი ძეგლი ნამდვილად არის, მაგრამ მსჯელობის შინაარსი ხომ ეს არ არის, მისი შინაარსია ამ ძეგლის ლამაზობა თუ ულამაზობა. ამ ძეგლის ეს მხარე კი თვითონ ძეგლი არ არის, არამედ ის, რაც გამომჟღავნდება მის მნახველთან მიმართებაში. მნახველი კი არავითარი ცდით არ არის განსაზღვრული, რომ ის აუცილებლივ ან ლამაზად, ან ულამაზოდ აღიაროს; მასზე შეიძლება მნახველის მიერ ითქვას, რომ ის არის საშუალო სილამაზის ან უმაღლესი სილამაზის; ან შეიძლება ისიც ითქვას, რომ ის საერთოდ ლამაზი არ არის, მაგრამ ასეთი მსჯელობები ცდით კი არ იქნება განსაზღვრული, არამედ მისი მიმართებით მნახველებთან, გამოდის, რომ ღირებულება, რომელიც საგანს ახლავს, საგანთან ადამიანის მიმართებითაა განსაზღვრული.

ღირებულება რაკი ასეთი ბუნებისაა, ცხადია, მეტაფიზიკური არ არის, ის ჩვენს გარეთ არსებულად არ ჩაითვლება. ჩვენს გარეთ არსებულად საგანს ჩავთვლით როგორც ღირებულების გარეშე არსებულს. რაღაც საგანი იძენს ამ თვისებას. რასაკვირველია, თუ საგანი არ არის, საერთოდ, არც მის ღირებულებაზე იქნება მსჯელობა, ამავე დროს საგანში რაღაც უნდა იყოს, რამაც ის ადამიანთან მიმართებაში ღირებულებად აქციოს. ადამიანს, რომელსაც 40 ნომერი ფეხი აქვს, 38 ნომერი, ან 42 ნომერი ფეხსაცმელი ამ აღნიშნული ნომრის ფეხსაცმელების მაგიერობას ვერ გაუწევს. მუყაოსაგან გამოჭრილ ფე-

ხსაცმელს, რომელსაც მაღაზიის თაროებზე ნახულობენ, მყიდველისათვის არავითარი უშუალო ღირებულება არა აქვს.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ღირებულება, რაკი არც ცდისეულია და არც მეტაფიზიკური, როგორც რ. ჰარტმანი ამბობს, ლოგიკურია, მცდარად უნდა ჩაითვალოს. ლოგიკურობა სრულიად გარკვეული ცნებაა, რომელიც ერთი მსჯელობიდან მეორის აუცილებელი გამომდინარეობაა. თუ იმას ვიტყვით, რომ საგანი არის განსაზღვრული შინაგანი თვისებების მქონე, მაშასადამე, ეს საგანი კარგია, ვნახავთ, რომ მათ შორის ასეთი შინაგანი ლოგიკური კავშირი არ არის, რადგან ეს მსჯელობები სხვადასხვა გვარისაა, რაც მათ შორის ლოგიკურ კავშირს შეუძლებელს ხდის; ერთი მსჯელობა იმას აღნიშნავს, რომ საგანს აქვს ესა და ეს თვისებები, მეორე იმას, რომ ამ თვისებებით აღჭურვილი საგანი კარგია. საგანი კარგია ადამიანთან მიმართებაში, საგანი ასეთი თვისებების მქონეა ადამიანის მიმართების გარეშე. ამის გამო მათ შორის ლოგიკური კავშირი არ არის; თუ ვიტყვით, რომ მათ შორის ასეთი კავშირია, მაშინ ღირებულება ისეთივე სინამდვილეა, როგორც საგნის თვისებები, თუ ასეთი კავშირი იქნება მათ შორის, მაშინ ისე, როგორც საგნის თვისებებს ვაკვირდებით, ასევე მის ღირებულებას უნდა ვაკვირდებოდეთ, ასე რომ, ჰარტმანს, რომ ჰგონია,მურის მიერ შექმნილი სიძნელე დაძლია, ნამდვილი არ არის.

ღირებულება ადამიანის საგნისადმი მიმართებაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ღირებულება რაღაც ისეთი რამაა; რომელიც უწესრიგობის მაჩვენებელია. არსებობს კაცობრიობა, რომელიც მთელი სამყაროსადმი და თვით თავისი თავისადმი გრძნობებითაა მიმართული, სინამდვილისადმი გრძნობადი დამოკიდებულება ჩამოქნის მთლიანი კაცობრიობის გრძნობას ისე, როგორც ჩამოქნილია და არსებობს კაცობრიული აზროვნება, რომელიც ერთნაირია ყოველი ადამიანისათვის, ასევე დაახლოებით არის ადამიანის ზოგადი გრძნობები, რომელთადმი საგნის მიმართება გამოხატავს კაცობრიულ ღირებულებას, ანუ ისეთს, რასაც ყოველი ადამიანისათვის მნიშვნელობა აქვს, ამისათვის შეიძლება ზნეობრივ სინამდვილეს მივაპყროთ ყურადღება. კაცობრიობას აქვს სხვადასხვა ერთმანეთის საწინააღმდეგო ზნეობრივი წესები, მაგრამ ისეთიც აქვს, რომელიც ყოველი ადამიანისათვის ერთი და იგივეა. ასეთია თვითონ კაცობრიობის მიზანი, რომელიც ზოგადად შეიძლება გამოიხატოს ასე: მისწრაფება სრულყოფილი ცხოვრებისაკენ. თვითონ ის მოვლენა, რომ კაცობრიობას დასაწყისიდან დღემდე განუწყვეტელი ბრძოლა აქვს და მისი შინაგანი ძალები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იბრძვიან, მათ საფუძველში მაინც ეს ზოგადი ზნეობრივი მიზანია: ადამიანების ცხოვრების სრულყოფა. და ეს ზნეობრივი მიზანი ამ შინაგანი წინააღმდეგობის ქარგში მიმდინარეობს, ჰეგელმა კაცობრიობა, როგორც აბსოლუტური სულის გამოვლენა, თვით მეცნიერების მიზანს დაუმორჩილა, ყველაფერი სხვა მისი საფეხურია; სამართალი, ზნეობა, ხელოვნება თვითმეცნიერების საფეხურებია, კაცობრიობის ისტორიას მიზნად აქვს სრულყოფილად ყოფიერების აგება, ასე რომ, მისი განვითარების საფუძველში უფრო ზნეობრივი და, საერთოდ, ღირებულებითი მიზანია,

ხოლო შემეცნება მისდამი დამორჩილებულია. შემეცნებამ უნდა უთხრას კაცობრიობას იმაზე, რაც არის; ღირებულებითა მიზანთა საგანთა სამყარო უნდა გარდააქმნევინოს ისე, რომ ის მისთვის ღირებული იყოს; ეს, ცხადია, დაუსრულებელია და კაცობრიობა ყოველთვის იქნება ახალ-ახალი ღირებულების ძიებაში და შექმნაში.

ჭეშმარიტების შემეცნება კარგია, რადგან ცოდნა უცოდინარობასთან შედარებით კარგია, ჭეშმარიტებაც კარგია, ცუდი ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება კარგია, რადგან მასში გამოხატული საგანი ადამიანთა მიმართებაში ფასდება. სასარგებლოს გამოვიყენებთ, ხოლო ცუდს ავიცილებთ. ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს საგანზე დადგენილი ჭეშმარიტება და თვით საგანი. ჭეშმარიტება არის საგნის აშკარად არსებობის აღიარება, ეს კი თვითონ საგანი არ არის. თაფლზე დადგენილი ჭეშმარიტება მისი ქიმიური შემადგენლობის შესახებ და ჭიაზე დადგენილი ჭეშმარიტება ორივე ერთნაირად ჭეშმარიტია, ხოლო თვითონ თაფლი და ჭია არსულადაც სხვაა და მათდამი ადამიანის დამოკიდებულებაც სხვაა: თაფლი სასიამოვნოა, ხოლო ჭია ადამიანისათვის შეიძლება მავნე არ იყოს, მაგრამ მისი დანახვაც კი უსიამოვნოა. ღირებულება იქაა, სადაც საგნისადმი რაიმე მიზანია წამოყენებული და შესასრულებელი, საგანი მიზნის მიხედვითაა აგებული, ამ კუთხით ჭეშმარიტება სრულიად განსხვავებულია, რადგან მასში მიზანი არ არის ჩაქსოვილი. შემეცნებამ საგანი მიზნის მიხედვით კი არ უნდა ააგოს, არამედ მან საგანი ისე უნდა წარმოადგინოს, როგორც ის სინამდვილეშია, რაკი ღირებულება საგნის გარეშე არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ღირებულების მატარებელია ადამიანთან მიმართებით.

მსჯელობებს შორის ჭეშმარიტების მიხედვით არ შეიძლება მეტნაკლებობა დავუშვათ. ერთი ჭეშმარიტება მეორეზე არაფრით არ არის მეტი ან ნაკლები, შეიძლება ერთი ჭეშმარიტება მეორეში შედიოდეს და, ამდენად, ერთი ჭეშმარიტება მეორეს მოიცავდეს. ასე მაგალითად, ყოველი ცოცხალი არსი ჟანგბადს საჭიროებს და ყოველი ადამიანი ჟანგბადს საჭიროებს, აქ ერთი ჭეშმარიტი მსჯელობა მეორეში შედის, ერთი მსჯელობის მოცულობა ფართოა და მეორე მსჯელობას თავისში შეიცავს, მაგრამ ამის გამო ერთი ჭეშმარიტება მეორეზე მეტი ან ნაკლები არ არის, აქ არის მხოლოდ მათ შორის მთელი და ნაწილის დამოკიდებულება. ჭეშმარიტებათა შორის არა მეტნაკლებობითი, არამედ მოცულობითი დამოკიდებულებაა. უნდა განსხვავდეს შემეცნების მსვლელობა ჭეშმარიტებისაგან, შემეცნების მსვლელობა სავარაუდოა; თუ ვარაუდი გამართლდა, ის ჭეშმარიტების მიმღწევია, თუ არადა – მცდარია.

ყოველ ღირებულებით საგანს ადამიანი ერთნაირად არ უყურებს, არის ისეთი ღირებულებები, რომლებიც, ალბათ, ყველა ადამიანისაგან ერთნაირ აღიარებას მიიღებს. დღეს რუსთაველის ვეფხისტყაოსნის გაულენა გაიზარდა და უფრო გაიზრდება, რადგან სხვადასხვა ენებზე ითარგმნება და მას ყველა მოწონებით მოეკიდება, მაგრამ ეს არ არის საყოველთაო კანონის ძალის მქონე, რადგან აქ მოცემულია ადამიანის მისადმი მოწონებითი მხარე, რაც თვითონ მხოლოდ მისი ბუნებიდან არ გამომდინარეობს, არამედ მასში ადამია-

ნია, აგრეთვე, თავისი გრძნობებით. ესა თუ ის ნაწარმოები ადამიანს შეიძლება მოეწონოს და შეიძლება არ მოეწონოს, რაც შეეხება მეცნიერს, თუ ის ადამიანს დაარწმუნებს რაიმე აზრის ჭეშმარიტებაში, ამის საწინააღმდეგოს ვერ იტყვის, მას მასთან გრძნობადი, მოწონებითი დამოკიდებულება არა აქვს, მას მის მიმართ შემეცნებითი დამოკიდებულება აქვს; თუ აზრი დასაბუთებულია და ის ჭეშმარიტებას გვამცნობს, მას ადამიანი, უნდა თუ არა, მიიღებს; მხატვრული ნაწარმოების შესახებ ის ისე არ იქცევა, ის თავისუფალია და აქ ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ აუცილებლობაში არ არის მოქცეული. მას, თუ არ მოსწონს, არ მიიღებს, თუ მოსწონს, მიიღებს. ასე რომ, მოწონება არმოწონება დასაბუთების მიღმაა.

ღირებულებით მსჯელობებს ჭეშმარიტება-მცდარობა არ მიეწერება, რადგან ღირებულებითი საგანი ადამიანის მიერ გარკვეული წესებითაა დადგენილი. მაგალითად, "ჯონი არის კარგი სტუდენტი", ან "ყველა მასწავლებელი არის კარგი", კარგი სტუდენტი და კარგი მასწავლებელი გარკვეულ წესებს, მოთხოვნებს ემყარება. თუ ის ამ მოთხოვნებს ასრულებს, კარგია, თუ არადა-ცუდი. გარდა ამისა, ეს წესები ყველა ქვეყანაში და ყველა ქალაქში, სადაც სკოლებია, ერთნაირი არ არის, ასე რომ, ამ აზრით, ეს წესები ზოგადსაყოველთაო არ არის, ამიტომ, რაც ერთგან კარგია, მეორეგან ცუდია. ამიტომაც მათდამი ჭეშმარიტების მიხედვით მსჯელობა მიუღებელია. ჭეშმარიტება არის ზოგადსაყოველთაო, ხოლო წესები, რაზეც ღირებულებითი მსჯელობაა აგებული, არ არის ზოგადსაყოველთაო. ამიტომ მათდამი კანონიერია არა ჭეშმარიტების წაყენება, არამედ მათი იდეალთან შესაბამისობა და ამის მიხედვით მსჯელობაში მოცემული საგანი კარგია, თუ ის იდეალს შეესაბამება, თუ არა და ცუდია. აქ საჭიროა ის იქნეს გათვალისწინებული, რომ თუ ღირებულებითი მსჯელობები არც ჭეშმარიტი და არც მცდარია, მათზე მიმართული მსჯელობები ან ჭეშმარიტი, ან მცდარია. მაგალითად, "ილია-აკაკის ძეგლი მშვენიერია", "დიმიტრი თავდადებული იყო საქართველოს კეთილი მეფე", ესენი ღირებულების გამომთქმელი მსჯელობებია, ხოლო მათზე მიმართული მსჯელობები - "ილია-აკაკის ძეგლი დგას რუსთაველის გამზირზე", "საქართველოს მეფე დიმიტრი თავდადებული მეფობდა მონღოლების ბატონობის დროს", - ჭეშმარიტი ან მცდარია.

შესაძლებელია ღირებულების არეში საერთო ადამიანური ღირებულებები ვეძებოთ, ეს იმიტომაა შესაძლებელი, რომ ადამიანები თუმცა ბევრ რამეში განსხვავდებიან, მაგრამ მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, საერთოც არის. თუ რომელიმე სახლს ყველა ერთნაირად არ აფასებს, სამაგიეროდ ყველა აღიარებს სახლის არსებობის აუცილებლობას, რადგან მათ მხოლოდ სახლში შეუძლიათ ცხოვრება. ამიტომ ყოველი ადამიანი გამოთქვამს მსჯელობას "სახლი საერთოდ კარგია", ასევე შეიძლება ითქვას ხელოვნების შესახებ. ადამიანს მისწრაფება აქვს ხელოვნებისადმი, რადგან ის მასში სიმშვენიერეს ნახულობს, სიმშვენიერის განცდა კი ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც ჭამა, სმა, ჩაცმა-დახურვა. ამიტომ მსჯელობა - "საერთოდ ხელოვნება კარგია", არის ყველა ადამიანისათვის მისაღები მსჯელობა. ასევე

საერთო მნიშვნელობის მქონე ზნეობრივი მსჯელობები. "ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი", ამის საწინააღმდეგოს განხორციელება ადამიანთა მოდგმის მოსპობა იქნება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მსჯელობები არ არის დადგენილი არსებულის გამოთქმა. ესენია მიზნის მსჯელობები, რომელიც მოითხოვს მკაცრ მოქმედებას მისი განხორციელებისათვის, ის რაღაცნაირად კიდეც ხორციელდება, და რომ არ ხორციელდებოდეს, მიუწვდომელისაკენ სწრაფვას დაემსგავსებოდა.

საყურადღებოა არსის და ჯერარსის ურთიერთობის გაგება. ადამიანმა უნდა იცხოვროს მისი არსების მიხედვით, ამიტომ ჯერ თავის არსება უნდა შეიცნოს, მისი ცნება დაადგინოს, ადამიანის ცნებაში მისი არსებაა მოცემული. ადამიანი უნდა იყოს ის, რაც არის თავისი არსების მიხედვით. არსსა და ჯერარსს შორის დაპირისპირება მაშინ იბადება, როდესაც არსი თავის არსებიდან გადახვევას ახდენს, ეს არის არსების საწინააღმდეგოს გამოვლენა, რაც გარკვეული პირობების არსებობითაა განსაზღვრული; როცა ადამიანი დაინახავს, რომ მისი მოქმედება მის არსებას არ შეეფერება, იგი მის უარყოფას მოახდენს და თავის არსებასთან მოვა შესაბამისობაში. ჯერარსი რომ არსის არსებას დაუპირისპირდეს და ისეთი რამ გახადოს განსახორციელებლად, რაც მის არსებასთან შეუფერებელია, ასეთი ჯერარსი განუხორციელებელი დარჩება. ჯერარსს არსების შეცვლა არ შეუძლია. ჯერარსი არსებას უნდა მიუახლოვდეს. საზოგადოების მიმართ წამოყენებული ჯერარსი საზოგადოების არსებას არ უპირისპირდება, მისი არსება არის ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობა და თუ მისი შექმნილი მდგომარეობა ამას უპირისპირდება, იგი უნდა მოიხსნას და ახლით შეიცვალოს. ის, რაც არის პოეზიის არსება, მასში უნდა გამოვლინდეს. თუ პოეზია თავისი არსებიდან გამოვა, ის აღარ იქნება პოეზია. ასე რომ, პოეზიის განვითარება მის არსებასთან მიახლოებაა და ჯერარსობა სწორედ ამითაა განსაზღვრული. პოეზიის ხარისხები სწორედ აქედან წარმოსდგება. პოეტური, მხატვრული ნაწარმოები მით უფრო კარგია, რაც უფრო თავის არსებას გამოხატავს. შ. რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" მაღალმხატვრული ნაწარმოებია იმით, რომ ის პოეზიის არსების უშუალო გამოვლენაა. როგორც ჩანს, ჯერარსობას საფუძველი ქონია არსებისა და მოვლენის დაპირისპირებაში, ზნეობრივი კანონები სწორედ ამის მაჩვენებელია. "ადამიანებთან ურთიერთობაში იყავი პატიოსანი", "ნუ შეურაცხყოფ მის ღირსებას, რადგან ის ისეთივე ადამიანია, როგორც შენ ხარ და ამიტომ შენი მოქმედება თვით შენს წინააღმდეგაა მიმართული, შენც ხომ შეიძლება შეურაცხყოფილი იყო", ასეთი მოთხოვნის გარეშე ადამიანი დაბალ არსთა სამეფოშია, მისი შესრულებით კი ამაღლებულია. ადამიანი თავის ისტორიაში მეობის ამაღლებისაკენ მიისწრაფვის, იმის აღმოჩენისაკენ, რაც არის თავისთავად; ის არის ზოგადადამიანურის გამოვლენა, ამიტომ ამ ზოგადადამიანურს უნდა მიუახლოვდეს. ეს მაშინ მოხდება, როცა ის ქვენა გრძნობებს დასძლევს, თავის თავს და სხვას გაიგებს ადამიანურობის გამოვლენად, რაშიც ცხოველური დამორჩილებულია და ხორციელი იდეალურ სიმშვენიერედ ვლინდება.

## თ ა ვ ი II

## არსი და ჯერარსი

### 1. ადამიანი როგორც მიზნობრივად მოქმედი

ადამიანის ბუნებაზე ამაღლება და იქიდან მისი და თავისი თავის განჭვრეტა, ბუნებაში თავისი ადგილის ნახვა და ცხოვრების ისე მოწყობა, როგორც მას შეჰფერის, მისი ყოფიერების ძირითადი აზრია. ეს ასეა, მაგრამ მისი ყოფიერება მაინც წინასწარაღებული აზრის მიხედვით არ წარმართულა. ის ცნობიერების დასაწყის საფეხურზე ყოფიერების წინასწარხედვის უნარს მოკლებულია. მისთვის გარე სამყარო უცნობია და მასში ისე იმყოფება, თითქოს გარედან მოსული, მისი სტუმარი იყოს. თითქოს ის ამ ქვეყნისათვის უცხო იყოს, ის ჯერ მისული არ არის იმ საფეხურამდე, სადაც მისთვის ცნობილი იქნება, რომ იგი ამ ქვეყნის ნაწილია, მისი განვითარების უმაღლესი საფეხურია.

ახლად დაბადებული ბავშვი ყველაფერს, რაც მის ირგვლივაა, რაც მისი ხედვის არეშია მოქცეული, გაკვირვებით უყურებს. მას, როგორც ცოცხალ არსს, სურს, ყველაფერი დაიპყროს, თავისად აქციოს, მათი მისადმი გაუცხოება მოხსნას და მათში თავისი ყოფიერება დაადგინოს. ბავშვი თავის შესაძლებლობაში მოაზროვნე არსია და მისი განვითარებაც ამ შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევაშია. ბავშვი მის გარშემო არსებულ საგნებს, როგორც თავისას ისე ეპყრობა. ერთმანეთისაგან არჩევს იმას, რაც მას სიხარულს გვრის იმათგან, რაც მას უსიამოვნებას აყენებს, ის აქამდე საგნებზე ცდისა და დაკვირვების გზით მიდის. ბავშვი, როცა ცეცხლს დაინახავს, ის მას მიიზიდავს, მიუახლოვდება და, როცა ის მისთვის უსიამოვნო და მტკივნეული აღმოჩნდება, მას გაერიდება. ბავშვს გრძნობები მათი შესაბამისი გრძნობის ასოებით თანდაყოლილი აქვს. მათ გარეშე იმ საგნებთან ურთიერთობაშიც ვერ მოვიდოდა; ცდა და დაკვირვება ამ თანდაყოლილი გრძნობების განვითარებას ახდენს.

არა მხოლოდ ადამიანს, ცხოველებსაც აქვთ უნარი საგნები გემოვნების, სიამოვნება-უსიამოვნების მიხედვით გაარჩიონ, ძროხა, ცხვარი, ღორი და სხვა საკვებ საგანს დასუნავენ და თუ მათ გემოვნებას არ შეეფერება, გვერდს აუქცევენ, მოქმედების საგნად არ გახდიან, ასეთი გარჩევის უნარი

რომ არ ჰქონდეთ, აღარც ღირდა ექნებოდათ; მაშინ ყველა საგანი ერთნაირი იქნებოდა, მოთხოვნილების ნაირობას აზრი არ ექნებოდა. თავისთი ბიოლოგიური აგებულების მიხედვით ცხოველებს სხვადასხვანაირად შეუძლიათ მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამიტომ სხვადასხვა საგნებსაც არჩევენ. ფუტკარი, კელა, ბუზები დაფრინავენ, ისინი ფრენით ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან და საკვებს პოულობენ. ჭიები, ჭიანჭველები კი მიწაზე დაძვრებიან, სამყოფ ადგილს აშენებენ და შიგ საკვებს აგროვებენ. ჭიანჭველები როგორც ჯარისკაცები ისე ეწყობიან, გარკვეულ მანძილზე მიდიან, იმ ადგილს მიადგებიან, სადაც მათთვის შესაფერისი საკვებია, ყველა ნამცეცს აიღებს და ასევე დაწყობილი უკან ბრუნდებიან, აქ თითოეულს თავისი ადგილი აქვს და მასში საკვებს ათავსებს.

ცოცხალ არსთა სამეფო იმით ხასიათდება, რომ ის ყოველთვის იმთავითვე დადგენილი ერთნაირი უცვლელი წესით ცხოვრობს. ცოცხალ არსებებს არ შეუძლიათ თავისი ცხოვრების წესში ცვლილებები შეიტანონ. ისინი ასე თუ ისე თუ იცვლებიან, ეს ხდება გარეგანი სინამდვილის ზემოქმედების საშუალებით და ისინი თვითცვლილებას არ განიცდიან. ყოველ შემთხვევაში ეს ცხოვრების წესის ცვლილება არ არის, ეს უფრო გარეგანი მხარეების ცვლილებაა. შესაძლებელია რომელიმე ცხოველის სახე ამოწყდეს, როგორც მოუვიდათ მამონტებს, რომლების არსებობის ნიშნებს მეცნიერები ეხლა ნახულობენ, მაგრამ ისინი რომ არ ამომწყდარიყვნენ და არსებობა შეენარჩუნებინათ, ისინიც დღეს იმავე წესით იცხოვრებდენ როგორც მაშინ ცხოვრობდნენ. ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ ცხოველებს ისტორია არა აქვთ. მხოლოდ ადამიანს აქვს ისტორია, მხოლოდ ის არის ისტორიული არსი, რადგან მას შეუძლია თავის თავის თვითცვლა, ერთი საფეხურიდან მეორეზე ასვლა. მას შეუძლია ცხოვრების მოცემული წესები უარყოს და ახალი შექმნას. ადამიანის ისტორია, როგორც მისი ცვალებადობის მაჩვენებელი, ამავე დროს იმის მაჩვენებელიცაა, რომ ეს საფეხურები უწყვეტობის აღმნიშვნელიცაა, ისინი ადამიანის საფეხურებია და მათში იგივეობრივი ადამიანია. განვითარებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ის ამ ორმხრივობის მაჩვენებელია, როცა ის უწყვეტიცაა და წყვეტილიც, ამის გარეშე თითოეული საფეხური მეორისაგან სრულიად მოწყვეტილი იქნებოდა, ერთიმეორის გაგრძელება არ იქნებოდა და ისტორიის მაგიერ მოვლენების გროვა იქნებოდა, განვითარება იქ არის, სადაც მსვლელობას მიმართულება აქვს, მეორე პირველში რომ თავის თავს დაინახავს, მეორე პირველთან შედარებით რომ მაღალი საფეხურია, ამაშია ისტორიული მსვლელობის წყვეტილობა და უწყვეტობა.

ცხოველებს ინსტინქტები აქვთ, მასში მთელი მოქმედება იდეალურადაა მოცემული, მოქმედებები ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მის ბოლოს ის შედეგი უნდა მიიღოს, რისთვისაც მოქმედებაა განსაზღვრული. ფუტკარია ეს თუ ჭიანჭველა, რიგ მოქმედებებს ასრულებს, ამ დროს შეიძლება მას რაღაც დაბრკოლება შეხვდეს, ის ამ დაბრკოლებას გზას აუქცევს და "მიზნისკენ" მიმავალ გზას გააგრძელებს. პეპელა, რომელიც მცენარეზე ზის და ვინმე ხელს სტაცებს, მთელი ღონით ფრთხიალებს, რათა მისგან განთავისუფლ-

დეს. მას ინსტინქტი თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნას უკარნახებს. ამიტომ ის ხელიდან გასხლეტისათვის იღწვის. ინსტინქტი ცოცხალი არსის მოქმედებაშია უშუალოდ ჩაქსოვილი, ინსტინქტი ცოცხალი არსის უშუალო თვისებაა, ინსტინქტი, შეიძლება ითქვას, უშუალოდ სიცოცხლეა, რომელიც ცოცხალ არსს მიმართულებას აძლევს და მის მოქმედებას განსაზღვრავს. ცოცხალ არსთა სამეფოს მის გარეშე არსებულ საგნებთან აქვს მიზეზობრივი დამოკიდებულება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი ცოცხალი არსი შეიძლება რამეს დაეჯახოს და დაშავდეს, ან მოიშოს. ფუტკარი, ჭიანჭველა და სხვა ამგვარი მტერთან ბრძოლაში დაიღუპოს. ეს არის, საერთოდ, ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც დარვინის მიერაა დასაბუთებული და ბუნების კანონს წარმოადგენს. ცოცხალ არსთა სამეფოს გარე სინამდვილესთან მარტო ასეთი დამოკიდებულება არა აქვს. როგორც აღინიშნა, ის ამ გარე სინამდვილიდან საკვებს იღებს და ამიტომ მას უხდება ბევრი რამის უკუგდება, რაც მისთვის მიუღებელია და იმის მითვისება, რაც საჭიროა მისი არსებობისათვის. ასე რომ, მას გარე სინამდვილესთან, გარდა მიზეზობრივი დამოკიდებულებისა, აქვს "ღირებულებითი" დამოკიდებულება, ეს არის ინსტინქტური, ანუ უშუალო დამოკიდებულება, რომელიც სხეულზე საგნის ზემოქმედებით გამოიხატება. შეიძლება ითქვას, რომ ინსტინქტი იდეალურის დაბალი საფეხურია, მასში იდეალური ის არის, რომ ის მთელ მოქმედებას შეიცავს, რომელიც თანდათანობით სინამდვილეში გაიშლება.

თუმცა სიცოცხლესთან ინსტინქტი უშუალო ერთიერთობაშია, მაგრამ მაინც განსხვავებაა. სიცოცხლე არის ცოცხალი არსის გარე სინამდვილესთან ქმედითი დამოკიდებულება. მაგალითად, ჭია ცოცხალია იმ ნიშნით, რომ თუ მას ფეხს დააჭერ, გაიწევს და შეეცდება გზა აგიქციოს, რაც შეეხება ინსტინქტს, ის სიცოცხლესთან შედარებით მაღალი საფეხურია. სიცოცხლე სხეულის გაღიზიანებით გამოიხატება, ინსტინქტი კი მისგან იმით განსხვავდება, რომ ცოცხალ არსს მიმართულებას აძლევს, ცოცხალი არსი ამის მიხედვით მოქმედებს.

სულ სხვაა ადამიანი, ის სიცოცხლის განვითარების მაღალი საფეხურია, რომელსაც ინსტინქტთან ერთად აზროვნებაც აქვს. ისე როგორც ცხოველები, ადამიანიც მოქმედია, ის არსებობს და თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის მოქმედებს. შეიძლება ძნელი იყოს ამის დასაბუთება, რომ ადამიანი მიზნისაკენაა წარმოშობილი და მის არსებობას რაღაც მიზანი განსაზღვრავს; მაგრამ ის კი ცხადია, რომ ადამიანი მიზეზობრივ ჯაჭვშია მოქცეული, სადაც ერთიდან მეორის წარმოშობა ხდება. ამ მიზეზობრივ ჯაჭვში ადამიანი მოქცეულია როგორც მოაზროვნე არსი, რომელიც თავის თავს გააზრების საგნად აქცევს და ნახავს, რომ ის არსებობს და არსებობის ინსტინქტიც აქვს, მის არსებობას ეს ინსტინქტი განსაზღვრავს. ადამიანის არსებობაზე ვერაფერს ვერ ვიტყვით გარდა ერთისა: ადამიანი არსებობს იმიტომ, რომ ის არსებობს. რაკი ის არსებობს, ის არ შეიძლება თავის არსებობას წინ აღუდგეს. მან თავისი არსებობა უნდა დაიცვას და მას მიზანიც უნდა დაუსახოს. არსებობის გონითი ახსნა შეუძლებელია, რადგან ასეთი ახსნა

საფუძველს მოითხოვს, ასეთი საფუძველი კი არ არის. ადამიანს და, საერთოდ, ყოველ ცხოველს იმიტომ უნდა არსებობა, რომ მას მისი ინსტინქტი აქვს, მას არსებობის ლტოლვა აქვს, არსებობის საფუძვლის ქვეშ ისეთი რამის არსებობა იგულისხმება, რომლისგანაც ის გამომდინარეობს; თუ მისი მიზნობრივი საფუძვლის ნახვა შეუძლებელია, სამაგიეროდ, ის, როგორც მოაზროვნე, ცხადად მოცემულია. ის, როგორც მოაზროვნე, მიზნობრივად მოქმედია, ამისათვის მარტო აზროვნება არაა საკმარისი, ამისათვის საჭიროა მის მიზნობრივ მოქმედებას არსთა სამეფოში ჰქონდეს საფუძველი. ამის საფუძველი მასში იმითაა, რომ ის იმ კანონს ემყარება, რომლის საშუალებითაც თუ ადამიანმა იცის ის, სხვაგვარად აქციოს და თავის მიზანს დაუმორჩილოს.

შესრულდება თუ არა მიზანი, მაშინვე ახალი მიზანი იბადება და მისი დაბადების საფუძველი შესრულებულ მიზანშია, რადგან მისი შესრულება არ აღმოჩნდა ყოვლისმომცველი. მისმა შესრულებამ ადამიანს ახალი მიზანი დაუსახა, რაც ნიშნავს შესრულებული მიზნის წიაღში ნაკლის არსებობას და სწორედ ახალი მიზანი ამ ნაკლის დაძლევას ემსახურება. მიზნის შესრულება გარკვეული პირობების არსებობას გულისხმობს და ის სრულდება პირობათა კიბური ქსელის გავლით. ყოველი დიდი მიზანი, რომელსაც ადამიანი თუ მთელი საზოგადოება ისახავს, უცბად არ განხორციელდება, მისი შესრულება ქვე მიზნების შესრულებას მოითხოვს. ასე რომ, მიზანი თანდათანობით ხორციელდება. მიზანი ამოდის ადამიანის ბუნებიდან და პირობებიდან, რომელთა ერთიანობამ მისი შესრულება შესაძლებელი უნდა გახადოს. ცხოვრება სწორხაზობრივად არ მიდის, რაკი მიზანი მთელ შესაძლებლობებს წინასწარ ვერ ითვალისწინებს, შესაძლებელია მისი საწინააღმდეგო პირობები წარმოშვას, რომლებიც ამ მიზნის შესრულებას შეუძლებელს ხდიან, ამ მიზნის უკან ფარული ძალებია, რომლებიც მერე იქცევიან სინამდვილედ და დასახულ მიზანს ამსხვრევენ, მაშინ ადამიანი აუცილებლობით ამ მიზანზე ხელს იღებს და ახალ მიზანს ისახავს, რომელიც პირველ მიზანთან შედარებით დაბალი ღირებულებისაა და იგი მას აუცილებლობით ღებულობს.

მაშასადამე, ადამიანის მიზნობრივი მოქმედების საფუძველია მისი აზროვნება და სამყაროს იმგვარი არსებობა, რითაც ის ადამიანის მიზნების განამდვილების შესაძლებლობაა. ადამიანის მიზნობრივი მოქმედება აწმყოში სრულდება, აწმყო კი განხორციელებული წარსული და განსახორციელებელი მომავალია.

სწორედ ცხოველების ეს მიზნობრივი მხარეა ის საფუძველი, რომელიც ღირებულებათა შექმნას განსაზღვრავს. ადამიანი ცხოველზე მეტია იმით, რომ მას აზროვნება აქვს და ეს არის მისი მიზნობრივი მოქმედებისა და ღირებულების შექმნის სათავე. კ. მარქსი ადამიანს, როგორც მწარმოებელს, ისე ახასიათებს და ეს მას აზროვნების მონაწილეობით აქვს ახსნილი. ადამიანი ფუტკრისაგან განსხვავებით, რომელიც ინსტინქტებით მოქმედებს, თავის მომავალ მოქმედებას მოიაზრებს, მას წინასწარ აზროვნებაში გადაიტანს და ამის მიხედვით მოქმედებს. ის, რაც კარგი და ცუდია, აზროვნე-

ბაში შეფასებას მიიღებს და ადამიანი ცუდის უარყოფისა და კარგის განხორციელებისათვის იღვწის.

ცხოველები შვილების დაბადებისა და გაზრდისათვის ინსტინქტებით მოქმედებენ, ადამიანი ამ მოქმედებას გააზრებულად ასრულებს. მისი მოქმედება აზროვნებითაა გამყარებული, მას შეუძლია შვილების ზრუნვაზე შეგნებულად ხელი აიღოს, შეუძლია შვილები არ იყოლიოს, მას სათანადო საბუთებიც გამოუნახოს და ასეთი მოქმედება გაამართლოს, ასე რომ, ადამიანი თავის მოქმედებაში თავისუფლებითაა შეიარაღებული, ის თითქოს მიისწრაფვის სინამდვილეში თავისი კანონები შეიტანოს და ის თავისი სურვილების მიხედვით მოაწყოს.

თუ ცხოველი ბუნებისაგან მოცემული უნარით ყოველთვის ერთი წესით ცხოვრობს, ადამიანი ყოველთვის თავისი ყოფიერების წესს უარყოფის საგნად ხდის, ახალ წესებს ამყარებს და თავის ცხოვრებას ამ ახალ წესებზე აგებს. ეს არის ადამიანის თვითმოქმედების მაჩვენებელი. ადამიანი რომ თვითმოქმედია, თავისი და ბუნების გარდამქმნელია, ეს მისი აზროვნების უნარითაა შესაძლებელი. ცხადია, ამისათვის მარტო აზროვნება არ კმარა, ამისათვის ადამიანი უნდა ყოფილიყო ფეხზე მოსიარულე, რათა თავისუფლად შესძლებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა; მას ორი ხელი უნდა ჰქონოდა, რომ საგნები მოეხმარა, ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეტანა, ასე რომ, აზროვნებისა და სხეულის შესაბამისი ერთიანობა ადამიანის მოქმედების საფუძველია. ეს შესაბამისობა ადამიანის განვითარების შედეგია, ხოლო მისი განვითარების შესაძლებლობა მის იმ უნარშია მოცემული, რომელიც მას მოაზროვნე და მოქმედ არსად ხდის.

განვითარება ორი ხაზით მიდის: ერთი ბუნებრივ-მიზეზობრივი, მეორე მიზნობრივი, განვითარების პირველი ხაზით წარმოშობილი მოვლენა თავისთავად ღირებულებას არ შეიცავს, ის არის მიზეზობრივი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, ის იმით ხასიათდება, რომ წინამყოფი მოვლენის შედეგია, რომელსაც გარკვეული მიზეზები აქვს. იგივე მოვლენა ხოლოდ ადამიანთან მიმართებაში ღირებულების ნიშნის მქონე, ამისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ ის რა მიზეზებითაა წარმოშობილი. აქ მნიშვნელოვანია მისი ადამიანთან მიმართებაში როგორობა, ის მისთვის სასარგებლოა თუ არა. ცხოველები და მცენარეები განვითარების შედეგია, როგორც მიზეზობრივად განსაზღვრულები, ხოლო ისინი ადამიანთან მიმართებაში მშვენიერების თვალსაზრისით ღირებულნი ან უღირებულონია, ისინი ნივთიერი სარგებლიანობის მიხედვით სასარგებლონი ან უსარგებლონია. ვინც ზოოპარკში ირმებს, თუთიყუშებს ნახავს, ის მათი სიმშვენიერით დატკბება. ესენი ბუნების ქმნილებებია, როგორც მიზეზობრივი ჯაჭვის შედეგი და ბუნებას ბევრი რამ აქვს შექმნილი, რაც მისი მშვენიერების იდეალს შეესაბამება. რაც შეეხება მიზნობრივი მოქმედებით წარმოშობილ საგნებს, რომლებიც ადამიანის ყოფიერებაშია უშუალოდ ჩართული, უშუალოდ ღირებულებას შეიცავენ, ისინი ადამიანის სულიერი მისწრაფებების განხორციელებას წარმოადგენენ, მათი არსებობა უპირველესად ღირებულების სახით არსებობაა, მათში მას თავისი სული აქვს ჩაქსოვილი.

ცოცხალ არსთა სამეფოში ყველას თავის ცხოვრების ბუნებრივად შემუშავებული წესი აქვს, რომელსაც არც ერთი ცოცხალი არსი არ არღვევს. თევზი წყალში ცხოვრობს, ფრინველი ჰაერში დაფრინავს, მგლები, კურდღლები, მელიები და მისთანები ტყეში ცხოვრობენ, ზოგი ცხოველი ბალახით იკვებება, ზოგი კი ბალახითაც და ხორცითაც, ისე რომ ყველას ცხოვრების თავისებური წესი აქვს. მათი ცხოვრების წესი ინსტინქტურია, ანუ ის ინსტინქტშია მელესილი. როცა მსჯელობა ადამიანის ცხოვრების წესზეა, აქ სულ სხვაგვარი ვითარებაა, მისი ცხოვრება ინსტინქტზე არაა დაფუძნებული და მისი წესები არაა ინსტინქტური, ადამიანი მოაზროვნე არსია და ეს არის, რომ მას ცხოველთა სამეფოდან გამოჰყოფს და მის ყოფიერებას თავის დაღს ასვამს, ცხოველს არ შეუძლია თავისი ყოფიერება შეფასების საგნად აქციოს და მასში ცვლილებები შეიტანოს, ადამიანია ამ უნარით დაჯილდოებული, რადგან ის მოაზროვნეა. ადამიანი მიზნით მოქმედებს, თუ ინსტინქტი უშუალოდ მოქმედებაშია განხორციელებული, მიზანი არის მოქმედებამდე შემუშავებული, მოქმედების ქარგი, რომლის მიხედვითაც მერე ის გაიშლება და სინამდვილედ იქცევა. მიზნობრივი მოქმედებისაგან მიზეზობრიობა გამორიცხული არ არის, მიზეზობრივი მოქმედება ისეთი სინამდვილეა, სადაც საგნებს შორის მიზეზობრივი კავშირი წინასწარაა მიზანში მოცემული. დასაწყისი მიზანია და არა ბუნებრივი საგანი. ჩვეულებრივ მიზეზობრიობაში სწორედ ის არის დამახასიათებელი, რომ მთელი მიზეზობრიობის ჯაჭვი წინასწარ არაა მოცემული.

ადამიანი, როგორც მიზნის მიხედვით მოქმედი არსი, ღირებულების შემქმნელია, მთელი ღირებულებათა სამეფო ადამიანის ყოფიერებაა, რადგან ამაში იგი თავის თავს ხედავს, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის მთელი ისტორია, როგორც ღირებულებათა შექმნის ისტორია, მისი მეობის ძიების და მისი დადგენის ისტორიაა.

პირველყოფილი და დღევანდელი ადამიანი ცხოვრების წესებით სრულიად განსხვავებულია, ერთს მეორის ცხოვრების წესი არ მოსწონს, დაბალი მაღალში არაფერს არ ხედავს, ეს იმიტომ, რომ ადამიანი გარკვეული ხელისშემწყობი პირობების გამო გარკვეულ გარემოში განვითარდა და უკან მოიტოვა თავისი ძველი ყოფა. პირველყოფილი ადამიანი ქმნის თავისი ყოფიერების ისეთ წესებს, რომლებსაც სრულობის ნიშანს აძლევს და ჰგონია, რომ მისი ერთადერთი ყოფიერება შეიძლება მხოლოდ ასეთი იყოს. მისი აზროვნება ყოფიერების წესების მიმართ არსებობას სცნობს და ამიტომ მას შეუცვლელობის დაღს ასვამს.

## 2. ადამიანი როგორც უმაღლესი ღირებულება

ადამიანი ღირებულებების შემქმნელია. ამავე დროს ისიც ცხადია, რომ ის მათში თავის თავს ახორციელებს, თვითონ მიზანია, საგნები კი მისი საშუალებებია. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მაღალი ღირებულება თვითონ ადამიანია, ყველა ამ ღირებულებათა საზომი ადამიანია, ადამია-

რის ისტორია, შეიძლება ვთქვათ, არის მისი უმაღლესი ღირებულებად შემეცნების ისტორია. რაკი ეს ასეა, ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანი კი არ უნდა ემორჩილებოდეს მთელ ღირებულებათა სამეფოს, არამედ მთელი ეს ღირებულებანი ადამიანს უნდა ემორჩილებოდეს; ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ის, რაც ღირებულებადაა ცნობილი, იმის მიხედვით უნდა გაიზომოს, თუ როგორ ემსახურება ის ადამიანს. ადამიანი არა მარტო არსია, არამედ ის არის აგრეთვე ჯერარსი; ადამიანი არსია, რამდენადაც ის მოვლენების მიზეზობრივ ჯაჭვშია მოქცეული, როგორც ბიოლოგიური და სოციალური არსი, ხოლო ის ჯერარსია, რამდენადაც ის ღირებულებაა და ღირებულების მოთხოვნებს ემორჩილება. ადამიანი ღირებულების მოთხოვნებს ემორჩილება, ნიშნავს იმას, რომ ის ღირებულებად არსებობას აგრძელებს. ის ღირებულებას ქმნის და მას ღირებულების შექმნის გარეშე არსებობა არ შეუძლია. შეიძლება თუ არა ღირებულების შექმნის წევრებად ჩავთვალოთ ადამიანები, რომლებიც კაცთა კვლით ცხოვრობენ, რომლებიც ადამიანების ქონებას იპარავენ, ადამიანების სახლ-კარს ცეცხლს უკიდებენ, იმ ადამიანებს, რომლებიც ღირებულებას ქმნიან, ხელს უშლიან, მათ ცხოვრებას აბრკოლებენ. დავუშვათ, რომ ასეთი ადამიანები გამრავლდა, კაცთა კვლა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ეს მიგვიყვანს საზოგადოების, ადამიანების უარყოფამდე, ანუ ეს მიგვიყვანს ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების, მოსპობამდე, მათი მოქმედებაც ხომ შეფასების საგანია და მას უარყოფითად ვაფასებთ. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ უარყოფითი ღირებულების არსებობა, რომლის განვითარება თვით მისი უარყოფა და, საერთოდ, ღირებულების უარყოფა იქნება.

ადამიანი, როგორც უმაღლესი ღირებულება, თავის თავთან, როგორც არსთან, იგივეობრივია, ის, როგორც არსი, არის ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური მხარეების ერთიანობა და ეს მხარეები მის ღირებულებას ეკუთვნიან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ადამიანი უპირველესად მისი გარეგანი, მისი ანატომიური აგებულების, მისი ფიზიოლოგიური მხარეების გაუმჯობესებაზე ზრუნავს. ადამიანი ან მამაკაცია, ან დედაკაცი და მათი ურთიერთობა უპირველესად ამ ანატომიურ-ფიზიოლოგიური ნიშნებითაა განსაზღვრული: ადამიანის სხეული მისი მოქმედების ნაირობით შეუცვლელია; მეცნიერების განვითარებას არ შეუძლია, რომ მისი სხეული გამოცვალოს, ის სხვა ნივთიერებისაგან გააკეთოს და ადამიანი მაინც იყოს. ადამიანი, რომელსაც რომელიმე ასო აკლია, ნაკლოვანია, ადამიანის ანატომიური ნაკლი მის ღირებულებაზეც მოქმედებს, თავისი ფიზიოლოგიურ-ანატომიური აგებულებით ადამიანი განყენებული არსი არ არის, ის ყოველთვის, როგორც მამაკაცი დედაკაცისაკენ მიისწრაფვის, ის, როგორც ერთეული ადამიანი, მეორე ადამიანთან ურთიერთობისაკენ მიილტვის. ის, როგორც ადამიანი, თავისი შესაძლებლობების სინამდვილედ ქცევისაკენ მიდის, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის შესაძლებლობით დედა ან მამა შეიძლება იყოს და შვილების პატრონი ხდება, ცოლი და შვილი მისი პირველი ღირებულებაა, ადამიანი, თავის თავს რომ უმაღლეს ღირებულებად თვლის, მისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური მხარე რომ ღირებულებაა, აქედან გამოდის სწორედ ის, რომ მისი პირველი ღირებულებაა ცოლ-შვილი, იმიტომ,

რომ ის ამ აგებულებით მიდის ცოლის და შვილის ყოლის აუცილებლობამდე; გამოდის, ერთეული ადამიანი ღირებულება რომ იყოს, მან თავისი ეს უმაღლესი ღირებულება სხვაში უნდა განახორციელოს, რაკი ის უმაღლესი ღირებულებაა, სხვისთვისაც უნდა ღირებულება იყოს, ის უპირველესად სხვისთვის, ცოლისთვის თუ ქმრისთვის და შვილებისთვისაა ასეთი ღირებულება. გამოდის, რომ ადამიანი, როგორც უმაღლესი ღირებულება, სხვა ადამიანთან ურთიერთობის გარეშე ასეთ ღირებულებად ვერ ჩაითვლება.

ადამიანის თავის თავის ღირებულება სინამდვილედ რომ იქცეს, ის სხვის ღირებულებად უნდა იქცეს, ადამიანი რომ უმაღლესი ღირებულებაა, ის ასეთი უნდა იყოს ცოლისათვის, შვილებისათვის. ცოლისა და ქმრის ღირებულებითი მიმართულება ურთიერთშეთანხმებითაა განსაზღვრული. ეს საჭიროა თავიანთი შესაძლებლობების სინამდვილედ ქცევისათვის. ცოლ-ქმარი ყოველთვის ერთმანეთს ეჭვის ქვეშ აყენებს, ის ნამდვილად ჩემია თუ სხვისია, მას ეს კითხვა ებადება, სულ სხვაა მშობლისა და შვილების დამოკიდებულება, შვილი შეუცვლელია, ის დაბადებიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე მშობლების ზრუნვის საგანია. ასევე შვილისათვის მშობლები. ისინი შვილისათვის შეუცვლელებია, თუ ცოლ-ქმარი ერთმანეთს გაცვლიან და ერთმანეთთან კავშირს გაწყვეტენ, მშობლისა და შვილის დამოკიდებულება ამის საწინააღმდეგოა იმიტომ, რომ შვილში მშობელი თავის მეორეს ხედავს, ის მისი სხეულის თითქოს ნაწილია, შვილის ტკივილები მშობლის ტკივილებია. მშობელი შვილის ბედნიერებით ხარობს.

ცოლ-ქმრის დამოკიდებულებაში უნდა აღინიშნოს წმინდა ზნეობრივი მხარე, რომელიც მათ ურთიერთობას განსაზღვრავს. ეს ის არის, რომ ისინი მათი შვილების მშობლებია, რა გარემოებაც მათ აიძულებს ერთად ცხოვრებას, შვილებისათვის. მშობლების გაყრა შვილების გულის გაბზარვაა, ისინი გზააბნეულებია, არ იციან, ვის მხარეზე დადგნენ, მათთვის ორივე მშობელი ღირებულია, როგორც მათი მფარველი, შვილების მშობლებისადმი ორნაირი დამოკიდებულება უნდა აღინიშნოს: ერთია, როცა მათ მშობლებისაგან მფარველობა სჭირდებათ, მათ მზრუნველი უნდათ და ასეთი მხოლოდ მშობელია; მეორეა, როცა შვილი აღიზრდება, ის დამოუკიდებელი ხდება, ის თვითონ არის თავისი თავის მზრუნველი. ამიერიდან მისი მშობლებისადმი დამოკიდებულება იცვლება, ის წმინდა ზნეობრივ სახეს ღებულობს, ის ეხლა მშობლებზე ზრუნავს, რომელთა ნაწილსაც ის წარმოადგენს. შვილებისა და მშობლების დამოკიდებულება სხეულებრივი არ არის, მათი კავშირი ასეთი მიმართების არც ერთ ნაწილს არ შეიცავს, ამიტომ ამას შეიძლება იდეალური ურთიერთობა ვუწოდოთ. ასეთივე იდეალური მიმართებაა დასა და ძმას შორის, ისინი ერთი საწყისიდან მოდიან, ერთმანეთისადმი უცხონი არ არიან და, როგორც ჰეგელი იტყვის, მათ შორის შეუბილწავი, უმანკოებითი კავშირია. ადამიანი, რომელიც შვილისა და მშობლის, დისა და ძმის ამ იდეალურ მიმართებას შებღალავს, სინამდვილე დაკარგულია, რომელიც წყვდიადში დაეხეტება და სად რას წააწყდება, არ იცის. მაშასადამე, ადამიანი უმაღლესი ღირებულება თვითონ არის და აქედან გამომდინარე ცოლი და შვილი, მშობლები, და, ძმა,

როგორც ისეთი ღირებულებანი, რაშიც მისი მეობაა განხორციელებული. მას მოუსპეთ ცოლი და შვილი, მშობლები, და, ძმა, ამით ის განყენებული ადამიანია, გარასახედი არსად არა აქვს, უნარსულოა, მას აზრი აქვს, რომელიც წარსულით არ არის განმტკიცებული, ადამიანის ერთი ნიშანი, რითაც ის ყოფიერობს, გახსენებაა, ხოლო მას გასახსენებელი არაფერი არა აქვს, მაგრამ მაინც ცხოვრებაზე ხელი არ უნდა აიღოს. მან შვება საზოგადოებაში უნდა ნახოს. ასეთი ადამიანისათვის აქ არის გამოსავალი.

ცოლის, შვილების, მშობლების, და ძმის მიმართება სიყვარულზეა დაფუძნებული. ასე, რომ, სიყვარული ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობას აფუძნებს. სიყვარული ადამიანთა შორის გრძნობადი კავშირია, რომელიც ურთიერთაღიარებას გამოხატავს, ამ გრძნობაში მოცემულია არა ერთის მიერ მეორის დაქვემდებარება, არამედ ურთიერთთანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობა. ასეთი დამოკიდებულებაა სწორედ მშობლებსა და შვილებს შორის, დებსა და ძმებს შორის, ესენია წმინდა ადამიანური ღირებულებები. ეს ღირებულებები ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ-სოციალურ არსს, უკავშირდებიან და ჯერარსობას ემყარებიან. მე მშობლებში, როგორც ბიოლოგიურ არსებაში, უნდა ვაღიარო მათი ჩემდამი იდეალური დამოკიდებულება და უნდა ვაღიარო მათდამი ვალდებულება. მე მოვალე ვარ შვილებზე, მშობლებზე და ძმაზე მქონდეს წმინდა ზნეობრივი მიმართება, მე მოვალე ვარ მათზე ვიზრუნო. ასე რომ, მშობლები, შვილები, და, ძმა ადამიანისათვის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტოლენები არ არიან, ისინი იდეალური არსნია, ღირებულებანია, რომელიც მათ, როგორც ბიოლოგიურ-სოციალურ არსებას, თან ახლავს.

ადამიანი, რომ წმინდა ბიოლოგიური არსი იყოს, მას ღირებულებები არ ექნებოდა, სინამდვილისადმი ღირებულებითი მიმართება არ ექნებოდა. ზნეობრივ-ესთეტიკური სამყარო არ ექნებოდა. თუ ბიოლოგიურ მდგომარეობაში ყოფნა ნიშნავს მის, როგორც ერთი სქესის მქონეს, მეორე განსხვავებულ სქესთან ურთიერთობას და მის საფუძველზე შვილების დაბადებას და მათ ბიოლოგიური ინსტინქტებით მოვლას, სოციალური ურთიერთობა ნიშნავს ადამიანთა ურთიერთობაში გარკვეული წესების დადგენას, რომლებიც მათ ურთიერთობას საფუძვლად ედებიან, ეს წესები მათი აზროვნების შედეგია, რომელიც არსებულ ვითარებას გააზრების საგნად აქცევს და მისგან სათანადო დასკვნებს გამოიტანს. და-ძმის, ნათესაობის, მეგობრობის, მეზობლობის მიმართებები ადამიანთა ურთიერთობისათვისაა დამახასიათებელი და მას ბიოლოგიურ დონეზე ადგილი არა აქვს. წიწილები, რომლებიც ერთი კრუხის მიერ გამოიჩეკებიან და დაიზრდებიან, მერე საკვების მიღებაში ერთმანეთს ეცილებიან, ისინი ერთმანეთისადმი უცნობია. ასევე ცხოველები, ისინი შვილს დაბადებენ, გაზრდიან, რაც მათ მიერ ძუძუს წოწოვებაში მდგომარეობს და როცა გაიზრდებიან, ერთმანეთის უცხონი ხდებიან, წარმოშობის საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა ცხოველებმა არ იციან, ისინი, მართალია, ჯოგურად ცხოვრობენ, ერთად ძოვენ, ერთად წვებიან, ერთად დადიან, მაგრამ ეს ურთიერთობა მყარი არ არის და რაც არის, ის ინსტინქტზეა დაფუძნებული. ცხადია, განყე-

ნებული არსი არც ცხოველებშია და არც ადამიანებში, მაგრამ ადამიანებში ურთიერთობა მაღალ დონეზეა, რაც მათი აზროვნებითაა განსაზღვრული, ცხოველებს კი აზროვნება არა აქვთ და ამიტომ არც თავიანთი ურთიერთობის მოგარობა აქვთ შეცნობილი.

ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ბიოლოგიურ-სოციალური არსი. ეს იქიდან ჩანს, რომ ადამიანი დასაწყისიდან დღემდე სოციალური ურთიერთობის შეცვლაშია, ის არც ერთ სოციალურ წყობაზე არ შეჩერებულა, ის ყოველთვის მოცემული სოციალური წყობილებიდან გადის, ის მეტი, რითაც ადამიანი მოცემული სოციალური წყობილებიდან გასვლას ახერხებს, ისაა, რომ ის არის მოაზროვნე არსი, ნების მქონე, რომელიც არც წმინდა ბიოლოგიურია და არც წმინდა სოციალური. ადამიანს აზროვნება აქვს, რომელიც სინამდვილის შეცნების იარაღია და გარკვეულ კანონებს ემყარება. ეს კი ბიოლოგიური და სოციალური კანონებით არ აიხსნება, იმიტომ, რომ ბიოლოგიური ცხოვრება ადამიანის გარემოსთან შეგუებას მოითხოვს, აზროვნება კი ამას არ ემორჩილება, ის არც სოციალურია, რადგან სოციალური სინამდვილე მუდმივ ცვლაშია, მაშინ როდესაც აზროვნება ყოველ მოცემულ სოციალურ ურთიერთობაში ერთი და იგივეა. აზროვნება, როგორც გარკვეული წყობა, სოციალური ურთიერთობის ამსახველია, მაგრამ ის ამ ურთიერთობაზე არ დაიყვანება. ტვინი, როგორც ერთგვარი კერა აზროვნებისა, სოციალურ ურთიერთობასთან შედარებით მუდმივი და უცვლელია, მაშინ როდესაც სოციალური ცხოვრება ცვალებადია. აზროვნების წყობა უშუალოდ არც ტვინის წყობას ემთხვევა. ეს ასე რომ იყოს, მაშინ ტვინის მეცნიერება აგრეთვე აზროვნების მეცნიერება იქნებოდა, ტვინის წყობისა და მისი ნაწილების შესწავლიდან ვერ მივალთ აზროვნების წყობისა და მისი ნაწილების შესწავლამდე, ის, რაც აზროვნებაშია, როგორც მისი შინაარსი, გარე სინამდვილიდან მოდის და არა ტვინიდან და მისი წყობიდან, ასე რომ, ადამიანი როგორც მოაზროვნე, როგორც ნებელობის მქონე, შესულია სოციალურ ურთიერთობაში, აქ იგი ამ ურთიერთობას ცვლის და, გარკვეული მხრივ, თვითონაც იცვლება. ამ მხრივ ადამიანი ცხოველებთან შედარებით მაღალ საფეხურზე არის ასული, ცხოველი წმინდა ბიოლოგიური მოვლენაა.

აზროვნების ნიშნები მაიმუნსაც აქვს. მისი აზროვნება შეიძლება როგორც მიბაძვა ისე დახასიათდეს, რადგან მას შეუძლია ადამიანს მიბაძოს და ის გაიმეოროს, რასაც მას ადამიანი ასწავლის. ამის მაგალითს შიმპანზე იძლევა. ის კარებს გააღებს, ისე როგორც ამას ადამიანი აკეთებს, ველოსიპედზე დაჯდება და გააჭენებს, თუ რამე სასიამოვნო საჭმელს მისცემ, მერე ტაშს დაუკრავს, ეს არის მხოლოდ მიბაძვით მიღებული და არა თვით გააზრებით მოპოვებული. მაიმუნისათვის საგანი ღირებულია, როგორც მის აღქმაშია მოცემული, ის აღქმის იქით არ გადის; ადამიანი, როგორც მოაზროვნე, საგნებს აღიქვამს და მათში ისეთ რამეს აღმოაჩენს, რაც აღქმისათვის მიუწვდომელია. მისთვის სამყარო მხოლოდ აღქმითი არ არის, სამყარო ორადაა გაპობილი: აღქმით და აზრით სამყაროდ.

აღქმაში მოცემულ საგნებში ისეთ ღირებულებას აღმოაჩენს, რაც ამ აღ-

ქმითი საგნის გადამუშავებითაა მიღებული, ადამიანის ღირებულებათა სამყარო ასეთ საგანთა გადამუშავების შედეგია. ბუნება, რაშიც ის ცხოვრობს, მხოლოდ შესაძლებლობაა ამ ღირებულებათა შექმნისათვის. ადამიანის ჩასაცმელ-დასახური, სახლი და მისი მოწყობილობანი ბუნების საგნების გარდაქმნის შედეგია, ისინი ადამიანის გონების საფუძველზე მისი ბოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვისაა შექმნილი. შეიძლება ითქვას, რომ ფუტკრები და ჭიანჭველებიც უშუალო მოცემულობით არ ისაზღვრებიან. ჭიანჭველები მიწის გორებს აკეთებენ და შიგ ცხოვრობენ, ფუტკრები სკას აკეთებენ ისეთს, რომლის ნაკეთობა ადამიანს შეშურდება, საქმე ისაა, რომ ეს აზროვნების შედეგი არ არის, ეს წმინდა ინსტინქტია, რომელიც ბიოლოგიურ მდგომარეობას ემსახურება, ეს რომ აზროვნების მონაწილეობის შედეგი იყოს, მაშინ მაიმუნებისაგანაც ასეთი მიზანშეწონილი მოქმედება უნდა მოგვეთხოვა, მაგრამ სინამდვილეში ისინი თავის საცხოვრებელ ბინებს არ აშენებენ, ისინი უშუალოდ ბუნებაში ცხოვრობენ, თუმცა უნარის მიხედვით აზროვნების ნიშნები უფრო აქვთ, ვიდრე მწერებს. სინამდვილე თავისთავადია, ის არსებობს, ვისმესგან აღიქმება თუ არა, ის აღქმის შესაძლებლობაა და თუ ასეთი არსი წარმოიშობა, ის აღიქმება. სინამდვილე ვისმესგან გაიაზრება თუ არა, ის მაინც არსებობს, ის მხოლოდ ამის შესაძლებლობას შეიცავს და როცა მოაზროვნე არსი წარმოიშობა ადამიანის სახით, ის გააზრებული ხდება. მომავალი არ შეიძლება აღქმაში იყოს მოცემული, ის უნდა მოვიაზროთ.

ადამიანი ღირებულებას ორნაირი გზით ღებულობს: ერთი გზაა ბუნებისადმი მიბაძვის, ამის მიხედვით ადამიანი იმ მოქმედებას იმეორებს, რასაც უშუალოდ საგნებში ხედავს, მაგრამ უფრო გაფართოებულად აწარმოებს. ასეთია, მაგალითად, ადამიანის მიერ აბრეშუმის პარკის დამზადება, ფუტკრის მიერ თაფლის დამზადება. ამათ ადამიანი ბუნებაში ნახულობს, აკვირდება მათ მოქმედებას და მერე მათ მიაშინაურებს, თავისი ჩარევით თაფლს და აბრეშუმის პარკს ამზადებს. არც ფუტკარი და არც აბრეშუმის ჭია ამას რაღაც გარკვეული მიზნით არ აკეთებენ, ეს მათთან წმინდა ბიოლოგიურ-ინსტინქტური მოქმედებაა და მათი მოქმედება ადამიანის მიზანს ემსახურება. პარკი და თაფლი ბუნების საგნების მაგიერ ღირებულების მქონე საგნებად გარდაიქმნებიან. აქ ადამიანი ბუნებაში არსებულ მოქმედებას თავის ჩარევით იმეორებს, ის მხოლოდ მის მიზანს ემორჩილება. მოქმედების ხასიათი იგივე რჩება, მეორე გზა კი სრულიად განსხვავებულია. ეს არის სრულიად ახალი საგნის მიღება, რომლის მსგავსი ბუნებაში არ ინახება, ეს არის ბუნების არსიდან მისთვის სასურველი არსის, ანუ ჯერარსის მიღება, ეს არის ყველაფერი ის, რაც ბუნების საგნების გარდაქმნის შედეგადაა მიღებული. ეს შესაძლებელია არსის ბუნების კანონზომიერების შემეცნების საფუძველზე. ღირებულებათა შექმნის ისტორია არის იგივე კულტურის ისტორია, რადგან ეს უკანასკნელი არის სწორედ ბუნების საგანთა გარდაქმნის შედეგი. ბუნების ყოველ საგანს ადამიანი მიზნის მიხედვით უდგება, ამიტომ მას მისთვის ღირებულება აქვს. იმას, რაც მის სურვილებს აკმაყოფილებს, დადებითი ღირებულება აქვს, ამიტომ ის არის და თუ არ არის, უნდა იყოს, ხოლო მას,

რომელიც მის სურვილებს უპირისპირდება, მისთვის უარყოფითი ღირებულება აქვს. ამიტომ ის თუ არის, არ უნდა იყოს. მოკლედ, არსებულს ადამიანის დამოკიდებულება ახლავს, რითაც ის არსისა და ჯერარსის სასწორზეა დაყენებული. არსი არის ის, რაც მის მიწვგან კანონზომიერებას ემორჩილება, მაგალითად, მცენარე, როგორც არსი, მიწაში ფესვების გადგმითაა განსაზღვრული, რომელიც ფოთოლს გამოისხამს და მისი საშუალებით მზის მოქმედებასთან ერთად ნივთიერების გაცვლა-გამოცვლას ახდენს. ეს ადამიანის გარეშე მიმდინარეობს, ის მისი შემცნობია. ასე რომ, არსი მიზეზობრიობით განსაზღვრული არსებულია. რაც შეეხება ჯერარსს, ის ისეთი არსია, რომელიც გარკვეულობას ადამიანთან მიმართებაში ღებულობს, ის ღირებულია იმიტომ, რომ მისთვის ნაყოფის მომცემია, საამშენებლო მასალაა. ის ამ თვისებებს ადამიანთან მიმართებაში იძენს, ის ღირებულებითი არსია. მცენარე, როგორც საამშენებლო მასალა, მხოლოდ ადამიანისათვის არის, სხვა არც ერთი სულიერი მას ამ კუთხით არ უდგება. ცხადია, მცენარე ამის მხოლოდ შესაძლებლობას შეიცავს, მისთვის სულ ერთია, ის საშენ მასალად გამოიყენება თუ ქარის დაბერვით წაიქცევა და იქ დალპება. ის მხოლოდ მოაზროვნე არსისთვისაა ამ თვისების მქონე.

ადამიანსა და მისგან შექმნილ საზოგადოებას სინამდვილისადმი ორგვარი მიმართება აქვს. არსული და ჯერარსული. როცა საკითხი საგანს, როგორც არსს, ეხება, მაშინ ის შემეცნებისათვისაა მოცემული, რომელიც მასში აისახება, როცა საკითხი ჯერარსს ეხება, მაშინ ადამიანი მისი შემეცნებით არ კმაყოფილდება, შემეცნების საფუძველზე მას გარდაქმნის და თავის სურვილებს დაუმორჩილებს. საზოგადოებას ამ ორმხრივი დამოკიდებულების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, ადამიანები მიზანს ისახავენ არა მხოლოდ ბუნების საგნებისადმი, არამედ მათ თავის თავის მიმართაც გარკვეული მიზნები აქვთ. ბუნების საგნებისადმი მიზნობრივი დამოკიდებულება თავისი თავისადმი მიზნობრივი დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, ადამიანს სურს თავისი ცხოვრება მიზნის მიხედვით მოაწყოს და ბუნების საგნების ამ მიზნის განხორციელებისათვის გამოიყენოს. ადამიანის მთელი ისტორია შეიძლება გავიგოთ, როგორც მისი ქმნადობის ისტორია, მის მიერ თავის თავის ძებნის ისტორია, რათა თავისი თავი იპოვოს და იპოვოს ცხოვრების ის წესები, რომელთა საფუძველზე გაშლილი მისი ცხოვრება მისი არსების გამოვლენა იქნება.

განვითარების დასაწყის საფეხურზე ადამიანთა ურთიერთობა სრულიად აბნეულ-დაბნეული იყო. არ იყო განსხვავება დასა და ძმას, შვილსა და მშობელს შორის, ადამიანები ერთმანეთის ხორცს ჭამდნენ, აქ ადამიანი ჯერარსობის საფეხურზე არ არის ასული, მათი არსებობა მხოლოდ იმაშია, რომ ცოცხალია, სხვა ღირებულება მათ არა აქვთ, კაცობრიობა რომ ამ საფეხურზე გაჩერებულიყო, დედამიწა დასახლებული იქნებოდა ადამიანებით იმავე წესით, როგორც მასზე ცხოველები ცხოვრობენ, მაგრამ იმთავითვე მოცემულია ადამიანსა და ცხოველს შორის ძირეული განსხვავება. ცხოველი ყოველთვის ერთი და იგივე წესით ცხოვრობს, ის თავისი ცხოვრების წესს არასდროს არ

უპირისპირება, მაშინ, როდესაც ადამიანი მიისწრაფვის თავისი ცხოვრების წესის შეცვლისაკენ. ამის მიზეზი ისევ აზროვნებაა, რომელსაც ადრე თუ გვიან შეუძლია ცხოვრების მოცემული წესი გააზრების საგნად გახადოს და მასში ცვლილება შეიტანოს. აზროვნებამ უნდა გააგებინოს ადამიანს, რომ ის წმინდა ნივთიერი არსი არ არის, რომ ის ცხოველთა სამყაროშია, მაგრამ მასზე მაღალია და მისი ცხოვრების წესი სულ სხვანაირი უნდა იყოს, მის წინ უფრო მაღალი ღირებულებაა, რომელიც მან უნდა მოიპოვოს და მასამდე ამაღლდეს.

ცხოველისათვის გვარობამდე ასვლა შეუძლებელია, რადგან მას აზროვნება არა აქვს, გვარი აზრისეულია და ის ცხოველისათვის მიუწვდომელია. ისე როგორც აზროვნება არ აღიქმება, ისევე მისი შესაბამისი გვარი, ადამიანის აზროვნება ამ გვარობას უნდა ეზიაროს, მას საქმე უნდა ჰქონდეს არა ამა და ამ ადამიანთან, არამედ, საერთოდ, ადამიანთან. მან სხვაში თავისი თავი უნდა აღმოაჩინოს და მასთან იგივეობრიობა ნახოს, აი, სწორედ ასეთი შემეცნება საფუძველი უნდა გახდეს იმისი, რომ ერთმა მეორის ხორცი არ შეჭამოს. თანამედროვე ველურები კაციჭამიებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გვარობის შემეცნებამდე მისული არ არიან. ისინი თერკანიაში უცხოს, მათთან საპირისპიროს ხედავენ და ამიტომ საჭმელადაც ეტანებიან. ასეთი ადამიანები არსებითად ცხოველურ დონეზე იმყოფებიან და ადამიანობის ცნებამდე არ მისულან.

ადამიანობის შემეცნება აუცილებელია, რათა კაციჭამიობა უარყოს, მაგრამ მაინც კითხვა დაიბადება. რატომ არ შეიძლება ადამიანი თავის თავის უმაღლეს შემეცნებამდე ავიდეს და ის მაინც თავში კაციჭამიობას უშვებდეს, რა უნდა იყოს ის საფუძველი, რის მიხედვითაც ეს აკრძალული უნდა იყოს. ადამიანი ისეთივე მატერიალურია, როგორც ბუნებაში არსებული ცხოველები: ცხვარი, ღორი, ქათამი, ძროხა, ირემი, შველი და სხვა. არსოლოგიურად ამის საფუძველი არ მოინახება, ეს ასე რომ იყოს, მაშინ იმთავითვე გამორიცხული იქნებოდა ეს ამბავი. ამის საფუძველი თუ არსოლოგიური არ არის, ამის ზნეობრივი საფუძველი არის. ადამიანი თავისში ზნეობრივი არსია. დასაწყისში ზნეობრივი თვალსაზრისით ეს ამბავი დაშვებულია იმიტომ, რომ ადამიანი ამ საფეხურზე მისული არ არის, თავის თავის, როგორც ზნეობრივი არსის, შემეცნებამდე. ადამიანი მისული არ არის იმის გაგებამდე, რომ ის არის ბუნების უმაღლესი არსი, რომელიც ერთადერთია და ის არც ერთ ცოცხალ არსზე არ გაიცვლება. ადამიანი არ ურის ცხოველთა სამეფოს არც ერთ გვარს. როცა ადამიანი თავის მეზობელს, თუ უცხოს ძროხას ან ცხენს მოუკლავს, ის სასამართლოს, თუ სხვა, გზით მას სამაგიერო ძროხას ან ცხენს გამოართმევს, ანდა მის ფულად ღირებულებას, რომლითაც მას მისი აღდგენა შეუძლია. ამ შემთხვევაში ერთეულობრივი მიდგომა არ არის, რადგან ყველა ცხენი, თუ ძროხა ერთი და იგივეა, განსხვავება მხოლოდ შეიძლება ასაკში ან მის ვარგისობაში იყოს, მაგრამ როდესაც მამას შვილს მოუკლავენ და დადასტურდება ამ მკვლელობის დანიშნულობა, მისი აღდგენა არასგზით არ შეიძლება იმიტომ, რომ მისი შვილი მისთვის ერთადერთი იყო, ის

არაფერზე არ გაიცვლება, ამიტომ იყო რომ ძველად ხალხი ამას სისხლის აღების გზით ახორციელებდა, რაკი მამას შვილი მოუკლეს, ის იძულებული იყო, სანაცვლოდ მისთვის ამის მაგვარი მოეკლა. ეს წესი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ასეთ მოქმედებას ის აზრი ედო საფუძვლად, რომ ადამიანი განუმეორებელი და შეუცვლელია. ამისაგან განსხვავებით ეხლა ისეთი კანონია, რომლის მიხედვით, მკვლელი ამ მოქმედების უარყოფას შეიცნობს, რაც მისი დანაშაულის ერთგვარი უარყოფა იქნება. ნამდვილად საჭირო კი ის არის,რომ მკვლელი საზოგადოებისაგან სამუდამოდ განცალკევებული იყოს.

ადამიანი უმაღლესი ღირებულებაა. საკუთრივ რაც ადამიანში უმაღლესი ღირებულებაა, ეს არის თავისუფლება. ადამიანი ამით აღწევს მეობამდე ასვლას, ადამიანის მისწრაფებაა მისი მეობის შესაძლებლობების გაშლა, მისი სინამდვილედ ქცევა. მეობის გაშლა ინდივიდუალიზმი არ არის, რადგან ინდივიდუალიზმი უკიდურესად გაგებული ის იქნება, რომელიც მხოლოდ თავის თავს აღიარებს, რაც გამოიხატება ცოლ-შვილის, მშობლებისა და ძმების,ამხანაგების უარყოფაში და მხოლოდ თავის საკუთარ თავზე ზრუნვაში, ასეთი ინდივიდუალიზმი თავის თავის უარყოფამდე მიდის, რადგან ასეთ ადამიანს ყველაფერი ადამიანური უარყოფილი აქვს და ის აღარც არის ადამიანი. თუ ინდივიდუალიზმი ეს იქნება, მაშინ აქედან გამოდის, რომ არც არავინ სხვა იზრუნებს მასზე და ზრუნვის გარეშე კი ის ვერ იარსებებს. ყოველი "მე" შესაძლებლობის შემცველია, ამით ის თავის თავში კი არ ჩაიკეტება, არამედ მან სხვასთან უნდა დაამყაროს ურთიერთობა, მან სხვა უნდა აღიაროს, მან თავისი თავი სხვაში უნდა განახორციელოს და სხვაში თავისი თავი ჭვრიტოს, ასეთი არის, უპირველეს ყოვლისა, მისთვის ცოლ-შვილი და ქმარ-შვილი, და, ძმები, მშობლები, ნათესავები და სხვა, ამ ურთიერთობაში ის ნამდვილი "მეა", რადგან მრავალნაირ მიმართებაშია, აქ ის როგორც სხვაზე ზრუნავს, ისე მასზე ზრუნავენ, აქ თავისუფლებისა და მოვალეობის ურთიერთობა განხორციელებულია, თუ მისი სახლობა ერთად ჩაითვლება, მან სხვა უნდა აღიაროს, რადგან მას, როგორც ერთს, სხვაში სჭირდება განხორციელება, ცოლ-შვილთან, და-ძმასთან, მშობლებთან მიმართება არ ეყოფა, რადგან სინამდვილე უფრო ფართოა, ის, როგორც ერთი, ისევ სხვას საჭიროებს, ეს სხვა არის მისი ამხანაგები, მეგობრები, ეს სხვა იქნება მთელი მისი ერი, რომელშიც იგი შედის, როგორც ერის ნაწილი და მთელი ერში შემავალი სხვას საჭიროებს კიდევ, რადგან მის ერს გამოცალკევებული არსებობა არა აქვს, ის სხვა ერებთანაა ურთიერთობაში. სხვაზე ზრუნვა ყოველი ადამიანის აუცილებელი მოთხოვნაა, ამის გარეშე ის სხვასთან ურთიერთობაში ვერ მოვა, ამ ურთიერთობაში ვერ იარსებებს. აქედან გამოდის, რომ ყოველი ადამიანი მეორე ადამიანს უნდა აღიარებდეს. ეს ურთიერთაღიარება არის ადამიანების როგორც საზოგადოებრივ არსთა არსებობის აუცილებელი პირობა.თითოეულ მეს სხვის აღიარება სჭირდება, მასში თავისი აღიარებისათვის და, პირიქით, ამ ურთიერთაღიარებისა და პატივისცემის გარეშე ადამიანთა ურთიერთობა უარესდება და ადამიანის ცხოვრების აზრი იკარგება.

თითოეულ ადამიანს თავისი მოქმედების საწყისი თავისში აქვს და თა-

ფისში უნდა ჰქონდეს, თუ ეს ასე არ არის და მისი მოქმედების საწყისი სხვას აბარია, ის არცაა ადამიანი, მაგალითად, ძველი რომის იმპერიაში, რომელიც მონურ შრომაზე იყო დაფუძნებული, მონა ქმნიდა დოვლათს და მას ადამიანად არ სთვლიდნენ, ის არ იყო გონების მატარებელი, ის მომუშავე სხეული იყო. ადამიანი იმით ადამიანობს, რომ ის თვითონ არის თავის საქმის წამომწყები და მისი მნიშვნელობის საზომი, ადამიანები სხვადასხვანაირი შესაძლებლობების მქონენია, თითოეული ამ უნარს ახორციელებს. ამავე დროს ის, რაც ერთს სჭირდება, მეორესა აქვს, ის, რაც მეორეს სჭირდება, მესამესა აქვს და ამის საფუძველზე ადამიანების ურთიერთაღიარება ხდება. ადამიანი, რომელიც შეეცდება გადალახოს ეს ურთიერთაღიარება და მხოლოდ თავის თავს სცნობს, ის თავის თავს გამოუვალ წინააღმდეგობაში აქცევს, რადგან მას კვლავ დასჭირდება სხვა, როგორც მისი მოქმედების განხორციელების აუცილებელი პირობა. მაშასადამე, ადამიანების ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებაზე, რომელიც მათ ერთმანეთის მიმართ აქვთ. ადამიანი უმაღლესი ღირებულებაა, ის ასეთია იმით, რომ ის თავისუფლების მქონეა, მისი თავისუფლება იმაშია, რომ მისი მოქმედების საწყისი მასშია და არა მის გარეთ. ასე რომ, ადამიანში თავისუფლებაა ყველაზე ღირებული, რადგან ამითაა ის ადამიანი და ყველა ღირებულებათა წარმოშობის წყარო, ამიტომ ადამიანებმა ერთმანეთში ეს ადამიანობა უნდა შეიცნონ და აღიარონ. ადამიანი, რომელიც ქვენარე გრძნობებით მოქმედებს და მისი მონაა, ბოროტებას ჩაიდენს, ხოლო ის ადამიანი, რომელიც ზენა გრძნობების მატარებელია და მათ კარნახს ემორჩილება, ის სიკეთის იდეით მოქმედებს და კეთილ მოქმედებას ჩაიდენს. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პიროვნება ჯერარსობით მოქმედებს, ერთს ჯერარსობა უარყოფითი, ხოლო მეორეს დადებითი აქვს. ადამიანი თავისუფალი მაშინ კი არ არის, როცა ის ქვენა გრძნობების მონაა, ის ასეთი მაშინაა, როცა ზენა გრძნობების სამეფოსაა ზიარებული. თავისუფლება შეცნობილი მეობაა, ადამიანი, რომელიც თავის თავს არა როგორც ამ კერძო ადამიანს, არამედ თავის თავს, როგორც ადამიანს, მის ზოგადობაში შეიცნობს, ის სხვა ადამიანის აღიარებამდე მიდის და მისი ყოველი მოქმედება მეორე ადამიანის ღირსების შელახვა არაა. როცა ვამბობთ, ადამიანი მის კერძოობაში, აქ უნდა ვიგულისხმოთ გრძნობების ის მიმართულება, რომლის მიხედვით გამოდის, რომ მხოლოდ ის უნდა არსებობდეს და მისმა ბნელმა გრძნობებმა არ იციან, რომ ის არსებობს არა მხოლოდ თავისით, არამედ მის არსებობას სხვა ადამიანებში აქვს საფუძველი.

ადამიანი მიისწრაფვის იმ საგანთა სამეფო შექმნას, რაც მას აზრში აქვს მოცემული, მას არსებულის უკმარისობის გრძნობა აქვს და სრულყოფილი სინამდვილის შექმნა სურს. მიზანში არსებულია უარყოფილი. არსს და ჯერარსს შორის წინააღმდეგობა იმას როდი ნიშნავს, რომ ჯერარსი არსისაგან სრულიად მოწყვეტილია, არსი ჯერარსისათვის მასალაა, რომლის გადამუშავებით ჯერარსი უნდა დაიბადოს. ადამიანის დამახასიათებელია, რომ ის ღირებულების ძიებაში და მის შექმნაშია, ისეთი საფეხურის მიღწევა, რომელიც ღირებულებათა მეტად შექმნას შეუძლებელს ხდის, ისტორიის შეჩე-

რება იქნება. ეგზისტენციალისტები რომ ამბობენ, ადამიანი ყოველთვის ის არის, რაც ის არ არის, ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის.

ცხოველთა სამყაროში ყოველი არსებული ცხოვრობს თავის შესაფერ გარემოში და მათი არსება მათ ამ გარემოში ცხოვრება იქნება. თევზის არსება წყალში ცურვაა, ფრინველის ჰაერში ფრენა, თაგვის არსება-სოროში ყოფნა, ბაყაყის წყალში ცურვა და ასე შემდეგ. ცხოველთა სამყარო არსების მიხედვით ასე დაახასიათდებოდა. მან ეს ცნება განაზოგადა და ადამიანიც მასში მოაქცია, მან ადამიანის არსებად მისი ყოფიერება ცნო. მაგალითად, მუშის არსებაა, მისი აზრით, ქარხანაში დაქირავებული შრომა. კ. მარქსმა ეს აზრი შეცვალა იმით, რომ თქვა, ყოფიერება და არსება ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია და ადამიანი თავის ყოფიერებას უარყოფს იმიტომ, რომ ის მის არსებას არ შეეფერება. მარქსმა ადამიანი მაინც ცხოველებისაგან გამოყო და ეს სწორი აზრია. ცხოველები თავის ყოფიერებიდან არ გამოდიან, ისინი მუდმივად ასე ცხოვრობენ. ადამიანი კი ისეთი არსია, რომელიც თავისი ყოფიერებიდან ყოველთვის გამოდის, ის მოცემული ყოფიერების დონეზე არ ჩერდება. ამის მიზეზი უნდა ნახულ იქნეს იმაში, რომ ის თავისში თავისუფალია, ის თავის მეობას თავისუფლებაში ნახულობს და იქ, სადაც თავისუფლება არ ხორციელდება, იმ ყოფიერებას უარყოფს.

ჰეგელმა კაცობრიობის ისტორია, როგორც თავისუფლების ისტორია, ისე გაიგო. ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. მართალია, ადამიანმა რა არის თავისუფლება დასაწყისში არ იცის, მაგრამ ადამიანს იმთავითვე აქვს ამის განცდა. ის იქითკენ მიილტვის, რომ თავისი თავი განახორციელოს, საქნები თავისი სურვილისამებრ მოაწყოს. ადამიანის არსება ამ აზრით მის თავისუფლებაშია და თუ ადამიანი ყოველთვის ის არის, რაც ის არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ მას თავისუფლებისათვის არ მიუღწევია და მას ყოველთვის მოცემულიდან გასვლა ახასიათებს. აგრეთვე ეს იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანს არ შეუძლია აბსოლუტური თავისუფლების მიღწევა, ადამიანი საგანთა სამეფოში ცხოვრობს და ის მის თავისუფლებას უპირისპირდება, საგანთა დაპირისპირების სრული მოხსნა ადამიანს არ შეუძლია და ამიტომ არც სრული თავისუფლების მიღწევა ძალუძს. მაშასადამე, ადამიანი ის არის, რაც ის არ არის, გამომდინარეობს თავისუფლების ძიებიდან, მისი არსებაც ამაშია. რაკი ადამიანის არსება თავისუფლებაშია, ხოლო თავისუფლება ნებისმიერი მოქმედებაა, ამიტომ ყოველნაირი მოქმედება დასაშვებია, რაკი ის ნებისმიერია, ანუ თავისუფლების შედეგია. თავისუფლების ამგვარი გაგება ნამდვილად მისი უარყოფაა, თუ თავისუფლება ყოველნაირი ნებისმიერი მოქმედებაა, მაშინ ამის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ადამიანთა შორის ყოველდღიური შეხლა-შემოხლა და გამწვავებული ბრძოლა.

ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავის არსებობას ჩათვლის კანონიერად და სხვისი არსებობა ასეთად არ მიაჩნია, არის ქვენა გრძნობების მქონე, ზენა გრძნობებთან მას არაფერი არ აკავშირებს და მისგან ასეთი მიუღებელი მოქმედებები გამოდის. მოკლედ, თავისუფლება ადამიანის ისეთი ნებისმიერი მოქმედების განხორციელებაა, რომელიც ზენა გრძნობებით არის განსაზღ-

ერული, სიკეთე,თავისუფლება,რისკენაც ადამიანი მიისწრაფვის,უცვლელია, რომელსაც მიზნად გაუხდია მისი მიღწევა,არის ცვალებადი.საერთოდ უნდა ითქვას,რომ ზოგადი,რა სახისაც უნდა იყოს, არ იცვლება,მხოლოდ ერთეულია ცვალებადობაში.ადამიანის ცვალებადობით თვითონ ადამიანობა არ იცვლება,ადამიანის შემეცნების ისტორია ადამიანობის შემეცნებას ემსახურება.ადამიანობა რომ იცვლებოდეს, მივიღებდით უცნაურ ვითარებას: ადამიანი შეიცვლებოდა და შეიცვლებოდა თვითონ ადამიანობა,ანუ ადამიანი არაადამიანად იქცეოდა,რადგან ადამიანის ცვლა ნიშნავს მის საწინააღმდეგოში გადასვლას. ასე რომ, ადამიანობა ერთგვარი წესია,რომლის მიხედვით,ცალკეული ადამიანების ცვლილება ხდება. ჯერარსული და ღირებულების მქონე ეს ზოგადი ადამიანი,ანუ ადამიანობა კი არ არის, არამედ,ერთეული ადამიანია,მხოლოდ მას შეიძლება ღირებულების მიხედვით შევხედოთ,დადებითად ან უარყოფითად ჩავთვალოთ. ადამიანობა არის ისეთი ზოგადობა ერთეულ ადამიანში, რომლის მიხედვით ადამიანი იზომება, მისი ავკარგობა ფასდება.

ყოველი ადამიანი, როგორც არსი, ამავე დროს ჯერარსულია, რამდენადაც მისი მოქმედება "უნდა იყოს" საფუძველზე მიმდინარეობს. ამის მიხედვით, ადამიანები შესაძლებლობების მიხედვით განსხვავდებიან, მრავალი ადამიანი ამ ჯერარსობას ცოლ-შვილის თუ ქმარ-შვილის ყოლაში გამოხატავს და მასში ჰპოვებს იგი ადამიანურ ბედნიერებას, ზოგი კი, ვისაც მაღალი დონის შესაძლებლობა აქვს, ამას გამოხატავს ხელოვნების ნაწარმოების შექმნაში, მეცნიერულ-სადრი სამსახურში, რითაც ის თავისი ერის თუ კაცობრიობის ისტორიას თავის დაღს ასვამს და განვითარების მაღალ საფეხურზე აჰყავს.ასე რომ, ყოველი საღი ადამიანი თავისი თავის გამოვლენას ახდენს, თავის უნარს ახორციელებს. ვინც ამ უნარებს მოკლებულია, ის ბუნებისაგან უბედურადაა დაბადებული.

ადამიანი არსია, როგორც არსებული, მაგრამ როგორც თავის თავის წინაშე მოთხოვნის მემცველი, ჯერარსია, მან ჯერარსობა არსთა სამეფოში უნდა განახორციელოს. ხელოვანმა უნდა შექმნას მხატვრული ნაწარმოები, ეს ნაწარმოები არაფერი არ იქნებოდა, თუ ის მხატვრის თავში დარჩებოდა და სხვისთვის დასანახი და მოსასმენი არ იქნებოდა, თუ ის მხატვრის თავში დარჩებოდა, მას ნამდვილობა არ ექნებოდა, ასე რომ, ამ მიმართებით ჯერარსი არსის გარეშე ნამდვილობას მოკლებულია, ადამიანი კეთილი ან ბოროტია იმიტომ კი არა, რომ მას ასეთი სურვილები აქვს, არამედ იმიტომ, რომ მან კეთილი ან ბოროტი მოქმედება შეასრულა, იგი, როგორც მოქმედი, არსია, რომელიც გარკვეული შინაარსის მოქმედების შემსრულებელია,რომელიც სიკეთის ან ბოროტის შესრულებისკენაა მიმართული. ჯერარსია ის, რაც არსში უნდა განხორციელდეს. როგორც ბუნებაში,ისე საზოგადოებაში ჯერარსი,არსის მიმართ "უნდა იყოს" მოთხოვნითაა განსაზღვრული, ე.ი. ადამიანი ჯერარსობით არსისაკენაა მიმართული. გაჭირვებული ადამიანის დახმარება, ავადმყოფი ადამიანისადმი ზრუნვის გამოჩენა ჯერარსულია.მაშასადამე,ჯერარსი არსთა სამეფოში ცვლილების შემტანია.

არსი არსებულია, ჯერარსი ის არის, რაც არ არის და უნდა იყოს, ან რაც არის და უნდა იყოს, ამიტომ შეიძლება ითქვას, ჯერარსი იდეალურია.

ჯერარსი არსთა სამეფოში ნამდვილდება, ანუ იდეალურის სინამდვილეში განხორციელება ხდება. ზოგადად იდეალურის საკითხი რთულია და ძნელია, მაგრამ ადამიანის სინამდვილესთან მიმართების მიხედვით მოცემულია ორი რამ. ერთი ის, რაც სინამდვილეში არ არის და მხოლოდ აზრის სახით არსებობს, მეორე მხრივ, იგივე აზრის სახით არსებული სინამდვილეში ხორციელდება, ანუ აზრში მოცემულს სინამდვილეში ვხვდებით. ამ აზრით იდეალურის და რეალურის ურთიერთობა, მათი ერთმანეთში გადასვლა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რაკი იდეალური ის არის, რაც წინასწარ მოაზრებულია, ხოლო მოაზრებული საგნები და მათი ურთიერთობანია. საგნები კი გარდაქმნის შესაძლებლობებს შეიცავენ. ეს შესაძლებელი საგანი ადამიანის აზროვნებაში იდეალურადაა მოცემული, არსისათვისაც იგი, როგორც შესაძლებლობა, იდეალურადაა, ანუ არსისადმი ჯერარსი იდეალურია. ეს შესაძლებელი საგანი იდეალურადაა მოცემული, ამიტომ არსებული საგნების შეცვლა იდეალურის მიხედვით ხდება. მოცემული საგანი მისი შესაძლებლობაა..

ბუნების საგნები – მცენარეები, წყლები, მთები და ქვები. ცხოველები გარეული თუ შინაური ჯერარსობის მატარებელია, ისინი ადამიანის მოთხოვნის წინაშე დგანან, ისინი ადამიანს სჭირდება და ამიტომ მის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდნენ, ადამიანის მიერ შინაური ცხოველები წვრთნდება, უმჯობესდება, რათა უფრო კარგად მოიხმარონ; ადამიანთან მიმართების გარეშე ისინი უბრალო ბუნებრივი საგნებია, რომლებიც კანონების საფუძველზე ცხოვრობენ, ადამიანთან მიმართებით კი მათ ღირებულება აქვთ. ადამიანს მათში ცვლილება შეაქვს მათივე კანონზომიერების საფუძველზე, ასე რომ, ისინი უმჯობესდებიან, უფრო უკეთესი ცხოველები ხდებიან, ისინი არაცხოველებად არ გადაიქცევიან. არის ისეთი საგნებიც, რომლებიც ჯერარსობით სრულიად გარდაქმნილია, მასში არსებული მხოლოდ მასალაა, ხოლო მისი აგებულება ხელოვნურია და მასში მხოლოდ ადამიანის გონება უნდა აღმოიკითხო. ასეთია მაგალითად, სახლი, რომელსაც ბუნებაში ვერსად ვერ ვნახავთ, ის მხოლოდ ადამიანის ჯერარსული ბუნების შედეგია. ამას გარდა, არის ისეთი არსი, რომელიც ბუნებრივობაშია და ჯერარსის მატარებელია, ასეთია ქვაზე ამოკვეთილი სურათი. აქ არსსა და ჯერარსს შორის საზღვარი ადვილად დასადგენია, არსი წმინდა ბუნებრივია, ხოლო სურათი შემოქმედების ნაყოფია, რომელიც შეიძლება მოსპო ისე, რომ ამით არსი არ მოისპობა. შეიძლება ისეთ ჯერარსზე მივუთითოთ, რომელიც ისევ ჯერარსულზეა დამოკიდებული, ქაღალდი, კედელი ჯერარსულია, რამდენადაც ისინი ადამიანის იმ მოთხოვნითაა გაკეთებული, რომ მისი რაღაც სურვილი დააკმაყოფილოს, კედელზე დახატული სურათი, ქაღალდზე დაწერილი ლექსი თუ რომანი ის ჯერარსებია, რომლებიც ისევ ჯერარსებთან არიან დაკავშირებული.

არსის გარეშე ჯერარსი არ არის, მას მასში აქვს ნამდვილობა, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს არსსა და ჯერარსს შორის წინააღმდეგობა. ეს იმაში გამოიხატება, რომ ის, რაც ჯერარსობის მოთხოვნაა, სინამდვილეში ყოველთვის არ ხორციელდება. ასეთი წინააღმდეგობის გამო უფრო მეტი საფუძველია იმისა, რომ ჯერარსობა იყოს. არ იქურდო; სწორედ მაშინაა აუცილებელი მო-

თხოვნა, როცა ქურდობაა. ყველა, რომ ქურდი იყოს, ყველა რომ ერთიმეორეს პარავდეს, მაშინ ის დაკანონებული იქნებოდა და მისი აღკვეთის მოთხოვნაც არ იქნებოდა, მაგრამ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ, თუ ყველა იქურდებს და ყველა ქურდობით იცხოვრებს, მაშინ ერთ დღეს გასაქურდი აღარაფერი იქნება და ქურდობა საზოგადოების საწინააღმდეგო მოვლენად იქცევა. ზნეობრივად დამამცირებლად ითვლება ადამიანის კვლა, ამიტომაა მოთხოვნა ადამიანი არ კლა, სინამდვილეში კი ამის საწინააღმდეგო ხდება, ადამიანის მკვლელობები ხშირია. პირიქით რომ იყოს, ადამიანებმა უნდა კლან ერთმანეთი. მივიღებთ საზოგადოების საწინააღმდეგო სურათს. ის თავის უარყოფამდე მივა, ასე რომ, ჯერარსობის მოთხოვნა არსის თვით შენახვის მოთხოვნიდან ამოდის. ის საზოგადოებას, როგორც არსს, ინახავს. ეს სწორია, მაგრამ საზოგადოება იქ მაინც უბრალო არსი არაა; აქ საზოგადოება გაგებულია როგორც ღირებულების მქონე და ამიტომაა, რომ მის მიმართ ჯერარსობას ადგილი აქვს, ესაა წინააღმდეგობა, რომელიც არსსა და ჯერარსს შორის არის, როგორმცაა კაცი არ კლა, მაგრამ მკვლელობა მაინც არის, აღმოცენდება მის ზოგად საფუძველში ადამიანის კერძო, ბნელ გრძნობებსა და მის გონებით განათებულ ზეგრძნობებს შორის არსებული წინააღმდეგობით.

ადამიანების გარკვეული ჯგუფი ქალს აჩერებს, გავლის საშუალებას არ აძლევს, ამ უმსგავსობას კაცი დაინახავს, ითხოვს ქალის განთავისუფლებას და ეს ადამიანები ხელს დაარტყამენ ისეთ ადგილზე, რომ იგი იქვე გარდაიცვლება; ეს ამბავი სწორედ ამ წინააღმდეგობის გამოვლენაა. ადამიანების ასეთი მოქმედება თვით ადამიანების წინააღმდეგაა მიმართული. ასეთი მოქმედება საფუძველს იძლევა, რომ მის დას თუ დედასაც ასე მოექცნენ და, ამგვარად, მივიღებთ საზოგადოებას, რომელიც მკვლელებით იქნება დასახლებული. ეს წინააღმდეგობა შეიძლება ყოველთვის იყოს, – რამდენადაც ქვეგრძნობების ამაღლება ზეგრძნობებამდე ძნელია, მაგრამ მისი ესა თუ ის გამოვლენა, კერძოდ, კაცის კვლა არ უნდა იყოს ისეთი, რომლის აღკვეთა არ შეიძლებოდეს. ადამიანში მაინც არის ფარულად რაღაც ცხოველური, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი გამოვლენა ჩვეულებრივ პირობებში არ მოხდება, თუ მის წინააღმდეგ გონიერული ზომები იქნება მიმართული. ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ასეთი ადამიანები ციხეებში უფრო ფუჭდებიან და როცა ციხიდან გამოვლენ, უფრო უარესი ხდებიან. საჭიროა მათი გამოყენება და უწყვეტი შრომის პირობებში მოქცევა. ალბათ აქ მოხდება მათი თვითშემეცნება. წინააღმდეგობა, რომელიც ქვენა და ზენა გრძნობებს შორის წინააღმდეგობით გამოიხატა, თითქოს გონებას აქ მონაწილეობისაგან ათავისუფლებს. მკვლელი გონებით მოქმედებს, ისვრის დანას, ან სატევარს ჩაურჭობს, მოკლავს, მანქანაში ჩადებს, წაიღებს და წყლის გასავალ ხვრელში მავთულით დააბამს, ცხადია, ასეთი მოქმედება გონების გარეშე შეუძლებელია, ის გონების მონაწილეობითაა შესრულებული. ეს გონება იმ ბნელი გრძნობების მსახურია, რომელმაც კაცის კვლა განიზრახა. აქ გონება ისეთივე ბნელია, როგორც გრძნობები. გონების ვალია იმის გათვალისწინება, თუ რაა მკვლელობა და რა ადგილი უკავია მას საზოგადოებაში, როგორ უყურებს საზოგადო-

ება მკვლელს, შეუძლია თუ არა მას საზოგადოების გარეშე იცხოვროს, შეიძლება თუ არა პატივისცემა დაიმსახუროს თავის მკვლელობით. როდესაც ქართველმა კაცმა ბერძიყაშვილმა ჩვენი ერის სახელოვანი შვილი, ქართველი ერის წინამძღოლი 1907 წელს წინასწარ მოკლა, ხალხი შეძრწუნდა, ხოლო მკვლელი ომის წინა წლებში ყრაბახობდა, ილია ამ ხელმა მოკლა, თითქოს ხალხი ქებას შეასხამდა. მან ხალხში ზიზღი დაიმსახურა, მკვლელის სიცოცხლეს აზრი არ ჰქონდა, და კანონიერად აღიკვეთა ქართველი ერის მიწიდან. ადამიანი გონებით უნდა ავიდეს ზოგადადამიანობამდე და მხოლოდ მაშინ გაიწმინდება ქვეყანა გრძნობებისაგან, ადამიანობამდე ასული გონება თან გაიყოლებს მის ქვენა გრძნობებს და ზენა გრძნობებამდე მიაღწევს. ეს არის ადამიანის, როგორც ადამიანის, თვითშემეცნებამდე ასვლა.

ქვენა და ზენა გრძნობების დაპირისპირება, გონებისა და ქვენა გრძნობების წინააღმდეგობა ცნობილი ამბავია. ქვენა გრძნობების ალაგმვა შესაძლებელია, გონებას შეუძლია მისი შეჩერება და მოქმედების გონიერად წარმართვა; ამ გრძნობას გონება განსაზღვრავს და მიმართულებას აძლევს. როგორც ჩანს, გონების და ქვენა გრძნობების ბრძოლა მუდმივია, ის საბოლოოდ არ გადაიჭრება, რადგან გონება თავისი განვითარებისათვის თავის საწინააღმდეგოს ქმნის, მერე მას ებრძვის და ამ ბრძოლაში ვითარდება. ქვენა გრძნობებთან გონების ბრძოლა მისი განვითარების საშუალებაა; ქვენა გრძნობების სამეფო გონების განვითარების დაბალი საფეხურია. გონება განვითარების პირველ საფეხურზე სხეულთანაა უშუალო კავშირში. განვითარება იმაში მდგომარეობს, რომ ის სხეულთან უშუალო კავშირიდან გამოდის და შედარებით დამოუკიდებლობას პოულობს. მწერებთან, ჭიებთან ეს გონება უშუალოდ სხეულთანაა დაკავშირებული და წმინდა ინსტინქტის ბუნებისაა, ადამიანთან გონება და სხეული ასეთ უშუალო დამთხვევაში არ არის, სხეულს თავისი კანონები აქვს, ხოლო გონებას თავისი, მას თავისი განვითარების ისტორია აქვს, რომელიც სხეულის განვითარების არც ერთ ნამცეცს არ შეიცავს, ხელოვნების, მეცნიერებისა და რელიგიის, ფილოსოფიის ისტორიები გონების განვითარების ისტორიებია. ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსი, მხოლოდ გონიერი მოქმედებითაა ასეთი, რადგან მისი მოქმედება გულისხმობს ყველა ქვენა გრძნობისაგან განთავისუფლებას,. მოქმედების სიკეთის გრძნობით წარმართვას. სიკეთე სხვასთან მიმართებას მოითხოვს, ადამიანზე იტყვიან, კეთილია ან ბოროტია, იმის მიხედვით, თუ როგორ მიმართებაშია ის სხვა ადამიანებთან.

### 3. ჰეგელი არსის და ჯერარსის შესახებ

ჰეგელის მიზანია არსის და ჯერარსის ურთიერთობისა და მათ შორის წინააღმდეგობის გარკვევა, კანტის და ფიხტეს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტა მას არ აკმაყოფილებს, რადგან ისინი მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას გადაუჭრელად სტოვებენ, ჰეგელს კი ჰგონია, რომ ფილოსოფიის ამოცანაა, მათი წინააღმდეგობის გადაწყვეტა. ჰეგელი ამ წინააღმდეგობას შემდეგში ხედავს. ჯერარსი ყოველთვის იმას უპირისპირდება, რაც არის, ხოლო რაც არის,

ჯერარსის საპირისპიროა, ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ყოველი არსი განსაზღვრულია, ის თავისი განსაზღვრულობით თავის თავის უარყოფაა, ანუ ყოველი არსი თავისი თავის და თავისი უარყოფის ერთიანობაა, ის უარყოფაა რამდენადაც განსაზღვრულია, რითაც ის განსაზღვრულია, ამ უარყოფის უარყოფაა, არსი, როგორც საზღვრის მქონე, თავის უარმყოფამდეა მისული. არსი თვითონაა ეს უარყოფა, რამდენადაც ის განსაზღვრულია, ამავე დროს მასში სხვაა მოცემული, ეს სხვა ამ უარყოფის უარყოფაა, ამიტომ არსი არის ამ ორივე მხარის ერთიანობა. ჰეგელს ორი ცნება აქვს გამოყენებული – საზღვარი და მიჯნა, ჰეგელი ამბობს, რომ ყოველი არსი შეიცავს ამ ორს: საზღვარს და მიჯნას; არსის საზღვარია ის, რითაც ის ისეა გარკვეული, რომ მეტი გარკვეულობა აღარ ემატება, დასრულებულია და თავის უარყოფამდეა მისული. ანუ არსში მისივე საწინააღმდეგოა და ამ საწინააღმდეგოთი არსი თავის თავის იგივეობრივია. მიჯნაა არსის ის მხარე, როცა ის იმისაგანაა გამოყოფილი, რაც მასშია, როგორც მისი სხვა, რომელსაც არსი გადალახავს და სხვა არსში გადავა. ამიტომ ჰეგელი იტყვის, რომ თავისში არსი, როგორც თავის მიჯნასთან უარყოფითად მიმართული და მისგან განსხვავებული, არის ჯერარსი. გამოდის, რომ ჯერარსი არსის შინაგანი უარყოფით წარმოშობილი არსია, გამოდის რომ, ჰეგელის თვალსაზრისით, არსი და ჯერარსი ერთი და იგივე რიგის საგნებია, რომ ჯერარსი არსის საპირისპირო არის იმდენად, რამდენადაც მისი უარყოფაა, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ერთი არსის მიერ მეორე არსის უარყოფასთან, რამდენადაც მეორე პირველშია დაბადებული.

მიჯნა და საზღვარი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ამავე დროს ერთმანეთს ემთხვევიან, როცა არსი, როგორც ბოლოვადი, სისრულეს მიაღწევს, მისი საზღვარი არის იგივე მიჯნა, რომელსაც სხვა არსში გადავყავართ, არსი თვითონ გადადის სხვა არსში. მიჯნა საერთოა არსისა და ჯერარსისათვის. ჯერარსი არსისათვის უარყოფითად უნდა იყოს, არსისათვის ჯერარსი არსის მოხსნის შედეგი უნდა იყოს. ჯერარსი და საზღვარი ორივე ბოლოვადია, ისინი ბოლოვადის მხარეებია, ჯერარსი, როგორც არსს დაპირისპირებული, არის თავისში დადგენილი არსი. ის, რაც უნდა იყოს, არის და არც არის. თუ ის სინამდვილეშია, მის შესახებ არ ითქმება, რომ ის მხოლოდ უნდა იყოს. არამედ უნდა ითქვას, რომ ის ამავე დროს არის. რაკი ჯერარსი უნდა იყოს, ამიტომ მას საზღვარი აქვს. რომელიც მისთვის უცხო არ არის,ის, როგორც ჯერარსი, გარკვეულია და გარკვეულობის მქონეა. ჰეგელის გაგებით, ყოველი არსი ჯერარსის შემცველია, რამდენადაც ყოველი არსი თავისში თავის უარყოფას და თავის სხვაში გადასვლას შეიცავს. თავის უარყოფის შემცველი არსი არის ჯერარსის მატარებელი. ბოლოვადის საზღვარი არ არის მისთვის გარეგანი, მისი გარკვეულობა არის მისი საზღვარი, ხოლო საზღვარი არის ჯერარსი. ასე რომ, საზღვარი და ჯერარსი ერთი და იგივეა. მეორე მხრივ, ჯერარსი როგორც გარკვეული, ბოლოვადია და თავისი საზღვრიდან გასვლაა, მისი საზღვარი, რითაც ის არსისაგანაა გამოყოფილი, არ არის მისი საზღვარი, ის მის მიერ გადაილახება. ჯერარსი თავის საზღვარს გა-

ვითაა, რამდენადაც ის მისი გადალახვაა, ხოლო რამდენადაც ის გარკვეულია ის საზღვრის მეორეა. რაიმეს საზღვარი აქვს, რამდენადაც მას თავისი გარკვეულობით უარყოფა აქვს. ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულობა არის საზღვრის მოხსნა.

ჰეგელის აზრით, ჯერარსი არის ბოლოვადის ცნება, რომელიც ბერძივ წინააღმდეგობას გულისხმობს ჯერარსს და არსს შორის. ასეთი გზით მოდიოდნენ კანტი და ფიხტე, რომლებიც ჯერარსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ბოლოვადის არეში იხილავდნენ. ჰეგელის აზრი კი ის არის, რომ წინააღმდეგობა გადაწყვიტოს, ამიტომ აბსოლუტისათვის, რომელიც მისი ფილოსოფიის ამოსავალია, არსი და ჯერარსი ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. აქ წინააღმდეგობა უნდა მოიხსნას. ბოლოვადის არეში ეს წინააღმდეგობა მუდმივია, არსი ყოველთვის თავის საზღვრებიდან გადის, მაგალითად, თვით მცენარეს თავის თავისაგან გამოსვლა ახასიათებს, მცენარის ჩანასახი გადის თავის თავიდან იმით, რომ მცენარედ იქცევა, ის თავის თავიდან გადის იმით, რომ ფოთლებს მოისხამს, ნაყოფს გამოიღებს, ყველაფერი თავის საზღვრიდან გადის, ხოლო საზღვრიდან გასვლა უსაზღვრობაა.

ჰეგელმა ჯერარსი და თავისი საზღვრებიდან გასვლა გააიგივა და ამით ჯერარსის თავისებურება მოხსნა, საგანში არის თავისი უარყოფითი, ეს არის ის, რამაც საგანი უნდა უარყოს, თვით ეს უარყოფაც უარყოფას განიცდის და ახალი საგანი არის უარყოფის უარყოფა. აშკარავდება ჰეგელის მიერ ჯერარსის და არსის მიმართება განხილული.

ჯერარსი საგნის და მასში არსებული უარყოფის უარყოფაა და მის მაგიერ ახლის დადგენაა; ასე რომ, ჯერარსის ადგილი ისეა განხილული, როგორც საგანში არსებული უარყოფისა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჰეგელთან საქმე გვაქვს ერთი არსიდან მეორე არსის წარმოშობასთან, მისი შინაგანი უარყოფის საფუძველზე. ჰეგელის ფილოსოფიის მიხედვით, ახალი შინაგანი უარყოფის გზით წარმოიშობა, ის არის თავისი საზღვრიდან გასვლა და ამიტომ ის არის ჯერარსი. ამ აზრით, ჯერარსი ყოველი არსიდან წარმომშობი ჯერარსია. მცენარის თესლში განსაზღვრულ საფეხურზე რომ მცენარე გამოვა, რაც თესლის თავის საზღვრიდან გამოსვლას ნიშნავს, ჰეგელმა ჯერარსობა, როგორც არსის იდეალური მხარე და არსი, როგორც თავის შინაგან მიზეზობრიობის დამორჩილებული, გააიგივა და ჯერარსობას თავისი საკუთარი ღირებულებითი მნიშვნელობა დაუკარგა. იდეალური და რეალური ერთმანეთს დაემთხვა.

ჰეგელის აზრით,ჯერარსი არსის შინაგანი მოთხოვნაა და მისი უარყოფაა. ასეთი რამ არ ახასიათებს ადამიანის გარეშე არსს,როგორიცაა მცენარეები, მხეცები,ცხოველები; მათთვის თავისში შინაგანი დაპირისპირება არ არსებობს. მათთვის სინამდვილე მოცემული არ არის იმად, რაც არის და იმად, რაც უნდა იყოს, ანუ ცხოველებისათვის უცხოა სინამდვილის გაორება და მისი აშკარობაში არსებობა. ცხოველებისათვის აღქმადი და ზეაღქმადი სინამდვილე იმიტომ არ არის, რომ მათ, გარდა აღქმისა, სხვა ამაზე მაღალი არა აქვთ, ადამიანს ეს უნარი აქვს და ამიტომ სინამდვილე მისთვის გაო-

რებულია. ჯერარსობისათვის საკმარისი არ არის საგანში შინაგანი უარყოფის არსებობა, ამისათვის საჭიროა სუბიექტი, რომელიც ჯერარსობით იმოქმედებს, ე.ი. თავის მოქმედებაში მიზნით იქნება განსაზღვრული და ეს მიზანი ზენა გრძნობების ჩარჩოებში იქნება მოქცეული, თავის თავის უარყოფა სწორედ ამ მიზნის საფუძველზე ხდება. ჰეგელის იმ ცდაში, რომ ბოლოვადის და დაუბოლოვებელის ერთიანობა დაადგინოს, ნამდვილად არის გონიერული, იმიტომ რომ ამ ერთიანობის გარეშე ბოლოვადი აუხსნელია. ბოლოვადს საფუძველი დაუბოლოვებლობაში უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჰეგელის მიერ ამ საკითხის მისეული გადაწყვეტა იმ მხრივაა ნაკლოვანი, რომ მას სურს,დაუბოლოვებელი ბოლოვადში მოექცეს, ეს თუ ასე იქნება, მაშინ დაუბოლოვებელი ბოლოვადად გადაიქცევა, რაც დაუბოლოვებელის გაუქმება იქნება. ამიტომ უფრო სწორი ის იქნება, რომ გადასვლა ხდება ბოლოვადიდან ისევ ბოლოვადში, ხოლო ამ გადასვლის საფუძველი დაუბოლოვებლობის უწყვეტი მოქმედებაა, ამიტომ ერთადერთი სინამდვილე, ჰეგელის აზრით, დაუბოლოვებელია, ბოლოვადი მისი უწყვეტი მოქმედების გამოვლენაა.

ჰეგელის უსასრულო არ შეიძლება კანტის საგანს თავის თავთან გაუიგივდეს. კანტისათვის საგანი თავისთავად მიღმურია და შეუცნობელი, კანტისათვის მოცემული სინამდვილე ბოლოვად საგანთა უწყვეტი რიგია, ჰეგელისათვის ეს დამაკმაყოფილებელი არ არის, რადგან მოვლენის არსებობას საფუძველი არა აქვს, ჰეგელის აზრით, ბოლოვადის გადასვლა ბოლოვადში დაუბოლოვებლითაა განსაზღვრული, კანტის საგანი თავისთავად ადამიანის შეგრძნებებზე მოქმედებს, მაგრამ მათში საგანი თავისთავად არ ვლინდება, ჰეგელის გაგებით, უსასრულობა აზრია და ის თავისთავის თვითშემეცნებას ახდენს, უსასრულობა არა მიღმურია, არამედ ის სასრულში თავის თავს აჩენს.

ჰეგელი, როგორც დიალექტიკოს-იდეალისტი, შეიძლება შემდეგში ხედავდეს უსასრულო შემეცნების შესაძლებლობას. ერთადერთი სინამდვილე რომ იდეაა, ეს ჰეგელის მიერაა ამოსავლად აღიარებული. ამის მერე, ცხადია, თვითონ იდეამ, როგორც თვითშემეცნებით აღჭურვილმა, თავისი თავი უნდა შეიცნოს როგორც უსასრულო, მაგრამ ამაში გამოსავალი არ არის, რადგან იდეამ რომ თავის თავი შეიცნოს, როგორც უსასრულომ, ეს ნიშნავს,რომ მან თავისი თავი უნდა გაიგოს ისეთად,რომ არც დასაწყისი და არც დასასრული არა აქვს. აქედან გამოდის ერთი რამ: იდეამ, როგორც უსასრულომ, უსასრულოდ უნდა ჰქმნას. დროულვრცეული სამყარო, როგორც მრავალსახოვან გარკვეულობათა უსასრულო მთლიანობა, თავის გაუცხოებულში აჩენს თავის თავს. ასეთ იდეას თავის გარეთ არაფერი არა აქვს, რადგან ყველგან ის არის; იდეამ თავისი თავი იცის, როგორც ერთადერთი სინამდვილე, ამიტომ ის უსაზღვროა, უსასრულოა. ასეთი იდეის მოსაზრება ადამიანს შეუძლია, რადგან ის გრძნობად სინამდვილეშია დაფარული. გრძნობად სინამდვილეში საგნები ერთმანეთისაგან საზღვრითაა გამოყოფილი და ამიტომ ამ საზღვრით და უარყოფით მუდმივად ხდება ერთი ბოლოვადიდან მეორეზე გადასვლა, აქედან ცხადია, რომ თვით ჰეგელის მიხედვითაც, ჯერარსი და არსი ერთმანეთს არ დაემთხვევა.

ჰეგელმა იდეა დაახასიათა როგორც გარკვეულობათა სავსეობა, რაკი გარკვეულია, ის საზღვრის მქონეცაა და რაკი საზღვრის მქონეა, ამიტომ ის თავის უარყოფა და სხვაში გადასვლაა. ასე რომ, თავისი შემოდით ჰეგელმა იდეა ვერ გაათავისუფლა უარყოფისაგან, როგორც გარკვეულობათა სავსეობა. ჰეგელი ამის საწინააღმდეგოს შემდეგნაირად იცავს: იდეა, როგორც გარკვეულობათა სავსეობა, თავის საზღვრიდან მარადაც გადის და ეს გასვლა მისი ბუნებაში გადასვლაა. ასე რომ, თითქოს გამოსავალი ნანახია, მაგრამ საქმე ის არის, რომ იდეა ბუნებაში იმიტომ გადავიდა როგორც თავის უარყოფაში, რომ ის მასში, როგორც მისი უარყოფა, არსებობდა. მაშასადამე, იდეაში ბუნება იმთავითვე ყოფილა და ეს არის მხოლოდ ჰეგელის ლოგიკით გამოთქმული. ჰეგელის აზრით, უტყუარი სინამდვილეა ბუნების იდეაში და იდეის ბუნებაში არსებობა. ეს იდეა არის გარკვეულობათა სავსეობა და ამის გამო საზღვრის მქონეა და უარყოფის შემცველია, ამ უარყოფას კი ის არსად არ შეუძლია გადაიტანოს, რადგან მისი და ბუნების გარდა არაფერი არ არის. ყველაფერი ეს იმისათვის ითქვა, რომ ჰეგელის აზრი ბოლოვადის დაუბოლოვებაში გადასვლისა საფუძველმოკლებულია. და ამიტომ არსის და ჯერარსის დამთხვევა, მათი დაპირისპირების სრული მოხსნა შეუძლებელი ამოცანაა.

ადამიანის ცხოვრების აზრი იმაშია, რომ ამ დაპირისპირებაში იმოძრაოს და მის წინააღმდეგობის შედარებით მოხსნას ახერხებდეს. ბუნებას სიკეთე არ ამოძრავებს, ეს იდეა მხოლოდ ადამიანს აქვს და ამან უნდა მისცეს მის ცხოვრებას აზრი და მნიშვნელობა. როცა ადამიანს სიცოცხლე თავის უარყოფამდე მიიყვანს, თავის განვლილ გზას შეაჯამებს და დაასკვნის, ეს გზა დიდი თუ პატარა იმისთვის გამივლია, რომ აქ მოვსულიყავი, მისთვის ღირებული არაფერია, არსსა და ჯერარსს შორის გამართული ჭიდილი დამთავრდა, არსის კანონებმა ჯერარსის მოთხოვნებზე გაიმარჯვეს, მოიხსნა ყოველგვარი მიზანი და ამოცანა, მხოლოდ ისღა დარჩენია, სიცოცხლე უსურვოს შვილებს და შვილიშვილებს, ყველა კარგ ადამიანს, რათა ისევე ჯერარსული იყოს მათი ცხოვრება, რადგან მას ახსოვს, რომ სიცოცხლის და სიკვდილის ამ პატარა შუალედში როგორ მრწყინვალე იყო სიკეთისათვის, ჯერარსობისათვის, ადამიანისათვის მოქმედება, როგორ აღმაღლებულობას განიცდიდა იგი ამ დროს, თუმცა კიდის პირას მიმდგარისათვის ყველაფერი ერთ და იგივედ იქცა. მისთვის ერთადერთი სინამდვილე სიკვდილთან ბრძოლაა, რადგან სიკვდილი მას უპირველეს ღირებულებას, სიცოცხლეს, ართმევს, რომლის გარეშე არც სხვას აქვს ამისათვის ღირებულება და არც სხვისათვისაა იგი ასეთი.

ადამიანის ჯერარსობის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ადამიანის ჯერარსული მოქმედების ამოსავალი მხოლოდ მე არ არის, რადგან მან ჯერარსული მოქმედება სხვაში უნდა განახორციელოს. ამისათვის საჭიროა მესთან ერთად სხვა. მაშასადამე, გამოსავალი უნდა იყოს მე და სხვა. იმისათვის, რომ მემ ჯერარსული მოქმედება შეასრულოს, ეს სხვის მიერ უნდა იყოს აღიარებული, რადგან მან მასში და მათი საშუალებით უნდა განახორციელოს თავისი ღირებულებითი მოქმედება. მან რომ თავისი თავის ღირებულება იხილოს,

ამავე დროს მან სხვა, როგორც ღირებულება, უნდა აღიაროს, სხვისი, როგორც ღირებულების, აღიარება კი მოითხოვს მისი, როგორც ადამიანის, ვიწრო ბნელი ქვენა გრძნობებიდან განთავისუფლებას, მათზე ამაღლებას, ამით აღწევს ადამიანი ადამიანობას, ამით აღწევს ის თავისუფლებას, ამით აღწევს ის თავის თავის მეობის განხორციელებას. ადამიანი ისეთ საქმეს უნდა აკეთებდეს, რომელიც მისთვის ღირებულების მქონეა იმიტომ, რომ ის სხვა მიმართებით სხვისთვისაც ღირებულების მქონეა. თუ ის ისეთ რამეს აკეთებს, რაც სხვისთვის ღირებულების მქონე არ არის, ის დარჩება თავის ნაჭუჭში, ის სხვისთვის არ იქნება და ამიტომ არც სხვა იქნება მისთვის ღირებულება. ადამიანის მოქმედება, რომელიც სხვისთვის მოქმედებაში არ გადადის, ეს იგივეა, რაც გამხმარი ხე, რომელიც კი არის, მაგრამ არავის ყურადღებას არ იქცევს.

რაკი ჰეგელისეული ჯერარსის რაობაა განხილული და მასთან ერთად დაუბოლოებელი, ამიტომ შეიძლება განხილულ იქნეს დაუბოლოებელის შემეცნების საკითხი. ჰეგელის აზრით, დაუბოლოებელი შეცნობადია, მისი გაგებით, ბოლოვადის არსებას და ჭეშმარიტებას ის წარმოადგენს. ეს დაუბოლოებელი არის იდეა. იმისათვის რომ იდეა შევიცნოთ, მოცემული უნდა იყოს მისი ისეთი ნიშანი, რომელიც მისი არსებობის შესახებ მოგვითხრობს, სხვანაირად რომ ითქვას, შესაცნობი საგანი უნდა გამოვლინდეს, ამის გარეშე ის შეუცნობელი იქნება. როცა კანტი თავისთავად არსებულ საგნის შეუცნობლობაზე მსჯელობს, ის იმას ემყარება, რომ ის აღქმაში არ ვლინდება, ეს ასე რომ ყოფილიყო, კანტის აზრით, არც შეუცნობელი იქნებოდა. აი, სწორედ დაუბოლოებელზე, როგორც იდეაზე, ასე უნდა ვიმსჯელოთ.

თუ დაუბოლოებელი ბოლოვადში გამოვლინდება, მისი შემეცნება შესაძლებელია; მისი შემეცნება ბოლოვადით იქნება გაშუალებული, თუ დაუბოლოებელი ბოლოვადში არ გამოვლინდება, მაშინ მათ შორის კავშირი გაწყვეტილია და მასთან მისასვლელი გზა დაკეტილია. მეორე მხრივ, თუ დაუბოლოებელი ბოლოვადშია, მაშინ ის ბოლოვადად ხდება და ვღებულობთ წინააღმდეგობრივ ვითარებას, რადგან შემეცნებას საქმე უნდა ჰქონდეს დაუბოლოებელთან, ხოლო მისი მოცემულობით ის დაბოლოებულად იქცა. აქედან გამოსავალი იმაშია, რომ ბოლოვადის და დაუბოლოებელის ურთიერთობის საკითხს სხვანაირად უნდა შევხედოთ.

შემეცნება არის ერთი ბოლოვადი საგნის მეორე ბოლოვად საგანთან მიმართების გაგება. მრავალი ბოლოვადისაგნის კავშირის შემეცნება. საგნების კავშირი კანონშია განხორციელებული, კანონი კი იდეის დადგარია, ამიტომ მოვლენების კანონის შემეცნებით იდეის შემეცნება ხდება. ჰეგელის გაგებით, მთელი ხილული სინამდვილე იდეაშია არსებული, იდეა ამ ხილულ სინამდვილეშია განხორციელებული, იდეა დაუბოლოებელია, ხილული სინამდვილე კი ბოლოვადია, დაუბოლოებელი ბოლოვადის გვერდით არ არის, ბოლოვადი მასშია, რადგან მისი შექმნილია.

იდეა, როგორც დაუბოლოებელი, ხილულ სინამდვილეში თავის თავს აჩენს, როგორც მისი შემოქმედი. იდეა მუდმივ მოქმედებაშია, ის მუდმივად ჰქმნის

ბოლოვად საგნებს და მათ კანონებს, იდეა მათში ამჟღავნებს თავის თავს. ეს გამომჟღავნება ისევე დაუბოლოვებელია, როგორც იდეაა დაუბოლოვებელი.

ბოლოვადის შემეცნება მათი ერთეულებრივი აღწერა არ არის. ის მათი კანონის შემეცნებაა, ხოლო კანონი, რითაც ბოლოვადის შემეცნება ხდება, ზოგადია, ამიტომ იტქმება: ბოლოვადი ზოგადით შეიმეცნება. ბოლოვადი იგივეა, რაც ერთეული, ამიტომ ბოლოვადის ზოგადით შემეცნების საკითხი მიიღებს ზოგადის და ერთეულის დამოკიდებულების ხასიათს.

ცალკეული მეცნიერები კანონს ადგენენ, რომლებიც მოვლენებს ახსნიან, კანონი იდეისდაქვარია, ამიტომ მეცნიერები განსაზღვრული კუთხით იდეის შემეცნებას ახდენენ. ის, რაც ქმნის ხილულ საგანთა კანონს, არის იდეა, მაგრამ, ჰეგელის აზრით, იდეას უშუალოდ ცნობიერება არა აქვს. მასში, როგორც შემოქმედში, არის ცნობიერების მქონე უნარის წარმოშობის საფუძველი. ასეთი აზროვნების წარმოებული არსი არის ადამიანი, რომელიც, როგორც იდეის გამოვლენა, მას შემეცნების საგნად აქცევს. იგი მას შეიცნობს, როგორც ხილულ სინამდვილეში გამომჟღავნებულს. საბოლოოდ ადამიანის სახით იდეა თავისთავს შეიცნობს.

ჰეგელის აზრით, იდეა ზეგრძნობადია, მაგრამ გრძნობად ხილულ სინამდვილეში როგორც დროულ-სივრცულში მოქმედებს. ადამიანის აზროვნება როგორც ამ იდეის უმაღლესი გამოვლენა მას შეიცნობს გრძნობადის და ზეგრძნობადის ერთიანობის სახით არსებულს. ჰეგელის აზრით, ზეგრძნობადისათვის გრძნობადი აუცილებელია იმიტომ, რომ ადამიანურ შემეცნებას ზეგრძნობადის შემეცნება მხოლოდ გრძნობადის გავლით და მისგან განყენებით შეუძლია; თუმცა გრძნობადი ცვალებადია, მაგრამ ის მისთვის აუცილებელია, ზეგრძნობადი გრძნობად სამყაროში უნდა გამოვლინდეს, იდეა მუდმივ მოქმედია და მისი მოქმედების გამოვლენაა ცვალებადი გრძნობადი სამყარო.

იდეა, როგორც დაუბოლოვებელი, ბოლოვად საგნებს და მათ კავშირებს ახორციელებს, ეს მოძრაობა დაუბოლოვებელია. ამის გარეშე იდეა მკვდარი იქნება, ამიტომ ადამიანის შემეცნება, როგორც იდეის უმაღლესი გამოვლენა, შეიცნობს ბოლოვად საგნებსა და მათ კანონებს. ამითვე ახდენს ადამიანი იდეის შემეცნებას, რომელიც ისევე დაუბოლოვებელია, როგორც იდეის მოქმედება. იდეა ადამიანშია ცნობიერების მქონე და ამით იდეა თავის თავით შემეცნებასახორციელებს, იდეა დაუბოლოვებელია, ადამიანის სახით ის თვითშემეცნებას ასრულებს ბოლოვადი საგნების შემეცნებით, ხოლო ბოლოვადი საგნების ქონა უსასრულოა და ამიტომ იდეის თვითშემეცნებაც უსასრულოა. ასე შეიძლება გავიგოთ ჰეგელის აზრი ბოლოვადის და დაუბოლოვებელის ურთიერთობაზე.

# თ ა ვ ი III

## მატერიალური და იდეალური ღირებულება

### 1. ნივთიერი ღირებულება

ადამიანი დასაწყისიდან შეუწყვეტელი ძიების და შემოქმედების გზას ადგია. მის წინაშეა რაღაც, რაც მასში მისი დაუფლების და მისი გამოყენების სურვილს აღძრავს. მას რაღაცა აკლია, რაღაცა სჭირდება, უპირველესად ჭამა-სმა სურს. მისი სხეულის შინაგანი მოთხოვნილება უშუალოდ ამას უკარნახებს, ეს შინაგანი კარნახია, რომ ის თავისი ფარგლებიდან გაჰყავს და საგანთა სამყაროში შედის. ის თუმცა მასში იმთავითვე შესული, მასზე მოქმედებს, მისი სმენის, მხედველობის, შეხების, შეგრძნების ორგანოებით, მაგრამ მასში შეჭრა ამით მაინც არ არის განსაზღვრული, ის მასში მისი საჭიროების გამო შედის, ამას მას ჭამა-სმის მოთხოვნილება აიძულებს და მოქმედებს იმიტომ, რომ ეს სურვილი ამით დაიკმაყოფილოს.

როცა ადამიანი ამ სამყაროში შემოვიდა, თავისი აღქმის და ცნობიერების უნარით, მის წინაშე და ირგვლივ არსებულ საგანთა სამყარო მისთვის უცხო აღმოჩნდა. ის ეძებს მასში თავის დასაყრდენს, რასაც მისი არსებობა მოითხოვს, მისი მოქმედება არსებობის გაგრძელებისაკენაა მიმართული, ამ მოქმედებაში ზოგი საგანი მისთვის სასარგებლო აღმოჩნდება, ხოლო ზოგი კი მის წინააღმდეგაა მიმართული. მას იმთავითვე თან დაჰყვა თვითშენახვის და თვითდაცვის გრძნობა. ეს გრძნობა არ შეიძლება მას გარედან მიეღო, ის თანდაყოლილია. თუ დავუშვებთ, რომ მას თან დაჰყვა შეგრძნების ორგანოები, როგორიცაა: ყური, თვალები და სხვა, ისიც უნდა დავუშვათ, რომ მას ამათი საშუალებით თან დაჰყვა მათი შესაბამისი შეგრძნებები. ეს შეგრძნებები რაღაც გაურკვეველი კი არ არის, არამედ მათში გარკვეული მისწრაფებაა ჩადებული, რომელიც ადამიანის თვითშენახვის გრძნობიდან გამომდინარეობს.

საერთოდ, რაღაცის გარედან მიღების შესაძლებლობა, როგორც ცდისეული მიღება, მაშინაა შესაძლებელი, როცა არის რაღაც თანდაყოლილი, რომელიც ასეთი ცდისეული მოქმედების საფუძველია, აქ სიძნელე წარმოიშობა: თუ ყველაფერს, რაც ცოცხალია, რაღაც თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს, მაშინ სა-

დლაა განვითარება, ცვლილება. დავუშვათ ასეთი რამ: ნახტომი მოხდა და წარმოიშვა სიცოცხლე, დაიბადა ცოცხალი არსი, მცენარის თუ ცხოველის სახით. მას უნდა ჰქონდეს რაღაც განკვეთილი თვისებრიობა, თუ მას ასეთი არა აქვს, მაშინ ის სრულიად გაუნკვეთელი იქნება და შინაგანი მოქმედების ძალაც არ ექნება, თუ მას ეს არ ექნება, ის მხოლოდ გარეგანი მოქმედების საგანი იქნება, მაგრამ მან საგნის მოქმედება ხომ უნდა მიიღოს, ხომ უნდა გადაამუშაოს და მას ეს როგორ შეეძლება, თუ ის გაუნკვეთელია. ასე რომ, ის აუცილებლივ განკვეთილი არსი უნდა იყოს. მაგრამ აქედან არ გამოდის, რომ ის დასრულებულია, იგი შემდგომი ცვლილების საგანი ხდება და გარემოს მოთხოვნებს პასუხობს და ეს პასუხი ისეთია, რომ ისე უნდა მოაწყოს თავისი თავი, როგორც ამას გარემო მოითხოვს.

გარემოს მოქმედებას შეუძლია ამ მოცემული ცოცხალი არსიდან ყველაფერი წარმოშვას, რაც მასში შესაძლებლობის სახითაა მოცემული. მეორე მხრივ, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ეს შესაძლებლობა თვითონ გარემოს მიერაა განსაზღვრული: ასე რომ, მივიღეთ ორმაგი ზემოქმედება: სხეული განკვეთილია, მასზე გარემო მოქმედებს და მასში ცვლილება შეაქვს. ამით მასში ახალი შესაძლებლობები იბადება. თუ გარემოში რაღაც შინაგანი წყობის არსებობას არ დავუშვებთ, ისე მთელი სამყარო უწესრიგო მოვლენების გროვად წარმოგვიდგება. ცოცხალ არსს კბილები პირში აქვს და არა სხვაგან, თვალები წინ აქვს და არა უკან. ცხვირი პირთან ახლოსაა, ყურები თავზე აქვს და არა ფეხებზე, თუ ფრინველია, ფრთებით დაფრინავს და არა ფეხის კლანჭებით, ადამიანს სიარულის დროს თავი ზევით აქვს და ფეხებით დადის და არა პირიქით. ასე რომ, რაღაც მოწესრიგებულობასთანა გვაქვს საქმე. ასროლილი ქვა ზევიდან ძირს ვარდება და უსასრულოდ ზევით არ მიდის, ყოველი ცოცხალი არსი იკვებება და საკვებს გარემოდან იღებს. ასე რომ იყოს, ყოველი ცოცხალი არსი თავისშიამზადებდეს საკვებს და გარემო არ სჭირდებოდეს, მაშინ თითოეული ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იქნებოდა, მათ შორის კავშირი არ იარსებებდა, მაშინ ცხოველთა შორის ბრძოლა არსებობისათვის არ იქნებოდა, ანუ სხვანაირად რომ ითქვას, მათ შორის არავითარი დამოკიდებულება არ დამყარდებოდა და სამყარო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგანთა თავყრილობას დაემსგავსებოდა. ეს ასე რომ იყოს და თითოეული არსებული საგანი მეორისაგან დამოუკიდებლად არსებობდეს, მაშინ ბუნების არავითარი კანონი, რომელიც დღეს მეცნიერებამ იცის, არ იქნებოდა, მეცნიერება მხოლოდ ამ მოცემულ ერთეულ საგანს შეისწავლიდა და იმას, რაც მისგან შესაძლებლობის სახით გამოვიდოდა, მაგრამ თუ ასე მოეწყობოდა სამყარო, მაშინ ის თავის უარყოფამდე მივიდოდა, რადგან თუ ერთეულ საგანი თავისიდან ყველაფერს წარმოშობდა, ის საგნები ხომ მასთან ურთიერთობაში იქნებოდნენ და მივიღებდით მაინც ამ საგანთა ურთიერთობას; ასე რომ, საგანთა კავშირის უარყოფას უაზრობამდე მივყევართ.

თუ საგანთა კავშირები არ იქნებოდა, არც მეცნიერება იქნებოდა, რადგან ეს აზროვნების საგნებთან დამოკიდებულებას გულისხმობს, მეორე მხრივ, თუ კავშირები არ იქნებოდა, არც თითოეული საგნის შესწავლა მოხდებოდა, რა-

დგან ის კავშირში ავლენს თავის რაობას, ამის გარეშე ის შეუცნობელი იქნებოდა. ამიტომ საგანთა კავშირების აღიარება არის აუცილებლობა, რომლის უარყოფა არ შეიძლება. მაშასადამე, ერთ-ერთი ქვა სამყაროს არსებობისა არის ის, როგორც ის არსებობს. სამყაროს საგანთა კავშირები, საერთოდ, ნისთვის შემთხვევითი კი არაა, არამედ აუცილებელია.

რა არის ბუნების უმაღლესი კანონი, რასაც მისი ყოველი მოვლენა ემორჩილება. როგორც ორგანული, ისე არაორგანული. ერთი ის იქნება, რომ ყოველ საფეხურზე, რაც წარმოიშობა და რისგანაც წარმოიშობა, მას განვითარება სხვად აქცევს. ე.ი. განვითარების კანონი იმაში მდგომარეობს, რომ წარმომშობი არსებობას არ სწყვეტს, არამედ ის ახლის ცვლილებით განაგრძობს არსებობას. ყოველი ცოცხალი არსი რომ მიისწრაფვის თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ, ეს უზოგადესი კანონია და ყოველი ცოცხალი მას ემორჩილება, ასე რომ, არც ერთი არსი ამ კანონის გარეშე არ არის. პირიქით, თითოეული ცოცხალი არსი ამ კანონის მორჩილია, მისი შედარებითი სუბიექტურობა მხოლოდ ამ კანონის კერძო შემთხვევაა. არც ერთმა ცოცხალმა არსმა ამის შესახებ, გარდა ადამიანისა, არაფერი არ იცის და შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, რომ ეს არის მისი სუბიექტობით დადგენილი, ნამდვილად, ეს მეორადია, ის უზოგადესი კანონის გამოხატულებაა. ასე რომ, ეს კანონი კი არ არის ცოცხალი არსის შედეგი, არამედ ცოცხალი არსია მისი შედეგი. ამ კანონთან ადამიანის აზროვნება მივა განზოგადების საშუალებით, მაგრამ თვითონ განზოგადების საფუძველი მისი თავისთავადი არსებობაა. ადამიანი და, საერთოდ, ყოველი ცოცხალი არსი, რომ ასეთია, ეს მისი კანონითაა ამგვარი. ადამიანის სურვილები, მიზნები, მისწრაფებები ადამიანობის არსების გამოვლენაა. მაგრამ ამავე დროს ადამიანს უნარი აქვს, თავის თავში ჩახედვისა და თავისში ცვლილებების შეტანისა, ესეც მისი არსების გამოვლენაა.

ადამიანი ყველა მის ცვლილებაში მასში მდებარე კანონითაა განსაზღვრული. ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი ერთნაირია და მათ შორის განსხვავება არ არის, ყოველი ადამიანი თავისი არსებით, როგორც ადამიანი, ერთი და იგივეა, ხოლო მისი მდგომარეობის მიხედვით განსხვავებულია, ეს მდგომარეობანი მასში აისახება და მის პიროვნებაზე ზემოქმედებას ახდენს და ამის გამო მათ შორის განსხვავება იბადება. ასე რომ, ადამიანში არის მუდმივი მხარეები, რომლებიც ყველაში ერთნაირია და ცვალებადი, რაც მათი სხვადასხვა ცვალებადი მდგომარეობიდან წარმოიშობა. ადამიანის მუდმივი მხარეებია: აზროვნება, ამის გარეშე ის არ არის ადამიანი, მას ადამიანად აზროვნება ხდის, ენა. ამის გარეშეც არც ერთი ადამიანი არ არის, ამ ორ უნარს შორის განსხვავება იმაშია, რომ აზროვნება, როგორც ასეთი, თვისებრივად ყველა ადამიანში ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ მასში არსებულ დონეებს შორისაა, ზოგი ღრმად აზროვნებს, ზოგი ზერელედ, ზოგის აზროვნების შინაარსი რიცხვია, ზოგის ცოცხალი არსი და ასე შემდეგ. ენის მიხედვით განსხვავება ყველაზე ცხადია, ესენი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და ერთმანეთისთვის მათი ნალაპარაკევი

გაუგებარია. აზროვნებაში არსებულ ერთგვარობას ენაში არსებული მრავალგვარობა შეესაბამება.

ადამიანს მისწრაფება აქვს იმისი, რომ თავისი ყოფიერება დაადგინოს, ანუ სამყაროში თავისი ადგილი მონახოს და აქედან გახედვით მთელი საგანთა სამყარო შეიცნოს და შეაფასოს. ადამიანისათვის სამყარო საშუალებაა თავისი მეობის დასადგენად, ის ამ ყოფიერების ხასიათს წარმოადგენს, ხოლო ამისათვის მისი შემეცნებაა საჭირო. ადამიანს მისწრაფება აქვს იმისა, რომ ყოველი საგანი თავისი ყოფიერების შენობის აგებისათვის მასალად გამოიყენოს, ასე რომ, ის ილტვის იმისაკენ, რომ საგნებში თავის თავი განახორციელოს, ის საგნები, რომლებიც ამ მიზნისათვის არ გამოდგება, ან მას ეწინააღმდეგება, თავიდან მოიშოროს, ადამიანი სელექციონერობს თავისი ყოფიერების დადგენაში საგანთა შეფასების გრძნობით, საგანი მისთვის ან დადებითია ან უარყოფითი. შეფასება შემეცნებითი მოღვაწეობა არ არის, შეფასებისათვის დამახასიათებელია მიღება ან უარყოფა. შემეცნება კი ასეთი არ არის, მისთვის დამახასიათებელია საგნების ისე წარმოდგენა როგორც ისინია, შეიძლება ამ დროს რაღაც დააკლდეს ან რაღაც მეტი ითქვას. მაგრამ ეს შემეცნების ნაკლია, რომელიც შემდეგ საფეხურზე გამოსწორდება. მთავარია აქ ის, რომ საგანზეა მიმართება არა გრძნობის მიხედვით, რომელსაც მიღება და უარყოფა ახასიათებს, არამედ აქ შემეცნება საგნის ბუნებას ემორჩილება და ის მისი ფარგლებიდან არ გადის, შეფასება კი საგნის უშუალო ბუნებიდან არ გამოდის, ის ადამიანის ყოფიერებითაა განსაზღვრული, ყოფიერებას საგნებთან გრძნობადი დამოკიდებულება ახასიათებს. ამის მიხედვით, საგანი არა უბრალო არსია, არამედ არსი ღირებულებით. ადამიანი ქმნის იმ საგანთა სამყაროს, რომელსაც მისთვის ღირებულება აქვს. ადამიანს გონება და სხეული აქვს. გონების მოთხოვნილება ერთია, ხოლო სხეულისა მეორე. სხეულის მოთხოვნილება – ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა განყენებული სინამდვილე არ არის, ის ადამიანის გრძნობადგონებით მხარესთან გარკვეულ მიმართებაშია. ადამიანი პირველყოფილ ხანაში გარეული ცხოველების ტყავის ჩასაცმელს ამზადებდა, მაგრამ ის მასზე კი არ შეჩერდა, არამედ შეიჭრა ბუნების საიდუმლოებაში და მატყლისაგან ქსოვილები დაამზადა, ჩასაცმელად ის გამოიყენა; რაც შეეხება თვით ქსოვილებს, ადამიანმა ის მრავალნაირად გარდაქმნა, სხვადასხვანაირი სახე მისცა, მხატვრულად გარდაქმნა და ის მარტო სიცივისაგან კი არ იცავდა მას, არამედ სიმშვენიერის გრძნობასაც აკმაყოფილებდა. რაც უფრო ვითარდება ადამიანი, მით უფრო მისი გრძნობები ცხოველურ საფეხურს შორდებიან და ადამიანურ გრძნობებად გარდაიქმნებიან. გრძნობები რომ ცხოველისებრ უცვლელი ყოფილიყო, ადგილი არ ექნებოდა თანამედროვე კულტურას.

მთელ კაცობრიობას კულტურა სჭირდება როგორც მისი გრძნობების დაკმაყოფილების არე: შენობები, გზები, განათება, რადიო, ტელევიზია, თეატრი, ბაღში არსებული ყვავილები, სიმღერები, ადამიანის გრძნობადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, რაც სიამოვნებაზეა დაყვანილი. ადამიანი სამყაროში იმიტომ არის, ეს არის მისი ყოფიერების აზრი, რომ

მან აქ სიამოვნება მიიღოს, სიხარულში და კმაყოფილებაში იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე. ადამიანისათვის კაცობრიობის კულტურა სასურველი არ იქნებოდა, თუ იგი მას მწუხარებაში ჩააგდებდა, თუ იგი მას სილაღეს არ მისცემდა. საკითხი შეიძლება დავსვათ თვითონ ამგვარი ყოფიერების შესახებ, ვიკითხოთ, მას რა აზრი აქვს. საკითხის ასეთი დასმა ყოფიერების ეჭვის ქვეშ დაყენებაა და იქითკენ მიუთითებს, რომ შეიძლება ადამიანის ყოფიერება არ იყოს, რადგან მას არავითარი აზრი არა აქვს, ის ხომ მუდმივი და უცვლელი არ არის, საქმე ის არის, რომ მისი უცვლელობა რომ დავუშვათ, ადამიანს ის მოსწყინდება, რადგან ის ყოველთვის ერთი და იგივეს გამეორება იქნებოდა. ყოფიერებას კი იმიტომ აქვს აზრი, რომ ის ცვალებადია, ის, რაც კარგი მოგიპოვებია, რამდენიმე ხნის მერე მოსაწყენი და უარყოფილი ხდება, ცვალებადობის უარყოფას და უცვლელობის მოთხოვნას აზრი არა აქვს.

ცვალებადობა დროში განსაზღვრულობას ნიშნავს, თუ ის მუდმივი, უცვლელი იქნებოდა, ყველა დროში ერთი და იგივე იქნებოდა, ამიტომ მას არც მისწრაფება ექნებოდა. დაუბოლოვებელს არავითარი მისწრაფება არა აქვს, რადგან მის იქით არაფერია, ადამიანი რომ ბოლოვადია, ამიტომაა, რომ მას აქვს მისწრაფება, ის ცდილობს გაათავოს საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი, დაბინავდეს, იყოლიოს შვილები, დაზარდოს, რომ მათგან შვილიშვილები ჰყავდეს, ყველაფერი ეს არის მისწრაფება, რაც ადამიანის ცხოვრებას აზრიანს ხდის და ეს მას აქვს როგორც ბოლოვადს, როგორც დროში განსაზღვრულს. ადამიანი, როგორც დროული, ყოველთვის გადის მოცემული დროიდან, რადგან მას მისწრაფებები აქვს, რომლებიც მომავალში უნდა განხორციელდეს. არსებობის, როგორც ცვალებადის, უარყოფა, მისი უცვლელით შეცვლა უაზრობას შეიცავს, რადგან ასეთი სამყარო უფრო მეტად არის უვარგისი, ვიდრე ცვალებადი, ასეთი სამყარო ერთი და იგივეა და მოსაწყენი, თუ იმას ვიტყვით, რომ უცვლელი სამყაროს შესაბამისი უნდა იყოს უცვლელი ადამიანი, მაშინ იმას მივიღებთ, რომ ადამიანი უნდა იყოს მკვდარი, უმოძრაო, ადამიანი უნდა იყოს ისეთივე, როგორიცაა მთები და კლდეები, ხოლო ასეთი ადამიანი აღარაა ადამიანი, ის სულ სხვაა. ადამიანის აწმყოში მომავალი იხედება, ის უნდა იქცეს აწმყოდ. მაშასადამე, ამ ქვეყნის უარყოფას აზრი არა აქვს. ამიტომ ერთადერთია ეს ქვეყანა და სხვა ქვეყანა არ შეიძლება არსებობდეს. ასე რომ, აზრი მხოლოდ ცხოვრების ასეთ წესშია და არა სხვაგვარში. სხვაგვარი შესაძლებელი რომ იყოს ის, ალბათ შეიქმნებოდა კიდეც; ცხოვრების ეს წესი აუცილებლობითაა. ცხოვრების ამ წესში უაზრობა აღმოჩნდება, თუ მას მუდმივობის უცვლელობის თვალსაზრისით შევხედავთ, უაზრო აღმოჩნდება, რადგან წუთიერია, რაკი არის და აღარ იქნება. მაგრამ რადგან ეს არის ერთადერთი, ამიტომ ამ წესით ცხოვრებაა აზრიანი, ამ წესით უნდა იცხოვრო, რადგან ცხოვრების სხვა წესი არ არის. ადამიანები აუცილებლობით ცხოვრობენ და არა შემთხვევით ან ნება-სურვილით. რაკი აუცილებლობით ვცხოვრობთ, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი უარყოფა.

თუ მთელი ადამიანური არსებობის უარყოფას დავუშვებთ, სულ ერთია, ადრე თუ გვიან ისევ წარმოიშობა, რისგანაც ჩვენი არსებობაა წარმოშობილი. ნება, რომელიც არსებობის უარყოფას დაადგენს, მის საფუძველში არ არის თორემ, მაშინ უარყოფა მარტოც მიზანს მიაღწევდა, მაგრამ რადგან ის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით იბადება, ამიტომ მისი უარყოფა შეუძლებელი ხდება, რაკი ცხოვრება ნებით არ არის წარმოშობილი, აუცილებლობის შედეგია, მას არ განსაზღვრავს მნიშვნელობა, ის თავისთავად მნიშვნელობას მოკლებულია. ადამიანის დაბადება თესლთა კავშირით ბრმა აუცილებლობაა, რომელსაც თესლთა ურთიერთმისწრაფების ინსტინქტი განსაზღვრავს. ცოცხალი არსის წარმოშობის მცველობა ცდისეულად, როგორც მიზნობრივი, არ გვეძლევა, ვერც დედობრივ, ვერც მამობრივ თესლში დაშლის გზით მას ვერ აღმოვაჩენთ, მაგრამ ერთი რამ აქ ცხადია, მოპირდაპირე თესლები ერთმანეთისაკენ მიისწრაფვიან, მათ საფუძველში არის რაღაც არაცნობიერი ლტოლვა, რომელიც მათ ერთიანობას ქმნის და ისინი ამ ლტოლვის გამოვლენანია. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებაშიც ასეა: მოპირისპირე მხარეები ერთმანეთს ებრძვიან და რაღაც ხორციელდება, ეს მხარეები კი მისი საშუალებებია, ძნელია იმის თქმა, რომ აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც დადებითი და უარყოფითი ელექტრობის ერთმანეთთან მიზიდულობის შემთხვევაშია, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ერთნაირნიშნიანები ერთმანეთისაკენ არ მიიზიდებიან. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სამყაროს ზოგადი კანონი და მისი ცალკეული გამოვლენაა განსხვავებული სქესების ურთიერთმიზიდვა. ახლის წარმოშობა არც ერთ სქესს მეორისაგან განყენებით არ შეუძლია, ის შესაძლებელი მხოლოდ მათი შეერთებით ხდება, ამით ისინი, როგორც ცალკე არსებულები, არსებობას კარგავენ და ახალ საგანში გარდაქმნილი სახით არსებობას აგრძელებენ.

ყოველი ცოცხალი არსის ჩანასახში მის მოძრაობას და ცვლილებას მიმართულება განსაზღვრავს, ეს იქიდან არის ნათელი, რომ თითოეული ჩანასახი იმად იქცევა, რის შესაძლებლობაც მასშია, ანუ ჩანასახში მთელი ცოცხალი არსია მოცემული და ის იმ ცოცხალ არსად გახდება, რაც მის შესაძლებლობაშია. ეს მიმართულება მას აუცილებლობით უარყოფამდე, სიკვდილამდე მიიყვანს. არც სიკვდილია ნებით განსაზღვრული, ანუ სხეული ცვლილების კანონს ემორჩილება. არც ერთ ცოცხალ არსს სიკვდილი არ სურს. მაშასადამე, სხეულის ბუნებრივი ცვლილება, სიკვდილი და მისი სურვილი ერთიმეორის მოწინააღმდეგეა. ცოცხალი არსი ამ წინააღმდეგობაშია მოქცეული, ამის მიუხედავად, ის ამ მოწინააღმდეგე მხარეების ერთიანობაა და თავისი სურვილებით, მისწრაფებით სხეულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მოქმედებს. გადადგმული ნაბიჯი, როგორც წინსვლა, სიკვდილთან მიახლოვებაა.

ცოცხალი არსი მრავალნაირია, მისი უმარტივესი სახე ვირუსია, რომელიც ცოცხალი უჯრედის გარეშე არსებული, როგორც კრისტალი, ისე განიხილება, ხოლო როცა ცოცხალ უჯრედში შევა, ის ცოცხალია და სხეულის დაავადებას და მის სიკვდილს იწვევს.

ინსტინქტი ფსიქიკური მოვლენაა. ინსტინქტი სხეულს ამოძრავებს, თითქოს ისე გამოდის, რომ სხეული საშუალებაა მისი ინსტინქტის განხორციელე-

ბისათვის. მაგალითად, მას აქვს მემკვიდრეობის გაგრძელების ინსტინქტი, ხოლო მისი სხეული მემკვიდრეობის განანგრძლივების საშუალებაა, რადგან ინსტინქტი იქით მიისწრაფვის, რომ ისევ სხეულებრივი დაიბადოს.

ცოცხალი ბუნება მატერიალურ-იდეალურია. ეს ნიშნავს, მატერიალური იდეალურითაა გამსჭვალული, იდეალური კი მატერიალურითაა განიშაარსიანებული. ინსტინქტი, რომელიც ცოცხალი არსის მოძრაობის მიმართულების მიმცემია, სხეულს, როგორც მთელს, თან ახლავს, მაგრამ ის თვითონ სხეული არ არის, ის არის ფსიქიკური მოვლენა. ინსტინქტით ცოცხალი არსი გარე სინამდვილესთანაა დაკავშირებული და ის თავისი ინსტინქტის წყობით მიდის მასთან კავშირში. ფრინველი, რომელიც მემკვიდრეობის გაგრძელებას ემსახურება, გარემოში ნახულობს მისი განხორციელებისათვის შესაფერ პირობებს.

ინსტინქტები, რომლითაც ცოცხალი ბუნებაა შეიარაღებული, ღირებულებითი დამოკიდებულების უმარტივესი გამოხატულებაა. ინსტინქტში სინამდვილისადმი ღირებულებითი დამოკიდებულება იმით ვლინდება, რომ ცხოველთა, ფრინველთა და მწერთა სამყარო საგნებს იღებს არა უბრალოდ არსებულებს, ეს მათი მიზანი არ არის, არამედ ისინი საგნებს იღებენ, როგორც სასარგებლოს, რომელთაც მათი არსებობისათვის მნიშვნელობა აქვთ.

ბუნების საგნები ამ მნიშვნელობას ფლობენ, მათ უშუალობაში ისე როგორც ისინია და არა მათი გარდაქმნის შედეგად. საგნების აღება და გაგება მათ თავისთავადობაში არის უმაღლესად განვითარებული ცოცხალი არსის საქმე, ასეთია ადამიანი, ცოცხალი ბუნებისათვის ინსტინქტი როგორც ასეთი უცნობია, ის მითაა შეიარაღებული, მაგრამ ეს მისი საგანი არ არის, მას ინსტინქტით საგანი აქვს მოცემული და არა თვით ინსტინქტი ; ერთია ინსტინქტის ქონა, მეორეა მისი ცოდნა, ცხოველებს ინსტინქტი აქვთ. მასზე ცოდნა არა აქვთ. ადამიანის მიერ ინსტინქტის ცოდნა მის ბუნებას არ სცვლის.

ადამიანი ღირებულებათა სამყაროში ცხოვრობს და ამავე დროს ეს ღირებულებათა სამყარო არის მისი ყოფიერება, ადამიანი მასში უმაღლესი ღირებულებაა, მხოლოდ ადამიანი ასხვავებს არსს და ჯერარსს. ადამიანის ყოფიერება მიმდინარეობს სწორედ არსის და ჯერარსის დაპირისპირებაში, ადამიანი არსს შეიცნობს, მისი თვისებებს და კანონზომიერებას აღმოაჩენს. ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულება ისტორიული მსვლელობაა, რომლის ძირში უძლეველი სურვილი იმალება, რომლის მიხედვითაც მთელი ბუნების სამყარო ადამიანურად უნდა გარდაიქმნას.

ბუნების საგნები ადამიანისადმი სამსახურში უნდა იყვნენ. ეს დამოკიდებულია მათ შემეცნებაზე, ადამიანმა საგნები უნდა შეიცნოს, მისი თვისებები აღმოაჩინოს და ისეთი რამ უნდა ნახოს, რაც მისი ბუნებისდაგვარი იქნება, რაც მას გამოადგება თავისი ყოფიერების ამაღლებისათვის.რას ნიშნავს ყოფიერების ამაღლება? ადამიანის ყოფიერება მიზეზობრივ და მიზნობრივ ქსელშია მოქცეული, მიზეზობრივი იმას ნიშნავს, რომ ის თავის მოქმედებაში რაიმე მიზეზითაა განსაზღვრული. მაგალითად, მოვიდა წიაღვარი, წალეკა მისი კარმიდამო, მოხდა მიწისძვრა, დაანგრია მისი შენო-

ბები, ეს ბუნებაში მოხდა. აი, ეს მოვლენები აიძულებენ მას, იმოქმედოს ისე, რომ თავიდან აიცილოს კარს მომდგარი უბედურებანი, გაწმინდოს კარმიდამო მოყრილი ღორღისაგან, ადიდებული მდინარე, რომელმაც გადმოლექა და მისი კარმიდამო მიანგრ-მოანგრია, კალაპოტში ჩააყენოს. მიწისძვრის შედეგად დანგრეული შენობები სხვა ადგილას ააგოს, სადაც მიწისძვრა ნაკლებ შესაძლებელია, ეს მიზეზები მის მიზნობრივ მოქმედებას იწვევენ, ანუ მისი მიზნობრივი მოქმედება ამ მოვლენების დინების შეჩერებისკენაა მიმართული, რომელიც მიზნისაგან დამოუკიდებელი მიზეზებითაა განსაზღვრული. თავისთავად მოქმედ მიზეზშედეგობრივ მოვლენებს ადამიანის მიზნობრივი მოქმედება უპირისპირდება, რომელიც ღირებულებითი ბუნებისაა. თვითონ ეს ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც ბუნებრივი მიზეზებითაა გამოწვეული, ღირებულების თვალსაზრისით განიხილება, ის ადამიანისათვის უარყოფითი ღირებულებაა, რომლის თავიდან აცილებაა საჭირო. მეცნიერების დანიშნულებაა საგანი მოგვცეს, ისე, როგორც ის არის, ისე, რომ მას საგანში ცვლილებები არ შეაქვს. მეცნიერება მხოლოდ იმას იძლევა, რითაც ის უნდა შეიცვალოს, რაკი საგანში მისი უარყოფითი მხარეები აღმოჩნდება, ამის საფუძველზე ადამიანი საგანს თავისი მიზნის მიხედვით უდგება, ანუ მას თავისთვის ღირებულ საგნად გადააქცევს. ეს არის არსის და ჯერარსის კავშირი, რომელიც არსის მეცნიერების ფონზეა გაშლილი.

საგნების გარდაქმნა მარტო გარე მიზეზებით არ არის გამოწვეული, ის მიზნითაცაა განსაზღვრული. ადამიანი სამყაროში მოვლენებითაა გარემოცული და მას მათ მიმართ გარკვეული დამოკიდებულება აქვს შემუშავებული, ამიტომ ამ მიზნის საფუძველზე ის საგნებს ცვლის, ახალ, მისთვის შესაფერის საგანთა სინამდვილეს ქმნის.

ადამიანის მოღვაწეობა შეიძლება გავიგოთ როგორც მატერიალური და იდეალური ღირებულების ქმნა. ადამიანი უპირველესად თავის თავს ავლენს როგორც მატერიალური არსი, როგორც გარკვეულ დროსა და სივრცეში არსებული, როგორც მოთხოვნილებების მქონე. ეს მოთხოვნილებები უპირველესად მატერიალურია, მას ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა სჭირდება. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც უშუალოდ თვალში გვეცემა და რომლის უარყოფას ვერ მოახდენთ, ყოველი ცოცხალი არსი უპირველესად ნივთიერების ცვლა-გამოცვლას ახდენს, ეს არის მისი პირველადი მოქმედება, მისი გრძნობები, აზრები ამ საქმიანობისადმი სამსახურში გამოიხატება. ამ საჭიროებას ყოველი ადამიანი უშუალოდ განიცდის დაბადებიდან სიცოცხლის მთელ მანძილზე, მან ეს საჭმელ-სასმელი გარედან უნდა მიიღოს, ამიტომ გარეშე საგნებზე უნდა იმოქმედოს, კაცობრიობის ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ჭამა-სმის, ჩაცმა-დახურვის ფორმების ცვალებადობის ისტორია. ადამიანის გემოვნება, ამ გემოვნების საფუძველი გრძნობებიც იცვლება, რაც ერთ დროს მისთვის კარგი იყო გემრიელი, ლამაზი, ის მეორე დროში უგემური და უშნო ხდება, ამიტომ ის მისთვის განსხვავებულ ფორმებს ქმნის, რამიც მისი გემოვნებითი და მშვენიერებითი გრძნობები კმაყოფილდება, შეიძლება ითქვას, რომ თვით საზოგადოებრივი წყობილებები ღირებულების საზომს ემორჩილებიან იმ აზრით, რომ

ლთი ამოცანაა საზოგადოების წევრებს ემსახუროს; მისი ღირებულება იმის მიხედვით იზომება, თუ ის რამდენად აკმაყოფილებს ამ საზოგადოების ადამიანების მოთხოვნილებებს. როდესაც შეცნობილი იქნება მისი უარყოფითი ღირებულება, მაშინ ადამიანები მის ძირში უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ, რაც დასაწყისი ხდება მისი უარყოფისა და ახალი უფრო მაღალი ღირებულებების მქონე საზოგადოებრივი წყობის შექმნისა, ასე იყო მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების საქმე, ისინი იყვნენ ისეთი საზოგადოებრივი წყობილებანი, რომელნიც მთელი საზოგადოების და მასში არსებული ადამიანების სურვილებს ეწინააღმდეგებოდა, მათ მხოლოდ მცირერიცხოვანი ადამიანები უჭერდნენ მხარს და ეს წყობილებანი მოისპო.

საზოგადოების კანონები, რომლებიც ადამიანების ცხოვრებას განსაზღვრავს, თვითონ შეიცავს თავის უარყოფის საფუძველს. ადამიანები ამას შეცნობენ და ამ უარყოფის უარყოფას მოახდენენ. როგორც ჩანს, ადამიანების სინამდვილისადმი ღირებულებითი დამოკიდებულება ბუნების საგნების და თვითონ საზოგადოების ცვლილების საფუძველია. მატერიალური მოთხოვნილებები ურთიერთკავშირშია იმ აზრით, რომ ერთიმეორის წარმოშობის მიზეზია. ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, საცხოვრებელი ბინები, პირუტყვი: ცხვარ-ძროხით, ქათმებით, ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, მატერიალურ ღირებულებებს წარმოადგენენ. მატერიალური ღირებულებაა საგანთა ერთობლიობა, რომელიც ადამიანის არსებობის საშუალებებს წარმოადგენენ. ამ საშუალებათა გარეშე ადამიანი არ არსებობს, თუ ჭამა-სმა არა აქვს, ის ვერ იცოცხლებს, თუ ბინა არა აქვს, არსებობა გაუძნელდება. ამ დონეზე ადამიანი ისეთივე არსია, როგორც ცხოველი. ერთიც და მეორეც ჭამს, სვამს და არსებობს. საქმე ის არის, რომ ადამიანი არა მხოლოდ არსებობს, არამედ მან იცის, რომ არსებობს. იგი არა მარტო არის, არამედ ის თავის და მთელი სამყაროს არსებობაზე აზროვნებს. ადამიანის არსებობის ეს მხარე მას ცხოველებზე აღმატებულსა ხდის, ადამიანს შეუძლია ცხოველები გამოიყენოს, ამუშაოს და ამით საარსებო საშუალებები დაამზადოს, მას შეუძლია ცხოველები უშუალოდ საარსებო საშუალებად აქციოს, დაკლას და მისი ხორცი, მისი ტყავი გამოიყენოს. ცხოველი ამ მიმართებით ადამიანს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ადამიანი ცხოველის ყოველნაირ წინააღმდეგობას დასძლევს და თავის მიზანს შეასრულებს.

ადამიანი ცხოველისადმი ყოველთვის სუბიექტია, ის კი მისდამი ყოველთვის ობიექტია. მაიმუნი თითქმის ადამიანისებურად ხმარობს წინა კიდურებს. ის წინაკიდურებით, რომლებიც ხელის სამუშაოს ასრულებენ, ადამიანსა ჰგავს, მაგრამ ის მას ვერ უტოლდება, რადგან მას ადამიანური აზროვნება არა აქვს. ადამიანი აზროვნების უნარითაა მაიმუნზე მაღლა მდგომი. აქედან წარმოსდგება მისი უნარი საგნების შემეცნებისა და მათი გარდაქმნისა. მთელი ორგანული ბუნების განვითარება უმდაბლესიდან ადამიანამდე აზროვნების უნარის განვითარების ისტორიად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

აზროვნებით ადამიანი სამყაროსთან უშუალო მიმართებისაგან თავისუფლდება. მას აზროვნებით შეუძლია საგნების უარყოფა მოახდინოს, არსებული

საგნები წარმოადგინოს, ცხოველები კი იმ საგნებს ეხებიან, რომლებიც მათ საარსებო საშუალებების სახით ეძლევიან. ისინი მხოლოდ ყნოსვის და სხვა შეგრძნებების საფუძველზე მათში არჩევანს ახდენენ.

მატერიალური ღირებულებანი იმ საგნების ერთობლიობაა, რომლებიც ადამიანს ჭამა-სმის და ჩაცმა-დახურვის მიზნით ესაჭიროებიან. ადამიანი ბუნებაშია და მისი ნაწილია, ამიტომ ის მატერიალურ ღირებულებებს ან უშუალოდ ბუნებისაგან ღებულობს, ანდა ისინი ბუნების საგნების გარდაქმნის და გადაკეთების შედეგია, უშუალოს ეკუთვნის ჰაერი, წყალი, დედამიწა, რაზედაც მისი ცხოვრება სივრცულად იშლება, მცენარეები, ცხოველები, რომელთა მოშინაურებას და გამოყენებასაც ის ახდენს. ადამიანის მოღვაწეობით შექმნილია მატერიალური ღირებულებანი სახლების, რკინიგზების, მატარებლების, თვითმფრინავების, სხვადასხვა ავეჯის, რომლებსაც ის საცხოვრებლად იყენებს, ისე, რომ დიდი ნაწილი, რომელიც მატერიალურ ღირებულებებს ეკუთვნის, ადამიანის მოღვაწეობის შედეგია, მას ამისათვის უშუალოდ მოცემული ბუნების საგნები აქვს გამოყენებული, რომელთაც ბუნებრივი უშუალობა დაკარგული აქვთ.

## 2. გონითი ღირებულება

იდეალურ, ანუ სულიერ ღირებულებებს ეკუთვნის ყველაფერი ის, რაც არათუ გონებითაა შექმნილი, არამედ, რომელიც გონის სახით არსებობს, რომელიც მატერიალურობას არ ფლობს, რომელიც მხოლოდ მოიაზრება. იდეალურ ღირებულებებს ეკუთვნის მეცნიერება მისი სხვადასხვა დარგებით, მეცნიერება იდეალურ ღირებულებას იმიტომ ეკუთვნის, რომ მატერიალურის ნიშნებით არ ხასიათდება, ის არ აღიქმება, როგორც გარეშე დროულ-ვრცული საგანი, ამიტომ მას მატერიის მსგავსად არა აქვს განზომილება, მას არა აქვს წონა, თუმცა ასეთია მეცნიერება, მაგრამ ის ჩვენ მოცემული არა გვაქვს მატერიალურის გარეშე, ყოველი მეცნიერება სიტყვების საშუალებით იქნება, ხოლო სიტყვა მატერიალურია იმიტომ, რომ მას მოვისმენთ, სმენის შეგრძნებით დავიჭერთ. საქმე ის არის, რომ სიტყვას მეორე მხარეც აქვს. ის იდეალურიცაა იმ აზრით, რომ მანამ ის გამოითქმებოდეს, არსებობს, რომ არ არსებობდეს, არც გამოითქმებოდა და ის, როგორც არსებული, შეგრძნებაში არა გვაქვს მოცემული. ეს სიტყვები იწერება ქაღალდზე, ქვაზე, ტყავზე და სხვა. ამ გაგებით იდეალური მატერიალური შინაგანი მხარეა, რომელიც მხოლოდ მოაზროვნე არსისათვისაა არსებული, ის ცხოველისათვის შეუცნობელი და არარსებულია.

ცხოველის დონეზე იდეალური ღირებულება არ არსებობს, ის აზროვნების შესაბამისია, ის აზროვნებითაა შექმნილი და მისი აღიარებისათვის ისევე აზროვნებაა საჭირო, რადგან აზროვნებამ მასში თავისი თავი უნდა ნახოს. ცხოველი, მხეცი და ფრინველი გარეშე საგანში იმას ნახულობს, რაც მის იდეალურ დონეს შეეფერება. ეს განსაზღვრულია საარსებო მოთხოვნილების ინსტინქტით და სწორედ საგანს ამ საზღვრებში სცნობს, ამის იქით მისთვის

საგანი არარსებულია. რას აქვს მემკვიდრეობის ინსტინქტი და ყველა საგანს ამ კუთხიდან უყურებს, ყველაფერს იყენებს, რაც მისი მემკვიდრეობის გაგრძელებას ემსახურება. ამ დონეზე ბევრი მისთვის ყველა საგანი არარსებულია. მეცნიერება, როგორც იდეალური, თავისებურია, ეს იმაში მდგომარეობს, რომ მასში ადამიანის სურვილები არ არის უკუფენილი, ის უპიროვნულია. მეცნიერება მოწოდებულია საგანი ისე წარმოადგინოს ცნებათა ქსელის საშუალებით, როგორც ის თავისთავად არსებობს. მეცნიერება ცნებების საშუალებით საგანზე გვაძლევს ცნებებს და არა უშუალო შემმეცნებელზე. აქ ადამიანი თითქოს თავის თავს უკან მალავს, თავის თავი საჩინოზე არ გამოჰყავს, თუმცა რასაც ადამიანი მეცნიერებაში აკეთებს, ყველაფერი ეს ადამიანისთვისაა გაკეთებული, რადგან ადამიანს სინამდვილეზე ბატონობა სურს და ეს განუხორციელებელი იქნება მისი შემეცნების გარეშე, ასეთი გაგება სწორია არათუ ბუნების მეცნიერებისა, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებისაც, ისიც საგანთა ბუნებაზე.ცოდნას იძლევა.

მეცნიერება, რომელიც ჭეშმარიტების შემეცნებას ემსახურება, იდეალურია. ჭეშმარიტება იდეალურია იმიტომ, რომ ის მატერიალური სახით არ არსებობს და არც მისი ნიშნებით შეიცნობა, ჭეშმარიტება ღირებულებაა იმიტომ, რომ კაცობრიობა მისი მეოხებით ისეთ საგნებს ქმნის, რომლებიც ღირებულია.

იდეალურ ღირებულებას ხელოვნებაც ეკუთვნის, ფართო გაგებით ის მოიცავს მხატვრობის სახეებს, როგორიცაა: ფერწერა, ქანდაკება, მწერლობა, პოეზია, დრამატურგია, კინო, მუსიკა, სიმღერა. რა არის მათი როგორც იდეალური ღირებულების არსება? მათი მიზანი არ არის, არსებული მოგვცენ ისე, როგორც ის არის, მათი მიზანი ჭეშმარიტება არ არის, ამიტომ მათი ღირებულება ჭეშმარიტებაში არ არის. ადამიანს იდეალები აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის სინამდვილეს თავისი მიზნის მიხედვით უყურებს, მას ის კი არ სურს, რომ სინამდვილე გაიგოს როგორც ამგვარად არსებული, არამედ მას როგორც სასურველ სინამდვილეს უყუროს. ამიტომ ხელოვნების არსება უფრო შექმნაა იმისი, რაც ადამიანისათვის სასურველია, ვიდრე იმისი ასახვა, რაც უშუალოდ არსებულია, ასე რომ, ხელოვნების შინაარსია სინამდვილისადმი სასურველობის თვალსაზრისით მიდგომა. რა სურს ადამიანს? მას სიმშვენიერე სურს. მან ხელოვნებაში მშვენიერება უნდა იხილოს. თუ მეცნიერება და ფილოსოფია თავის უმაღლეს ღირებულებად ჭეშმარიტებას გაიგებს, ხელოვნება თავის უმაღლეს ღირებულებად სიმშვენიერეს მიიღებს. ამის მიუხედავად, ხელოვნება ჭეშმარიტების გარეშე არ დგას, მასში ჭეშმარიტებას დაქვემდებარებული ადგილი უკავია. ჭეშმარიტების იმგვარი მოცემა, რომ ის მშვენიერების გრძნობას აღძრავდეს, ეს არის ხელოვნების მიზანი. ჭეშმარიტება აქ სურათის სახით, ანუ ტიპის სახითაა მოცემული. თუ მეცნიერებაში რაიმე მსჯელობის ჭეშმარიტება იმით დასტურდება, რომ მითითებული იქნება რომელიმე მოვლენა და მოვლენათა რიგი, რომლის ბუნება მსჯელობაშია მოცემული, თუ ფილოსოფიაში მსჯელობის ჭეშმარიტებას იმით გავიგებთ, რომ მეცნიერების რომელიმე მსჯელობას, ან მსჯელობათა რიგს აღვნიშნავთ, რა-

შიც ფილოსოფიური დებულების შინაარსია მოცემული, ხელოვნებაში ტიპი იქმნება, რომელიც გარკვეულ დროსა და სივრცეში ცხოვრობს და ზოგად საყოველთაო მნიშვნელობისაა, იგი სინამდვილეში არსებულ ადამიანებზე მიგვითითებს. ამასთან ერთად ის ჯერარსული ბუნებისაა, ანუ იგი, ან დადებითია, რომელიც უნდა იყოს, ანდა უარყოფითი, რომელიც არის, მაგრამ არ უნდა იყოს, ასე რომ, ტიპში მოცემულია მისადმი ადამიანების ნებითი დამოკიდებულება, მაშასადამე, იქ ჭეშმარიტება ჯერარსის სამოსელშია გახვეული. მეცნიერებისა და ფილოსოფიის უშუალო მიზანი ჭეშმარიტებაა, ხელოვნების უშუალო მიზანი მშვენიერებაა.

ზნეობრივი ცხოვრება უმაღლეს მიზნად სიკეთეს ისახავს, ეს არის მისი უმაღლესი ღირებულება, სიკეთე ადამიანთა ურთიერთობის მონესრიგებული ღირებულებაა. ადამიანი სიკეთისაკენ მიისწრაფვის, ეს მისწრაფება ისეთია, რომ ყოველი ადამიანი მასში თავის თავსაც გულისხმობს. მე სხვას სიკეთით უნდა მოვეპყრა, რათა ისიც ასეთი მიმართებით იყოს ჩემთან. განყენებულ ადამიანს, რომელიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე ცხოვრობს, სიკეთისადმი მისწრაფება არა აქვს, რადგან ის ადამიანთა ურთიერთობის მომწესრიგებელია, თუ დავუშვებთ, რომ ადამიანთა ურთიერთობა სიკეთეზე არ არის დაფუძნებული, არამედ ბოროტებაზე, მაშინ მივიღებთ ადამიანთა ურთიერთობის უარყოფას და თვით ადამიანის უარყოფას, რადგან ის ადამიანია სხვებთან ურთიერთობის საშუალებით, ადამიანთა ზნეობრივი წესები მათი იდეალებიდან გამომდინარეობს, ამიტომ იცვლება იდეალები და მათთან ერთად იცვლება ზნეობრივი წესები. პლატონი შეეცადა, რომ სამი ცნება: ჭეშმარიტება, სიკეთე და მშვენიერება ისე გაეერთიანებინა, რომ ერთი სამივეს შემცველი ყოფილიყო. სახელდობრ, სიკეთე, მისი აზრით, ჭეშმარიტებაც და მშვენიერებაცაა, ეს სამი ცნება ნამდვილად ერთი და იგივე არ არის. ჭეშმარიტება ისეთი მსჯელობაა, რომელიც სინამდვილეს გამოხატავს, ის არც მშვენიერია და არც არამშვენიერი, ის არც სიკეთეა და არც ბოროტება, ის მათ მიღმა მდგომია. ის იმის გამოხატვაა, რაც არის; რაც არის, ის შეიძლება იყოს მშვენიერი, კეთილი; მაგრამ საკითხი ეხება არა მას, არამედ მასზე გამოთქმულ დებულებას, როგორც ჭეშმარიტებას; არც ესთეტიკურია ჭეშმარიტი ან კეთილი, თუმცა მის სამოსელში შეიძლება ორივე ვიხილოთ. თუ ესთეტიკურში ორივეა ჭეშმარიტი და კეთილი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ერთი და იგივეა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ესთეტიკურში ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია, ესთეტიკური თავისი ფორმით მშვენიერია, ხოლო თავისი შინაარსით ჭეშმარიტი და კეთილი.

მატერიალური და იდეალური ღირებულებები ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია, ეს კავშირი შემდეგშია: მატერიალური ღირებულება, როგორიცაა საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური, ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზები, სკოლები, თეატრები, ფოსტა-ტელეგრაფი იდეალურის გარეშე არ არის. იმ აზრით, რომ ისინი ადამიანის აზროვნების მიერაა შექმნილი. თუ ადამიანის აზროვნება არ იქნებოდა, არც ადამიანი იქნებოდა და არც ეს ხსენებული ღირებულებანი. დედამიწა, ჰაერი, წყლები, მცენარეები, ცხოველე-

ბი ადამიანის გარეშე იარსებებდნენ, მაგრამ, როგორც ღირებულებანი, ისი-
ნი ადამიანის გარეშე ღირებულებად არ არსებობენ, მათი ღირებულებად არ-
სებობა გულისხმობს იმათ არსებობას, რომელთა მიმართაც ისინი ღირებულე-
ბის ნიშანს იღებენ. მატერიალური ღირებულებანი იდეალურის სამოსელითაა
მოცემული. ჩასაცმელ-დასახური, საჭმელ-სასმელი ისეა გაკეთებული, რომ
მათში ადამიანის სურვილები, მისწრაფებები, გემოვნებაა ჩაქსოვილი, სა-
ცხოვრებელი სახლები და, საერთოდ, შენობები არქიტექტორულადაა გაფორმე-
ბული, ამიტომ შეიძლება შენობების და, საერთოდ, ნაგებობის ფორმების
მიხედვით შესწავლამ საფუძველი მოგვცეს იმისა, რომ დასკვნები გამოვი-
ტანოთ გარკვეულ დროთა ადამიანების შეხედულებებზე.

რაკი ორი რიგია ღირებულებებისა, ამიტომ საკითხი შეიძლება დაისვას
მათი ურთიერთობის შესახებ, ანუ იმაზე, თუ რომელია განმსაზღვრელი და
რომელია განსაზღვრული. კაცობრიობის ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ
როგორც ღირებულებათა შექმნის ისტორია, იცვლება ადამიანთა გემოვნება,
სინამდვილეზე შეხედულებები და ამის კვალობაზე იცვლება მათი ღირებულე-
ბებიც, ამ თვალსაზრისით თვალში გვეცემა ადამიანის ღირებულების საკითხი.
ადამიანია უმაღლესი ღირებულება, ყველაფერი მას ემორჩილება. აქ უნდა
შეინიშნოს, რომ კანტის დებულება, რომლის მიხედვითაც ადამიანი არა მა-
რტო საშუალებაა, არამედ მიზანიც არის, შეურყეველი ჭეშმარიტებაა; სა-
დაც პირიქითაა და ის მხოლოდ საშუალებაა, იქ საზოგადოება დამახინჯებუ-
ლია. ღირებულების ყველა სახეობა მისი მომსახურეა, მაგრამ, იგი, როგო-
რც უმაღლესი ღირებულება, დასაწყისშივე ასეთად არ არსებობს. პირველყო-
ფილ საზოგადოებაში გვარისა და ტომის წევრები მის მეთაურს ემორჩილები-
ან, იგი ხდება ბედის გადამწყვეტი, მათი უმაღლესი ღირებულებაც იგია,
ამიტომ საბოლოოდ მის მიერ მათი დამორჩილება ხდება, ისინი მის სასარგე-
ბლოდ მუშაობენ, ამასობაში მეთაური იმის შეგნებამდე მიდის, რომ ის არ-
ის ნამდვილი ადამიანი, ხოლო ისინი მისი მსახურნი, ის მათ იყენებს რო-
გორც ცხოველებს, როგორც ბუნების საგნებს. ისინი მონებად ხდებიან, ხო-
ლო ის მათ მფლობელად. მაშასადამე, უმაღლესი ღირებულება არა ყველა ად-
ამიანია, არამედ ის, ვინც მათ მოიმსახურებს. იგი თვითონ სუბიექტია,
ხოლო დანარჩენები ობიექტია. როგორც ჰეგელიც ასაბუთებს, მონა, რომელიც
საგნებს გარდაქმნის, თავისთავსაც გარდაქმნის და თავს სუბიექტად აქცე-
ვს, სუბიექტი, რომელიც საგნებს არ აწარმოებს, არამედ მოიხმარს, ობიე-
ქტად იქცევა. მაშასადამე, მონათმფლობელურ საზოგადოებაში ცნობიერება
დაპირისპირებულ ვითარებაშია, სუბიექტის ცნობიერებად და ობიექტცნობი-
ერებად.

ყოველი ადამიანი მეორეში თავის თავს, როგორც ადამიანს, აღმოაჩენს,
მონა და ყმა თავის თავში მათგან განსხვავებულ ადამიანებთან თანასწორ-
ნი არიან, როგორც ადამიანები; ამით ადამიანთა უთანასწორობას, როგორც
თითქოს რაღაც ბუნებისაგან დაკავშირებულს, ბოლო ეღება, ადამიანი თავი-
სი ცნობიერების განვითარებით მემდე ამაღლდა. ყოველი ადამიანი ღირებუ-
ლია, როგორც ადამიანი და არა როგორც მოსამსახური საგანი, ადამიანი მოსა-

ხმარი საგანი იყო მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში.

ადამიანი, როგორც უმაღლესი ღირებულება, სულიერ და სხეულებრივ მხარეთა ერთიერთობაა. ადამიანი არც ერთი მხარის გარეშე, როგორც ადამიანი, არ არსებობს. სხეულებრივის გარეშე, ის, როგორც ხილვადი, დროსა და სივრცეში არსებული, არ არის. ის, როგორც სულიერი მხარის გარეშე არსებული ნივთია, რომელიც არ განსხვავდება ქვებისა, მთებისა და კლდეებისაგან. ის, როგორც გონის გარეშე არსებული, არ განსხვავდება მცენარისა და ცხოველისაგან, ისე როგორც, ისინი ყოველდღე ერთნაირებია, ასევე ადამიანი გონის გარეშე ყოველდღე ერთნაირია. ადამიანი მათზე აღმატებული სწორედ გონებითაა, იმით ქმნის ის ახალ ღირებულებათა სამყაროს. თუმცა ადამიანი ამ ორი მხარის ერთიანობაა, მაგრამ მასში ძირითადი და განმსაზღვრელი გონითი მხარეა. გონება წარმართავს სხეულს გარკვეული მიმართულებით. საშუალო საუკუნეებში ადამიანის ამ მხარეთა შესაბამისობა დაირღვა. გონებამ ზეციური ქვეყანა აღმოაჩინა და იქით მიისწრაფოდა, გრძნობადი საგნები ლანდებად ჩათვალა, ეს გონების ისეთი მოღვაწეობის შედეგი იყო, რომლის საშუალებითაც ასეთი ქვეყნის არსებობა მტკიცდებოდა და ადამიანი ამ რწმენით იყო გამსჭვალული. ამავე გონებამ საქმის ვითარება შეატრიალა, დაიმსხვრა იმქვეყნიურის რწმენა და მან ამქვეყნიურის ერთადერთობა აღიარა. ამის შედეგი იყო გრძნობადი სინამდვილისადმი დადებითი დამოკიდებულება, სიყვარული ხორციელი სინამდვილისა და ხორციელი საგნებისაგან მიღებული სიტკბოების უმაღლესობის აღიარება, ზეციდან მიწისაკენ მობრუნება, ეს დიდი მობრუნება გონების მოღვაწეობითაა განსაზღვრული.

რაც უნდა დაბალი დონისა იყოს ადამიანი, თუ ის სადია, ყოველთვის ცხოველს აღემატება სწორედ იმით, რომ ის გონიერია და ღირებულებათა შემქმნელია; ადამიანს არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ მან მხოლოდ ჭამოს და სვას, ჩაიცვას და დაიხუროს, ანუ თავისი არსებობა ნივთიერი ღირებულებით შემოფარგლოს. იმისათვის, რომ მან ეს მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, ბუნების საგნები უნდა გარდაქმნას და ამ გზით საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური მიიღოს, ასე რომ, მის ყოფიერებაში გონება უნდა ჩაერიოს. მისი ნივთიერი ღირებულებანი გონების მოღვაწეობით ბუნების საგნების გარდაქმნის შედეგია და ის ამ აზრით ცხოველზე აღმატებულია. ადამიანი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ, თუ ცხოველისათვის ცხოვრების საზრისის საკითხი არ არსებობს, ადამიანი ყოველთვის ასეთი კითხვის წინაშეა, ის კითხულობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მის ყოფიერებას. ადამიანი თავის ყოფიერების გამართლებას საჭიროებს. მართალია, ადამიანი წუთისოფლის სტუმარია, მისი ყოფიერება უცაბედი გაელვებაა, მაგრამ ის ამ წუთისოფელში მაინც აზრს ეძებს, რადგან ამით მან მასში დასაყრდენი უნდა ნახოს. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ადამიანი რაღაც მიზანს ემსახურება, ეს მიზანი მისი უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სცილდება, ის სხვაზე ზრუნვაშია გამოსახული. ცხადია, ისიც, რომ ის ამ სხვაზე ზრუნვაში თავის თავს უნდა ხედავდეს, თუ ეს სხვა მისთვის უცხოა და მასთან ერთიანობაში არ არის, ისე ის მის მონადაა ქცეული და ასეთი ყოფნა

ნივთად გადაქცევაა. ადამიანი ცხოვრების ყოველ ნაწილში თავის თავს, როგორც სუბიექტს, უნდა ხედავდეს. ადამიანი ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ ჭამა-სმით და ჩაცმა-დახურვით, ასეთი ცხოვრება მისთვის მოსაწყენი ხდება, რადგან მას გონება აქვს და ის გონებით მის შეფასებას ახდენს. ამიტომ ადამიანი ბევრით მიდის და ისეთ რამეს ქმნის, რაც ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვას არ ემთხვევა; ადამიანი იდეალურში გადადის, ის იდეალურ ღირებულებებს ქმნის, ის ქმნის ხელოვნებას და მეცნიერებას. ის ჩართულია სახელმწიფოებრივ საქმეებში, რითაც ის თავისი უშუალო არსებობიდანაა გასული და სხვა ურთიერთობაშია შესული. საბოლოო ანგარიშით ადამიანს არც შეუძლია მხოლოდ ჭამა-სმით, ჩაცმა-დახურვით შემოიფარგლოს, რადგან მისი წარმოებაა საჭირო და ამისათვის გონების მოღვაწეობაა აუცილებელი ისე, რომ მისი მოქმედება ამ უშუალობას უნდა გასცილდეს და ძალაუნებურად იდეალურში გადავიდეს. მისი კვლავწარმოებისათვის მეცნიერება უნდა იყოს, ხოლო მეცნიერებაში გადასვლა იდეალურში გადასვლაა. გამოდის, რომ ნივთიერი და სულიერი ერთმანეთს საჭიროებენ, ისინი მთელის სხვადასხვა მხარეებია და ადამიანიც მათი ერთიანობაა, ამიტომ ერთის განვითარება მეორეს საჭიროებს, ხოლო მეორისა პირველს. ადამიანი არის მატერიალურის და სულიერის ერთიანობა და ის არც ერთ მხარეზე არ დაიყვანება. ეს ერთიანობა მაინც სუბიექტურის პირველობას გულისხმობს.

ნივთიერებიდან სულიერში უნდა გადავიდეთ, ხოლო სულიერიდან ისევ ნივთიერში. სულიერ ღირებულებებში ადამიანია იდეალურად მოცემული. არა როგორც სულიერი, არამედ როგორც სულიერ-ხორციელის ერთიანობა. ამიტომაა შესაძლებელი სულიერიდან ხორციელისაკენ გადასვლა. სულიერმა ნივთიერი უნდა შექმნას, როგორც იდეალური ღირებულების საფუძველი, ხოლო იდეალური ღირებულება, როგორც ადამიანის არსების უკუფენილი სახე, ყოველთვის საჭიროებს ნივთიერ ღირებულებებს. ყოფიერებას აზრი არა აქვს, ჭამა-სმით და ჩაცმა-დახურვით შემოსაზღვრულს, რომ ამისათვის საჭიროა სულიერი ღირებულებანი. განყენებულ სულიერ ღირებულებებსაც არავითარი აზრი არა აქვს, თუ მის მიერ უარყოფილია ნივთიერი ღირებულებანი. ხელოვნების ნაწარმოებების ნახვა და მოსმენა მაშინაა შესაძლებელი და მაშინაა მათგან სიმშვენიერის გრძნობის დაკმაყოფილება, თუ ადამიანი სხეულებრივი მოთხოვნილებებით დაკმაყოფილებულია. ადამიანის გრძნობები უშუალო მოთხოვნილებებიდან უნდა განთავისუფლდნენ, რომ მათ იდეალური სამყარო იხილონ და შეფასების საგნად აქციონ. მშიერ ადამიანს საარსებო მოთხოვნილების გრძნობა ისე ბოჭავს, რომ მას სულიერის ხედვის შესაძლებლობა აღარა აქვს.

ადამიანის არსება უნდა იყოს სულიერ და ნივთიერ ღირებულებათა ზომიერი ერთიანობა, ამ ზომაში ისინი ერთიმეორეს ავსებენ და ადამიანის ცხოვრების აზრიც მათ ერთიანობაშია. საზოგადოება ახალ-ახალ ნივთიერ ღირებულებებს ქმნის. საზოგადოებრივი წარმოება ამ მიზანს ემსახურება. ეს ღირებულებანი ადამიანმა უნდა გამოიყენოს. ამ დროს ძველ ღირებულებათა გადაფასება და უარყოფაც ხდება, ეს ადამიანის სურვილის შედეგი კი არ არის, არამედ ის საზოგადოებითაა განსაზღვრული, თუ, გუშინ ასეთი და ას-

ეთი ავეჯი იყო, დღეს ახალი სახის ავეჯია, უფრო ლამაზი, უფრო ხელსაყრელი, ამიტომ ბუნებრივია, ადამიანი მიისწრაფის ამ ახალი ავეჯის შეძენისაკენ, ამაში მიუღებელი და გასაკიცხი არაფერია. აქ საქმე განვითარებასთან გვაქვს და ადამიანიც განვითარების მოთხოვნას ემორჩილება; სად შეიძლება ასეთ შემთხვევაში ადამიანის ნაკლოვანი მხარე ვნახოთ. ღირებულებათა შექმნაშია განვითარება და კაცობრიობა განვითარების კანონს ემორჩილება. განვითარებაში მიუღებელი არაფერია. საზოგადოებამ უწყვეტლივ უნდა აწარმოოს ნივთიერი ღირებულებანი და ისინი ყოველთვის ადამიანების ცხოვრებას უნდა ამაღლებდენ. საზოგადოების მიერ ღირებულებათა წარმოება საფუძველი უნდა იყოს ადამიანის სულიერ და ნივთიერ ღირებულებათა გონიერად თანაარსებობისა; გამოდის, რომ ადამიანის ყოფიერების საზრისია შრომა, ნივთიერ ღირებულებათა შექმნა და მის საფუძველზე სულიერ ღირებულებათა სამყაროში შესვლა. შრომა არსებობის და გაზრდილი განვითარებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ხოლო მის საფუძველზე სულიერ ღირებულებათა შექმნა და მასში უმაღლესი კმაყოფილების მიღება, ესაა წუთისოფლის საზრისი. ან უნდა უარყო შენი ყოფიერება, ანდა მისი საზრისი ამ ორი მხარის გონიერ თანაარსებობაში დაინახო. უარყოფა შეუძლებელი და უაზროა, ამიტომ ეს არჩევანი ერთადერთია.

ადამიანი თავის თავს, როგორც უმაღლეს ღირებულებას, სხვადასხვანაირი გარდაქმნების საგნად აქცევს, ის ცდილობს, თავისი სხეული მრავალნაირად შეცვალოს ნაირნაირი ტანისამოსით, შეცვალოს სახის გარეგნობა, სხვადასხვა წასასმელებით შეიღებოს სახე, ფრჩხილები, შეიღებოს თმა, მას სურს სხვადასხვაფერად გამოვლინდეს, ეს განსაკუთრებით ითქმის ადამიანზე, რომელიც სიბერეშია შესული, ის მიმართავს თმის შეღებვას. თუ თმა არა აქვს, ხელოვნურ თმას იყენებს, ეს ყველაფერი ემსახურება მის სურვილს, რომ ის ყოველთვის ახალგაზრდა იყოს. ეს ასაკი ყველაზე ღირებულია, ამიტომ გასაგებია, რომ ის მის გამუდმებას ცდილობს. ყოველ შემთხვევაში ის ასეთ გარეგნობას ჰქმნის. მას სურს, თავის თავს უყუროს როგორც ყოველთვის ახალგაზრდას. ადამიანის სასიცოცხლო ძალების გაფურჩქვნა ამ დროს ხდება და მისი სურვილია, მუდამ ამ საფეხურზე იყოს. სამწუხაროდ, ადამიანის მიერ ასეთი ცდები ამაოა, რადგან ის ამ წუთისოფლის კანონებს ემორჩილება და მას მისგან გასხლტომა არ ძალუძს. ბუნებას რომ გონი ჰქონდეს, ადამიანის ამ ცდებს დაცინვის საგნად აქცევდა, რადგან ამ ხელოვნურ შეფერადებაში ადამიანის შინაგანი ცვლილებები არ არის გამოხატული, ის მოჩვენებების ქსელშია გახვეული და ადამიანის, როგორც მოკვდავი არსის, უძლეველი კანონითაა განსაზღვრული; აქედან როდი გამოდის ადამიანის უზრუნველობა მისი ბიოლოგიურ გაუმჯობესების შესახებ. ადამიანი ბიოლოგიურ მეცნიერებას ავითარებს და მის საფუძველზე მისი სიცოცხლის გახანგრძლივება ხდება. წუთიერ სიკეთეთა უფრო მეტის მითვისებას ახდენს ისე, რომ ადამიანს ამ თვალსაზრისით უიმედობის საფუძველი არა აქვს, ყველა ადამიანი საბოლოოდ ისპობა და ამის გამო შეიძლება იმ აზრამდე მისვლა, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთი და იგივეა. ასეთი გაგებით ცოცხალი ადამიანი

მკვდარს არ აღემატება, რადგან ისიც ხომ მოკვდავია, ისიც ხომ ოდესღაც უნდა მოკვდეს, ეს განსხვავება დროშია, რომელიც მოისპობა, როცა ისიც აღარ იქნება; ასე თუ მივუდგებით საკითხს, სიცოცხლეს და სიკვდილს შორის განსხვავება წაიშლება, ცოცხალი არსი მკვდარზე აღმატებული არ აღმოჩნდება, ასეთი გაგება იქამდე მიდის, რომ სიცოცხლე უარყოფილია და ადამიანმა სიცოცხლეზე უარი უნდა თქვას. მაგრამ ცხოვრების ამგვარ შეფასებასაც არა აქვს აზრი, რადგან ის ყოფიერების წინააღმდეგაა მიმართული. ის, როგორც ნუთიერი, არსებობს და არარსებობას არ უდრის.

სიცოცხლე, როგორც უპირველესი ღირებულება, ყველა შესაძლებელ ღირებულებათა გაშლის პირობა და საფუძველია, ამიტომ სიცოცხლეზე ზრუნვა აუცილებელია, რომ ადამიანმა თავისი შინაგანი შესაძლებლობები სინამდვილედ აქციოს. ადამიანისათვის და, საერთოდ, ყოველი ცოცხალი არსისათვის სიცოცხლე და სიკვდილი რომ ერთი და იგივე არ არის, იქიდან ჩანს, რომ ისინი, როცა სიცოცხლის საფრთხე იბადება, მის თავიდან აცილებას ცდილობენ, რათა სიცოცხლე გააგრძელონ. რაკი სიცოცხლე ღირებულია, როგორც შინაგან შესაძლებლობათა განხორციელების პირობა, ამიტომ სიცოცხლე და არასიცოცხლე ერთი და იგივე არ არის. ის, რაც არ დაბადებულა, არც არის როგორც გარკვეული, არც არის დროსა და სივრცეში არსებული და ამის გამო ჩვენ არც შეგვიძლია მისი არც დადებითი და არც უარყოფითი დახასიათება. მოკლედ, ის არ შეიძლება შემეცნების საგანი იყოს; რაკი არ არის, არაფრის თქმა არ შეიძლება. მხოლოდ არსებულია შემეცნების და შეფასების საგანი. არარსებული და ყოფილი არსებული ერთი და იგივე არ არის. თუ არარსებულზე არაფერი ითქმის, ყოფილზე ის ითქმის, რომ ის არსებობდა, მას ისტორია ჰქონდა, რომელიც განსაზღვრულ დროშია არსებული. დრო და სივრცე არსებობის ისეთი გარკვეულობებია, რომლის გარეშე არსებული არსებულად არც გაიცნება და არც მოიაზრება.

სიცოცხლე რომ ღირებულია და ის იგივე არ არის, რაც არარსებობა, იქიდანაა ნათელი, რომ სიცოცხლის თავგამწირავი გულისხმობს სიცოცხლის არსებობას, ცოცხალ ადამიანთა არსებობას, რომელთა გულში მისი არსებობა გრძელდება, და რომელთა აზროვნებაში იგი შესაბამის საგანი ხდება.

ადამიანის თავგანწირვას აზრი არ ექნება, თუ მის ირგვლივ ადამიანთა საზოგადოება არ არის. რადგან არ იქნებიან ადამიანები, რომელშიც მისი მოქმედება უნდა აირეკლოს. თუ ადამიანი მაინც მოქმედებს და დიდი წამოწყება აქვს, მისი შემფასებელი კი ამ დროს არ არის, ის მაინც გულისხმობს, რომ მომავალი თაობა მას დააფასებს; ყოველი თავგანწირვა სიცოცხლის გაგრძელებისათვის არსებობს.

სინანულის გრძნობა გიპყრობს, რომ ისევ შენს გვერდით არ არის ადამიანი, რომელმაც გმირული, საზოგადო საქმე შეასრულა და აღარაა, რომ ის კიდევ არ აგრძელებს ასეთ სასახელო საქმეებს, რომ ნიმუში სასახელო კაცისა შენს თვალწინ აღარ არის, რათა მისდამი სიყვარულით და პატივისცემით იყო, რომ მან სხვებიც აანთოს სასახელო საქმეებისათვის. მაგრამ ამას ადამიანებს არავინ ეკითხება, ისე, როგორც დაბადება არ არის ადამიანე-

ბის სურვილი, არც სიკვდილია მათი ნებით დადგენილი. ადამიანი დაბადებას და სიკვდილს შორის აუცილებლობითაა მოქცეული, მისი ნება ამ შუალედში, მისი ცხოვრების მიმდინარეობაში დიდი ძალის მქონეა, მას შეუძლია მრავალნაირი მიზანი დაისახოს და კიდეც განახორციელოს, ამაში პოვებს ის სიხარულს და კმაყოფილებას, მაგრამ მის მიზნობრივ მოქმედებას უკანა დაფარული მხარეც აქვს, რომელიც მოდის როგორც აუცილებლობა, დაეჯახება მის მიზნებს და სურვილებს და მათ დაამსხვრევს.

მხოლოდ ერთეული ადამიანები თუ გაანათებენ მსოფლიო ისტორიის ცაზე და ისე გამოდის, თითქოს ისტორია ასეთი ადამიანების არენაა, რათა მასში თავისი მიზნები განახორციელოს, მთელი საზოგადოება კი მისი საშუალებაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ისტორია, როგორც ზეპიროვნული, ამ ერთეულ ადამიანებს წარმოშობს, როგორც საშუალებას თავისი ისტორიული აუცილებლობის განხორციელებისათვის. პიროვნება საშუალებაა მსოფლიო ისტორიისათვის; ის პიროვნების ნებაზე მბრძანებლობს, მისი ნება მსოფლიო ისტორიის შინაგანი აუცილებლობის გამოვლენაა. მსოფლიო ისტორიას ახასიათებს დაპირისპირებული ძალებით მოქმედება. ეს დაპირისპირება საბოლოო იდეათა დაპირისპირებაში გამოიხატება, იდეათა შინაარსი კი ყოფიერების აგების ის წინასწარმოცემული ჩარჩოა, რაშიც ყოფიერება უნდა მოექცეს, იდეები მოცემული ყოფიერების უარყოფაა და ახალი ყოფიერების აგებისათვისაა შექმნილი, ისე, როგორც ახალი იდეები ძველი ყოფიერების უარყოფა და ახლის შექმნისაკენ მოწოდებაა, ასევე თვითონ ძველი ყოფიერება ახალი ყოფიერების შექმნის ნასახს წარმოადგენს, მასში იბადება ძალები, რომლებიც ახალს ახალი იდეების საფუძველზე ქმნიან.

ადამიანი ბუნების თუ ისტორიის აუცილებლობის ქსელშია გახვეული, მაგრამ მას თავისი მიზნებიც აქვს, ის იმისათვის იბრძვის, რომ თავისი მიზნები განახორციელოს, მაგრამ აგერ ბრმა აუცილებლობა ადამიანს ამას ვერ აკეთებინებს. დაიბადება, სამყაროს თვალებსაც კი ვერ უსწორებს და იღუპება. ასეთ ადამიანს წილად მხოლოდ დაბადება ერგო, მეტი არაფერი; ის ისე გაქრა, რომ მეობამდე ამაღლებაც კი ვერ მოასწრო. ადამიანი მეობამდე ამაღლდება, მიზნებს დაისახავს, რომელთაც განხორციელება უნდა მოჰყვეს და აგერ ვიღაც უცნაური მას მანქანას დააჯახებს, ან ესვრის, დანას გაურჭობს და მის მიზნებს ქარი წაიღებს, მოულოდნელი ავადმყოფობა გაუჩნდება და დასახული მიზნები არარაობად ექცევა, ასე რომ, მრავალი ადამიანი მიზანთა მიუღწევლობაში იღუპება. ესენი ხომ შვილებია, რომელთაც მშობლები შესტირიან, თავიანთი ცხოვრების გაგრძელებად თვლიან, მზე და მთვარე მათზე ამოსდით და ის მათთვის სამუდამოდ ჩაესვენა, მათი ცხოვრება მწუხრ სამოსელში გაეხვია. აქვს თუ არა მათ ცხოვრებაში საზრისი? აქვს. მათი ცხოვრების საზრისად რჩება ის, რომ მათ ცხოვრებაში შვილების არსებობა გრძელდება და მშობლების გაქრობასთან ერთად ისინიც ქრებიან. სულ სხვაა ქვეყნისათვის მოღვაწე, თუ მან რამე მოასწრო, მისი სახელი ხალხის ცხოვრებაში გრძელდება.

## 3. გონითი და გრძნობადი ღირებულების კრიტერიუმი

ადამიანი თავის ყოფიერებას თვითონ აძლევს აზრს, მისადმი სამსახურშია მისი ყოფიერების საზრისიც. ადამიანის ყოფიერების საზრისი რომ კოსმოსში იყოს, მაშინ ის მისგან იქნებოდა დამოკიდებული და არც თავისუფალი იქნებოდა, ის უცხო საზრისის მონა იქნებოდა, მისი თავისუფლება იმაშია, რომ ის სამყაროში თუმცა აუცილებლობითაა მოსული, მაგრამ მას შეუძლია თავის ყოფიერებას მიზანი დაუსახოს და ამ მიზნის მიხედვით იცხოვროს. ერთადერთი ქვეყანა ეს არის და ადამიანმა აქ უნდა გაშალოს თავისი შემოქმედების უნარები. ადამიანს ბუნებისაგან მიკუთვნებული აქვს ამ საწუთროში ცოდნა და მას სხვა არჩევანის უფლება არა აქვს.

წუთისოფელი გრძნობადია, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ აქ ყველანაირი გრძნობების დაკმაყოფილება დასაშვები იყოს. ადამიანი ამავე დროს გონითი არსია და მის გრძნობებს გონება-მიმართულებას აძლევს. ამ გრძნობებში ადამიანმა აზრი უნდა ჩადოს, გრძნობების საგანი გონების მიერ უნდა შეიქმნას. ამისათვის თვითონ გრძნობები უნდა განვითარდენ, ამაღლებულს უნდა მისწვდენ; გონება გრძნობებს უნდა ემსახუროს, გონების მიერაა შექმნილი ხელოვნების ყველა ნაწარმოები. ისინი აღქმის საფეხურზე დგომით არ შეიქმნებიან, მაგრამ თავისი ხასიათით გრძნობების მოთხოვნას აკმაყოფილებენ. როცა რომელიმე მუსიკალურ ნაწარმოებს ვისმენთ, ის ჩვენს გრძნობებზე მოქმედებს და სიხარულის თუ მწუხარების განწყობილებაში შეგვიყვანს. მეორე მხრივ, ეს გრძნობებისათვის შექმნილი ნაწარმოები გონების მოთხოვნასაც ასრულებს, სწორედ ამიტომ, რომ ის მისი შექმნილია, გონება ამ ნაწარმოებში თავის თავს ხედავს, მის იდეას ჭვრეტს გრძნობად სახეში და მისი მოთხოვნაც კმაყოფილდება. ოპერა "დაისში" ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის აზრია მოცემული და მაყურებელი ტკბება არა უბრალოდ, არამედ იმით, რომ მასში ეროვნული ცხოვრების ტკივილებს ხედავს. ხელოვნების ნაწარმოები მით უფრო მაღალია, რაც უფრო მასში ჩამარხული აზრი გრძნობად სახეშია მოცემული, მისი ღირებულება აზრის და გრძნობის შინაგანი ერთიანობაა.

ყოველი გრძნობადი ღირებულება თავის უარყოფაში გადადის, ახალგაზრდა ქალი და კაცი ერთმანეთისადმი სიყვარულით არიან გამსჭვალული. გავა ეს დრო და მათი სიყვარულიც ქრება, მათ ხანში შეცვლისას მხოლოდ წარსული გრძნობები აკავშირებთ. ადამიანი უსმენს თუ უყურებს ხელოვნების ნაწარმოებს და მოსწყინდება თუ არა, მაშინვე მას უყურადღებოდ სტოვებს. ადამიანი, როცა ყველაზე სასიამოვნო საჭმელს მიირთმევს,მერე მას სტოვებს და ის აღარ იზიდავს,ასე რომ,გრძნობადი ღირებულებებისადმი ადამიანი უცვლელ დადებით დამოკიდებულებაში არ არის.დადებითი გრძნობა უარყოფითად იცვლება, ადამიანი, რაც იყო, ერთ დროს ის აღარ არის, ის ბუნებისაგან მოცემული ყველა უნარისაგან გაძარცვულია და მას თავის თავზე მხოლოდ მოგონებებიღა რჩება. ცხადია, ხელოვნების ნაწარმოები ამ შემთხვევაში თავისთავადია, ხოლო ადამიანის მისადმი დამოკიდებულება ცვალებადია. ამის მიუხე-

დავად, ადამიანში მაინც კმაყოფილების გრძნობა ბატონობს იმის გამო, რომ მან წარსულში ცხოვრების სიმშვენიერე განიცადა. ყოფიერება არარაობისაგანაა დამძიმებული, მაგრამ მაინც ადამიანი წუთიერ კმაყოფილებას იღებს და ამის განცდით, ამის მოგონებით ცხოვრობს, თუმცა ცხოვრებაში ბევრი ტანჯვაა მოსალოდნელი, მაგრამ მაინც ან მცირედის გამო ხიბლიერია. ამ მხრივ შესანიშნავია ვაჟას თქმა:

ბუნება მბრძანებელია,
იგი მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის,
საქმის თეთრის და შავისა,
სად პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა,
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ყვავისა[1].

აი, სწორედ სინამდვილეში ეს წუთიერი სილამაზე და სიტურფეა, რომელიც მას ამ ქვეყანაზე ამაგრებს: სამწუხაროა, რომ ცხოვრებაში ბუნების უკუღმართი კანონების გამო ადამიანები იბადებიან, რომელნიც ბუნებრივ სხეულებრივად თუარა, სხეულებრივად ნაკლოვანები არიან. ასეთებია კოჭლი და ბრმა და, საერთოდ, სხეულით მახინჯები, ასეთებია სულიერად ავადმყოფები, რომელთათვის ეს წუთიერი სიტკბოებაც მიუწვდომელია. ადამიანები ამ ნაკლებს ურიგდებიან და რაღაც გამოსავალს ეძებენ, ამას ნაწილობრივ პოულობს ყრუ-მუნჯი, ბრმა, კოჭლი, მაგრამ უძლურია სულიერად ავადმყოფები, რომელთაც სამყაროსთან კავშირის არავითარი საშუალება არა აქვთ. ასეთი ადამიანების ხილვაც კი უიმედობის განწყობილებას ბადებს იმ ადამიანებში, რომლებიც საღი არიან, რადგან აქ ნათლად ჩანს ყოფიერების არარაობა. ყოფიერება ადამიანს თითქოს დასცინის იმით, რომ მას იმად ჰქმნის, რაც მდხრეა და მასში აღმატებული არაფერია.

უმაღლესი ღირებულების შექმნა, თუ მისი აღმოჩენა გონების უმაღლეს საფეხურზე ასვლას მოითხოვს, გონების უმაღლეს საფეხურს უმაღლესი ღირებულება შეესაბამება. უმაღლესი ის ღირებულებაა, რომელიც ადამიანის სწრაფვის საგანია, რომელსაც ის ყოველთვის ემორჩილება, რომელშიც ის თავის მეობას გამოხატავს.

ყოველი არსებული შეფასებას მოითხოვს, ეს არის მისი ღირებულების მიხედვით განხილვა, ეს არის მისი ჯერარსობის მიხედვით შეფასება. ჯერარსობა ის კი არ არის, რაც არის, არამედ, რაც უნდა იყოს, რაც უნდა იყოს იმასთან შედარებით, რაც არის. მატერიალური, როგორც არსებული, იდეალურს უნდა დაუმორჩილოთ და ადამიანის მისადმი დამოკიდებულება იდეალური უნდა იყოს. ადამიანს რომ სინამდვილესთან ასეთი კავშირი არ შეეძ-

-------------

[1] ვაჟა ფშაველა, ღამე მთაში, გვ. 50–51.

ლის, მაშინ მისთვის ერთნაირი იქნებოდა ჭეშმარიტი და მცდარი, მშვენიერი და უშნო, კეთილი და ბოროტი, ადამიანი ამ მხარეებითაა, რაც ის არის; ამის გარეშე უბრალოდ არსებული საგანია. ადამიანი უბრალო არსებულ საგანს ამ ნიშნებით აღემატება და ამითაა სუბიექტი. ადამიანს, როგორც სუბიექტს, რომ იდეალური სინამდვილისადმი მიდგომა აქვს, ამის მაჩვენებელია სოფოკლეს "ოიდიპოს მეფე". ამის შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ: ოიდიპოსი ქვეყნის მპყრობელია. მას ცოლად ჰყავს ქვრივი იოკასტე. სამეფოში ხმებია დარხეული, რომ ოიდიპოსი მეფე ლაიოსის მკვლელია. ეს ხმა მისულია მეფესთან, რის გამოც ის შეწუხებულია და მისანს ტირესიას სთხოვს, რომ მან მას ეს ბინძური ჭორი მოაშოროს. იოკასტე ამბობს, რომ ტირესია მეფის შეთქმულთა მხარეზეა და ხან მეფე ლაიოსს უწინასწარმეტყველა, რომ შენ შვილი მოგკლავსო. მეფე ლაიოსი კი მისმა მდევრებმა მოკლეს. მეფე ლაიოსმა რომ გაიგო, მას შვილი მოკლავდა, ბრძანება გასცა, ბავშვი მოეკლათ; ბავშვი არ მოკლეს, სასახლის ბაღში ცრუ საფლავი გააკეთეს. იგი მწყემსმა წაიყვანა და გაზარდა, როცა ოიდიპოსი დავაჟკაცდა, ლაიოსის სამეფოს შეესია. ბრძოლაში ლაიოსი მოკლა, სამეფოს დაეპატრონა და მისი ცოლი თავის ცოლად აქცია. ოიდიპოსი მწყემს იონას დაიბარებს იმის გამოსაკვლევად და დასამტკიცებლად, ნამდვილად ვინ მოკლა მეფე ლაიოსი. იონა მეფისაკენ მიაშვერს ხელს და ეტყვის, შენ მოკალ მეფე ლაიოსიო.

შარაზე დაგვიხოცე უკანასკნელი მცველები, მდევართაგან შენ დაწინაურდი, შენ გიმიზნებდა ეტლიდან ისარს მეფე ლაიოსი, მე დავინახე, ჩემს მეფეს როგორ დაარტყი მახვილი, შემესმა შენი ნათქვამიც – ბრალიანსა და უბრალოს გამოარჩენსო უფალი. იონა ეუბნება იოკასტეს, რომ მე შენი შვილი არ მომიკლავს, მე ის მარტოხელა მონადირეს თომას მივანდე. თომას ეკითხებიან, სად არის ის ბალღი ეხლა, თომამ უპასუხა, რომ ის ბალღი შენ ხარო; ოიდიპოსმა გაიგო, რომ ის ლაიოსის შვილია, რომ ის გაიზარდა როგორც უცხო და ლაიოსის სამეფოს შეესია, მოკლა ლაიოსი და მისი ქვრივი ცოლად შეირთო, რომელთანაც შვილები ეყოლა. იოკასტე შვილებს დახოცავს; ოიდიპოსი თავს მოიკლავს. მივიღეთ შემდეგი სურათი: ოიდიპოსი თავისი დედის ქმარი გახდა, იოკასტე თავისი შვილის ცოლად იქცა, ოიდიპოსის შვილები მის დებად და ძმებად, იოკასტეს შვილები მის შვილიშვილებად, მისი დედისძმა კრეონი მის ცოლისძმად, ოიდიპოსი მამისმკვლელად იქცა. ამ უკუღმართობის გაგებამ და შემეცნებამ ოიდიპოსი და მის მეუღლე ასეთ მწუხარე შედეგამდე მიიყვანა. ეს სურათი, რომელიც უძველეს დროს სოფოკლემ შექმნა, სწორედ საყურადღებოა იდეალურის და ღირებულების თვალსაზრისით. დედა მატერიალური აგებულების თვალსაზრისით ისეთივეა, როგორც სხვა ქალები, ამ მხრივ მასსა და სხვა ქალებს შორის არავითარი განსხვავება არ არის, შეიძლება ისინი იმით განსხვავდებოდნენ, რომ ამ შემთხვევაში დედა უფრო ლამაზია, მოხდენილია, მიმზიდველია, ვიდრე უცხო ქალები, ბიოლოგიურად ისინი ერთნაირებია. ასევე შეიძლება და-ძმის შესახებ ითქვას, ძმისათვის და ბიოლოგიურად ისეთია, როგორც სხვა რომელიმე ქალი. მშობელი და შვილი ერთმანეთისაგან მხოლოდ ასაკით განსხვავდებიან, ბიოლოგიურად

ერთნაირებია, მაგრამ სქესობრივი კავშირი მათ შორის შეუწყნარებელი, შემაძრწუნებელია, ეს ასეთია არა ბიოლოგიური კანონების მიხედვით, არამედ ზნეობრივი თვალთახედვის საფუძველზე, დედის და შვილის, დისა და ძმის ურთიერთობა ზნეობრივი თვალითაა დანახული. შეიძლება აქ ასეთი თვალსაზრისი დაიბადოს, ზნეობა, რომელიც ასეთ მოქმედებას კრძალავს, ეკონომიური ურთიერთობითაა განსაზღვრული და ამიტომ ასეთი ზნეობრივი ნორმები იდეალურის მაჩვენებელი კი არა, არამედ მატერიალურობის მაჩვენებელია, ეს ასე არ არის. არც ერთ საზოგადოებრივ წყობაში ეკონომიური ურთიერთობა ამის საწინააღმდეგოს არ მოითხოვდა. ეკონომიური ურთიერთობანი ცვალებადია, ისინი ერთმანეთს ცვლიან, ხოლო დედისა და შვილის, დისა და ძმის ურთიერთობა ყოველთვის ერთი და იგივეა, ის ყოველთვის წმინდათაწმინდა ურთიერთობის განსახიერებაა. ერთი სქესის ადამიანი მეორე სქესის ადამიანს საშუალებად იყენებს, მას თავისი ბიოლოგიური კმაყოფილების საგნად აქცევს. დედისა და შვილის, დისა და ძმის ურთიერთობა ბიოლოგიური არ არის, ისინი ერთიმეორისათვის ბიოლოგიური კმაყოფილების საგნად არ ხდებიან. ისინი ერთმანეთს, როგორც ბიოლოგიურ არსებას, არ იხილავენ. დედა შვილისათვის, ისე როგორც შვილი დედისათვის წმინდა ზრუნვის საგანია.

დედობა და შვილობა, დობა და ძმობა არსებობს თავისთავად, ის ჩვენი ცნობიერების შექმნილი არ არის, ეს ის არის, რომ ერთი მეორის წარმოშობილია, მათ შორის მიზეზშედეგის დამოკიდებულებაა. მხოლოდ ეს რომ იყოს, მაშინ საქმის ვითარება იოლი იქნებოდა, მიზეზს და შედეგს შორის უკუსვლითი მიმართება დამყარდებოდა, თუ დედა შვილის მიზეზია, იგივე შვილი დედის მიმართ შვილის მიზეზი იქნებოდა. ბუნებაში არის ასეთი დამოკიდებულება. მცენარე თესლისაგან აღმოცენდება და იგივე მცენარის თესლი მცენარის მიზეზი გახდება. დედასა და შვილს შორის ასეთი დამოკიდებულება არ აღინიშნება, ის, როგორც წმიდათაწმიდა, შეუბრუნებადია. დედა არის შვილის მიზეზი, მაგრამ შვილი დედის მიმართ არ არის შვილის მიზეზი. ეს იმიტომ, რომ მათ შორის იდეალური დამოკიდებულებაა. დედა და შვილი ერთმანეთისადმი ბიოლოგიური გამოყენების საგნები არ არიან. დედა და შვილი ასეთი რომ არის, ამის საფუძველი ადამიანის მეობამდე ამაღლებაა, ის თავისი ცნობიერებით მიდის იმ საფეხურამდე, რომ მის წინ მისი მე გადაიშალა როგორც მისთვის არსებული სინამდვილე. მე არის გარკვეული იმ აზრით, რომ მას მიმართება აქვს გარემო სინამდვილესთან, ამიტომ მისთვის განსხვავებულია მისი მე მის გარემოსაგან. ის გარემოშია და მის გამოყენებას ახდენს იმისათვის, რომ თავისი არსებობა გააგრძელოს, გარემოს გამოყენებით, მისი გარდაქმნით ის თავის თავს ავითარებს და თავის მეობას ადგენს, ის თავის წარმოშობის საწყისს ეძებს და იმას, ვინც მისი წარმომშობია, ბუნებრივობის სამოსელში ხედავს, ასევე ბუნებრივობის სამოსელშია გახვეული ისიც, ვინც მასთან ერთად იბადება და ერთი საწყისი აქვთ. და ძმაში და ძმა დაში თავის თავს ხედავს, ისე როგორც თავის თავის ბიოლოგიურ მოხმარებას ვერ შეძლებს, ასევე თავისი დისა თუ ძმისას, ისე როგორც თავის თავს ამ მიმართებით თავის საგნად ვერ აქცევს, ასევე თა-

ვის ძმას და დას, ის მის თვალში მხოლოდ მეა, რომელიც საგნად ქცევის შესაძლებლობას არ შეიცავს. ბუნებაში აქამდე არ ვყოფილვარ, არსად არ ვარ, არც ჩანასახის სახით. ჩემი საწყისი მხოლოდ დედამია, იქ ვარ არა-რაობიდან რაობაში გადასული, ჩემი მეს ნაწილები ბუნებაში კი არ იყო, ისინი ვიღაცამ შეაერთა და მე წარმოვიშვი, მე სრულიად ახლად ვარ დაბა-დებული. ჩემამდე ჩემი არც ერთი ნაწილი არ ყოფილა; ამიტომ ჩემი დაბა-ება სასწაულებრივია, აზროვნება არის ამ ზნეობრიობის საფეხურამდე და მასზე ასვლითაა შესაძლებელი დედის და შვილის, დისა და ძმის ურთიერთო-ბა გასაგები. ამიტომ ხდება ის წმიდათაწმიდა ურთიერთობად. შვილი სხვი-სათვის უნდა იქცეს ქმრად და ცოლად და არა თავისი დედისა და მამისათ-ვის. მშობელი და და-ძმა ისეთი შეუბღალავი ღირებულებანია, რომელთა მი-მართ ადამიანს მხოლოდ ზრუნვა ევალება. ზნეობრივი თვალსაზრისით, დედის და დის შეურაცხყოფა ადამიანს ცხოველის დონემდე აყენებს და არც მოიხსენება ადამიანთა რიგებში. სინამდვილისადმი იდეალური ხედ-ვა იმიტომაა შესაძლებელი, რომ ადამიანს აზროვნება აქვს. აზროვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ის არის, რომ მას არ შეუძლია წრის არეში მო-თავსდეს, ის ყოველთვის მის იქით გადის. წრის იქითა არეც არსებობს, ის აზრის საგანია და ადამიანი ყოველთვის ასეთ მოძრაობაშია. წრიდან ზეწრი-ულში გადადის და მისგან ისევ უკან ბრუნდება. ასეთია მისი მოძრაობა. მშობლისა და შვილების, დისა და ძმის უმაღლეს ღირებულებად ცნობა მეო-ბამდე ასვლითაა შესაძლებელი. მე, როგორც თავისი თავის მცნობი, მასთან ერთად იცის მცნობია, რა არის მისთვის უცხო და გარეგანი და რაა მისთ-ვის მისი ნაწილი და ის თვითონ ვისი ნაწილია; ასე რომ, მეობის საფეხუ-რზე მას შეცნობილი ჰყავს მშობელი, რომელშიც მისი არსებობის საწყისია და და-ძმა, რომლებიც საწყისით ერთიანებია და მათი იდეალური ხედვა მო-ჩვენება კი არ არის, არამედ ნამდვილის გამოჩენაა; დედის და და-ძმის ურთიერთობა იდეალურია და ამიტომაა ადამიანის მიერ მათი იდეალური ხედ-ვა. დედასა და და-ძმაში მატერიალურზე მეტის დანახვა მოჩვენება არ არ-ის, ეს მეტი მათშია, მას მხოლოდ ზნეობრივი აზროვნება დაინახავს, ის მხოლოდ მისთვისაა არსებული.

## თ ა ვ ი IV

## ღირებულების თეორიის აქსიომატიზაციისათვის

### 1. ღირებულების ფილოსოფიის ღირებულების მეცნიერებად ქცევა

ღირებულების თეორიის აქსიომატურობა იქიდან გამოდის, რომ საგნის ღირებულება დაკავშირებულია მისი ნიშნების ერთობლიობაზე. ეს ნიშნები კი შეიძლება დაითვალოს, აღირიცხოს და მივიღებთ შემდეგ ვითარებას, ყოველ ნიშანთა ერთობლიობას შეესაბამება ღირებულება, ამის საფუძველზე ღირებულება იგივე თავისთავადი იქნება, როგორც თავისთავადია საგნის ნიშნები. ღირებულობის თავისთავადობა დაასაბუთა მურმა, ხოლო მის საფუძველზე რ.კარტმანი ცდილობს, ღირებულებას მისცეს აქსიომური სახე. ამის ცდა აქვს მას თავის შრომაში. როგორც მისი შრომიდან ნათელი ხდება, სისტემა ორნაირია – ფილოსოფიური და მეცნიერული. ფილოსოფიურის დამახასიათებელი ისაა, რომ ის კერძოობითია და არა ზოგადი, ანუ ეს არ არის ისეთი სისტემა, რომელიც ყოვლისმომცველია. მეცნიერული კი სწორედ ამგვარია, ის ყოვლისმომცველია, ამის მაგალითია მათემატიკა. ის ყველა მეცნიერებას მოიცავს და ზუსტ მეცნიერებას განსაზღვრავს. მუსიკალურ მეცნიერებას ჰარმონიის თეორია განსაზღვრავს, ღირებულების, ეთიკის გადაქცევას ფილოსოფიიდან მეცნიერებად ქცევისაკენ ფორმალური აქსიოლოგია, ანუ ღირებულების ლოგიკა.

აქსიოლოგიური ეთიკა არის სისტემა არა ფილოსოფიური, არამედ მეცნიერული. ფორმალური აქსიოლოგია მორალის ფილოსოფიისათვის იგივეა, რაც მათემატიკა ბუნების ფილოსოფიისათვის, რაც ჰარმონიის თეორია მუსიკისათვის.

სისტემური ეთიკა არ არის ფილოსოფიური სისტემა არისტოტელის და კანტის მსგავსად, ის არის ჭეშმარიტი სისტემა, რომლის საშუალებითაც სხვა სისტემა შეიძლება განვიხილოთ, სისტემური ეთიკა არის მეტაეთიკა, ანუ ეთიკა ეთიკის შესახებ, რომელიც ჩვენ შეგვაძლებინებს ეთიკური ფილოსოფიის შეფასებას, რათა შევადაროთ ერთიმეორეს სხვადასხვა თავისთავადი და ლოგიკური საზომით. სისტემური ეთიკა ეთიკის ზომაა, როგორც მათემატიკა არის ფიზიკის ზომა, ან სხვანაირად მათემატიკური ფიზიკა არის ზომა სხვა სახის ფიზიკებისათვის, როგორიცაა არისტოტელის, პლატონის, ჰობსის და

სხვა. მაშინ, როდესაც ფილოსოფიური ფიზიკა დღეს ისტორიაა, წინასისტემური ეთიკა არის ფილოსოფია. სისტემური ეთიკა ჯერ ნამდვილად არ არის, ის მომავლის საქმეა, მომავლის ეთიკის მეცნიერებას მურმა მიუძღვნა "პროლეგომენები".

ქარტმანი ფილოსოფიისა და მეცნიერების განსხვავების დადგენისათვის ცნების ანალიზურობას და სინთეზურობას განიხილავს. ფილოსოფიური სისტემა ანალიზურ ცნებას ხმარობს მაშინ, როდესაც მეცნიერება სინთეზურ ცნებას იყენებს. ანალიზური ცნებაა ის, რომლის ძალოვნობა პრედიკატებით განისაზღვრება, ხოლო სინთეზური ცნების ძალოვნობა მისი ფორმალური მიმართებით განისაზღვრება. ფილოსოფია და მეცნიერება ზუსტ ლოგიკურ მიმართებაშია და ფილოსოფიის მეცნიერებაში გარდაქმნა განსაზღვრულია ლოგიკური ხარისხით, რომელიც განხორციელდა ბუნების ფილოსოფიაში გალილეის მიერ, მან არისტოტელის ცვალებადობის ანალიზური ცნება გარდაქმნა მოძრაობის სინთეზურ ცნებად, ამისმაგვარი მოქმედება უნდა შესრულდეს ეთიკის ფილოსოფიაში იმისათვის, რომ ის მეცნიერებად იქცეს.

სიკარგის და ღირებულების ცნებები, რომლებიც არისტოტელის ფილოსოფიაში ანალიზურია, უნდა გარდაიქმნეს სინთეზურ ცნებებად. ცნებას ორნაირი ხერელი აქვს, ერთი მხრივ, მას უნდა ჰქონდეს შინაარსი, სიმძლავრე, ხოლო მეორე მხრივ, უნდა ჰქონდეს სიფართოვე, ანუ მოცულობა, მაგალითად, სკამის შინაარსია საჯდომი და ზურგი, ხოლო მისი მოცულობაა სკამების ის რიგი და ნაირობა, რომელიც არის, ანდა რომელიც შეიძლება იყოს.

ცნების განსაზღვრება შეიძლება იყოს ან მოცულობითი ან შინაარსობრივი. ცნების შინაარსობრივი განსაზღვრება მიმართულია საგნის თვისებებზე, რომელიც მოცემულ საგანთა კლასს აქვს, მაგრამ ის არ იძლევა ამ წევრების ურთიერთარსებობის წესს. ასევე ცნება სკამი განსაზღვრავს სკამების კლასს, მაგრამ არა წესს, რომელიც ამ სკამებს შორის უნდა იყოს. ერთადერთი, რაც აკავშირებს მათ, არის შინაარსობრივი წესი, რომელიც განუსაზღვრელი და თვითნებურია, ანალიზურ განსაზღვრებას მეცნიერული სიზუსტე აკლია. მეცნიერული განსაზღვრება არ არის პრედიკატული. მეცნიერული განსაზღვრება ფორმალურ მიმართებას გულისხმობს, არისტოტელის მიერ მოძრაობის განსაზღვრება იყო ანალიზური: ის ფორმალურ მიმართებას არ შეიცავდა.

ქარტმანი აღნიშნავს, რომ ჩვენი ისტორიული ვითარება იმავე ცვლილებას მოითხოვს მორალის ფილოსოფიაში, რაც გალილეიმ მოიტანა ბუნების ფილოსოფიაში. ჩვენ უნდა გარდავქმნათ მორალის ფილოსოფია მორალის მეცნიერებად, ჩვენ უნდა შევცვალოთ ანალიზური ცნებები "კარგი", "ლამაზი" და სხვა სინთეზურ ცნებებად. მორალის მეცნიერება უნდა დავუპირისპიროთ მორალის ფილოსოფიას. მორალის მეცნიერებას უნდა ჰქონდეს ყველა ის თვისება, რაც ბუნების მეცნიერებას. კერძოდ, ის უნდა იყოს უნივერსალური და მას უნდა ჰქონდეს ზუსტი გამოყენება სინამდვილეში, ის უნდა იყოს მეთოდი, ვიდრე ფილოსოფია. ასეთი მეთოდი მეცნიერებაა, რომელიც ანალიზური და სინთეზური ცნებების განსხვავებას ადგენს. საგანი, რომელზეც ანალიზური შინაარსია მიმართული, განსხვავებულია იმ საგნისაგან, რაზეც სინთეზური ში-

ნაარსია მიმართული. ანალიზური ცნების სამყარო მიმართულია საგანთა კლასზე, ხოლო რაზეც სინთეზური ცნებაა მიმართული, არის ერთეულთა ურთიერთმიმართება.

ფორმალური აქსიოლოგიის ამოცანაა ამ ერთეულის ხარისხის განსაზღვრა, რომლის მიმართ მორალის მეცნიერების სინთეზური ცნებაა გამოყენებული და რომელთა შორის შინაგანი მიმართებაა დადგენილი. ორმაგი მიმართება მოცულობასა და შინაარსს შორის, ანალიზურ და სინთეზურ ცნებებში განსაზღვრავს ძირეულ ლოგიკურ განსხვავებას ფილოსოფიასა და მეცნიერებას შორის. ფილოსოფიის ანალიზურ ცნებაში მოცულობა და შინაარსი შებრუნებით მიმართებაშია, მაშინ როცა სინთეზურ ცნებაში მოცულობა და შინაარსი პირდაპირ მიმართებაშია. გალილეიდან ნიუტონამდე განვითარება არის შინაარსის ზრდა მის მოცულობის ზრდასთან ერთად, ნიუტონის ცნება მოძრაობაში შინაარსი და მოცულობა პირდაპირ მიმართებაშია: ძალა და სიჩქარე, სიჩქარე და მამოძრავებელი ძალა, სიჩქარე და მასა. ამგვარად, შინაარსობრივი ზრდა ზრდის მოცულობას როგორც რიცხობრივად, ისე თვისებრივად.. სინთეზური ცნება არის დედუქციური, ხოლო ანალიზური-ინდუქციური. სინთეზური ცნება დედუქციის გარეშე არ არის, მაშინ როდესაც ანალიზური ცნება კი, პოლიგონის განსაზღვრება გვერდებისაგან, შეიძლება გამოვიყენოთ ანალიზური ცნების განსაზღვრების მაგალითად, რომელიც გრძნობად გაგებას ემყარება. კანონი, მოცულობისა და შინაარსის პირდაპირი დამოკიდებულებისა, ნიშნავს მოცულობით სიმდიდრესთან ერთად შინაარსობრივ სიმდიდრეს.

ნიუტონის სისტემაში ცნება "მატერიალური სამყარო" უფრო რთულია, ვიდრე იგივე ცნება გალილეის სამყაროში. აინშტაინის სამყაროს ცნება უფრო რთულია, ვიდრე ნიუტონისა და შეიძლება მიყენებულ იქნეს უფრო მეტ სინამდვილეს, ვიდრე ნიუტონის ცნება. ჰარტმანის გაგებით, მათემატიკაში შინაარსიდან განყენება არ ხდება, პირიქით მისი წევრების რიცხვი იზრდება. იგი აქ ე. კასირერს იმოწმებს, რომელიც ამ თვალსაზრისს ავითარებს. სინთეზური ცნება წარმოიშობა სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, იბადება აქსიომებისაგან, როგორც ობობას ქსელი ობობასაგან, ისე როგორც ობობა არ არის ობობას ქსელის ნაწილი, ასევე აქსიომები არ არის სისტემის ნაწილი, ამიტომ აქსიომები არ არის სინთეზური ცნებები, არამედ ისეთი ცნებებია, რომლებიც შეიცავენ ჩანასახში მთელ სისტემას სისტემის სიმდიდრე დამოკიდებულია წარმომშობი აქსიომების ნაყოფიერებაზე. აქსიომა არც ანალიზურია და არც სინთეზური, ის არის თავისებური სახის კერძოობითი ცნება, ის არის სიმბოლური ფორმა მოვლენების დედაარსისა. თუმცა სისტემა განვითარებული და წარმოშობილია დედუქციური მსვლელობისაგან, რომელიც იწყება აქსიომებისაგან და მათზეა დაფუძნებული, მაგრამ ის მიღებულია შემეცნების სხვა ფორმისაგან, ისინი მიღებულია უშუალო ხედვისაგან, ანუ ინტუიციისაგან.

რ. ჰარტმანის ზემოთ გადმოცემული თვალსაზრისი ერთგვარ შეფასებას საჭიროებს. პირველად ყურადღება უნდა მიექცეს მის თვალსაზრისს ცნების მოცულობისა და შინაარსის დამოკიდებულებაზე, რომლითაც მას სურს ციდე-

ბული გაგება ცნების მოცულობისა და შინაარსის დამოკიდებულების შესახებ დაარღვიოს. ეს აზრი, როგორც თვითონაც აღნიშნავს, ახალი არ არის, იგი კასირერის მიერაა გამოთქმული. მის მიერ მითითება სამყაროს ცნებაზე, რომელიც ჰქონდათ არისტოტელეს, გალილეის, ნიუტონს, აინშტაინს, არღვევს თუ არა ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის ჩვეულებრივად მიღებულ გაგებას? სინამდვილის შემეცნების განვითარება იმაში მდგომარეობს, რომ მან მოვლენების ახალი რიგი უნდა აღმოაჩინოს; მათ ექნებათ ისეთი ნიშნები, რომლებიც აქამდე შეცნობილ მოვლენებს არ ჰქონდათ; ასე რომ, შემეცნების განვითარებამ ცოდნის გაფართოება გამოიწვია, როგორც შინაარსობრივად, ისე მოცულობის მიხედვით. ნიუტონის და აინშტაინის შედარება ამას დაგვანახებს; ნიუტონისათვის სამყარო დროსა და სივრცეშია, ისინი საგნებისაგან დამოუკიდებელია, მასა, ენერგია შეფარდებითი არ არის, აბსოლუტურია, აინშტაინის მიხედვით კი, სამყარო დასრულებულია, დრო და სივრცე მასშია, ამიტომ მისგანაა დამოკიდებული; დრო და სივრცე შეფარდებითია, მასა და ენერგია შეფარდებითებია, ხოლო სინათლის სიჩქარე უცვლელია, ყველაფერი მასთან შედარებით უნდა გაიზომოს. მოკლედ რომ ითქვას, ნიუტონი მათ უცვლელობას ემყარებოდა, ხოლო აინშტაინი მათი ფარდობითობიდან გამომდინარეობს. ასე რომ, აინშტაინმა ახალი ნიშანი შემოიტანა, ეს არის რელატივიზმი. ამ ნიშნით სამყარო არ იყო ნიუტონის ფიზიკაში გაგებული; ცხადია, აინშტაინმა ფიზიკის მეცნიერება განავითარა, ნიუტონის ფიზიკისაგან შორს წავიდა, საგანთა ახალი ნიშნები აღმოაჩინა; სამყაროს ნიშნებს, რომლებიც ნიუტონის მიერაა დადგენილი, ახალი ნიშანი მიუმატა. ამ ნიშნის მიმატებას მოჰყვა მისი მქონე მოვლენების მიმატება. ფიზიკური სამყაროსათვის დრო და სივრცის ფარდობითობა უცნობი იყო, ამით აინშტაინმა მეცნიერება წინ წასწია. ამ ახალმა ნიშანმა გამოიწვია მისი შესაბამისი მოვლენების მასში მოქცევა. ასე რომ, ამ ახალმა ნიშანმა, როგორც ცნების შინაარსის გამოხატულებამ, მისი მოცულობაც გააფართოვა. საგნებს შორის ფარდობითი დამოკიდებულების ნიშანი აღმოაჩინა. ცნების ნიშნების მიმატებას მოჰყვა მისი მოცულობის გაზრდა და თითქოს დაირღვა ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის ჩვეულებრივი დამოკიდებულება.

ნიუტონიდან აინშტაინამდე შემეცნების განვითარების მაგალითი არ არღვევს ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის არსებულ ჩვეულებრივ დამოკიდებულებას. აქ საქმე გვაქვს მის სხვადასხვა მოვლენასთან, რომელთა გაიგივება საფუძველს მოკლებულია. ცნების მოცულობისა და შინაარსის დამოკიდებულების საკითხი არ ეხება შემეცნების ისტორიულ განვითარებას. აქ საკითხი ეხება მოცემულ თეორიაში არსებული ცნებების დამოკიდებულებას მოცულობისა და შინაარსის მიხედვით. სამყაროს მასის ცნება, სულ ერთია, ეს იქნება ნიუტონის თეორია, თუ აინშტაინისა, განყენებაა ყოველი ცალკეული სხეულისაგან, რომელიც სამყაროშია; აქ სამყარო აღებულია საგნებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნით, ხოლო დანარჩენისაგან განყენება ისეა მოხდენილი, რომ აქ ცნების შინაარსისა და მოცულობის დამოკიდებულობის ჩვეულებრივი გაგებაა დაცული; რაც შეეხება რომელიმე მოცემულ თეორიაში

სხვადასხვაგვარი ცნებების არსებობას, მათ არ შეიძლება მოცულობისა და შინაარსის დამოკიდებულების კანონი მივუყენოთ, რადგან გვარეობითი საერთო ნიშანი არა აქვს, მაგალითად, აინშტაინის თეორიაში მასისა და სიჩქარის ცნებების დამოკიდებულება სხვადასხვა გვარის ცნებების დამოკიდებულებაა. გვარსახეობითი ცნებები უუნარონია, ერთმანეთის ამხსნელები იყვნენ, ხოლო სხვადასხვა გვარის ცნებები კი ასეთი მნიშვნელობის მქონენია; აინშტაინის ფიზიკაში, რაც უფრო უახლოვდება სხეულის სიჩქარე სინათლის სიჩქარეს, მით უფრო მისი მასა მატულობს. როგორც ჩანს; ჰარტმანმა ერთმანეთში აურია მეცნიერების განვითარება, რაც, ცხადია, ახალი ნიშნის შემოტანას გულისხმობს და ახალ საგანთა სიმრავლეს მოიცავს უწინდელთან შედარებით, ერთგვაროვანი ცნებების დამოკიდებულებასთან და ამ მცდარ საფუძველზე მიიღო ის, რომ დაირღვა ცნების მოცულობისა და შინაარსის ჩვეულებრივი დამოკიდებულება.

სრულიად დაუსაბუთებელი აზრი აქვს ჰარტმანს აქსიომების შესახებ. მისი აზრით, აქსიომა არც ანალიზურია, არც სინთეზური, ის სისტემის ნაწილი არ არის, როგორც ობობა მისი ქსელის ნაწილი არ არის, იმიტომ რომ უშუალო ხედვითაა მიღებული; აქსიომა უშუალო ხედვითაა მიღებული თუ სხვა გზით, საბოლოოდ ის ხომ მსჯელობით უნდა გამოითქვას, მასში უნდა ჩამოიქნას და რატომ არ უნდა იყოს ანალიზური, ან სინთეზური.

აქსიომების საფუძველზე თეორია აიგება, ანუ აქსიომებისაგან თეორია ლოგიკურად გამომდინარეობს, ისინი გარკვეული თეორიის აგების შესაძლებლობას ატარებენ, ისინი ამ თეორიისადმი გულგრილნი არ არიან და როგორაა შესაძლებელი, რომ მათი დამოკიდებულება თეორიასთან შევადაროთ ობობას ქსელის დამოკიდებულებას ობობასთან. ქსელიდან შეიძლება ობობას განთავისუფლება და ქსელის მისგან დამოუკიდებლად დატოვება, მაგრამ აქსიომებისაგან სისტემის გამოყოფით სისტემა, თეორია არ დარჩება, რადგან ის მათზეა დაფუძნებული. ცნობილია, რომ ევკლიდეს გეომეტრიის მეხუთე პოსტულატის საწინააღმდეგოთი შეცვლით ახალი გეომეტრიული თეორიებია მიღებული, როგორიცაა ლობაჩევსკისა და რიმანის: ეს ამბავი იმის მაჩვენებელია,რომ თეორიასა და აქსიომებს შორის ასეთი გარეგნული დამოკიდებულება არ არსებობს. შემცდარია ის აზრი, თითქოს თუ აქსიომა ხედვითაა მიღებული, ამიტომ ის ლოგიკურობისაგან თავისუფალია. აქსიომები უნდა შემოწმდეს როგორც აქსიომები, ანუ უნდა გაირკვეს ის, რაც აქსიომად არის აღიარებული, აკმაყოფილებს თუ არა აქსიომის მოთხოვნას, ეს კი ლოგიკურ მტკიცებას საჭიროებს, ამის გარეშე აქსიომის მიღება რაღაც უბრალო, რომელიც მეცნიერულობის მქონე არ არის. ჰარტმანისათვის, რაც აქამდე ითქვა ცნებებზე და აქსიომებზე, იმისათვისაა საჭირო, რომ ეს მიუყენოს უშუალოდ ღირებულების მოვლენების, კერძოდ, ეთიკური საკითხის შესწავლას.

ღირებულების თეორია დღემდე წინა მეცნიერულ საფეხურზეა, ღირებულების თეორიაში გამოყენებულია კატეგორიები, რომლებიც თავიანთი ზოგადობის გამო შინაარსით ცარიელებია, კატეგორიები შეიძლება ფილოსოფიაში იქნეს გამოყენებული და არა მეცნიერებაში, აქ გამოყენებული უნდა იქნეს

არა კატეგორიები, არამედ აქსიომები. მათემატიკაში და ფიზიკაშია აქსიომები, რომლებიც გონების შექმნილია და სინთეზურია. მათ არა აქვთ რეალი კავშირი რეალობასთან, არამედ აქვთ არსებითი შესაბამისობა. ისინი იცავენ თავ არსებას და მათი მნიშვნელობა მათ გამოყენებაში მდგომარეობს. გაურკვეველი და ზოგადია ფილოსოფიის ცნებები, ისინი ანალიზურია, ისინი განყენების გზითაა მიღებული და არ არიან სინამდვილესთან არსებით შესაბამისობაში.

კატეგორიები გამოხატავენ გრძნობად თვისებებს, მაშინ როდესაც სინთეზური ცნება წარმოიშობა აზროვნებისაგან და საგნის არსებით არის გამსჭვალული. ანალიზური ცნება მოიცავს იმას, რაც არის მოვლენების ზედაპირზე. გრძნობადი თვისებები მისაწვდომია ყველასათვის შესამოწმებლად, თუ ეს ასეა და ღირებულების თვისებები ზეგრძნობადი, ზებუნებრივი თვისებებია, მაშინ ცხადია, რომ ისინი შეუძლებელია ანალიზური ცნებებით გამოიხატოს, რომელთაც აკლიათ შესაბამისობა მის არსებასთან. ერთადერთი ცნება, რომელიც საშუალებას გვაძლევს ღირებულების სინამდვილის გათვალისწინებისა, არის სინთეზური ცნება. მაშინ როდესაც ანალიზური ცნება არის სხვადასხვანაირი ორივესთან, ფაქტთან და ღირებულების სინამდვილესთან, სინთეზური ცნება არის ერთგვაროვანი ფაქტთან და ღირებულების სინამდვილესთან. ასე რომ, ღირებულების ცნება უნდა გარდაიქმნას ანალიზურიდან სინთეზურად. ღირებულება, როგორც ანალიზური, როგორც ფილოსოფიური, ცდი-ეული გამოყენების გზითაა მიღებული. ის, როგორც სინთეზური ცნება, არის ფორმალური ქმნილება და მისი მნიშვნელობა მით უფრო ზუსტია, რაც უფრო ზოგადია მისი აგებულება. ასე რომ, ფილოსოფიის კატეგორიებიდან გადასვლა ხდება მეცნიერების აქსიომებისაკენ, ფილოსოფოსი, რომელმაც შექმნა ფორმალური ნაგებობა მომავალი ეთიკისათვის, არის მური. მის მიერ შექმნილი ნაგებობა ღირებულებისა შემდეგია: საგნის ღირებულება არა აღწერითი თვისებაა, რომელიც დამოკიდებულია საგნის აღწერითი თვისებისაგან. ეს შეიძლება არ იყოს საკმაოდ ზუსტი, რათა ის ღირებულების მეცნიერების აქსიომად ვარგოდეს, ამიტომ საჭიროა დამატება. გალილეის მოძრაობის ცნება შეცვალა, ლავუაზიეს ელემენტის, ნიუტონის ძალის, ასევე მური სცვლის ანალიზურ ცნებას "კარგს", "მას ანალიზური ცნებიდან აქცევს სინთეზურად", სიამოვნება, კმაყოფილება და სხვა, როგორც არააღწერითი თვისებები, აღწერითი თვისებებისაგანაა დამოკიდებული. ძველი ეთიკა არის ფილოსოფია, ახალი ეთიკა არის მეცნიერება, ძველი ეთიკა არის კატეგორიული, ახალი არის აქსიომური. ძველი არის არსობრივი, ახალი ქმედითი. პირველი არის განყენებული, მეორე ქმნადობითი, პირველი მატერიალურია, მეორე ფორმალური, პირველი გულუბრყვილოა, მეორე კრიტიკული. პირველი პრედიკატულია, მეორე მიმართებითი. პირველი გულისხმობს შემთხვევითობას, მეორე კი ზუსტ გამომდინარეობას. პირველი არის ზოგადი მტკიცების გროვა, მეორე არის მეთოდი, რომლითაც ადამიანის გონივრული ცხოვრება წარიმართება.

მეცნიერული ეთიკა უფრო ძნელია, ვიდრე ფილოსოფიური, პირველი ადამიანისაგან მოითხოვს დიდ გონებრივ მოქმედებას. ჰარტმანის აზრით, კატეგო-

რიალური და აქსიომური შემეცნება განსხვავებულია, ამიტომ ფილოსოფია და შემეცნებაც განსხვავებულია. ფილოსოფიური შემეცნების იარაღი კატეგორიაა, მეცნიერების შემეცნების იარაღი კი აქსიომაა. ჰარტმანი მართალია იმაში, რომ ფილოსოფია აქსიომური არ არის, მაგრამ აქედან მას გამოჰყავს დასკვნა: რაკი ფილოსოფია აქსიომური არ არის, მაშ., ის არც მეცნიერულია. ცოცხალი მეცნიერების მრავალი დარგია, რომელიც აქსიომური არ არის, მაგალითად, ბიოლოგია თავისი მრავალფეროვნებით აქსიომური არ არის, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ის მეცნიერება არ არის, საფუძველსმოკლებულია. ბიოლოგია თავისი დასაწყისიდან დღემდე ხრავალი ცოდნის მომცემია, რომლითაც ადამიანის გონება ბიოსფეროშია შეჭრილი და მრავალი საიდუმლოს გამომჟღავნებელია; თუნდაც რომ მისი აქსიომურობა მოხდეს, ეს მისი განვითარების ერთ საფეხურზე იქნება შესაძლებელი, რომელიც ცოდნის განვითარების ახალ საფეხურზე აღარ გამოდგება და ძალას კარგავს, მისი ძალის დაკარგვა შემეცნების განვითარებამ გამოიწვია, ანუ ახალი კანონზომიერების შემეცნებამ, რომელიც ძველ აქსიომებში ვერ თავსდება. ამ ახალი არეს შემეცნება აქსიომით კი არა, არამედ კატეგორიით მოხდება; ასე რომ, აქსიომური შემეცნება კატეგორიალური შემეცნების ფორმალიზაციაა, ამიტომ კატეგორიალური და აქსიომური შემეცნების ასეთი დაპირისპირება, რასაც ჰარტმანი ახდენს, დაუსაბუთებელია; აქსიომურ შემეცნებას კატეგორიალური შემეცნება უსწრებს. კითხვაზე პასუხი, თუ რა არის ეს საგანი, რა არის მისი არსება, მხოლოდ კატეგორიალური შემეცნებით უნდა მოხდეს. ჰარტმანი ღირებულების თეორიის აქსიომობას სურვობს და თუ ღირებულება რა არის, რით განსხვავდება ის საგნისაგან, რა არის სიკეთე, რა არის ბოროტება, რა არის ადამიანი, რომელიც სიკეთის თუ ბოროტების მატარებელია, მხოლოდ კატეგორიალური შემეცნებით დგინდება, ასე რომ, ყველაზე არსებით და მნიშვნელოვანი, რაც საგანში უნდა შევიტანოთ, მხოლოდ კატეგორიით არის შესაძლებელი.

ჰარტმანის აზრით, კატეგორია მეცნიერული შემეცნების იარაღად იმიტომ არ ვარგა, რომ ის ანალიზურია, შემეცნების იარაღად მხოლოდ აქსიომაა ვარგისი, მისი ეს თვალსაზრისი სწორედ არ უნდა ჩაითვალოს, რადგან განყენებული კატეგორია არავითარ შემეცნებას არ წარმოადგენს. შემეცნება მხოლოდ მსჯელობის სახით ხორციელდება. იმისათვის, რომ რომელიმე კატეგორია შემეცნებად იქცეს, ის მსჯელობის შემადგენლად უნდა იქცეს. მაგალითად, დრო, როგორც კატეგორია, შემეცნებაა, როცა ითქმება, დრო საგანთა მოძრაობის და ცვალებადობის საზომია. "ანდა დრო ის კალაპოტია, რაშიც მოვლენების მოძრაობა და ცვალებადობა მიმდინარეობს". ამიტომ ანალიზურობა-სინთეზურობა მსჯელობას ეხება, რაც იმაზე მიუთითებს, თუ როგორ მიმართებაში არიან მსჯელობის ნაწილები ერთმანეთთან. ამ შემთხვევაში კი ყველაზე გასაგები ახსნა იქნება შემდეგი. როგორც ანალიზური, ისე სინთეზური ერთი ბუნებისაა. ამ აზრით, რომ იქ ასახსნელის და ამხსნელი ცნებების დამოკიდებულებაა. მაშასადამე, კატეგორია შემეცნებაა; როცა ის მსჯელობის ნაწილი ხდება, მისი ანალიზურ-სინთეზურობაც იქ არსებობს. ჰარტ-

მანი არკვევს ლოგიკის ადგილს ფილოსოფიური ეთიკის მეცნიერულ ეთიკად გარდაქმნის საქმეში. ლოგიკას თავისებური მიმართება აქვს ფილოსოფიასთან; ერთი მხრივ, ის არის მეცნიერება, ხოლო; მეორე მხრივ, ფილოსოფია, რომელიც იხილავს ზოგად და დანწყენებულ ცნებებს. შეიძლება რაიმე განსაზღვრული ვთქვათ "ვაშლზე", "ხილზე", მაგრამ რა შეგვიძლია ვთქვათ "საგანზე" საერთოდ, "არსებობაზე" საერთოდ. ეს ცნებები მიმართულია ყველაზე და ეს იმას ნიშნავს, რომ ეს არის არაფერი. მაშასადამე, მეტად ზოგადი ცნებები, როგორიცაა "არსებობა", "კარგი", "ლამაზი" ფილოსოფიის საგანია, ამიტომ ამ საქმეში "ფილოსოფიაშ არაფერი იცის "ყველაზე". ჰეგელმა უზოგადესი ცნება არსებობა გააიგივა არარაობასთან, ასე რომ, ჰარტმანის აზრით, რაკი ფილოსოფია ეხება უზოგადესს, ამიტომ არსებულზე არაფერს არ ამბობს. მეცნიერება არ ეხება მთელ არსებას, ის განსაკუთრებულ არსებობას ეხება. ეს ეხება არა ვაშლს საერთოდ, არამედ განსაკუთრებულ ვაშლს, ერთეულ ვაშლს. მეცნიერება განიხილავს მეტად ზოგად ცნებებს, როგორიცაა "მოძრაობა", "მატერია". ცნებები, რომელთაც ფილოსოფიაში მნიშვნელობა აქვთ დაკარგული, აქ მნიშვნელობებს იძენენ. თუ ფილოსოფიაში განზოგადოებასთან ერთად მნიშვნელობას კარგავენ, აქ მეცნიერებაში განზოგადოებასთან ერთად მნიშვნელობას იძენენ. მეცნიერება იხილავს ზოგად ცნებებს, როგორც ფილოსოფია, მაგრამ ლოგიკის დახმარებით მნიშვნელობა არ სუსტდება. ეს მეთოდი პირველად გალილეიმ იხმარა. ზოგადი ცნება ფილოსოფიაში მოხმარებული არის შედარებით გაურკვეველად, მაშინ, როდესაც მეცნიერებაში ის არის ზუსტად გარკვეული. სოციოლოგიაში არსებული ცნებები "ჯგუფი", "კლასი", ანთროპოლოგიაში "ადამიანი", "რასა", პოლიტიკურ მეცნიერებაში "სახელმწიფო", "დემოკრატია", "იდეოლოგია", მეტაფიზიკაში "არსებობა", ეთიკაში "კარგი", ესთეტიკაში "ლამაზი", ყველა ამას უნდა მიეცეს ზუსტი მნიშვნელობა, ისეთი, როგორიც ბუნების მეცნიერებაში აქვს ცნებებს. ბუნების ფილოსოფიის გარდაქმნა ბუნებისმეცნიერებად ემყარება ექსტენსიონალური ლოგიკის არსებობას. მორალის ფილოსოფიის მორალის მეცნიერებად არარსებობა განსაზღვრულია ინტენსიონალური ლოგიკის არარსებობით, ამიტომ ინტენსიონალური ლოგიკა უნდა შეიქმნეს.

ცნების ცნება განსაზღვრულია მოცულობის თვალსაზრისით და არა შინაარსის მიხედვით, კერძოდ, გამოკვლეულია, როგორ უნდა მივუყენოთ ცნება საგანთა კლასს, მაგრამ არ არის გამოკვლეული, თვითონ ცნება რას ნიშნავს. ცნების მოცულობა არის ცნების კლასი, ხოლო ცნების შინაარსი არის თვისებების რიგი, ცნების მოცულობითი დახასიათება მოცემულია თანამედროვე ლოგიკაში. ჰარტმანის ეს აზრი მცდარია, რადგან საგნის მოცულობით დახასიათებას წინ უსწრებს მისი შინაარსობრივი დახასიათება, შინაარსი განსაზღვრავს მოცულობას და არა პირიქით. ჰარტმანის აზრით, მოცულობითი ლოგიკა ისე ნაკლებად არის გამოყენებული მორალის ფილოსოფიაში, როგორც სქოლასტიკური ლოგიკა ბუნების ფილოსოფიაში. ჰარტმანი მორალის მეცნიერების დაფუძნებისათვის შინაარსობრივი ლოგიკის დაფუძნებას საჭიროებს. მაგალითად, თუ მოცემულია $n_j$ როგორც საგნის პრედიკატების ჯამი, რომელიც

მის მოცულობას განსაზღვრავს, არის კარგი, ხოლო თუ პრედიკატები n-ზე ნაკლებია, საგანში ის არის არა კარგი. თუ მოცემულია სკამი, რომელსაც აქვს საჯდომი და ზურგი, მაშინ ის არის კარგი სკამი. ხოლო რომელსაც ამ ნიშნებიდან რომელიმე აკლია, არის ცუდი სკამი. ასე რომ, ღირებულების განსაზღვრება შინაარსობრივად მსგავსია რიცხვის ლოგიკური განსაზღვრების და, პირიქით, რიცხვის განსაზღვრება მოცულობით მსგავსია ღირებულების განსაზღვრებისა. სწორედ ისე, როგორც რიცხვი განსაზღვრულია შინაარსიდან მსგავსებით. ღირებულება არის ცვლადი, რომლის ეთიკური ღირებულება არის აქსიოლოგიური ღირებულება. ღირებულებასა და რიცხვს შორის მსგავსება ჩანს მურის და რასელის ფილოსოფიაში. მურისათვის ნატურალისტური შეცდომაა გვარობითი ღირებულების აღრევა განსაკუთრებულ ღირებულებასთან, ისევე სხვადასხვა განსაკუთრებული ღირებულებების ერთმანეთთან აღრევა, როგორიცაა ბუნებრივის მეტაფიზიკურთან, ფსიქოლოგიურის მორალურთან. ასეთი აღრევა დამახასიათებელია კატეგორიების ბუნებისათვის, ვიდრე აქსიომური აზროვნებისათვის. ჰარტმანს მურის აზრი მოჰყავს ღირებულების განსაზღვრების შესახებ: იმისათვის, რომ ღირებულება, როგორც სიამოვნება, განვსაზღვროთ, ამისათვის ჯერ ღირებულება უნდა განვსაზღვროთ. სიამოვნება არის კარგი, აქ ჯერ კარგი უნდა განისაზღვროს; რაც რასელმა და მურმა თქვა რიცხვის და ღირებულების შესახებ, ის შეიძლება ითქვას, საერთოდ, გვარის და სახის ცნებების ურთიერთობაზე. განსაზღვრება უნდა იყოს სინთეზური და არაანალიზური, ის უნდა იყოს არა პრედიკატების საშუალებით, არამედ ლოგიკური მიმართებით. ის არის უფრო აგება, ვიდრე დასკვნა. განსაზღვრება უნდა იყოს ფორმალური აქსიოლოგიის მოთხოვნით შეპირობებული. ფორმალური აქსიოლოგია სრულდება ინტენსიონობის მიხედვით, ისე როგორც მათემატიკური სრულდება ექსტენსიონობის მიხედვით, ის, რაც არის მათემატიკა ბუნების ფილოსოფიისათვის, ის არის ფორმალური აქსიოლოგია მორალის ფილოსოფიისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ მორალის ფილოსოფიის ანალიზური ცნება შეიძლება გარდაიქმნეს სინთეზურ ცნებად აქსიოლოგიური მიმართებით, ისევე როგორც ანალიზური ცნება ბუნების ფილოსოფიისა მათემატიკის საშუალებით სინთეზურ ცნებად გადაიქმნება.

პოზიტივისტებმა, რაკი ამისი შეუძლებლობა დაინახეს, ღირებულების მეცნიერება შეუძლებლად სცნეს. პოზიტივისტებს არა სწამთ მორალის ფილოსოფია; ხოლო მეცნიერება შეუძლებლად მიაჩნიათ იმიტომ, რომ ისინი არ სცნობენ ინტენსიონობის ლოგიკის არსებობას. ჰარტმანი მათ ეთანხმება მორალის ფილოსოფიის უარყოფაში. მაგრამ ის მათ არ ეთანხმება მორალის მეცნიერების უარყოფაში, პოზიტივისტი სცნობს მხოლოდ მოცულობით ლოგიკას და რაკი ხედავს, რომ მასში არ ეტევა მეტაფიზიკა, ეთიკა, ესთეტიკა აქედან გამომდინარე ასკვნის, რომ, მაშასადამე, ეს დარგები არ არის ლოგიკური და ისინია უაზრო. ასე რომ, პოზიტივისტის აზრით, მორალის ფილოსოფია არ არსებობს. ჰარტმანი იმ აზრს ემხრობა, რომ თუ პოზიტივისტი მორალის ფილოსოფიას უარყოფს, შინაარსობრივი ლოგიკის არარსებობის გამო, მისი აზრით, მისი არსებობა შეიძლება ახალი ლოგიკის აგების საფუძველზე. ჰარტმანი

ახალი ლოგიკის აგებას მოითხოვს, მასზე დაფუძნებით უნდა აშენდეს ღირებულების აქსიომური თეორია. ეს ლოგიკა შინაარსობრივი უნდა იყოს, რომელიც მოცულობითი ლოგიკისაგან განსხვავებულია.

საქმე ისაა, რომ ასეთი ლოგიკა, რომელიც შინაარსობრივი იქნება და არამოცულობითი არ არის, ლოგიკა, რომელიც დღემდე არის, შინაარსისა და მოცულობის ერთიანობას გამოხატავს, ისე შინაარსობრივ მხარეს მოცულობის გარეშე აზრი არა აქვს; საგანი ნიშანთა ერთობაა, რომელიც ცნებაში გამოიხატება, ხოლო მას მისი საგანთა კლასი შეესაბამება და ამის საფუძველზე ხდება ნიშნებზე გამოთქმული აზრის გავრცელება მის შესაბამის საგანზე, უმოცულობო ცნების აღიარება ნიშნავს უსაგნო ცნების აღიარებას, რაც შეუძლებელია.

ჰარტმანის აზრი, თითქოს ის მორალის ფილოსოფიას კი არ უარყოფს, არამედ მას იგი მეცნიერულ სახეს აძლევს, ხოლო ეს ახალი ლოგიკის საშუალებით ხორციელდება, დასაბუთებული არ არის. ჰარტმანიც გულისხმობს, რომ მათემატიკამ ბუნების ფილოსოფია მეცნიერებად აქცია, ე.ი. ბუნების ფილოსოფიის საგანი იგივე დარჩა, მხოლოდ მას მეცნიერული სახე მიეცა, ასევე მორალის ფილოსოფიას მეცნიერული სახე მიეცემა ახალი შინაარსობრივი ლოგიკის საშუალებით. არისტოტელეს ფიზიკა რომ განვითარებას საჭიროებდა, ეს მეცნიერების განვითარებამ დაადასტურა, გალილეის და ნიუტონის მიერ მართლაც ბუნებათმეცნიერება ზუსტი ცოდნის დარგად იქცა, მაგრამ აქ იბადება კითხვა, განა ამ განვითარებამ ბუნების ფილოსოფია აქცია ზუსტ მეცნიერებად, თუ ბუნების ფილოსოფიას გამოეყო ბუნებათმეცნიერება და მის განვითარებას ბუნების ფილოსოფია ხელუხლებელი დაუტოვებია და დღესაც ბუნების მეცნიერების გვერდით ბუნების ფილოსოფია არსებობას განაგრძობს.

გალილეისა და ნიუტონის ფიზიკამ ბუნების მოვლენები ახსნა, მათ დაადგინეს ფიზიკური სხეულების მოძრაობის კანონები, რაც ნათლადაა ჩამოქნილი ნიუტონის მიერ დადგენილ კანონებში, მის მერე 18-19 საუკუნეებში განვითარდა ბიოლოგია, როგორც ცოდნის ისეთი დარგი, რომელიც ფიზიკის მეცნიერებაზე არ დაიყვანება, რომელიც ცოცხალი ბუნების არსებობის კანონზომიერებას სწავლობს, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია ლამარკის, დარვინის, მენდელის მიერ შექმნილ მოძღვრებებში და მაინც ამ მეცნიერების განვითარებამ თავის გვერდით ჯერ კიდევ შესაძლებელი გახადა ბუნების ფილოსოფიის არსებობა, ის არც ფიზიკას და არც ბიოლოგიას არ შეუცვლია. მაშასადამე, საქმე გვაქვს არა ფილოსოფიის მეცნიერებად გარდაქმნასთან, არამედ ბუნების ფილოსოფიის გვერდით ბუნების მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმოშობასთან. ბუნების ფილოსოფია არის მთელი არსებული ბუნების იმ უზოგადესი კანონზომიერების ცოდნა, რომლის კერძო გამოვლენებსაც ბუნების ცალკეული მეცნიერების კანონები წარმოადგენენ. ბუნების ფილოსოფიის საგანია ბუნება მის მთლიანობაში, ანუ ის სწავლობს იმ ერთ საფუძველს, რომლის მრავალფეროვნებასაც ხილული ბუნება წარმოადგენს, ბუნების ცალკეულ მოვლენებს კერძო კანონები აქვთ. ბუნება მაინც არსებობს მთლიანობაში და ამიტომ მას, როგორც მთელს, ცალკეულ კანონთა

მთლიანობაში მომყვანი კანონები აქვს.

მთელი სინამდვილე "მოძრაობაშია, არაფერი არ არის უძრავი. მოძრაობა, როგორც მთელი სინამდვილის დამახასიათებელი და მისი თვისება", არც ერთი ცალკეული მეცნიერების არეში არ თავსდება, ის არის მთელ არსებულზე გამოთქმული მსჯელობა, ეს არის ფილოსოფიური მსჯელობა. ეს მოძრაობა სხვადასხვანაირად ვლინდება ფიზიკურში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, სოციალურში, ფსიქიკურში. მოძრაობის ეს ზოგადი ნიშანი ყველა მათთვისაა დამახასიათებელი და ის ამ მხრივ მათ მთლიანობაში მოყვანილია, მთელი სინამდვილე, როგორც ასეთი, მოცემული არა გვაქვს, ამიტომ მასზე მსჯელობა თითქოს შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ ის მოცემული გვაქვს არა სრულად, არამედ შემეცნების დონის მიხედვით, ე.ი. სინამდვილე მის მრავალფეროვნებაში შეიცნობა და ნახული იქნება ის ზოგადი, რაც ამ მრავალფეროვნების განმსაზღვრელია. რამდენიც უნდა ეცადოს ადამიანი, რომ განთავისუფლდეს ასეთი უზოგადესი საკითხებისაგან, ისინი უფრო მეტი სიძლიერით დაისმებიან, თუმცა მის სრულ გადაჭრას ვერასოდეს ვერ მიაღწევს, მაგრამ ის ახალ-ახალ მიდგომას შეიმუშავებს, რომელიც მის მეცნიერულ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ადამიანის წინაშე საკითხი ისმება: შეიძლება თუ არა სინამდვილე არ იყოს საერთოდ, აქვს თუ არა რაიმე აზრი საკითხის ამგვარ დასმას და პასუხი შეიძლება თუ არა გაიცეს. რაც ითქმის სინამდვილის ცალკეულ საგანზე, რომელიც შეიძლება არ იყოს იგივე, შეიძლება თუ არა გავავრცელოთ მთელ სინამდვილეზე, ასეთი საკითხები სავსებით კანონიერია, რომელიც ადამიანის აზროვნებას აწუხებს. თუ ვიტყვით, რომ ადამიანის წინაშე ასეთი საკითხები არ ისმება, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის აზროვნება ისეა შეზღუდული, რომ საკითხების რაღაც არემდე მისვლა არ ძალუძს. ცხადია, ასეთ საკითხებზე პასუხი აქსიომურად არ დადგინდება, მაგრამ რადგანაც ასეთი პასუხები ადამიანის აზროვნების შინაგანი მოთხოვნილებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მის აზროვნებას უფრო მეტის შემეცნება სწადია, ვიდრე ცოდნის აქსიომური დაფუძნებაა.

ჰარტმანი პოზიტივისტებს უპირისპირებს, რომლებიც ბუნების ფილოსოფიასთან ერთად მორალის ფილოსოფიასაც უარყოფენ, ისინი უარყოფენ ყოველ მეცნიერულ ჩვევას, . საკუთრივ ემპირიზმის საფუძვლებსაც უარყოფენ, რაზედაც ისინი უნდა იდგნენ. ყოველი მეცნიერი ცდილობს მოვლენების შიგნით შეიჭრას და უწესრიგობიდან წესრიგი შექმნას; თუ პოზიტივისტს სურს ღირებულების ცოდნა, მან უნდა ნახოს მათი კანონები, მაგრამ ემპირისტები ამის მაგიერ იწყებენ სიტყვების თამაშს. ისე როგორც ბუნების ფილოსოფოსმა ბუნების კანონები უნდა გამოიყვანოს ბუნებაზე დაკვირვებიდან, ასევე მორალის ფილოსოფოსმა ამის კანონები უნდა გამოიყვანოს მასზე დაკვირვებიდან და არა ეთიკის წიგნებიდან.

ჰარტმანის აზრით, ბუნების მეცნიერება ზოგადობითაა განსაზღვრული; როცა ბუნების ფილოსოფია გარდაიქმნა ბუნების მეცნიერებად, მას ზოგადობა, რომელიც ბუნების ფილოსოფიას ჰქონდა, არ შეუზღუდავს. ფიზიკა იხილავს სივრცის დროის და მატერიის მეტად ზოგად საკითხებს. განსხვავება იმაშია,

რომ მეცნიერება მათ გამოკვლევას სიზუსტით ახდენს, ვიდრე ფილოსოფია.ასე
რომ, ჰარტმანის მიხედვით, ბუნების ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების
საგნები ერთი და იგივეა. მათი განსხვავება იმაშია, რომ მათ სხვადასხ-
ვა მეთოდი აქვთ. იმის ნიმუში, რომ მეცნიერება იკვლევს ზოგადს და ამავე
დროს მას ზუსტად იკვლევს, არის მათემატიკა და ლოგიკა. აქსიოლოგიით, ინ-
ტენსიონალური ლოგიკით, სიზუსტით უნდა ვიაზროვნოთ ეთიკასა, ესთეტიკასა,
მეტაფიზიკასა და მეცნიერების თეორიაში. ისე, როგორც ექსტენსიონალური ლო-
გიკა სიზუსტეს ახორციელებს ფიზიკაში, ქიმიაში, ასტრონომიაში, მანამ სა-
ნამ ამ სიზუსტეს განვახორციელებდეთ, ამ მეცნიერებებში საჭიროა საკითხი
დავსვათ, რას ნიშნავს სიზუსტე ეთიკაში? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ,
თუ გავიგებთ ძირეულ განსხვავებას ფილოსოფიურ და მეცნიერულ ეთიკას შო-
რის.

ძველი ეთიკა ლაპარაკობდა მხოლოდ ცნებებზე "ნორმაზე", "ღირებულებაზე",
"მოვალეობაზე", მეცნიერულმა ეთიკამ ეს ცნებები განიხილა, მათი მნიშვ-
ნელობა განსაზღვრა და მათ შორის ფორმალური მიმართება დაადგინა, შექმნა
ფორმალურ მიმართებათა მთელი ქსელი. სისტემატური, ანუ მეცნიერული ეთიკა
არის ფორმალური დარგი, რომელიც ცნებებს განიხილავს, რომლებსაც ეთიკი-
სათვის მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ ეს არის ეთიკის შესავალი. ის არის
არა ეთიკა, არამედ მისი შესაძლებლობის ჩვენება. ის არის მეტაეთიკა და
ეთიკას იხილავს როგორც თავის საგანს. სწორედ ისევე, როგორც ეთიკას,თა-
ვის საგნად აქვს ადამიანის ქცევები, სისტემატიკური, ანუ მეცნიერული
ეთიკა სწავლობს ადამიანის ქცევებს და მათ შემეცნებას ხდის უფრო ზუსტს.
ეთიკის სიზუსტე წორციელდება სინთეზური ფორმულებით, ამიტომ სისტემური
ეთიკა არის უფრო ეთიკის უმაღლესი დონე, ის არის მეტაეთიკა. ეს არის
უფრო ექსტენსიური და ამასთან ერთად უფრო ინტენსიური, ამიტომ უფრო ზუს-
ტი, ვიდრე ეთიკაა. ის გამოდგება მთელი ეთიკური ფილოსოფიისათვის და არის
განხილვისა და ურთიერთმიმართების შესანიშნავი იარაღი; სისტემატიკური,
ანუ მეცნიერული ეთიკა არის იგივე მეტაეთიკა. ავტორი ახსენებს არისტო-
ტელეს და გალილეის, პირველი ბუნებას იყენებდა ლოგიკის ახსნისათვის,ხო-
ლო მეორე ლოგიკას იყენებდა ბუნების ახსნისათვის.

ჰარტმანი ფილოსოფიისა და მეცნიერების განსხვავებისათვის განიხილა-
ვს ფილოსოფიური და მეცნიერული სინამდვილის საკითხს. ავტორის აზრით,ფი-
ლოსოფიური და ყოველდღიური აზროვნება ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.
ორგანვე ცნებები კავშირდება ასოციაციის საშუალებით, ცნებების მთელი
ჯაჭვი გამოხატავს სამყაროს ისე, როგორც ის არის ჩვენთვის; ანალიზური
ცნებისათვის განწყენება არის სინამდვილიდან გამოყოფა, რომელიც ისევ მას
მიუდგება; ფილოსოფიური აზროვნება დაფუძნებულია გრძნობად ინტუიციაზე
და მისი განსხვავება ყოველდღიური აზროვნებისაგან ის არის, რომ უკანას-
კნელი საგანს აღწერს კონკრეტულად, მაშინ, როცა ფილოსოფია მას განწყენე-
ბულად ახდენს. ორივეს აქვს ბუნებრივი მიმართება სამყაროსთან, ანალიზუ-
რი აზროვნება არის სამყაროზე გააზრება, მაგრამ ის არის ბუნებრივი და
შეცდომაში შემყვანი.

მეცნიერება უფრო ფორმალურ მიმართებათა ქსელია, ვიდრე თანამიმდევ-რული მტკიცება. მიმართება არ არის გრძნობის საგანი. საკმარისი არ არის სამყაროს ცოდნა და მისი გონებაში აღდგენა, საჭიროა ის, რომ სამყარო ვიაზროთ ფორმალურად და სისტემატურად; ამისათვის კი საჭიროა ვფლობდეთ ამ სისტემის ნიშნებს. მეცნიერული საბუთი მიმართულია გონებისაკენ და არა გრძნობისაკენ, ის მოითხოვს თავისში მიმართების ძებნას. საგნებს და თვისებებს სიმბოლოები მოჰყავს კავშირში და მიმართებაში. ნიმუში (მო-დელი) არ გამოხატავს სამყაროს, არც სამყარო არეკლავს მას. ის აწესრი-გებს სამყაროს და სამყარო მეცნიერების საგანია, რამდენადაც ის ამ წე-სრიგს ემორჩილება. მეცნიერული მოდელი გამოყოფილი არ არის სამყაროდან, არამედ ის მეცნიერის მიერაა შექმნილი. მას შემდეგ, რაც ის მიელენების გულში შეიჭრება. მეცნიერება არ ლაპარაკობს საგნებზე და მათ თვისებებ-ზე, არამედ მათ ფორმალურ მიმართებებზე. ისე როგორც ფუტკარი ქმნის ფი-ჭვს, მას მერე, რაც ის გაიჟღინთება მისი არსებით. უფრო ძნელია მეცნიე-რების მიყენება სამყაროსადმი, ვიდრე მისი გაგება ყოველდღიური ან ფილო-სოფიური ცნებებით. ინჟინერის ხელოვნება არა მხოლოდ მათემატიკური ფორ-მულების ცოდნაა, არამედ იმ ვითარების ნახვა, ანუ იმ მიმართების ნახვა, რომელიც ამ მათემატიკურ ფორმულას შეესაბამება. ამ შესაბამისობის ნახვა ჭეშმარიტი ხელოვნებაა. ყოველდღიური აზროვნება საგანზე უშუალოდაა მიმა-რთული, ფილოსოფიური აზროვნება საგანზე მიმართულია გაშუალებულად. ფილო-სოფიური აზრი უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ყოველდღიური და მეცნიერული აზრი. ფილოსოფიაში გაგება მოჩვენებითია, აქ არის არა გაგება, არამედ მიხვე-დრა, თუ სამყაროს გაგება გვინდა, ან ფილოსოფია უნდა გავაუქმოთ,როგორც ამას პოზიტივისტები აკეთებენ,ანდა ის მეცნიერებად უნდა გარდავქმნათ. მეცნიერულ აზროვნებას მიმართება არა აქვს გრძნობად სამყაროზე-პირდაპირ თუ არაპირდაპირ. ეს არის გამოყენება, ხოლო მიმართება არ არის. სინამდ-ვილე, რაზეც მეცნიერებაა გამოყენებული, განსხვავდება იმისაგან, რაზეც ფილოსოფიაა მიმართული. ის, რაზეც მეცნიერებაა მიმართული მეცნიერების ნაწილი, მისი პრაქტიკული ნაწილია. ეს არის ყველა მატერიალურ დაკვირვე-ბათა სავსეობა, რომელიც გამოყენებით მეცნიერებას წარმოადგენს, ეს არ-ის ურთიერთმიმართებათა სამყარო, რომელიც შექმნილია მეცნიერების მიერ და არარეალობისაგანაა გამოყოფილი. მეცნიერება ხმარობს სამყაროს ელე-მენტებს მისი საკუთარი კანონის მიხედვით, ჩვენი გარემო მეცნიერული შე-მოქმედებაა; სამყარო, რაზეც ფილოსოფიაა მიმართული, ყოველდღიური დაკ-ვირვების საგანია, ის უფრო მეორადი თვისებრიობაა, ვიდრე პირველადი. ის, როგორც ჰუსერლი ამბობს, ცოცხალი სამყაროა. სამყარო ისე ესაზღვრე-ბა ფილოსოფიას; როგორც მეცნიერული სამყარო მეცნიერებას. მას არა აქვს იგივე ხარისხის მკაცრი წესები, თავისუფალია,თვითნებურია,სწორედ ისე, როგორც თვითონ ფილოსოფოსებია. სამყარო უძველესი დროიდან საშუალო საუ-კუნეებამდე ფილოსოფიის სამყარო იყო, აქედან გასაგებია, რა განსხვავე-ბაა მათსა და ჩვენს სამყაროს შორის.

ჰარტმანის თვალსაზრისით გასაგებია, ფილოსოფია არსებული სახით ცოდ-

ნის მომცემი არ არის, ის ამავე დროს პოზიტივისტების მსგავსად მის უარყოფას არ ახდენს; მისი მიზანია, მას მეცნიერული სახე მისცეს, ანუ ის მეცნიერებად აქციოს. აქ მთავარი, რაც უარყოფის საგანი უნდა იყოს, ის არის, რომ მეცნიერული ფორმულა, მისი აზრით, ასახვა არ არის, ის არის შემოქმედება, ანუ ისეთი რამის შექმნა, რაც თავისთავად სინამდვილეში არ არის. ჰარტმანის აზრთა მსვლელობა ამის დასაბუთებას ვერ ახდენს, რადგან, როგორც ის ასხვაებს, ეს მიმართება მაშინ შეიქმნება მეცნიერის მიერ, როცა მოვლენების გუნდში მეხვალთ, ასეთი გამოთქმა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ის მიმართება, რომელიც მეცნიერის შექმნილია, მოვლენათა გუდის გამომხატველიცაა და ამიტომაა შესაძლებელი ამ მიმართებაში ცალკეული მოვლენის ჩასმა. ცხადია, ეს მიმართება უშუალოდ არ არის მოცემული, ის მრავალფეროვანი მოვლენების საერთო არსებაა და სწორედ განყენების გზითაა მიღებული, ასე რომ, რასაც ჰარტმანი მეცნიერულს უწოდებს, ის იმ გზითაა მიღებული, რა გზაც ფილოსოფიას, მისი აზრით, ახასიათებს. ეს გზაა არსებული მრავალნაირობიდან რაღაცის განყენება. მიმართების შემეცნება განყენების გზითაა შესაძლებელი და ამის შემდეგ ხდება მისთვის სიმბოლოების საშუალებით ფორმის მიცემა.

ჰარტმანი ფილოსოფიის შესახებ ისეთ აზრს გამოთქვამს, რომ თუ ეს მართალია, მისი მოთავსება ცოდნის ქსელში შეცდომაა და მიუღებელია; მისი აზრით, ფილოსოფია თავისუფალი და თვითნებურია, ე.ი. მასში ასეთი მკაცრი აუცილებლობა არ არის, როგორიცაა მეცნიერებაში. თუ მეცნიერი რომელიმე დებულების ჭეშმარიტებას დასაბუთებით ახდენს და რაკი დასაბუთდება, ის ყველასათვის მისაღებია და ზოგადსავალდებულო ჭეშმარიტებად ხდება, ფილოსოფიაში ასე არ არის, თითოეულს თავისი ჭეშმარიტება აქვს. გამოდის, რომ იმდენი ჭეშმარიტებაა, რამდენიც ფილოსოფია. ცხადია, რომ ფილოსოფიის თავისებურება ჰარტმანს ასეთი მტკიცების საფუძველს აძლევს. მართლაც ფილოსოფიაში მრავალნაირი მიმართულებებია, თითოეული თავის ჭეშმარიტებას სცნობს, თუ ერთი იქნება მიღებული, მეორე უარყოფილი უნდა იყოს, ასეთი რამ მეცნიერებას არ ახასიათებს. მეცნიერებაში შესაძლებელია კამათი იყოს, ერთმანეთის მოწინააღმდეგე თვალსაზრისები იბადებოდეს, მაგრამ დადგება დრო და ჭეშმარიტება მიიღწევა და საწინააღმდეგო შეხედულებები მოიხსნება, ფილოსოფიაში ასე არ არის; აქ მუდმივად არის ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულება, მათ შორის კამათს არასდროს რაღაც ერთიანობამდე არ მივყავართ. ფილოსოფიაში ეს მდგომარეობა ნამდვილად არსებობს, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ მას არსებობის სხვა სახე მიეცეს, რითაც ის ცდისეულ მეცნიერებას დაემსგავსება, არ შეიძლება, ასეთი სახის მიცემით, ის, როგორც ფილოსოფია, ისპობა, ის ამით რომელიმე ცალკეული მეცნიერება ხდება და ფილოსოფია, როგორც უზოგადესის შესახებ ცოდნა, გაუქმებულია.

ფილოსოფიის მიმართულებათა მრავალნაირობა უნდა აიხსნას იმ საკითხების სირთულით, რომლებსაც ის იკვლევს, აქ რომ ჭეშმარიტება ისე ნათელი იყოს, როგორც ამას ადგილი აქვს მეცნიერებებში, მაშინ ამ მრავალნაირ მი-

მართლებებს ადგილი არ ექნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მიმდინარეობის შეცდომა თუ ნაკლი ის არის, რომ მთელი მრავალნაირობა ერთ რომელიმე მხარეზე დაჰყავს. ემპირისტი ყველაფერს გონების საშუალებით ახსნის. სუბიექტური იდეალისტი ყველაფერს სუბიექტზე დაიყვანს და ყველაფერს მის ანარეკლად გამოაცხადებს, ობიექტური იდეალისტი კი ყველაფერს განყენებულ იდეალზე დაიყვანს და თვით ადამიანსაც მის ანრეკლად აქცევს. ამის მიუხედავად, თითოეულ მიმართულებაში არის რაღაც ჭეშმარიტება, რომლის აღმოჩენა სინამდვილეზე ცოდნის მომცემია და კაცობრიობის გონებრივ განვითარებას ხელს უწყობს. დავუშვათ, როგორც ამას ამტკიცებენ პოზიტივისტები, ფილოსოფია არ არის, არის მხოლოდ ცალკეული მეცნიერებები. რას მივიღებთ? მივიღებთ აზროვნების ზედა სართულის გაუქმებას. იქნება ცალკეული მეცნიერებები, რომლებსაც არ ექნებათ თავიანთი ერთიანობის შეგნება, მათ არ ექნებათ იმის ცოდნა, რომ ისინი ერთიანი სინამდვილის სხვადასხვა მხარეებს სწავლობენ. მათთვის არ იქნება კითხვა, საერთოდ, სინამდვილის შესახებ, ასეთ ვითარებაში ადამიანის აზროვნება თავისი არსებობის დაბალი საფეხურის მაჩვენებელი იქნებოდა. ის, რაც ჰარტმანმა თქვა ფილოსოფიაზე, რომლის მიხედვითაც არის აზრის თავისუფლების სამეფო და თვითნებობის გამორიცხველი, იმაზე მიუთითებს, რომ აქ ადგილი აქვს ისეთი საწყისის ძებნის ცდას, რომელიც ფილოსოფოსს საშუალებას მისცემს, სინამდვილე ახსნას. ჰარტმანის გზას რომ გაჰყვეს მკვლევარი, მან უნდა უარყოს სოციალური მეცნიერების დარგები, რადგან ისინი აქსიომური არ არიან, ასევე უარყოფილი უნდა იქნეს ბიოლოგიის ის დარგი, რომელიც ცოცხალი ბუნების ახსნას იძლევა განვითარების კანონების საფუძველზე, რადგან ამ დარგში აქსიომური მეთოდი არავის არ გამოუყენებია.

ჰარტმანი ცდილობს მორალის შესახებ მეცნიერების არსებობის დასაბუთებას. მისი გაგებით, დღემდე არის მორალის ფილოსოფია და იგი ისეთივეა, როგორიც იყო ფილოსოფია ძველსა და საშუალო საუკუნეებში, ახალმა მორალის მეცნიერებამ ისევე ძირეულად უნდა გარდაქმნას მორალის ჩვენებური გაგება და ჩვენი მორალური მოქმედება, როგორც ბუნებისმეცნიერებამ გარდაქმნა ბუნების შესახებ ჩვენი გაგება და მგრძნობელობა. აქსიოლოგიურმა მიმართებებმა ჩვენ უნდა გაგვხადოს ზნეობრივი სინამდვილისადმი უფრო მგრძნობიარე და გვასწავლოს ცხოვრების ხელოვნება. ახალი მორალის წარმოდგენა ჩვენთვის ძნელია, ჩვენ შეგვიძლია მისი პირველი საწყისები გავიგოთ. როგორც ბუნების მეცნიერება გვაძლევს დროულვრცული მოვლენების შესახებ ცნობებს, ასევე ღირებულების მეცნიერებამ უნდა მოგვცეს იმ მოვლენების მნიშვნელობა; ისე როგორც ბუნებისმეცნიერება აუმჯობესებს თავის საზომ იარაღებს, ასევე მორალის მეცნიერებამ უნდა გააუმჯობესოს მორალური მგრძნობელობა; მორალის ახალი მეცნიერება უნდა იყოს ჩვენი გრძნობიერების წყობა, ისე როგორც ფიზიკის თეორია არის ჩვენი გონების წყობა. მორალის ახალმა მეცნიერებამ უნდა გაწვრთნოს ჩვენი შინაგანი სამყარო, როგორც ბუნებისმეცნიერებამ გაწვრთნა ჩვენი გარეგანი სამყარო. ახალმა მორალის მეცნიერებამ უნდა განავითაროს ადამიანი, როგორც ბუნებისმეცნიერებამ

განავითარა მატერია. ბუნებისმეცნიერების წარმატება შედეგი უნდა იყოს მორალის მეცნიერების. ღირებულების სამყარო უნდა მისდევდეს ფაქტების სამყაროს. ღირებულებას უნდა მისდევდეს მორალის მეცნიერება, როგორც ფაქტებს მისდევს ბუნებისმეცნიერება.

## 2. ფორმულები, როგორც ღირებულების მეცნიერების საფუძველი

ლოგიკურის და არალოგიკურის იგივეობა არის ძირეული მნიშვნელობის ღირებულების მეცნიერების შექმნაში. ამ შემთხვევაში არალოგიკური არის "ღირებულება", ღირებულების მეცნიერების აქსიომა მაშინ დაფუძნდება, როდესაც ლოგიკური ცნება ღირებულებასთან გაიგივდება. ამ შემთხვევაში ასეთი არის "ინტენსიურობის მსგავსება", ამ გაიგივებით დგინდება ღირებულების ენა. ასეთი გაიგივებით ღირებულება ლოგიკური აგებულებისა იქნება, ე.ი. ლოგიკური ცნება უნდა შეესაბამებოდეს ღირებულების ცნებას.

ფილოსოფია არის ანალიზური ცნებების ექსტენსიურობის და ინტენსიურობის ერთიანობა, რომელსაც აკლია მეთოდი და რჩება წმინდა სპეკულიატურად, ეს თქმული რომ ღირებულებისადმი გამოვიყენოთ, მივიღებთ შემდეგს. დღევანდელი დონე ღირებულების თეორიაში უნდა გავიგოთ როგორც მეცნიერების ანალიზური საფეხური – ცნებები: სიყვარული, სიძულვილი, თრთოლვა, მობეზრება, ბედნიერება, უბედურება ახლებურად უნდა იქნეს გაგებული, ანალიზური ექსტენსიურობა გაგებული უნდა იქნეს როგორც სინთეზური. ავტორი ჩერდება ანალიზური და სინთეზური მსჯელობების განსხვავებაზე – "ყოველი სხეული არის განფენილი, ანალიზურია, ეს გამოდის ცნებიდან, ხოლო 2.2 – 4 არ არის ანალიზური, რადგან ის გამოდის მისი განსაზღვრებიდან.

ღირებულების თეორია უნდა ამოვიდეს არა ცნებიდან, არამედ გამოთქმებიდან, მათ შორის ის განსხვავებაა, რომ გამოთქმას არა აქვს არც ექსტენსიურობა, არც ინტენსიურობა. მათი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ადგილიდან, რაც მათ სისტემაში აქვთ, იმ მიმართებაში, რაშიც ისინი არ არიან, გამოთქმა ისე ფორმალურია, რომ ის არაფერზე არ არის მიმართული, ის არის არა აბსტრაქტული, არამედ არის შექმნილი, ერთადერთი მიმართება, რომელიც მათ აქვს სინამდვილისადმი, არის მათი გამოყენებითობა, მაგრამ მისგან არც ერთი ერთეული არ გამომდინარეობს. გამოთქმა სხვანაირად არის არა სახელი, რომელიც რაიმეზე მიმართული, არამედ ის არის ცვლადი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რომელიმე ერთეულისადმი, სულ ერთია, ის რომელი იქნება. ჰარტმანი თავის აზრს გასაგებს ხდის სილოგიზმის მაგალითის განხილვით, ზოგადი ადამიანის ცნება და კერძო ადამიანის ცნება შეიძლება გამოთქმად გარდავქმნათ, ადამიანი და სოკრატე ცნებებია, ხოლო თუ მათ მიმართებაში მოვიყვანთ, ისინი გამოთქმად იქცევიან და მათ ადგილას შეიძლება სხვადასხვა რამე ჩავსვათ. მხოლოდ მიმართება უნდა იყოს უცვლელი, აქ არ ირკვევა, რაც ჩავსვით, არის თუ არა ნამდვილი, ის მხოლოდ მიმართების მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს.

ჰარტმანის აზრით, გამოთქმა, ფორმულა არღვევს ცნების მოცულობის შინაარსის შებრუნებულ დამოკიდებულებას, მასში ვითარება ასეთია: იზრდება

შინაარსი და იზრდება მოცულობა, ჰარტმანი ამაში მართალი არ არის; ავიღოთ ჯერ შინაარსობრივი დასკვნა, ყველა ადამიანი არის ორფეხი, სოკრატე არის ადამიანი, მაშასადამე, სოკრატე არის ორფეხი. აქ ადამიანი მხოლოდ ერთი ნიშნითაა აღებული, ის ორფეხია, სხვისაგან განყენებაა მოხდენილი, ასევე სოკრატე აღებულია ერთი ნიშნით, ის არის ადამიანი. სხვა ყველასაგან განყენებულია. ავიღოთ წმინდა გამოთქმა; A არის B —, B არის C, A არის C, A არის B რაღაც ნიშნით და არა ყველა ნიშნით. რა საგანიც აქ ჩაისმება, ის იქნება რაღაც ერთი ნიშნით აღებული. ყველა სხვისაგან განყენდება; ასე რომ, აქაც შინაარსი მცირეა, ხოლო მოცულობა გაზრდილია. ყველა საგანი მეორესთან იგივეობრივია ერთი ნიშნით. ჰარტმანის აზრი გასაგებია. მეცნიერება ქმნის ფორმულებს, გამოთქმებს, რომელთაც გარკვეული შინაარსი არა აქვთ, ანუ ისინი რომელიმე შინაარსის ცნებით არ არიან განსაზღვრული. ჰარტმანის აზრით, აზროვნების ეს საფეხური არის უმაღლესი, რომელიც გრძნობადობისაგან განმენდილია, ხოლო ანალიზურ-პრედიკატული აზროვნება გრძნობადი აზროვნების საფეხურია.

შეიძლება თუ არა გრძნობადი პრედიკატული ანალიზური აზროვნების საფეხური დატოვებულ იქნას და იგი ამ მეორე საფეხურით დაკმაყოფილდეს? ცხადია, ეს შეუძლებელია, რადგან მეორე საფეხურის არსებობისათვის პირველი საფეხური აუცილებელია, საჭიროა შეცნობილ იქნეს ეს უზოგადესი მიმართება, რაც იმაში გამოიხატება, რომ საგანთაშორის არის ისეთი დამოკიდებულება, რომელშიც ერთეული საგნებია და ამ უზოგადესი მიმართებისათვის ერთეულ საგნებს არსებითი მიმართება არა აქვთ. შეიძლება ეს საგნები ახალი სხვა საგნებით შეიცვალონ, ხოლო მიმართება უცვლელი დარჩეს; მაშასადამე, უნდა შეცნობილ იქნეს, რომ საგანთა შორის ასეთი მიმართება ყოფილა; ჰარტმანის აზრით, თითქოს ეს მიმართება შესაქმნელია და არა შესაცნობი, მცდარია, ის შესაცნობი რომ არ იყოს და მას ერთეული საგნები არ ემორჩილებოდნენ, ადამიანი მათ შორის ვერავითარ კავშირს ვერ დაამყარებდა. ეს ზოგადი ამ ერთეულების გამოხატვისათვისაა საჭირო, ხოლო ეს შესაძლებელია იმით, რომ ის მათი არსებობის ჩარჩოა: ყოველი ცხოველისათვის მოცემულია ისეთი მიმართება, რომელიც არსებობს ცოცხალთ შორის. აქ შესაძლებელია ისეთი საგანი ჩავსვათ, რომელიც არ არის ცხოველი ან, რომელიც არის, მაგრამ მიმართება მაინც იარსებებს, იგი თავისთავადაა რომელიმე ერთეულისადმი და არა, საერთოდ, ერთეულისადმი, ამ მიმართების შეცნობისათვის ერთეულის შემეცნებაა აუცილებელი.

საერთოდ, ადამიანისათვის უშუალო სინამდვილე ერთეულია, ის უნდა იქნეს შეცნობილი, ხოლო ამისათვის საჭიროა მისი ნიშნების შემეცნება, ამის მერე აზროვნება იმუშავებს მიმართებებს, რაშიც ერთეულის არსებობა გამოიხატება. ასე რომ, ის უზოგადესი, რასაც ადამიანი იმუშავებს საბოლოოდ, ამ ერთეულის გამოსახატავად სჭირდება. მიმართება, რაშიც ერთეულები ისმება, მათ სიღრმეში არსებულია — ეს მიმართება ადამიანის შექმნილია; თუ ის თავისთავადია, არ გადაწყდება თვით ამ ფორმალურ თეორიაში, ის მის გარეთ გასვლას მოითხოვს, ის ფილოსოფიის მიერ უნდა იქნეს დასა-

ბუდებული; ასე რომ, თვით ამ ფორმალური თეორიის დასაბუთება ფილოსოფიას საჭიროებს, ამიტომ ასეთი თეორიის არსებობა ფილოსოფიას ვერ გააუქმებს, მის გარეშე ის ვერ იარსებებს. აზროვნების თავისებურება ისაა, რომ ის ყენდება რომელიმე ერთეულიდან და მის ზოგადს და უზოგადეს ნიშნებს იჭერს. ერთეულიდან ზოგადისაკენ და მისგან ისევ ერთეულისაკენ, ეს არის შემეცნების მოძრაობის კანონი, რომელიც კერძო შემთხვევებში არ ირღვევა. ეს უზოგადესი ერთეულიდან განყენების გზითაა მიღებული, მაგრამ იგი თითოეულ შესაძლებელ ერთეულისაგან დამოუკიდებელია, არც ერთი ცალკეული ერთეულით არ ამოიწურება.

კარტეზიანი თანამიმდევარია იმით, რომ ის უზოგადესი მიმართებების არა ასახვას, არამედ მათ შექმნას აღიარებს, რადგან, მისი გაგებით, ეს ზოგადი და უზოგადესი სინამდვილეში არ არსებობს, საქმე სწორედ იმაშია, რომ თუ მის არსებობას უარვყოფთ, მაშინ მისით ერთეულის ახსნა აუხსნელია. ყოველი საგანი იმით შეიცნობა, რაც მას აქვს, როგორც მისი არსებობის საფუძველი, ან როგორც მისი წარმოშობის წყარო. ზოგადის შემეცნებას ერთეულის დაკვირვების გარეშე დარწმუნების ძალა რომ მისცეს, კარტეზიანი გალილეის ემყარება, რისთვისაც მისი ნაწერიდან ადგილი მოჰყავს. გალილეი აღნიშნავს, რომ ერთეული ფაქტის შემეცნება მისი მიზეზების აღმოჩენით გონებას ამზადებს, გაიგოთ და დარწმუნდეთ სხვა ფაქტის არსებობაში ცდაზე მიმართვის გარეშე. გონებას წინასწარ შეუძლია რაიმეს მოხდენა გაითვალისწინოს, გალილეი ამაში მართალია, მაგრამ ეს ერთეულები არ ათავისუფლებს გონებას ცდისაგან, რადგან ის, რის საფუძველზეც ამ წინასწარხედვას ასრულებს, ცდიდანაა მიღებული და მაინც ის არის მთავარი, რომ გონების მიერ გათვალისწინებული მოვლენის მოხდენა ცდაში უნდა დადასტურდეს. ამის გარეშე წინასწარგათვალისწინებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ასე რომ, გონება წინასწარგათვალისწინებაშიც ცდიდანაა განსაზღვრული, რადგან ერთადერთი სინამდვილე, რასთანაც ადამიანს აქვს საქმე, ცდისეულია. კარტეზიანი გონებს, რომ ისე, როგორც ფიზიკა თავისუფლდება ცდისაგან და მისგან დამოუკიდებლად შეუძლია დებულების დადგენა, ასევე უნდა მოხდეს მორალის ფილოსოფიაში, ეთიკური აზროვნება უნდა განთავისუფლდეს ჩვეულებრივი გრძნობისაგან და ისე იფრინოს თავის სამეფოში. ცნება გამოთქმად უნდა გარდაიქმნას, უნდა მოხდეს ანალიზურიდან სინთეზში გადასვლა. გამოთქმა არის სიმბოლოს მაგიერი. გამოთქმას აქვს ფორმალური მნიშვნელობა, მანამ სანამ სილოგიზმი გამოთქმებს შეიცავს, ის არ არის ლოგიკის მტკიცება. ის ასეთი მაშინ იქნება, როცა გამოთქმა სიმბოლოთი შეიცვლება. ლოგიკის არც ერთი წინადადება არ გვიხსენებს რომელიმე ცალკეულ საგანს. მაგალითად, თუ ყოველი ადამიანი მოკვდავია და სოკრატე ადამიანია, მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია, არ არის ლოგიკის მსჯელობა. ლოგიკური მსჯელობა შემდეგნაირი იქნება: თუ $X$ აქვს თვისება $y$ და $y$-ს აქვს თვისება $C$ —მაშინ $X$ აქვს $C$ თვისება. "ავსტრალია არის დიდი" - გეოგრაფიის მსჯელობაა, ხოლო ავსტრალია არის დიდი ან პატარა, არის ლოგიკის მსჯელობა. პირველია ცნება, მეორე კი გამოთქმა. ეს უკანასკნელიც ლოგიკისა არ იქნება, რადგან

აქ ლაპარაკია რომელიმე კერძო მოვლენაზე, კერძოდ, ავსტრალიაზე. წმინდა სახით ლოგიკის მსჯელობა იქნება X ან დიდია ან პატარა. ამის მაგალითზე ჰარტმანი ანალიზური და სინთეზური ცნებების განსხვავებას იძლევა.

ანალიზურია მატერიალური, ე.ი. როცა ცნება რომელიმე საგანს ეხება, ხოლო სინთეზურია ცნება, როცა ის ფორმალურია. ანალიზურია ცნება იმიტომ, რომ ის თავისში შეიცავს სხვა ანალიზურ ცნებებს, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი საკუთარი შინაარსი. ხოლო სინთეზურია ცნება იმ აზრით, რომ მისი ინტენსივობა შეიცავს გამოთქმებს, რომელთაც თავისში მნიშვნელობა არა აქვთ და მათ მნიშვნელობა აქვთ სისტემაში, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ. გამოთქმა არის წერტილი, რომელიც მეორე წერტილთანაა დაკავშირებული. ცნება არის მოცულობა, რომელიც სხვა ცნებას შეიცავს და ასე მიჯრილებით, მატერიალურ-ანალიზური ცნება უფრო და უფრო შეუსაბამო ხდება, მაშინ, როდესაც სინთეზური უფროდაუფრო შესაფერისია. თუ ანალიზური ცნება მოცულობის შემცველია, ის თანდათანობით უნდა პატარავდებოდეს და უსასრულოდ უახლოვდებოდეს წერტილს, ე.ი. უახლოვდება გამოთქმას. ჰარტმანი ამით იმას ამტკიცებს, რომ მეცნიერული შემეცნება ბუნებრივი მოძრაობით მიდის გრძნობადობისაგან განთავისუფლებისაკენ და ის აუცილებლობით გამოთქმებს აღწევს, რომლებიც ანალიზურობისა და მატერიალურობის ადგილას ფორმალურს და სინთეზურს აყენებს. ცხადია, რომელიმე გამოთქმაში უშუალოდ არც ერთი ერთეული საგანი არ არის მოცემული, ის ასე რომ იყოს, ის არც უზოგადესი იქნებოდა, მაგრამ თუ ამ გამოთქმებს მნიშვნელობა არ ექნებათ ერთეულებისადმი, მაშინ გამოთქმებს აზრი და არსებობის საფუძველი ეკარგებათ, ამიტომ გამოთქმა ყველა შესაძლებელი ერთეულის განხილვის საშუალებაა და ის ერთეულთან აუცილებელ ერთიანობას გულისხმობს. ამ უზოგადეს გამოთქმაში ერთეულთა მიმართების უზოგადესი ნიშანია მოცემული და ამით არის ის შესაძლებელ ერთეულთა მიმართების გამომხატველი.

## 3. ღირებულების გვარ-სახეობითი და აქსიომური განსაზღვრება

ჰარტმანი განიხილავს მურის ცდას, რათა ღირებულების განსაზღვრა მოგვცეს და ასკვნის, რომ მას არ შეეძლო ეთიკის მეცნიერების დაფუძნება, რომლისთვისაც მან პროლეგომენები დაწერა, თუმცა მან თავის მოღვაწეობის გზად ეს დაისახა; როგორც ის წერს - "მე ვცდილობდი აღმომეჩინა ის, თუ რა არის ძირითადი ამოსავალი ეთიკური აზროვნებისა".

ჰარტმანი ღირებულების ბუნების გაგებისათვის საჭიროდ სთვლიდა იმის აღნიშვნას, თუ რა არის საერთო ღირებულების ყოველნაირი მოვლენისათვის; ამისათვის საჭიროა გამორკვეული იყოს ღირებულების ზოგადი და განსაკუთრებულის ურთიერთობა, მას განხილული აქვს ფაქტის სამი დონე - I ზოგადი, ანუ ცნებითი ფაქტი, განსაკუთრებული და ერთეული ფაქტი. ჰარტმანი განიხილავს ამ სამი ფაქტის მიმართებას. ერთეული ფაქტი უფრო მდიდარია, ვიდრე განსაკუთრებული, ხოლო განსაკუთრებული უფრო მეტია, ვიდრე ზოგადი. ერთეულ ფაქტს აქვს ყველა თვისება, რომელიც აქვს მთელ კლასს. ზოგად ფა-

ქტს აქვს მხოლოდ ის თვისებები, რომელიც შედის ფაქტის ცნების განსაზღვრაში. მაშასადამე, ერთეულ ფაქტს აქვს მდიდარი ინტენსივობა, ვიდრე განსაკუთრებულს და ამას უფრო მეტი აქვს, ვიდრე ზოგადს, ხოლო ექსტენსივობის მიხედვით სულ სხვაგვარი დამოკიდებულებაა, ზოგადისაკენ სვლით ნიშნები მცირდება. საგნები, რომლებსაც ზოგადი მოიცავს, მრავლდება. ფაქტის განსაზღვრა, როგორც არსებობის ნიშნით დახასიათება, არ არის განსაზღვრება, ასეთი რამ ონტოლოგიას მიეკუთვნება, ხოლო ეს არის არა მეცნიერება, არამედ ფილოსოფია. ისეთი განსაზღვრება, რომელიც სისტემას წარმოშობს და მთელ მოვლენათა ველს მოიცავს, არის აქსიომა, რითაც მეცნიერება იბადება აქსიომა არის ინტენსივობის და ექსტენსივობის ერთიანობა. ამ შემთხვევაში მათ შორის არ არის შებრუნებული მიმართება, არამედ პირდაპირი, იზრდება მოცულობა და მასთან ერთად იზრდება შინაარსიც. ასეთ მეცნიერებაში არსებობა განისაზღვრება არა როგორც კატეგორია, არამედ როგორც აქსიომა. ზოგადი ფაქტი ცვალებადი იქნება, ხოლო მისდამი ერთეული და ცალკეული ფაქტები ამ ცვლადის მნიშვნელობები იქნებიან. ასევე უნდა მივუდგეთ ღირებულებასაც. ზოგადი ღირებულება არის ის, რომელიც ღირებულების ცნებას შესაბამება, ხოლო განსაკუთრებული ღირებულება არის ან ერთეული, ან ცალკეული. ასე რომ, არის ღირებულების სამი დონე: ზოგადი, ცალკეული და ერთეული. მათ შორის დამოკიდებულება ასეთია: ერთეული ღირებულება უფრო მდიდარია, ვიდრე ცალკეული; ცალკეული უფრო მდიდარია, ვიდრე ზოგადი. ჰარტმანის ნააზრევში ერთი უცნაური ამბავი შეინიშნება. იგი, ერთი მხრივ, აკრიტიკებს ფორმალურ ლოგიკაში ცნების მოცულობას და შინაარსს შორის მიმართებას და უწუნებს მას იმ ამბავს, რომ განზოგადოებით შინაარსი მცირდება, მოცულობა იზრდება, ხოლო, როცა ღირებულების ხარისხებს განიხილავს, მაშინ აღნიშნავს , რომ ერთეული ღირებულება უფრო მდიდარია, ვიდრე ზოგიერთი, ხოლო ზოგიერთი უფრო მდიდარია, ვიდრე ზოგადი. ეს არის, ფორმალური ლოგიკის მიხედვით, ღირებულების ცნების დახასიათება, რის უარყოფასაც ის ისე ახდენს, თითქოს იმ ტოტის მოჭრას შესდგომია, რაზედაც ზის. ერთეული ღირებულება არის ყველა თვისების სავსეობა, ცალკეული ღირებულება არის იმ კლასის თვისებების სავსეობა, რომელსაც ის ეკუთვნის, ზოგადი ღირებულება არის იმ თვისებების სავსეობა, რომელიც ღირებულების ცნების განსაზღვრებაში შედის. მანამ სანამ ღირებულება ჩათვლილია კატეგორიად, შეუძლებელია მისი ზუსტი განსაზღვრა, შეუძლებელია ზუსტი მიმართება დავადგინოთ ზოგადსა და განსაკუთრებულ ღირებულებას შორის. ასეთ შემთხვევაში მოხდება ექსტენსივობას და ინტენსივობას შორის აღრევა, აღრევის ამბავი ნათელი გახადა 1903 წელს მურმა. რაიმე ცდა, რომ განისაზღვროს ღირებულება ზოგადად, მისი განსაკუთრებული ღირებულების კავშირით, როგორიცაა ონტოლოგიური, ტელეოლოგიური, ეპისტემოლოგიური, იქნება არევა. მურმა მას ბუნებრივი შეცდომა უწოდა. არსებობს მეცნიერება, რაშიც ასეთი არევა შეუძლებელია, ასეთი მეცნიერება იქნება აქსიომური. თუ გვინდა ამ არევას თავი დავაღწიოთ, უნდა უარვყოთ კატეგორიალური შემეცნება და შევიდეთ აქსიომატიკის სამეფოში, მურმა ვერ შექმნა ღირებულების მეცნიერება არა იმ-

იტომ, რომ ურევდა ზოგადს და განსაკუთრებულ ღირებულებებს, არამედ, იმი-
ტომ, რომ მან არ იცოდა, თუ როგორ განესაზღვრა ზოგადი ღირებულება. კა-
რგი იმავე საფუძვლით არის განუსაზღვრელი, როგორც არსებობა არის განუ-
საზღვრელი. არსებობა არის ფაქტი, ასევე ფაქტი არის ღირებულება. თუ ის
განისაზღვრება, მაშინ მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი გვარი, მაგრამ ეს შე-
უძლებელია, ასე რომ, კარგი, როგორც კატეგორია, შეუძლებელია განისაზღვ-
როს, როგორც გვარსახეობითი დამოკიდებულების წევრი.

ჰარტმანი მართალია, ნისი ასეთი განსაზღვრება შეუძლებელია იმიტომ,
რომ ის თავისთავადი არ არის, ის მიმართებითია და ამიტომ განსაზღვრები-
სათვის საჭიროა არა გვარის ძებნა, არამედ იმის ნახვა, რასთან მიმართე-
ბაში რაიმე კარგი ან ცუდია. ასეთი არის ამ შემთხვევაში ადამიანი. ამის
აღნიშვნით ღირებულების კავშირი საგნის ნიშნებთან საიდუმლოებით აღარ იქ-
ნება მოცული. ხოლო ის, როგორც აქსიომა, შეიძლება განისაზღვროს, მურმა
ეს არ იცოდა. ნიუტონმა დაწერა ბუნების ფილოსოფიის მათემატიკური პრინცი-
პები, ასევე მურმა დაწერა მორალის ფილოსოფიის ეთიკის პრინციპები. გან-
სხვავება ის არის, რომ ნიუტონს აქსიომები ჰქონდა, ხოლო მურს აქსიომები
არ ჰქონია. თქმულიდან გამოდის, რომ მას, რაც ვერ გააკეთა მურმა, აკე-
თებს ჰარტმანი, რომელიც ღირებულების თეორიას აქსიომებზე აფუძნებს. აქ-
სიომამ უნდა დააკავშიროს მოვლენათა არე ლოგიკასთან, ისე, როგორც ფრეგემ
და რასელმა რიცხვი ლოგიკასთან დააკავშირეს. თუ ღირებულების თეორია არის
მეცნიერება, ღირებულება უნდა განისაზღვროს აქსიომით, რომელიც იგივეა
ან ლოგიკასთან ან მის გამოყენებასთან. ის უნდა იყოს ფორმულა, რომელიც
სისტემას წარმოშობს და რომელიც მოვლენათა არსისადმი იქნება გამოყენებუ-
ლი. 1903 წლიდან მური ცდილობდა ასეთი ფორმულის განვითარებას, ის მას
1922 წელს აქვეყნებს, რომელსაც 1942 წელს საბოლოოდ დაამთავრებს. მისი
ფორმულა ასეთია: ორი განსხვავებული მსჯელობა სიკეთეზე ჭეშმარიტია: 1.
რომ ის დამოკიდებულია მის შინაგან ბუნებაზე, რასაც ის ფლობს, და 2. რომ
ის, ამის მიუხედავად, არ არის მისი შინაგანი ბუნება. ეს უცნაურია, მუ-
რის აზრით, მაშინ გადაწყდება და სიკეთის ბუნება მაშინ განისაზღვრება,
თუ გვეცოდინება, რა აზრითაა ბუნებრივი თვისება და რა აზრით არაბუნებრი-
ვი თვისება. ღირებულება არ არის საგნის აღწერა, ამის გაგებისათვის ჩვე-
ნ უნდა ვიაზროთ ლოგიკური ბუნება ბუნებრივი შეცდომისა. აქ განსხვავე-
ბაა გვარეობით და სახეობით ღირებულებებს შორის; რაც ერთისათვის ჭეშმა-
რიტია, ის მეორისათვის არ არის ჭეშმარიტი, გვარეობითი სიკეთე არის სა-
ერთო ყველა სახეობისათვის, ისე როგორც რიცხვი სამი საერთოა ყველა სამე-
ულისათვის. ის, რაც საერთოა ყველა სახეობის სიკეთისათვის, არის როგორც
მური იტყვის, ჭეშმარიტი სიკეთე, ე.ი. რომ ის დამოკიდებულია საგნის აღ-
წერის თვისებებისაგან, მაგრამ ამავე დროს ის არ არის ამ საგნის აღწერა
საერთოდ.

სახეობითი სიკეთე არის თვისებური რამ, რომელიც დამოკიდებულია სა-
გნის აღწერითი თვისებებისაგან, მაგრამ მაინც ის არ არის მისი აღწერა;
მაგალითად, როცა მე ვამბობ "ეს არის ავტომობილი" და "ეს ავტომობილი

არის კარგი", ამით მე ვიტყვი რაღაც,რაც დამოკიდებულია საგნის აღწერით თვისებაზე და რომელიც მისი აღწერა არ არის.თუ მე ვიღაცას ვეუბნები,რომ მე მაქვს ავტომობილი,ის მე მეკითხება,რომელია შენი ავტომობილი.მე ვეუბნები,ჩემი ავტომობილი არის კარგი ავტომობილი.ამ პასუხით ის ჩემს ავტომობილს ვერ იპოვის,რადგან მე მას არ მივეცი ავტომობილის ბუნებრივი თვისებები:ფერი თუ შავი,მაგრამ მან ჩემი ავტომობილის შესახებ მაინც ბევრი იცის; მან იცის, რომ ჩემი ავტომობილი არის კარგი, რომ მას აქვს ძრავა,კარები,სამუხრუჭე დამაჩქარებელი და სალტე.აქ ჩვენ გვაქვს ორი აღწერა,ბუნებრივი და ღირებულებითი.ღირებულებითი,მურის გაგებით,არ არის ერთეულ საგანზე მიმართული,ჩემს მანქანაზე,რომელიც ჩემმა მეგობარმა არ იცის,ის მიმართულია მის ცნებაზე,რომელიც მან იცის, ანუ ჩემს მანქანაზე, რომელიც იმ თვისებებს ფლობს,რომლებიც ცნებაშია მოცემული. ღირებულებითი პრედიკატი "კარგი" არის ცნების თვისება,ვიდრე საგნის; კარგის ცნებიდან გაიგება,რომ რომელიმე მანქანა ნამდვილად კარგია. მურის ეს თვალსაზრისი შეფასებას მოითხოვს.მცდარია ის,რომ სიკარგე რაიმე საგნისა მისი ცნების თვისებაა.საგნის ცნება ისტორიულია,მოცემულ დროს საგნის ცნების ნიშნების გაგება შეიძლება შეიცვალოს,საგნის ცნების აგებაში განმსაზღვრელი საგანია.

ადამიანის აზროვნება საგნიდან აგებს მის ცნებას. საგნის სიკარგე მისი ცნებიდან კი არ გამოდის, არამედ მისდამი ადამიანის დამოკიდებულებიდან. ცნება "კარგი" რაიმე ერთეულ მანქანაზეა მიმართული და არა ყველანაირ მანქანაზე. ამიტომ არ უნდა იყოს მური სწორი, რომ ამბობს, კარგი არის ცნების თვისება და არა საგნის, ცნება მიმართულია საგანზე, რომელშიც ის თვისებებია დადგენილი, რასაც ცნება აღნიშნავს. მურის აზრით, როცა ადამიანი იგებს, რომ ეს საგანი არის კარგი, აუცილებელი არ არის, რომ მან რაიმე იცოდეს ამ მოცემული საგნის შესახებ. მან უნდა იცოდეს რაღაცა ამ ცნების შესახებ, რომლის მაგალითსაც ეს საგანი წარმოადგენს. მან უნდა იცოდეს, რა არის ავტომობილი. სიტყვა "კარგი" მიყენებულია არა ცალკეულ ავტომობილზე, არამედ ავტომობილის ( ცნებაზე. რაიმე საგანი არის კარგი, რამდენადაც ის ცნების განხორციელებაა. ეს იმას ნიშნავს,რომ საგანს აქვს სახელწოდება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს და რომელიც განისაზღვრება საგნის თვისებებით, საგანი არის კარგი, თუ ის არის მისი ცნების შესრულება. ეს არის მურის ძირითადი აქსიომა. აქედან გამოდის თეორემა, რომლის მიხედვით, საგანი ან არის კარგი, ან არის ცუდი, თუ ის არ არის ცნების განხორციელება. მანქანა, რომელიც აჩქარდება, როცა მე ვამუხრუჭებ, ან როცა ვამუხრუჭებ, მაშინ აჩქარდება, არ არის კარგი მანქანა. საგნის ბუნებრივი თვისებების სავსეობა, რომელიც მის ცნებას შეადგენს, არის კარგი; გამოდის, რომ საგნის ბუნებრივი თვისებების სავსეობა არის იგივეობრივი ამის სიკარგესთან; გამოდის, რომ საგნისადმი მეცნიერული მიდგომა და ღირებულებითი მიდგომა ერთი და იგივეა. ღირებულებითი თვისება საგნისა დამოკიდებულია მისი ბუნებრივი თვისებებისაგან. მური ხედავს, რომ ღირებულებითი თვისებები დამოკიდებულია ბუნებრივი თვისებებისაგან, მაგრამ ის ვერ ხედავს ამ დამოკიდებულების პირობებს; მური

სამართლიანად ამბობს, რომ ღირებულება არ არის ბუნებრივი თვისება, მაგრამ ის მისგანაა დამოკიდებული.

ღირებულება უნდა აიხსნას ლოგიკის სისტემით. ეს იქნება მეცნიერული აქსიოლოგია. აქსიომები, რომლებიც აქსიოლოგიაშია, მსგავსია მათემატიკის; ისე როგორც მათემატიკაში, მაგალითად, რიცხვი ოთხი გამოყენებულია ცნებისადმი და არა საგნისადმი, ასევე აქსიოლოგიის აქსიომები მიყენებულია ცნებისადმი და არა საგნისადმი; ამიტომ ეს აქსიომები არის ფორმალური გამოთქმა. "კარგი" გამოყენებულია რაიმესადმი, სულ ერთია, რა იქნება ის, ამიტომ ის არის ცვლადი. ღირებულების საზომია ცნების ინტენსივობა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, საგანს აქვს ღირებულება, რამდენადაც ის ცნების ინტენსივობას ახორციელებს.

აქსიომური მიდგომა სინამდვილისადმი უფრო მდიდარია, ვიდრე ფილოსოფიურ-კატეგორიალური. ავიღოთ ამის მაგალითად მათემატიკა. რიცხვი ვლინდება სამივე დონეზე: ლოგიკურზე, მათემატიკურზე და მიყენების ველზე. ეხლა ეს თუ გავავრცელეთ ღირებულებაზე, მივიღებთ შემდეგს: პირველია ფორმალური აქსიოლოგია, მეორე ფორმალური აქსიოლოგიის გამოყენება და მესამე გამოყენებითი აქსიოლოგია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ღირებულებით მეცნიერებებს. პირველ დონეზე გამოსარკვევია, რატომ უნდა ვიყო მე კარგი, უკეთესია ვიყო კარგი თუ ცუდი; სრულყოფა უფრო უკეთესია, თუ სიკარგე, ყველა კარგი შედარებითია თუ არა; რა არის ფაქტის ღირებულება. მეორე დონეზე, ანუ თეორიული აქსიოლოგიის დონეზე, ირკვევა განსაკუთრებული ღირებულებების მიმართება, როგორიცაა ესთეტიკურის ეკონომიკურთან, ეთიკურის, ფსიქოლოგიურის მეტაფიზიკურის და ტექნოლოგიურის ურთიერთმიმართება, მუსიკისა და ასტრონომიის მიმართება პითაგორას მოძღვრების მიხედვით, ასტრონომიის და ტექნოლოგიის მიმართება პლატონის ფილოსოფიაში, თეოლოგიისა და ქიმიის მიმართება ალქიმიაში. ეთიკის და სხვა მეცნიერების არევის საკითხი, მეცნიერებისა და მისი საგნის ურთიერთობა მიყენების დონეზე, სხვადასხვა ღირებულებების გამოყენება მათი შესაბამისი მიყენებისადმი, კერძოდ, ეკონომიკის, ეთიკის, ესთეტიკის თეოლოგიის ჩიხარი, ღირებულების ლოგიკა პირდაპირ არ მიეყენება შეფასებას, ისე როგორც მათემატიკური ლოგიკა არ მიეყენება პირდაპირ თვლას. მათემატიკური და აქსიოლოგიური ლოგიკის მიყენება ხდება მათემატიკის ან წმინდა აქსიოლოგიის მსჯელობებზე და არა გარკვეულ მსჯელობებზე. ასე რომ, ფორმალურ სისტემასა და მიყენების ველს შორის ჩართულია მსჯელობები, რომლებიც შექმნილია ფორმალური სისტემის მიერ და გამოყენებულია მიყენების ველისადმი.

ღირებულების ლოგისტიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს მიყენებისადმი მხოლოდ წმინდა აქსიოლოგიის საშუალებით. წმინდა აქსიოლოგიის გამოყენება არის ღირებულების სამყარო. ჰარტმანი მიზნად ისახავს ამის ნათელყოფას. ფორმალური, ანუ აქსიოლოგიური ღირებულება არ არის არც ეთიკური, არც ესთეტიკური, არც მეტაფიზიკური, არც ეკონომიური. ის არის უბრალოდ ღირებულება, ფორმალური ანუ აქსიოლოგიური; ასე რომ, ამით ჩვენ ღირებულება არა გვაქვს არეული რომელიმე სახის ღირებულებასთან, ანუ ის არ

არის არეული ბუნებრივ თვისებასთან. აბსოლუტური ზომა თითოეული ღირებულებისა არის ღირებულების აქსიომა. ღირებულება არის რაციონალური, ეს იმას ნიშნავს, რომ მე შემიძლია საგანი შევაფასო, თუ იცი ვიცი, თუ მე ვიცი მისი სახელწოდება და თვისებები. ეს იმით მტკიცდება, რომ როცა მე მინდა რაიმე შევაფასო, მე ის უნდა ვიცოდე. შემეცნება და შეფასება მხარდამხარ მიდიან. თუ გვინდა საგანი შევაფასოთ, ის უნდა ვიცოდეთ. სამყარო თვითონ არის რაციონალური, რამდენადაც ის არის შეფასებადი, თუ ჩვენ უგულვებელვყოფთ საგნის არსებობას, ჩვენ მას ვერ შევაფასებთ ზუსტად. სამყაროს არსებობის უგულებელყოფა არის ღირებულების შეუფასებლობის საფუძველი: ღირებულების აქსიომა თავისთავადია, ის მნიშვნელობის მქონეა ყოველი არსებულისადმი, რომელიც ვიცით. როდესაც საგანს ვაზროვნებთ, საგანთან მის ცნებას ვაერთებთ,ისინი ერთიმეორეს შეესაბამებიან და ასეთ საგანს ვუწოდებთ კარგს, კეთილს. აქსიოლოგიური ღირებულება არის თავისთავადი, მისი გამოყენება კი არის სუბიექტური. შესაძლებელია, რომ ის, რასაც ერთი უწოდებს კარგს, მეორისათვის ცუდი იყოს. ეს არის აქსიოლოგიის გამოყენება და არა თვით აქსიოლოგია. თუ მთვრალი ოთხ ვაშლს ხედავს, სადაც მე ორს ვხედავ, ამით ის არ აუქმებს მათემატიკას, ის მცდარად ანგარიშობს. მისი შეცდომა დანახვაშია და არა მიმატებაში. ასევე აქ, როცა ვინმე გონებს, რომ საგანი ახორციელებს მის განსაზღვრებას, მან მას უნდა უწოდოს კარგი, სხვანაირად მან უნდა უწოდოს ცუდი, ამით აქსიოლოგიას ადასტურებს. ადამიანი სწორად თუ მცდარად აზროვნებს, სულ ერთია, საგანი ახორციელებს თუ არა თავის განსაზღვრებას. ასე რომ, აქსიოლოგიური ფორმალიზაცია თავისთავადია, ხოლო მისი განმარტება სუბიექტურია,მხოლოდ გამოყენებაში იბადება თანხმობა თუ უთანხმოება.

სამყაროს აქვს ყველა თვისება და ავსებს თავის ცნებას, ამიტომ ის არის კარგი. თუ სამყაროს ცნება ისეა დადგენილი, რომ რაღაც აკლია, ის არ არის მისი სრული ცნება და ამიტომ ეს სამყარო ცნების დადგენისათვის არის ცუდი. სამყაროს სიკარგე ეთიკური ცნება არ არის, ეს არის აქსიოლოგიური სიკარგე. სამყარო, როგორც ერთი, არის კარგი, საგნები, რომლებიც მასშია, კარგიცაა და ცუდიც, ერთი ცნებისათვის კარგია, მეორისათვის ცუდია. სიცუდე არის საგნის უსავსოება, რაც ცნებაშია მოცემული და რომელიც თავისთავად არის კარგი. მაშასადამე სამყარო აქსიოლოგიურად არის კარგი, ხოლო თავისში შეიცავს კარგისა და ცუდის სხვადასხვაობას. როგორც ჩანს, ჰარტმანი კარგის და ცუდის განსხვავებას საგნის თავისთავადობაზე აფუძნებს. ყოველი საგანი რამდენადაც ის არის, იმით არის, რომ ის თვისებების სავსეობაა, ანუ ისეთი საგანია, რომელსაც ყველა ნიშანი აქვს. ცნების ინტენსივობა პრედიკატების სავსეობაა, ამის გამოყენება შესაძლებელს ხდის ღირებულების ზუსტ გაზომვას.

თუ მური კარგის განსაზღვრებას არ იძლევა, ის მხოლოდ ამბობს – კარგი არის კარგი; ჰარტმანი ამბობს, რომ მე მას მის განსაზღვრებას ვუმატებო. როგორც მური სამართლიანად ამბობს, კარგი არ არის არც მეტაფიზიკური და არც ცდისეული ცნება, ის არის ლოგიკური. მისი ლოგიკური გადამუშავებით

მის ფორმალურ წყობას ვღებულობთ, რომელიც ღირებულების ნამდვილობას ეტოლება. ფორმალური წყობა გვაძლევს კარგის შინაგან წყობაში წვდომას, მისი შინაგანი მიმართების სხვადასხვაობას და შინაგანი მიმართებების სავსეობას. ღირებულების ნამდვილობის თანხმობა შესაძლებლობას გვაძლევს განვიხილოთ არა მხოლოდ მისი ნამდვილობა, არამედ აგრეთვე თეორიაც, რომელიც მას ეხება. ფორმალური აქსიოლოგია მიმართულია ეთიკის თეორიაზე. ამის ნათელსაყოფად განვიხილოთ აქსიოლოგიური აქსიომა მურის ეთიკის თეორიასთან კავშირში. რა ჰქმნის საგანს კარგად, ამაზე მურს არ შეეძლო სხვა რამ ეპასუხა, გარდა იმისა, რაც ჩემს აქსიომაშია მოცემული. ამის მიხედვით, "საგანი არის კარგი, გამოდის მისი შინაგანი თვისებებიდან. საგნის შინაგანი თვისებების ქვეშ გვესმის ყველა ის თვისება, რომელთა აღწერა ამ საგანს ადგენს, რომელი თვისებებიც ამ საგანს ახასიათებს და არა სხვას და რომელთა გარეშე საგანი არ არის ის, რაც არის. ეს საკითხი მიგვიყვანს მურის ძნელ პარადოქსებამდე. და აქვე უნდა გამოჟღავნდეს ჩვენი აქსიომების ძალა.

მური გაურკვეველია საგნის ბუნების და მისი ღირებულების მიმართებაში, მური ხედავს, რომ საგნის შინაგანი თვისებებს და მის ღირებულებას შორის კავშირია, მაგრამ მან არ იცის ამ კავშირის ზუსტი ბუნება. ჩვენს თეორიაში მათ შორის კავშირი ნათელია, გამოთქმა X კარგ საგანს აქვს ყველა თავისი შინაგანი თვისება, არის წინარეს და გამომდინარეს შორის ურთიერთშენაცვლებადი დამოკიდებულება, "X არის კარგი" და X აქვს ყველა თავისი შინაგანი თვისება, არიან შემდეგ დამოკიდებულებაში: პირველი შეიცავს, როგორც პრედიკატს, განსაზღვრებას. მეორე შეიცავს, როგორც პრედიკატი, განმსაზღვრელს. ასე რომ, "X არის კარგი"; გამოდის, "X აქვს ყველა შინაგანი თვისება; ასე, რომ, საგნის შინაგან ბუნებაზე და მის შინაგან ღირებულებაზე მსჯელობა არიან ტოლფასიანი. მურმა ოცი წლის მერე განიხილა ეს საკითხი და აღნიშნა, რომ საგნის ბუნებრივ თვისებებს რაღაც კავშირი აქვთ მის ღირებულებასთან და პირიქით, მაგრამ მისი ეს ნაწარმოები ისე გაურკვეველი იყო, რომ მან ვერ განასხვავა ეს ორი მხარე. მურის ეს აღმოჩენა მაინც მახვილგონიერი იყო. ჰარტმანის აზრით, ღირებულების თვისება არ არის ისეთივე შინაგანი თვისება, როგორც აღწერითი საგნის თვისებებია, მაგრამ მაინც შინაგანია, ერთი მხრივ, ის საგნის ბუნებრივ თვისებებთან იგივეობრივია, მეორე მხრივ არა. ღირებულებითი თვისება ისევე არ არის საგნის ბუნებრივ თვისებებთან, როგორც ნაწილი არ არის მთელი და მური თავის პასუხში მათ შორის ნათელ განსხვავებას ადგენს და ამბობს, რომ ღირებულებითი თვისება არ არის საგნის შინაგანი ბუნებრივი თვისება, ორ საგანს შეუძლია ჰქონდეს ერთნაირი ბუნებრივი თვისებები და ღირებულებითი თვისება კი სხვადასხვა ჰქონდეთ და პირიქით, საგნებს ჰქონდეთ სხვადასხვა ბუნებრივი თავისებურება, მათი ღირებულებითი თვისება ერთნაირი იყოს.

მურმა იცოდა, რომ ის ახალ მეცნიერებას აფუძნებდა, თუმცა მან არ იცოდა ჭეშმარიტი აქსიოლოგიური სისტემა.

## 4. ღირებულების აქსიომური სურათი

ღირებულების და ბუნებისმეცნიერებათა შორის მსგავსება არის ფორმალური იმ მხრივ, რომ ორივე აქსიომებზე დაფუძნებული, ხოლო საგნობრივად მათ შორის განსხვავებაა. საგნობრივად კავშირი არ არის ღირებულებას და ბუნების მეცნიერებას შორის. ფორმალურად კი ეს კავშირი არათუ ცხადი არ არის, არამედ ის დაუძლეველია, ის არის ლოგიკურად აუცილებელი. ყველა შემეცნებისათვის მეთოდოლოგია ერთია, ის იქმნება აქსიომურ გაიგივებაზე.

ჰარტმანი გამოდის მურის იმ თვალსაზრისიდან, რომ კარგს საგნის ბუნებრივი თვისებების არსებობა შეესაბამება და ამისგან გამოსული ის აგებს ღირებულებების აქსიომებს და ღირებულების მეცნიერებას აძლევს აქსიომურ სახეს. ჰარტმანს აქსიომების სისტემის აგების წინ წანამძღვარებული აქვს რასელი, რომელიც შემდეგს გვეუბნება: ფორმალური ლოგიკა შეიძლება ისე გაფართოვდეს, რომ მოიცვას ფორმალური აქსიოლოგია და მეთოდი. ყოველ წინადადებათა არეს აქვს თავისი სინტაქსური კატეგორიები, მას აქვს დედუქციური ფორმა და თითოეულს აქვს თავისი ფორმალური ლოგიკა ან ანალიტიკა.

აქსიომის სისტემური მნიშვნელობა არის მისი ლოგიკური აგებულება. აქსიომის ცდისეული მნიშვნელობა ღირებულებისათვის არის ის პრაქტიკული შედეგი, რომელიც უშუალოდ მისგან გამოდის. ცდისეული მნიშვნელობა სისტემისა არის ტოლფასოვნობა არსებობისა და ღირებულების არისა. ცდისეული მნიშვნელობა სისტემისა არის მისი უნარი, რომ ღირებულების არე გაითვალისწინოს და მისადმი იქნეს გამოყენებული. ღირებულება არის გამოთქმა, რომელსაც, ანალიზური აზრით, ინტენსივობა არა აქვს, ინტენსივობა მას აქვს მხოლოდ სინთეზური აზრით, ის განისაზღვრება როგორც ფორმალური მიმართება, სახელდობრ, როგორც შესაბამისობა იმ თვისებებისა, რომელსაც სუბიექტი ფლობს, და იმ პრედიკატებს შორის, რომლებიც სუბიექტის ცნებაში არის ნაგულისხმევი, ასე მაგალითად, წინადადება "სკამი, რომელიც ამ ოთახშია, არის კარგი". ეს ნიშნავს იმას; რომ არის რაღაც ოთახში, რომელიც წოდებულია სკამად და აქვს ყველა ის თვისება, რომლებიც მის ცნებაში იგულისხმება. ანდა სხვანაირად: ზოგიერთი საგანი ამ ოთახში არსებული არის სკამთა კლასის წევრი. ამას რომ მივცეთ ლოგიკური სახე, მივიღებთ შემდეგს. "საგანი $X$ არის კარგი $C$, მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ $X$ არის $C$ და $C$-ს აქვს ინტენსივობა, რომელიც შეადგენს თვისებებს და $X$ აქვს $\Phi$-ის ყველა თვისება. ყველა აქ მოცემული მიმართება არის ლოგიკური, ასე რომ, აქსიომა არის იმისათვის გამოგონილი, რომ ღირებულება გაითვალისწინოს. პირველი მიმართება გამოხატავს კლასის წევრობას, მეორე ცნების შემცველობას და მესამე პრედიკატულობას, პირველში კლასის ექსტენსივობაა მოცემული, რომელიც ასე აღინიშნება $X \in C$ კლასის ინტენსივობა, მესამეში არის ორივე გაერთიანებული $\Phi X$, სადაც არის ინტენსივობა, ხოლო $X$ არის ექსტენსივობა. გამოთქმა $\Phi \cup C$ ნიშნავს, რომ ზოგიერთი, ან ყველა $\Phi$-ის ღირებულება შესულია $C$-ში. $\Phi_{u} C$ ნიშნავს $\Phi$-ის, ყველა ღი-

რებულება ც, ფ, ძ, C შესულია C -ში. ეს ნიშნავს თვისებურ ღირებულებას. მაგალითად, "გონიერი" შედის C -ში. X შედის C -ში, რომელსაც აქვს თვისებები და შედის C -ში. მაშ, X არის C -ის კარგი წევრი. თუ ლოგიკური გამოთქმა ჩაითვლება ფაქტიურად, ხოლო აქსიოლოგიური გამოთქმა კი როგორც შეფასებითი, მაშინ ეს ზუსტად განსაზღვრავს ფაქტის და ღირებულების მიმართებას. X არის C , ეს აუცილებლობით არ გულისხმობს, რომ X აქვს ყველა თვისება, რომელიც C -შია, ხოლო თუ X აქვს ყველა თვისება, რომელიც C -შია, მაშინ X არის აგრეთვე კარგი C , საგანი, როცა აქვს ყველა თვისება, არა მხოლოდ ეს საგანია, ის ამავე დროს კარგი საგანია, ასე რომ, ღირებულება მის ფაქტიურობას ემატება.

საგანი და კარგი საგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება, მეორე შემთხვევაში საგანს, როგორც არსებულს, ღირებულება ემატება. მაგალითად, სრულყოფილი სკამი და კარგი სკამი ერთი და იგივეა, ხოლო სრულყოფილი სკამი და სკამი ერთი და იგივე არ არის, რადგან ის სკამი კი არის, მაგრამ რაღაც ნიშანი აკლია, რაც სკამისათვის აუცილებელია. სრულყოფილი სკამი კარგი სკამის ცნებითაა აგებული. ჰარტმანი კვლავ იხსენიებს მურის პარადოქსს და მის გადაწყვეტასაც იძლევა. ჰარტმანი აღიარებს ორ ფუნქციურ დონეს: ერთია საგნის შინაგანი თვისებები, რომლებიც მის ცნებაშია მოცემული და რასაც უმაღლესი დონის ფუნქცია ეწოდება და მეორეა უმდაბლესი ფუნქციური დონე ღირებულება და ამის საიდუმლოება იმაშია, რომ ის დაეყვანოთ უმაღლესი დონის ფუნქციაზე, სხვანაირად ესენია პირველი და მეორე ფუნქციური დონეები.

თუ X აკლია ზოგიერთი თვისება C -სი, მაშინ X არის C -ს ცუდი წევრი, თუ X აკლია უმეტესი -სა, მაშინ ის არის C -ის არა კარგი წევრი. ცუდი არის უარყოფითი გამოთქმა "არაცუდი არის დადებითი". აქსიოლოგიური და ლოგიკური განსხვავებულია. ლოგიკური ნიშნავს მსჯელობაში სუბიექტის და პრედიკატის დამოკიდებულებას, რაც ან დადებითია, ან უარყოფითი, ან ზოგადია, ან კერძოული, ან ერთეული. აქსიოლოგიური აღნიშნავს მსჯელობის ლოგიკურ ქარგში ღირებულებით მხარის გამოხატვას, რაც აღინიშნება კარგის და ცუდის გამოთქმებით. აქსიოლოგიური მსჯელობა უნდა განვიხილოთ ლოგიკურად და აქსიოლოგიურად. ყოველი X არის C -ის კარგი წევრი აქსიოლოგიურად და ლოგიკურად არის ზოგადი და დადებითი, ე.ი. X აქვს C -ის ყველა თვისება. ყველა X - არის C -ის ცუდი წევრი, ლოგიკურად ზოგადი და დადებითია, აქსიოლოგიურად ზოგადი და უარყოფითია. არც ერთი X არ არის კარგი, ლოგიკურად ზოგადი და უარყოფითია, აქსიოლოგიურად ზოგადი და დადებითია. ზოგიერთი X არის C -ის ცუდი წევრი, ლოგიკურად კერძო და დადებითია, აქსიოლოგიურად კერძო და უარყოფითი. არა კარგი (არის) უვარგისი. არაკარგი და კარგი მოპირისპირეებია, უვარგისი და კარგი მოწინააღმდეგეებია. არაცუდი ცუდის მოპირისპირეა, კარგი და არაკარგი მოპირისპირეებია, საშუალო და ცუდი ქვემოპირისპირეებია, კარგი და ცუდი და არაკარგი და საშუალო მოწინააღმდეგეები, ესენია აქსიოლოგიური პრედიკატები, რომლებიც აქსიოლოგიურ მიმართებებს ადგენენ. ასე მაგალითად, X არის უკეთესი,

ვიდრე $Y$ ნიშნავს, $X$ აქვს უფრო მეტი აღწერითი თვისებები, ვიდრე $Y$-ს, რომლებიც ორივე $C$-ის წევრებია, სხვანაირად ეს იგივეა, $Y$ არის ცუდი, ვიდრე $X$. ე.ი. $Y$-ს აქვს მცირე აღწერითი თვისებები, ვიდრე $X$-ს. $X$ არის $Y$-ისათვის კარგი, ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვა კლასის საგნებია, რომლებიც ერთმანეთს ნაწილობრივ ემთხვევა, $X$ არის $Y$-ის ნაწილი, თივა არის ცხენისათვის კარგი, თივის ინტენსივობა არის ცხენის ინტენსივობის ნაწილი. $X$ არის $Y$-სათვის ცუდი, ნიშნავს, რომ $X$ არის მოპირისპირე $Y$-ის ინტენსივობისა, დარიშხანი არის უვარგისი ცხენისათვის, ნიშნავს, რომ ის არის მოპირისპირე რაღაცისადმი, რომელიც არის ცხენისათვის კარგი. სრულად განხორციელებულ მსჯელობას აქვს ღირებულებითი ჭეშმარიტება. სიკარგე არის ცნების განხორციელება. უკეთესია, რომ $X$ ქონდეს მიმართება $Y$-თან, ვიდრე $Z$-თან, ეს იმას ნიშნავს, რომ მიმართება არის ნაწილი $X$ და $Y$-ის. $X$-სათვის უკეთესია კარგი იყოს, ვიდრე ცუდი იყოს. არის ყოველთვის ჭეშმარიტი, $X$-ისათვის ცუდია, რომ იყოს ცუდი, ვიდრე კარგი არის ყოველთვის ჭეშმარიტი.

უკეთესი და ცუდი არის აქსიოლოგიური მიმართება ერთი და იგივე კლასის წევრებს შორის. კარგი და ცუდი სხვადასხვა კლასის წევრებისათვის. აქსიოლოგიური კავშირი გამოიხატება ვალდებულების საშუალებით. ვალდებულება არ ქმნის ორი საგნის მიმართებას, როგორიცაა $X$ და $Y$, ეს გამოხატავს იმგვარ მიმართებას, რომლის მიხედვით, $X$-სათვის უკეთესია, რომ მას მიმართება ქონდეს $Y$-თან, ეს არის არა უბრალო მიმართება $X$ და $Y$-ს შორის, არამედ იგი მათ ღირებულების მიმართებას ადგენს. $X$ ვალდებულია, რომ იყოს კარგი, არის ყოველთვის ჭეშმარიტი. ეს მსჯელობა ტოლფასოვანია შემდეგი მსჯელობის: $X$-სათვის უკეთესია იყოს კარგი, ვიდრე ცუდი, ჩვენ ვალდებული ვართ, ავირჩიოთ, რაც უკეთესია და არა ვართ ვალდებული ავირჩიოთ, რაც ცუდია, ჩვენთვის უკეთესია ავირჩიოთ ის, რაც კარგია და არა ის, რაც ჩვენთვის ცუდია. ჩვენთვის კარგია ავირჩიოთ ის, რაც კარგია და არა ის, რაც ცუდია; არსებობის მხრივ არსებულ საგნებს უფრო მეტი თვისებები აქვს, ვიდრე არარსებულს. არსებობა უკეთესია, ვიდრე არარსებობა. უკეთესია ვარსებობდეთ, ვიდრე არ ვარსებობდეთ. საგნები ვალდებულია არსებობისა, ვიდრე არარსებობის. აქსიოლოგიური მსჯელობის კავშირს "ვალდებულებას" აქვს დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა. დადებითი აზრია მისი ინტენსივობის შესრულებისაკენ მიმართული, უარყოფითია ნისი ინტენსივობის შეუსრულებლობისაკენ მიმართული. $X$ ვალდებულია იყოს $C$, და $X$ არ არის ვალდებული, რომ იყოს არა $C$. ორივე შემთხვევაში "ვალდებულება" მოხმარებულია დადებითად. ხოლო $X$ არ არის ვალდებული $C$ იყოს, და $X$ ვალდებულია რომ არა $C$ იყოს, ორივეში ვალდებულება მოხმარებულია უარყოფითად. მსჯელობები ლოგიკური და აქსიოლოგიური ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა არის მათი პრედიკატი. მაგალითად, $X$ ვალდებულია, რომ იყოს $C$; არის აქსიოლოგიური მსჯელობა ლოგიკური პრედიკატით, მაშინ, როდესაც $X$ ვალდებულია, რომ იყოს კარგი, არის აქსიოლოგიური მსჯელობა აქსიოლოგიური პრედიკატით. ორივე ისინი ღირებულებითი მს-

ჯელობებია. ყველა მარტივი ღირებულებითი მსჯელობის სუბიექტი არის ლოგიკური. მაგალითად X არის კარგი C . X უნდა იყოს C . აქსიოლოგიური გამოთქმა შეიძლება სუბიექტი იყოს, თუ მსჯელობა არის ნარევი, მაგალითად, კარგი X. ღირებულებითი მსჯელობები იყოფა ოთხ ჯგუფად. მსჯელობები ლოგიკური პრედიკატით, აქსიოლოგიური პრედიკატით, ლოგიკური კავშირის "არის", "არ არის" და აქსიოლოგიური კავშირით" "უნდა", ღირებულებითი მსჯელობა ლოგიკური კავშირით იწოდება ლოგიკურ ღირებულებით მსჯელობად, ღირებულებითი მსჯელობა აქსიოლოგიური კავშირით "უნდა"-თი იწოდება აქსიოლოგიურ ღირებულებით მსჯელობად, ანუ პირდაპირ აქსიოლოგიურ მსჯელობად.

ლოგიკურ-ღირებულებითი მსჯელობა ლოგიკური პრედიკატით იწოდება წმინდა ლოგიკურ ღირებულებით მსჯელობად, და ლოგიკური ღირებულებითი მსჯელობა აქსიოლოგიური პრედიკატით იწოდება შერეულ ლოგიკურ-ღირებულებით მსჯელობად. აქსიოლოგიური ღირებულებითი მსჯელობა აქსიოლოგიური პრედიკატით იწოდება წმინდა აქსიოლოგიურ ღირებულებით მსჯელობად. აქისოლოგიური ღირებულებითი მსჯელობა ლოგიკური პრედიკატით შერეულ აქსიოლოგიურ ღირებულებით მსჯელობად. ასე მაგალითად, X არისC . ეს არის წმინდა ლოგიკური მსჯელობა, X არის კარგი, არის შერეული ლოგიკური მსჯელობა. X უნდა იყოს კარგი, არის წმინდა აქსიოლოგიური, X უნდა იყოს C , არის შერეული აქსიოლოგიური მსჯელობა. ისე, როგორც, საერთოდ, ლოგიკაში მსჯელობებია რიცხვობრიობის და თვისებრიობის მაჩვენებელი, ასევე ღირებულებით მსჯელობებში ყველა დადებითი, არც ერთი უარყოფითი. ზოგიერთი უარყოფითი, მაგალითად, ყველა X არის კარგი, ყველა X არ არის კარგი, ყველა X არის ცუდი. აქსიოლოგიური მსჯელობა "უნდა" კავშირით დადებითია, თუ ის დადებითი აზრით იხმარება, უარყოფითია, თუ ის უარყოფითი აზრით იხმარება. ღირებულებითი მსჯელობები თუ, ის მოცემულია ასერტორიულად, არის ანალიზური, თუ ის მოცემულია გადაუჭრელად, არის ჰიპოთეტიკური, ხოლო თუ ის მოცემულია უარყოფითად, არის სინთეზური; ღირებულებითი მსჯელობების სახეებია: აქსიოლოგიურ-ანალიზური, ჰიპოთეტური და სინთეზური. ესენი უნდა განვასხვაოთ ლოგიკური ანალიზურობიდან, ჰიპოთეტურობიდან და სინთეტურობიდან. "ჯონი არის კარგი სტუდენტი" აქსიოლოგიურ-ანალიზურია, თუ ამის მთქმელი იგულისხმებს, რომ "ჯონი არის სტუდენტი" (X არის  ) და რომ ჯონი შეესაბამება სტუდენტობის ცნებას და ჯონს აქვს ყველა თვისება, რომელიც საჭიროა სტუდენტისათვის. იგივე მსჯელობა იქნება ჰიპოთეტური, თუ ამის მთქმელი იგულისხმებს, რომ ჯონი შეიძლება იყოს და შეიძლება არა სტუდენტი და შეიძლება შეესაბამებოდეს სტუდენტობის შინაარსს და შეიძლება არა. შეიძლება აქვს და შეიძლება არა სტუდენტობის თვისებები. იგივე მსჯელობა სინთეზურია, თუ ამის მთქმელი იგულისხმებს, რომ ჯონი არ არის სტუდენტი, რომ ის არ შეესაბამება სტუდენტის ცნებას, რომ მას არა აქვს სტუდენტობის თვისებები. სინთეზურ-აქსიოლოგიური მსჯელობა არ არის მცდარი. ეს არის ვარაუდი და არა ფაქტი. ეხლა შევცვალოთ კავშირი "არის", "უნდა იყო"-თი."ჯონი უნდა იყოს კარგი სტუდენტი", წრე უნდა იყოს მრგვალი; ეს მსჯელობები ანალიზურია.

ფაქტის და ღირებულების განსხვავება ღირებულებითი ფაქტიურობისაკენაა

მიმართული, ღირებულებით ლოგიკურობას გულისხმობს. ჯერარსული მიმართულია აღწერისაკენ. "ჯონი არის კარგი" აღწერითია და ამავე დროს ღირებულებითი, წრე უნდა იყოს მრგვალი, ჯერარსულია, მაგრამ ფაქტიურია. შეფასებითი მსჯელობა იმორჩილებს ფაქტიურს და მასში ხორციელდება ისე, როგორც მადანი მთაშია განხორციელებული. ლოგიკური პრედიკატი შეიცავს აქსიოლოგიურ პრედიკატს. ასე მაგალითად, "პატიოსანი სტუდენტი".

აქსიოლოგიური მსჯელობის და ლოგიკური მსჯელობის ჭეშმარიტება განსხვავებულია. ლოგიკური მსჯელობის ჭეშმარიტება მდგომარეობს მსჯელობის ფაქტთან მიმართებაში, ხოლო აქსიოლოგიური მსჯელობის ჭეშმარიტება მდგომარეობს მის შესაბამისობაში მის მიერ დაქვემდებარებული ღირებულების ნიმუშთან. ლოგიკური მსჯელობა მიმართულია მისი საფუძვლისაკენ, ხოლო აქსიოლოგიური მსჯელობა პრაქტიკულად მისგან არის წარმოშობილი. აქსიოლოგიური მსჯელობის ჭეშმარიტება დაფუძნებულია აქსიოლოგიის სისტემაზე, ისე, როგორც ლოგიკური მსჯელობა დაფუძნებულია ლოგიკის სისტემაზე, აქსიოლოგიაში მსჯელობის ჭეშმარიტება და ღირებულების ნამდვილობა ერთმანეთს ემთხვევა. ღირებულებითი მსჯელობა არის აქსიოლოგიურად ან ჭეშმარიტი, ან მცდარი, ან გაურკვეველი; აქსიოლოგიური მსჯელობა ჭეშმარიტია, თუ ის შეესაბამება აქსიოლოგიის წესებს, თუ არა ის მცდარია, გაურკვეველია, თუ მას არა აქვს აქსიოლოგიური პრედიკატი ან კავშირი და მაშასადამე, არ არის სუბიექტს და პრედიკატს შორის კავშირი.

წმინდა ლოგიკური მსჯელობა გაურკვეველია, მისი ჭეშმარიტება არ არის აქსიოლოგიური ჭეშმარიტება. შერეული ლოგიკური მსჯელობა არის ჭეშმარიტი, თუ ის ლოგიკურად კერძოობითია, ხოლო მცდარია, თუ ლოგიკურად ზოგადია. შერეული ლოგიკური მსჯელობა არის აქსიოლოგიურად ანალიზური, ეს იმას ნიშნავს, რომ მცდარია დებულება, ყველა კლასის წევრი არის კარგი. მაგალითად, "ყველა ადამიანი არის კარგი", ყველა მანქანა არის კარგი, ან არც ერთი ადამიანი არ არის კარგი, არც ერთი მანქანა არ არის კარგი. ჭეშმარიტია ზოგიერთი "ადამიანი არის კარგი"; ზოგიერთი მანქანა არის კარგი". აქედან ის გამოდის, რომ აქსიოლოგიურ-ანალიზური მსჯელობის განზოგადოება არ შეიძლება. ამ წესის დარღვევას შეიძლება ეწოდოს მცდარი განზოგადების აკრძალვა. წმინდა აქსიოლოგიურ-ანალიზური მსჯელობა ჭეშმარიტია თუ დადებითია; მცდარია - თუ უარყოფითია. მაგალითად, ჭეშმარიტია - ყველა მასწავლებელი უნდა იყოს კარგი, ყველა მანქანა უნდა იყოს კარგი. მცდარის მაგალითი იქნება "არც ერთი მასწავლებელი არ უნდა იყოს კარგი, არც ერთი მანქანა არ უნდა იყოს კარგი".

ღირებულებითი მსჯელობებისადმი ჭეშმარიტების და მცდარობის მიწერა მეცნიერულის და ღირებულებითი მსჯელობების გაიგივებას ნიშნავს. ამ მიმართებით ნამდვილად ღირებულებით მსჯელობას ჭეშმარიტება ან მცდარობა არ მიეწერება. ავიღოთ ჰარტმანის მაგალითი - "ყველა მასწავლებელი არის კარგი" - მცდარია, ხოლო "ზოგიერთი მასწავლებელი არის კარგი" - ჭეშმარიტია. მასწავლებლის სიკარგე განსაზღვრულია გარკვეულია წესების მიხედვით. ეს წესები შედგენილია საზოგადოების მიერ, ამიტომ კარგი მასწავლებელი ისაა,

ეინც ამ წესებს ემორჩილება, ეს წესები კი შეიძლება სხვადასხვა საზოგადოებას სხვადასხვა ჰქონდეს ისე, რომ მის სიკარგეს მისი ჯერარსობა განსაზღვრავს. მისი ნამდვილობა  იდეითაა განსაზღვრული, ამიტომ ღირებულებითი მსჯელობა ლოგიკურად როგორაა აგებული, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ის, რომ იგი იდეალთან შესაბამისობაშია, ან არ არის შესაბამისობაში.

ჰარტმანი გადადის ფორმალური აქსიოლოგიის საკითხებზე, რომლითაც მან უნდა გვიჩვენოს მისი მთავარი ამოცანის გადაწყვეტის ცდა, კერძოდ, ღირებულების მოვლენების აქსიომებზე დაფუძნება. ფორმალური აქსიოლოგია დაფუძნებულია ინტენსიურობის ლოგიკურ აგებულებაზე, ინტენსიურობის ქვეშ იგულისხმება პრედიკატების რიგი. ამის მიხედვით, არის სისტემური, გარეგანი და შინაგანი ღირებულებები. ფორმალურ აქსიოლოგიაში სისტემური საგანი, როგორიცაა გეომეტრიული წრე, სამკუთხედი, ელექტრონი, რიცხვი და სხვა არ შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, ისინი შეიძლება მხოლოდ იყვნენ ან არ იყვნენ. ღირებულება დაკავშირებულია სისტემურ ცნებასთან, ამიტომ არ შეიძლება იყოს სინთეზურად ან არ იყოს. ის შეიძლება იყოს ცნების სრული განხორციელება ან განუხორციელებლობა; უსრულობა ან სრულობა. სისტემური ღირებულება არის სისრულის ღირებულება. რიცხვი არ შეიძლება გაფუჭდეს, ერთეულის დაკარგვით ის კი არ ფუჭდება, ის სხვა რიცხვად იქცევა, ქვაბი შეიძლება გაფუჭდეს სახელურის დაკარგვით. ქვაბი და სხვა ცდისეული საგნები ანალიზური ცნების საგნებია და მათი შეფასება ხდება კარგად თუ ცუდად. ანალიზური ცნება არის არა ერთეული, არამედ ზოგადი. ცდისეული საგანი, განსაზღვრული ანალიზური ცნებით, არის ყოველთვის კერძოობითი, ერთეული საგანი. მხოლოდ კერძოობით ცდისეულ საგანს შეიძლება ჰქონდეს აქსიოლოგიური ღირებულება, სიკარგე, სიცუდე. გარეგანი ღირებულება აქვს საგანს, რომელიც კლასის წევრია.

ღირებულების თეორიის აქსიომურობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მასში არის მსჯელობები, რომლებიც ზოგადობის სახეს ატარებენ. ბუნებისმეცნიერების მსჯელობები ზოგადობის მქონეა, იმიტომ რომ მათში სუბიექტი არ იგულისხმება, ისინი თავისთავადია ყოველგვარი მეს მონაწილეობის გარეშე, ღირებულებითი მსჯელობები ზოგადობის მქონე იქნება, თუ საგნის ღირებულება მისი ნიშნების სისრულითაა განსაზღვრული, მაშინ ღირებულებითი მსჯელობა და ბუნებათმეცნიერული ერთი და იგივე იქნება, როგორც ლოგიკურად, ისე ნამდვილობის მიხედვით, მაგრამ ეს ასე არ არის; თუ ბუნებათმეცნიერული მსჯელობა გამოხატავს თავისთავადობას, ღირებულება გამოხატავს საგნისადმი ვიღაცის მიმართებას. ამიტომ ღირებულებათა მსჯელობის ზოგადსაყოველთაობა გარეგნულია და მის ბუნებას ის არ შეესაბამება. რამდენიც უნდა ეცადოს ასეთი თეორიის წარმომადგენელმა, რომ ღირებულება საგნის თვისებებისაგან განსხვავებულია, რაკი ღირებულების საფუძველი საგნის თვისებების ჯამია, ისინი ერთი და იგივეა. საგანს აქვს სრულყოფილად ყველა თვისება და სრულყოფილი თვისებების მქონე საგანი არის კარგი. ეს ორი მსჯელობა ერთი და იგივეა, რადგან, მეორე მსჯელობაში პირველთან შედარებით,

მას ახალი არაფერი არ ემატება, გარდა იმისა, რომ ითქმება, ის კარგია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ღირებულებას საგანს ვიღაცა აწერს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ღირებულებითი მსჯელობა ზოგად-საყოველთაო სახეს ვერ მიიღებს, რადგან რაც ერთისათვის კარგია, მეორისათვის ცუდია. ჰარტმანს მოჰყავს თივისა და ცხენის მიმართების მაგალითი და აქაც კი ასეთი მსჯელობა არ მართლდება, რადგან ცხენს მოსწონს ასეთი თივა, ხოლო მეორე ცხენს სხვანაირი. ანდა შეიძლება ცხენს არც ერთი სახის თივა არ უნდოდეს, რადგან იგი ქერზეა შეჩვეული. ასე რომ, ზოგად-საყოველთაო მსჯელობები ღირებულებების არეში არ არის, რომელიც ბუნებათმეცნიერული მსჯელობების შესადარი იქნებოდა. ღირებულებითი მსჯელობები შეპირობებულია ადამიანის მიერ დადგენილი წესებით და ეს წესები კი სხვადასხვაა, ამიტომ მათ მიმართ არა ჭეშმარიტებაა მისაყენებელი, არამედ იდეალთან შესაბამისობა, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვაა ადამიანებისათვის. საყურადღებო ისაა, რომ საგნის ღირებულება თუნდაც რომ თავისთავადად ვცნოთ, ისაა აუცილებლივ გასათვალისწინებელი, რომ მის შეფასებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობას იძენს საგნის ფორმა, ანუ საგნის ნიშანთა შინაგანი წყობა. მაშასადამე, რაკი ღირებულების არეში ზოგად-საყოველთაო მსჯელობები არ არის, მათში არ იქნება ჭეშმარიტება, ამიტომ მათი ფორმალურობაში გამოხატვა საფუძველს მოკლებულია.

## 5. საგნის ცნებითი და აღწერითი ნიშნები

ჰარტმანი განასხვავებს საგნის ცნებას და მის აღწერილობას. მაგალითად, თუ საგანს აქვს $\mathfrak{A}$ და $\mathfrak{B}$ ნიშნები, ეს არის ცნებით განსაზღვრული, თუ მას აქვს ამავე დროს $\mathfrak{g}$, $\mathfrak{d}$ და სხვა ნიშნები, ეს არის როგორც ცნებისმიერი, ისე აღწერისმიერი. ხოლო თუ მას აქვს მხოლოდ $\mathfrak{g}$, $\mathfrak{d}$ და სხვა ნიშნები, ეს არის აღწერისმიერი. მაგალითად, თუ რაიმე X საგანი არის ერთჩლიქიანი, ოთხფეხი გვარეობითი ნიშანი აქვს ცხენის, ის არის ცხენი, ცნების განსაზღვრების მიხედვით, ხოლო თუ მას არა აქვს ერთჩლიქიანობა და არც გვარეობითი ნიშანი "ცხენი" და აქვს კუდი, ფაფარი, კბილები, ის შეიძლება იყოს ცხენი და შეიძლება იყოს ლომი. ეს ნიშნები აღწერითია და ისინი საგნის ცნებას არ ადგენენ. როცა ჰარტმანი ორგვარ ნიშნებს განასხვავებს, იმ აზრს გამოთქვამს, რომ საგნის სიკარგისათვის მარტო ცნებითი სრულყოფა საკმარისი არ არის, მას თან უნდა ახლდეს აგრეთვე აღწერითი ნიშნები. მაგალითად, ის ამბობს, კარგი ცხენი არის ის, რომელსაც აქვს არა მარტო ცხენის განსაზღვრების ნიშნები, არამედ აღწერითი ნიშნებიც. ცხენი ცუდია, თუ მას აქვს ცნებითი ნიშნები, მაგრამ აღწერითი ნიშნები აკლია, როგორიცაა კუდი, ფაფარი და სხვა. მაშასადამე, საგნის სიკარგე და სიცუდე დამოკიდებულია არა მხოლოდ განმსაზღვრელ ნიშნებზე, არამედ აღმწერელ ნიშნებზეც. განსხვავება განსაზღვრებით და აღწერით ნიშნებს შორის იქიდან არის ნათელი, რომ თუ დაკარგულია განსაზღვრებითი ნიშანი, საგანი არა მარტო კარგი არ არის, არამედ ის, როგორც განსაკუთრებული,

არსებული აღარ არის, თუ ცხენს არა აქვს განსაზღვრებითი ნიშანი, ის ცხენი არ არის, ის სხვა რამაა, ხოლო თუ ცხენს აქვს განსაზღვრებითი ნიშანი, მაგრამ აკლია აღწერითი ნიშანი, ის ცხენი კი არის, მაგრამ ის არ არის კარგი ცხენი. ავტორი ამის საფუძველზე განასხვავებს ცდისეულს და ლოგიკურ არსებობას. ცდისეული საგანი შეუძლებელია არსებობდეს ცნებითი განსაზღვრავი ნიშნების გარეშე, ხოლო ლოგიკური შეიძლება ცდისეულის გარეშე იყოს, ე.ი. შეიძლება გვქონდეს ცხენის ცნება, ხოლო ცხენი სინამდვილეში არ იყოს. ყოველ შემთხვევაში განსაზღვრებითი ნიშანი უპირატესია, რათა საგანი შეფასდეს აღწერითი თვისებების საშუალებით. საგანი განსაზღვრული აღწერითი ნიშნებით არის ცდისეული, ანუ არსებულ საგანთა კლასში შემავალი. ამას სხვანაირად შეიძლება აქსიოლოგიურ საგანთა კლასი ეწოდოს, ხოლო საგანს განსაზღვრულს განსასაზღვრავი ნიშნებით საგანთა ლოგიკური კლასი ეწოდოს. ლოგიკური კლასი არის სისტემური კლასი. საგანთა კლასი სისტემურია, თუ ის შეერთებაა ექსტენსიურობისა და ინტენსიურობის, ესენი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ჰარტმანი ფილოსოფიას ახასიათებს როგორც ანალიზურს, ამიტომ ღირებულების თეორია უნდა იყოს სინთეზური. მისი აზრით, სინთეზურია მაგალითად დასკვნის ფორმა: თუ $A$ არის $B$ და $B$ არის $C$, მაშასადამე $A$ არის $C$, მისი აზრით, აქ ცნების მოცულობა და შინაარსი პირდაპირ დამოკიდებულებაშია. ცხადია, რომ მისი ეს აზრი მცდარია, ეს დასკვნა არის მხოლოდ უზოგადესი მიმართების გამოხატულება, რომელიც მისდაგვარ საგანთა მიმართების გამოხატვისათვისაა. ამიტომ მის მიმართ ცნების ხსენებულ დამოკიდებულებას ადგილი არა აქვს. თუ განწყენების ხარისხი უდრის ნულს, მაშინ საგანი არის ერთეული, თუ განწყენების ხარისხი ნულს ზევითაა, მაშინ საგანი არის იდეალური, ასეთი არის აქსიომა. ამგვარად თვისებების რიგის ხარისხი $2^4$, არის უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე თვისების ხარისხი $2^3$, რადგანაც პირველში უფრო მეტი თვისებებია, ვიდრე მეორეში. თვისებების ნაკლებობა უმაღლესი ხარისხით არის უფრო მეტი უღირებულობა, ვიდრე ნაკლები თვისების ნაკლებობა. მაგალითად, ცხენისათვის არის ნაკლები ღირებულება ფეხების არარსებობა, ვიდრე კუდის არარსებობა. ცხენისათვის მისი კუდი უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე რაიმე კუდი, საერთოდ, რესტორანის სკამი უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე რომელიმე სკამი. ცხენის და ცხენის კუდის ღირებულება ერთნაირია იმიტომ, რომ უკუდო ცხენი ნაკლოვანია. ცხენის ღირებულება ტოლია მისი კუდის ღირებულების, რადგან ცხენის ღირებულება მისი კუდის გარეშე არ არის ღირებული ცხენი. ეს იმას ნიშნავს, რომ კუდი ცხენისათვის კარგია, ამის მიხედვით, ჰარტმანი თეორემას აგებს. თუ $X$ არის კარგი $Y$-სათვის, მაშინ კარგი $X$ უკეთესია $Y$-სთვის, ვიდრე ცუდი $X$. ცხენისათვის უკეთესია კარგი კუდი, ვიდრე ცუდი, ცხენისათვის პირი უფრო მეტი თვისებებისაა, ვიდრე ფეხები, ხოლო ფეხები უფრო მეტის, ვიდრე კუდი და ყველა ეს თვისება ცხენისათვის ერთნაირი ღირებულებისაა. ყველა ამ თვისებების ღირებულება თანფარდობითია იმ თვისებების რიცხვისა, რომლებიც თითოეულშია. აღწერითი და ღირებულებითი თვისებების მიმართებას ჰარტმანი აქსიომის სახით ასე აგებს: ამ აქსიომის მიხედვით, საგანი არის

კარგი, თუ მას აქვს ყველა ინტენსიონალური თვისება; საშუალოა, თუ მას აქვს უფრო მეტი თვისებები, ვიდრე აკლია, ცუდია, თუ მას აკლია მეტი, ვიდრე აქვს და არაკარგია, თუ მას აკლია ინტენსიონალური თვისებები უმეტესად.

ღირებულების გამოხატვისათვის ჰარტმანი იშველიებს არითმეტიკულ ხერხს, ღირებულების და საგნის ბუნებრივი თვისებების არითმეტიკულ დამოკიდებულებას ადგენს და ამით გვაჩვენებს ღირებულების კავშირს საგნის ბუნებრივ თვისებებთან. ვთქვათ, საგანს აქვს თვისებების ერთობლიობა აღნიშნული $n$-ით. ამის მიხედვით, საგანი კარგია თუ მას აქვს $n$ თვისებები, საგანი ცუდია, თუ მას აქვს ნაკლები თვისებები, ვიდრე $n$; საგანი არ არის კარგი, თუ მას აქვს თვისება $\frac{n}{n}$, ანუ ნული თვისებები. ვთქვათ ეს თვისებებია 9 გამოხატული, თუ ყველა ეს თვისება აქვს, ის კარგია, თუ 4 ცუდია. თუ მაგალითად, საგნის აგებულებას ვუწოდებთ მაგიდას, ეს იქნება მისი ფაქტიურობა; იგივე საგანი, მაგიდა არის ჯერარსული, რომელიც ფასდება, როგორც კარგი მაგიდა. ამ მხრივ, არ არის საზომი ყველა სხვა ღირებულების, ცუდის და არაკარგი მაგიდის. ე.ი. რა ნიშნებსაც სხვა მაგიდები არ შეიცავენ, ვიდრე კარგი მაგიდა შეიცავს, ისინი არაკარგი და ცუდია. ამგვარად, აღწერითი თვისებები განსაზღვრავენ მაგიდას, როგორც ფაქტს და იგივე თვისებები განსაზღვრავენ მაგიდას, როგორც ღირებულებას.

საგანი, რომელსაც აქვს $n$ თვისებები, ფაქტია, და $n$ იგივე თვისებები, განხილული როგორც შესაძლებელი წყობის მქონენი, არის ღირებულება, ერთ შემთხვევაში ჩვენ ვიტყვით, რომ ის არის მაგიდა, მეორე შემთხვევაში ვიტყვით, რომ ის არის კარგი მაგიდა. პირველ შემთხვევაში საგანი არის ის, რაც არის მეორე შემთხვევაში, ის არის სხვა შესაძლებლობის წევრი. ღირებულებითი პრედიკატი არის აღწერითი პრედიკატების ქვემდებარე. ფაქტი, მაშასადამე, არის ფაქტი მისი ძირითადი ღირებულებითი მნიშვნელობის მიხედვით. ღირებულების ჯერარსულობა არის ფაქტიურობის არსება. ეს არის ის, რაც ფაქტიურობას, როგორც ფაქტიურობას, განსაზღვრავს, ფაქტი არის თავისებური ღირებულება, რომელიც იხმარება, როგორც ღირებულების საზომი. ფაქტი არის პირველადი თვისება, ღირებულების აღწერითი თვისებები არის პირველადი ღირებულებითი თვისებები და მათი ინტენსივობა არის ღირებულების საზომი. ღირებულება, როგორც გასაზომი, არის ერთიანობა აღწერითი თვისებების, სწორედ ისე, როგორც სიგრძე, გასაზომი არის სანტიმეტრების ერთობა. მეცნიერებაში მეორადი თვისებები პირველად თვისებებშია გადატანილი, რომელიც გაზომვის ერთეულად არის გამოყენებული.

ასევე ღირებულების შეფასებაში, მის გაზომვაში ღირებულებითი თვისებები გადატანილია პირველად აღწერით თვისებებში და ის ემსახურება ღირებულების გაზომვას. ისე როგორც მთელი ბუნებათმეცნიერება გადატანილია ფაქტიურობაში, ასევე მთელი ფაქტიურობა გადატანილია შეფასებაში.

ფორმალურ აქსიოლოგიას შებრუნებითი დამოკიდებულება აქვს ფაქტსა და ღირებულებას შორის. ღირებულება არის ფაქტის ხარისხი, ფაქტი არის ღირებულების ხარისხი, ფაქტის ქვეშ იგულისხმება საგნის თვისებები. ღირებულება

არის ფაქტის საზომი, ფაქტი არის ღირებულების საზომი; ღირებულება არის ნამდვილობა, რომლის მიმართ ფაქტი არის მისი საზომი. ფაქტი არის ღირებულების საზომი, ისე როგორც ძელი არის მთის საზომი, ის ზომავს მთას, გეომეტრი არ არის მთისმზომელი. ფაქტსა და ღირებულებას შორის, ჰარტმანის აზრით, გარკვეული შესაბამისობაა, მოცემულ ფაქტს გარკვეული ღირებულება აქვს და ღირებულებას გარკვეული ფაქტი უდევს საფუძვლად.

## 6. ღირებულების გაზომვა არითმეტიკით

რაკი ჰარტმანი ღირებულებას გაიგებს როგორც საგნის ნიშნების ერთობლიობით განსაზღვრულს, ამის საფუძველზე მას შეუძლია ააგოს ღირებულების ფორმალური თეორია, რომელიც დაფუძნებული იქნება არითმეტიკის ოთხ მოქმედებაზე, მიმატება-გამოკლებაზე და გამრავლება-გაყოფაზე. ასეთია ოთხი ახალგაზრდის მიერ ერთი ქალის შეფასება, რომელიც საშუალო რიცხვით გამოიხატება.

დავუშვათ, რომ ოთხი ადამიანი ერთ ქალიშვილს აფასებს. პირველი იტყვის: მას ქალის ყველა თვისება აქვს. მეორე იტყვის, რომ მე ნამდვილად არ მგონია, რომ ის ასე მგრძნობიარეა, ამიტომ მას არა აქვს ქალის ყველა თვისება. მესამე იტყვის, რომ მას აქვს ქალის ბევრი კარგი თვისება, მეოთხე იტყვის: თუმცა ქალია, მაგრამ არა აქვს ქალის ბევრი თვისება. ჰარტმანი ამის საფუძველზე საშუალოს გამოიყვანს. ამ მაგალითით ჩანს, ღირებულების მოვლენის გაზომვა და მისი რიცხობრივი გამოხატვა რა შეუსაბამობას შეიცავს. ერთი ქალიშვილი ოთხი ახალგაზრდისათვის სხვადასხვა ღირებულებისაა, ერთისათვის მისი ღირებულება ნულის ტოლია და ჰარტმანი მაინც ცდილობს, მათი საშუალო ღირებულება იპოვოს. ეს არის შეუძლებელი. ღირებულება საგნის თვისებების ჯამი კი არ არის, არამედ საგნისადმი ადამიანის გრძნობადი დამოკიდებულებითაა განსაზღვრული. ამ ოთხ ახალგაზრდას ერთი ქალისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ და მათი საშუალოს გამოყვანა არის საფუძველმოკლებული. სულ სხვაა მის მიერ მოტანილი სითბოს მაგალითი. აქ კანონიერია საშუალო რიცხვის მიღება, რადგან აქ არის სითბოს სხვადასხვა ოდენობა. აქ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ საშუალო რიცხვზე, რომელიც მათი ჯამის ოთხზე გაყოფით მიიღება. აქ ავტორი მართალია, რადგან საქმე გვაქვს რიცხვებთან. გოგონას ღირებულება ოთხი ახალგაზრდა ადამიანისათვის ასეთი არ არის. გოგონა ითვლება კარგად, ოთხი ახალგაზრდა ადამიანისათვის სხვადასხვა მიმართებით, ამავე დროს ისინი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი გრძნობების მქონენია და მათ საერთო არაფერი აქვთ.

ჰარტმანის მიერ გამოყენებული გამრავლება და გაყოფა ღირებულების შესახებ გვიჩვენებს მათი გამოყენების უსარგებლობას. ავიღოთ გამრავლების მაგალითი, ჯონი სტუდენტია, რომელიც კარგი სტუდენტი უნდა გახდეს. მისი ნიშანია 70, კარგი რომ გახდეს, უნდა ჰქონდეს 90, მაშასადამე, მას აკლია 20, ამიტომ ჰარტმანი ასე იქცევა 90 ℌ . 20 ∂ , 70 ℬ და მას ბე-ზე ყოფს ისევ ℱ -ზე და ღებულობს იმას, რაც დასაწყისში ჰქონდა. გამრავლების აზრი კი ის არის, რომ ისეთი რიცხვი მიიღო, რაც არ გქონია. აქ კი

იგი დასაწყისშივეა მოცემული და მისი მიღებისათვის გარჩევა-გაყოფის მოქმედება სრულიად ზედმეტია, რაც შეეხება შედარება-გამოკლებას, თუ მის თვალსაზრისს მივიღებთ, გასაგებია, რადგან საგნის ღირებულება მისი ნიშნების არსებობითაა განსაზღვრული.

მოწონება და არმოწონება აქსიოლოგიურად გვიჩვენებს შემდეგს: კარგი სკამი აქსიოლოგიურად უპირისპირდება იმ სკამს, რომელიც კარგი უნდა იყოს და კარგი არ არის. კარგი საგნის მოწონება სიკარგეს ღირებულებას უმატებს, რაც ასე გამოითქმება – საგნის სიკარგე არის კარგი. საგნის სიკარგე და სიცუდე ადამიანს გულისხმობს, როგორც მის საზომს. აქედან გამოდის, რომ ის არ შეიძლება ზოგადსაყოველთაო იყოს, რადგან ადამიანებს საგნისადმი სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აქვთ. ამიტომ მისი აქსიომურობა განუხორციელებელია. აქსიომა ზეპიროვნულია, ღირებულება კი პიროვნული. რაც არის, როგორც კარგი, ის ადამიანის ბუნებითაა შეპირობებული და ის, რაც არის, როგორც ცუდი, მის ბუნებასთან შეუსაბამოა და ამიტომ მისდამი უარყოფით მიმართებაშია. მან ის იმად უნდა აქციოს, რაც უნდა იყოს. X არის კარგი და კარგია, რომ X არის კარგი. ამგვარად, მოწონება არის სიკარგის ატრიბუციისათვის სიკარგის მიწერა. X უნდა იყოს კარგი, შეიცავს იმას, რომ X არის ცუდი და ცუდია, რომ ის არის ცუდი. X არის კარგი, ნიშნავს, X არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

ჰარტმანის ამოცანა იყო ღირებულების თეორიის აქსიომური საფუძვლების მოცემა და ამით მისი მეცნიერული დაფუძნება. მისი აზრით, ფილოსოფია მეცნიერება არ არის, რადგან ის აქსიომური არ არის, ხოლო თუ მისი საგნის ღირებულების აქსიომურობა მოხდა, მაშინ ის ფილოსოფიიდან მეცნიერებად იქცევა. თუ მან ეს საკითხი გადასწყვიტა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ზუსტ მეცნიერებათა დარგს ახალი ცოდნის დარგი – ღირებულების აქსიომური თეორია მიუმატა.

ჰარტმანი გამოდის მურის თეორიიდან, რომელიც საგნის ღირებულებას უკავშირებს მის ბუნებრივ თვისებებს, თუმცა იგი ცდილობს, მერე ღირებულება ამ თვისებებისაგან განასხვაოს, მაგრამ ეს მიუღწეველი რჩება, რადგან ამ თვისებების გარეშე იგი სიცარიელეა, ასე რომ, საგნის ბუნებრივი თვისებების ერთობლიობა და ღირებულება საბოლოო ანგარიშით იგივეობრივი ცნებები გამოდის; ამიტომ ჰარტმანის აზრი, თითქოს მან მურის თეორია განავითარა, დაუსაბუთებელია; მან მხოლოდ ის გააკეთა მურთან შედარებით, რომ ღირებულება ნიშნებით გამოსახა და არითმეტიკაზე შეეცადა ღირებულების დაფუძნებას. ჰარტმანი ერთმანეთისაგან განასხვავებს საგნის ცნებით თვისებებს და აღწერის თვისებებს. დასაწყისში ის საგნის ღირებულებას მისი ცნებითი თვისებებით ამოსწურავს, მაგრამ შემდეგ ხედავს, რომ ეს საკმარისი არ არის და ამიტომ მას აღწერით თვისებებს უმატებს. საგანი კარგია, თუ ის არის მისი ცნებითი და აღწერითი თვისებების მთლიანობა. ცხენის სიკარგისათვის საკმარისი არ არის იმ ნიშნების გამოხატვა, რითაც ის ცხენია. განსაზღვრის მიხედვით, ცხენი არის ოთხფეხა, ერთჩლიქიანი, ფაფარიანი ცხოველი. ამის მიხედვით მისი სიკარგის დადგენა ძნელია. თუ მას არ მიემატა აღწერითი ნიშ-

ნები, ამ აღწერით ნიშნებში შედის მისი ფერი, მისი სიმაღლე, მისი კუდი; თუ ცხენს კუდი არა აქვს, ის არ შეიძლება კარგ ცხენად ვცნოთ, თუ ის მეტად დაბალია, ან ტანზე ჭრელ-ჭრელია, ასევე ის არ შეიძლება კარგ ცხენად ვცნოთ; ასე რომ, ყოველ საგანს, რაც ფასდება, უნდა ჰქონდეს ცნებითი და აღწერითი თვისებები. რაკი საგნის სიკარგე მისი თვისებების ერთობლიობაზეა დამოკიდებული, შეიძლება აღირიცხოს და რაოდენობრივად გამოიხატოს, ხოლო თუ ის რაოდენობრივად გამოიხატება, კარგი საგანი შეიძლება აქსიომით განოითქვას. ყოველი X საგანი კარგია, თუ ის თავისში ცნებითი და აღწერითი თვისებების ერთობლიობას ახორციელებს.

ჰარტმანის თვალსაზრისი იმაზე, რომ საგანს გარკვეული თვისებები უნდა ჰქონდეს, რის საფუძველზეც შესაძლებელია მისი შეფასება, სწორია, რადგან ამ თვისებების გარეშე საგანი არ არის როგორც გარკვეული საგანი, სხვა საგნებისაგან განსხვავებული; ის არ არის არსებულთა რიგში, არ არის ნამდვილი, მაგრამ მისი ღირებულება მხოლოდ მათი ერთობლიობით არ ამოიწურება; იმისათვის, რომ საგანი კარგ საგნად ჩაითვალოს, საჭიროა ამ თვისებების ურთიერთგანლაგება, რომელიც სიტყვა "ფორმით" უნდა გამოიხატოს, საჭიროა ეს თვისებები ერთმანეთთან თანაფარდობით კავშირში იყოს, თუმცა არც ესაა საყოველთაო. მაგ., თუ ცხენს დიდი მუცელი აქვს, ხოლო კისერი მოკლე, ის არ შეიძლება ყველასთვის კარგ ცხენად ვაღიაროთ, ასე რომ, ჰარტმანს საგნის ღირებულება რომ მხოლოდ თვისებების ერთობლიობაზე დაჰყავს, ეს მისი ღირებულებითი მხარის გამოსახატავად საკმარისი არ არის, მასთან ერთად საჭიროა ამ თვისებების თანაფარდობითი დამოკიდებულების გათვალისწინება, რაც მის აქსიომურ თეორიაში გათვალისწინებული არ არის.

ჰარტმანი ხედავს, რომ თვისებების ერთობლიობა საკმარისი არ არის და ამიტომ, როცა ის კარგ ცხენზე ლაპარაკობს, მას არ ყოფნის მხოლოდ ბუნებრივი თვისება. მაგალითად: ცხენისათვის მხოლოდ კუდის არსებობა საკმარისი არ არის, კუდი უნდა ხასიათდეს კარგის თვისებით; კუდი მრავალნაირია და კარგი კუდი იმას ნიშნავს, რომ მასში კიდევ რაღაც ნიშანია საძიებელი, რითაც ის ხასიათდება, როგორც კარგი, მაგრამ ჰარტმანი კუდის ცნებას არ იძლევა; ის ამ გზით რომ წავიდეს, უსასრულობის გზას უნდა დაადგეს, რაც მის განსაზღვრებას უკვე შეუძლებელს ხდის. თუ ცხენის კუდის ცნებას დავადგენთ, უნდა მივუთითოთ იმ ნიშნებზე, რაც ამ ცნებას ადგენს; მერე საჭირო გახდება იმ შემადგენელი ნიშნის ცნების დადგენა და ასე მიყოლებით, კუდის საკითხი წყდება ამგვარად; თითოეულ ცხენოსანს თავისი შეხედულება აქვს ცხენის კუდზე. ასე რომ, მათ სხვადასხვანაირი კუდი მიაჩნიათ ცუდად და კარგად.

კუდის ცნებითი და აღწერითი ნიშნების ერთობლიობა მის საყოველთაობას ვერ დაადგენს, რადგან ამის ფარგლებში ის მაინც მრავალნაირი იქნება და მისადმი ადამიანის დამოკიდებულებაც მრავალნაირია. საყურადღებო ის არის, რომ ჰარტმანისავე გაგებით არსებული საგანი თავისთავად არც კარგია და არც ცუდი, როგორც ჩანს, იგი გულისხმობს, რომ ეს ნიშანი საგანს ებადება მეორე საგანთან მიმართებაში, ეს მეორე საგანი არის შემფასებელი, რომელიც მისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას ავლენს. საგნის საგანთან მიმართე-

ბა იგივე თავისთავადია, როგორც თვით საგანი. მიმართების გარეშე საგანი არ არის, მიმართებაში რაღაც იბადება, რაც მის გარეშე არ არის, მარჯვენა, მარცხენა, დაბალი, მაღალი, მოკლე, გრძელი, ფერი, სინათლე, მოძრაობა, უძრაობა, სინამდვილის ისეთი მხარეებია, რომლებიც მხოლოდ მიმართებით არსებობენ და მიმართებაში ყოფით არიან ასეთები; თუ ეს ასეა, მაშინ ასეთივე კანონი უნდა გავრცელდეს იმაზე, რასაც ეწოდება კარგი და არაკარგი, სასარგებლო და არასასარგებლო, ლამაზი და ულამაზო, კეთილი და ბოროტი, ესენიც მიმართებაში წარმოშობილი მხარეებია სინამდვილისა და ისეთივე კანონიერი მოვლენებია, როგორც საგნები, რომლებიც ამ ნიშნებით ხასიათდებიან.

ჰარტმანი კარგის და არაკარგის არსოლოგიურ საფუძველს ეძებს, რასაც ის საგნის თვისებების ერთობლიობაში ხედავს, მაგრამ ის მათზე მაინც არ დაიყვანება, ის მას ახასიათებს, საგნის როგორც ობიექტურის სუბიექტურ ინტერპრეტაციას, ეს გამოთქმა ნათელს ხდის იმას, რომ ღირებულებითი დამოკიდებულება არის საგნის სუბიექტური ინტერპრეტაცია და სწორედ ღირებულებას ეს წარმოადგენს, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ბუნებრივი თვისებების ერთობლიობა გაგებული იქნება სხვადასხვა ადამიანების მიერ სხვადასხვანაირად, რაც მისადმი ადამიანებისმიერნაირი დამოკიდებულების შედეგია. კარგი და არაკარგი რომ მხოლოდ ბუნებრივი თვისებების ერთობლიობა არ არის, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ თვისებების შინაგან წყობას, ამას ნათლად ადასტურებს ყოველი ფერწერული თუ ხუროთმოძღვრული ნაწარმოები, აქ საგნის ღირებულებითი როგორობა დამოკიდებულია ასაგები საგნის თვისებების თანაფარდობით გამოხატვაზე, მხატვარი ხმარობს მრავალნაირ ფერს – შავს, თეთრს, წითელს, ყვითელს, ლურჯს, მაგრამ საქმის არსება არა მათ მოხმარებაზეა, არამედ მათ განლაგებაზე, მათ ურთიერთთანაფარდობაზე, ასე რომ, აქსიომურად გამოთქმული აზრი "ყოველი X არის კარგი, თუ ის მხოლოდ თვისებებს ფლობს, კარგავს ამ ხასიათს, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული თვისებების ურთიერთგანლაგება და არ არის გათვალისწინებული თვით ამ თვისებების ხარისხი. ცხენს უნდა ჰქონდეს არა უბრალოდ კუდი, არამედ კარგი კუდი და აქ უმალვე საკითხი იბადება იმაზე, თუ რას ნიშნავს "კარგი". მას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ფაფარი, არამედ კარგი ფაფარი და ასე შემდეგ. კარგი ფაფარის ცნება თუ იმას გულისხმობს, რომ მას უნდა ჰქონდეს ისეთი ფაფარი, რაც ფაფარის ცნებიდან გამომდინარეობს, მაშინვე საკითხი დაისმება იმაზე, თუ ფაფარის ცნება რა ნიშნებს შეიცავს და აღმოჩნდება, რომ ასეთი ზოგადსაყოველთაო ნიშანი ფაფარისა, რითაც ის არის კარგი, არ არის და აქ ყველაფერი დამოკიდებულია მიმართების წევრზე, რომელიც მას აფასებს. ასე რომ, საგანი ავკარგობის შეფასებას იძენს მიმართების საშუალებით, ის, რაც ერთისათვის კარგია, მეორისათვის არ არის კარგი.

ღირებულებითი მიმართება ძირეულად განსხვავდება შემეცნებისაგან, ღირებულებითი მიმართება არის ნაირობის მქონე, ხოლო შემეცნებითი მიმართება ასეთ ნაირობას არ შეიცავს, თუ შემეცნების მიერ დადასტურებულია,

საგნის არსებობა თუ არარსებობა, ის ყოველი შემმეცნებლის მიერ აღიარებულია, გამონაკლისი არა აქვს; თუ შემეცნებას აქვს აზრი, რომელიც ყველამ ერთნაირად უნდა აღიაროს, ღირებულებით დამოკიდებულებას ასეთი ზოგადსაყოველთაო აზრი არა აქვს, ამიტომ მოცემული თვისებები ყველასათვის ერთნაირი ღირებულების მქონე არ არის.

შემეცნებაში მოცემული საგანი არსობლივად ისეთია, როგორიც არის. ხოლო შეფასებაში მოცემული საგანი ისეთია აქსიოლოგიურად, როგორიც უნდა იყოს. შემეცნების აზრი იმას გვიჩვენებს, რაც არის საგანი, ხოლო ღირებულების აზრი იმას, რაც ის უნდა იყოს; ასე რომ, ღირებულების აზრი ჯერარსულია, ხოლო შემეცნებისა არსული. საგნის ღირებულება რომ მისი ბუნებრივი თვისებებით იყოს განსაზღვრული, მაშინ მას ყოველთვის ღირებულება უნდა ჰქონდეს, რადგან მას ეს ბუნებრივი თვისებები ისევ აქვს, მაგრამ საქმის ვითარება სულ სხვას გვიჩვენებს, საგნის ბუნებრივი თვისებები იგივე რჩება, ხოლო იგი, როგორც ღირებული, მას კარგავს. მაგალითად, სკამი, რომლის მაგალითი ჰარტმანს ხშირად მოაქვს, ამის მამტკიცებელია. სკამს აქვს საჯდომი და ზურგი. ამ ნიშნით სკამების უმეტესობა ხასიათდება, თუმცა ისინი, როგორც ღირებულების მქონენი, ასეთად აღარ ითვლებიან, იცვლება სკამის ფეხი, საჯდომი, ზურგი; ის უფრო უკეთესი და ადამიანისათვის უფრო სასიამოვნო ხდება, თუმცა იგივე ნიშნები აქვს, როგორც ძველად არსებულ სკამს. ეს მოვლენა იმაზე მიუთითებს, რომ ღირებულება და ღირებულებითი საგანი ისტორიულია, რაც მდგომარეობს ერთი ღირებული საგნის უარყოფაში და ახალი ღირებულებითი საგნის შექმნაში. ამ მხრივ საყურადღებოა ადამიანის საცხოვრებელი ბინების, მისი ავეჯის ცვალებადობა. აქ უცვლელი მხოლოდ ის არის, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს და ექნება საცხოვრებელი ბინები, მასში არსებული ავეჯი, ხოლო ის ადამიანის გემოვნების შესაბამისად იცვლება.

აქსიომურობა ზოგადსაყოველთაოსთან ერთად უცვლელობასაც გულისხმობს, ასეა გეომეტრიაში: აქსიომები ზოგადსაყოველთაო და უცვლელია, ასევე მექანიკაში, ნიუტონის მექანიკის კანონები მექანიკის აქსიომებია, რომლებიც ზოგადსაყოველთაო ხასიათი აქვთ, ამგვარი სახე არ შეიძლება ჰქონდეს ღირებულების არეს. აქ ადამიანის თავისუფლება ვლინდება, მას შეუძლია ღირებულების სამყაროში არჩევანი მოახდინოს, ის აირჩიოს, რაც მის გემოვნებას შეესაბამება, რამეთუ მისი ნება და მისი არჩეული საგანი შესაბამისობაში იქნება, თავისუფლება ხომ იქ არის, სადაც ადამიანის ნება ხორციელდება. ბუნებრივი თვისებების ერთობლიობით საგნის ავკარგიანობის განსაზღვრა შეიძლება კიდევ რაღაცნაირ საფუძვლის იძლევა და შეიძლება რაღაცა ვნახოთ საგანში, რაც ჩვენს გემოვნებას შეესაბამება და ეს საგნის მხარე ჩავთვალოთ, მაგრამ თუ ზევით წავალთ და გავითვალისწინებთ ადამიანის ზნეობრივ სამყაროს, სადაც ძალში ისეთი ცნებებია, როგორიცაა კეთილი და ბოროტი, აქ გადაულახავი სიძნელის წინაშე აღმოვჩნდებით, რადგანაც ძნელი აღმოჩნდება იმის დადგენა, თუ რა არის ბოროტი და რა არის კეთილი, უპირველესად ის არის ცხადი, რომ სიკეთე და ბოროტება აქ საგნის

ბუნებრივი თვისება არ არის, ეს არის ადამიანის თვისება, ანუ ეს არის ადამიანის მოქმედება, რომელიც, როგორც საგნისადმი, ისე უშუალოდ ადამიანისადმი ხორციელდება. როცა საგანზეა ლაპარაკი, ცხადია, აქ ის საგანი იგულისხმება, რომელიც ადამიანთან არის დაკავშირებული და რასში ადამიანი თავის მეობას ახორციელებს. თუ ადამიანი თავის მეზობელს ვენახს უჭრის, ან თუ სახლს ცეცხლს უკიდებს, იმიტომ რომ ამით იმ ადამიანისადმი ვნების მიყენებას ისახავს მიზნად, ვისიც არის ვენახი თუ სახლი,ასე რომ, ამ საგნებისადმი ადამიანის ვნებითი მოქმედება ისევ ადამიანითაა გაშუქებული. იმის აქსიომური დადგენა, თუ ვინაა ბოროტი და ვინაა კეთილი, რა თვისებებით ხასიათდება კეთილი და რა თვისებებით ბოროტი, ძნელი საქმეა. იმიტომ, რომ კეთილი და ბოროტი ისტორიულ-ფარდობითია, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ რაც ერთ დროს კეთილია, ის სხვა დროს შეიძლება არაკეთილად ეცნოთ. საქართველოში ერთი გვარის ქალ-ვაჟები ერთმანეთზე არ ქორწინდებიან, ასეთი რამ მიუღებლად ითვლება, უფრო მეტი, ძმა ძმის ცოლს ძმის სიკვდილის მერე არ შეირთავს, მაგრამ დაშვებულია და ბოროტებად არ ითვლება მაჰმადიანურ ხალხში. ამ ტიპის აქსიომური გამოხატვა სინამდვილეს ვერ გამოთქვამს, რადგან მას ზოგადსაყოველთაო მნიშვნელობა არ ექნება. ქართველებში სიკეთე იმაშია, რომ თავის ძმისცოლზე, როგორც დაზე, ისე იზრუნოს. მიუაროს მასაც და მის შვილებსაც. ამის აქსიომური გამოთქმა შეუძლებელია, რადგან ზოგადსაყოველთაო მნიშვნელობა არ ექნება, ზნეობრივი სამყარო სრულიად თავისებურია.

საგნის ავკარგიანობა შეხედულებებითაა განსაზღვრული, რომელსაც საგნის თვისებების ნამდვილობა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ ის, თუ ადამიანი სინამდვილეს როგორ აღიქვამს. ზნეობრივი სამყარო სრულიად დაცილებულია ჭეშმარიტებას. ესა და ეს მოქმედება კეთილია ან ბოროტია იმიტომ, რომ მას ადამიანი ასეთად სცნობს და ამ შემთხვევაში იგი არ გამოდის სამყაროს კანონზომიერებიდან, მისი ზნეობრივი ცხოვრება მის თვალსაზრისშია დაფუძნებული. ადამიანი, იყო დრო, როცა თავის მიცვალებულს კი არ მარხავდა, არამედ ჭამდა, თავის ქალას ინახავდა. ამ მოქმედებას არ შეიძლება საფუძველი ჰქონდა სამყაროს წყობაში, რადგან ეს სამყარო დღემდე ერთი და იგივეა, მას მხოლოდ მის შეხედულებაში აქვს საფუძველი, ასეთი მოქმედება კეთილი მოქმედება იყო, დღევანდელი ადამიანი სიკეთეს მიცვალებულისადმი გამოხატავს მისი დამარხვით, ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანს დასაწყისიდან დღემდე დასაწყისში არაცნობიერად, ხოლო დღეს ცნობიერად, სიკეთისაკენ სწრაფვა ამოძრავებს. ამისი ძირი კაცობრიობის მყოფობის შენარჩუნებაა, არა რომელიმე ადამიანის, არამედ მთელი გვარის არსებობა და მისი გაგრძელება, ცალკეული ადამიანი კი ამ გვარის გაგრძელებისათვის ყოველთვის მსხვერპლს წარმოადგენს. ისე გამოდის, თითქოს კაცობრიობის არსებობა არის უმაღლესი სიკეთე, რომლის არსებობას და განხორციელებას ცალკეული ადამიანი მსხვერპლად უნდა შეეწიროს.

ეთიკური აქსიომა ზოგადსაყოველთაო უნდა იყოს, "არ იქურდო", "კაცი არ კლა", ყოველი ადამიანი გიყვარდეს და სხვა ამგვარი, ისეთი დებულე-

ბებია, რომლებიც იმას ეხებიან, რაც უნდა იყოს. ეს კი შეიძლება ორნაი-რად გავიგოთ, ან ისეთად, რომელიც ცხოვრებაში ხორციელდება და ან ისეთად, რომელიც ცხოვრებაში არასდროს არ ხორციელდება. მის მოთხოვნას, რასაც სინამდვილეში ადგილი არასოდეს არ ექნება, აზრი არა აქვს, ხოლო თუ ის როდისმე განხორციელდება, მას·თან უნდა ახლდეს მისი განხორციელების პი-რობები. ასე რომ, ეს მოთხოვნები უპირობო ზოგადსაყოველთაობას არ შეიცა-ვენენ. მოთხოვნა "არ იქურდო" მეორე მოთხოვნას გულისხმობს. ქურდობის პირობები არ უნდა იყოს, მაგრამ თუ ქურდობის პირობები არ არის, არც ქუ-რდობაა და ასეთ მოთხოვნას თითქოს აზრი არა აქვს. საქმე ის არის, რომ პირობებია, თუ არაპირობები, ზოგადადამიანური თვალსაზრისით, ქურდობა ადამიანური ცოდვილობის ნაკლია, ამიტომ, როცა ქურდობის პირობები არ არ-ის, მაშინ ამ მოთხოვნას აზრი აქვს, რადგან გულისხმობს იმ სინამდვილის აუცილებლობას, მის ჯერარსობას, რომელიც არის. მოთხოვნა "არ იქურდო" ზოგადადამიანური თვალსაზრისით ზოგადსაყოველთაოა, ხოლო ცდისეული სინამ-დვილის მიხედვით ასეთი არ არის, რადგან ყველას მიერ არ ხორციელდება, ამიტომ მას აქსიომური ხასიათი არა აქვს. ყოველი მოთხოვნა საწინააღმდე-გო შესაძლებლობას შეიცავს და ამიტომ მას აქსიომური სახე, ზოგადსაყოველ-თაო სახე არა აქვს. მაგალითი, რომელიც ჰარტმანს მოჰყავს, ყოველი მასწა-ვლებელი უნდა იყოს კარგი, მოთხოვნაა. ამ მოთხოვნიდან რომელიმე ცალკეულ მასწავლებელზე სიკარგის დასკვნას ვერ გავაკეთებთ. რაკი X არის მასწავ-ლებელი, მაშასადამე, ის არის კარგი. აქ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი უნდა იყოს კარგი. ასეთ დასკვნას არავითარი ღირებულე-ბითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მთავარია სინამდვილეში რა როგორ არის, მაინც მოთხოვნა სინამდვილესთან შესაბამისობის გარეშე არის მოთხო-ვნის უმწეო მდგომარეობა. ძალოვნება მისი სინამდვილეულ არსებობაშია.

იქ, სადაც შეფასების საგანი არსებულია, რომელსაც გარკვეული ღირსე-ბები აქვს, მისი ჯერარსობა და არსობა ერთმანეთთან ახლოსაა, ხოლო სადაც ჯერარსობა არის, წმინდა მიზანი, იქ ერთი და მეორე ერთმანეთს დაცილებუ-ლია და ამიტომ მის რაიმე აქსიომურობაზე მსჯელობა, საერთოდ, ყოველგვარ საფუძველსმოკლებულია, ზნეობრივი მიზანი იდეალურია, რაც დღეს ასეთია, ხვალ მისი საწინააღმდეგო მიზანი წარმოიშობა. ამის საფუძველზე; ცხადია, აქსიომა, როგორც ზოგადსაყოველთაო, შეუძლებელია. მასწავლებელი რომ კარ-გი იყოს, მას კარგი მასწავლებლის მოთხოვნები წაეყენება. ეს მოთხოვნები კი სხვადასხვაა, ამიტომ მის მიმართ ზოგადსაყოველთაო მოთხოვნას ადგილი არა აქვს. კარგი მასწავლებელი სხვადასხვაა სხვადასხვა ქვეყანაში. აქე-დან არ გამოდის ამ მოთხოვნის უადგილობა, ის აუცილებელია როგორც ისეთი მისწრაფება, რომელიც სინამდვილეში დაახლოებით ხორციელდება და სურვილია მისი სრული განხორციელებისა. მისი მოქმედება მიზნითაა განსაზღვრული და ის ამ მიზანს უნდა უახლოვდებოდეს. ზნეობრივ-სამართლებრივი კანონები მისგან სრულიად განსხვავებულია. მოთხოვნების განხორციელება, როგორიცაა პირუტყვის, კერძოდ, ცხვარ-ძროხის, ღორის გამრავლება, რომელიც იმაზეა აგებული, თუ რამდენია ეხლა და რამდენია მომავალში საჭირო. ასეთი მოთხო-

უნა რიცხვობრივობაზე დაფუძნებული, ის შეიძლება მათემატიკურ გაანგარიშებას დაემორჩილოს და შესრულდეს კიდეც, თუ ყველა პირობა დაცულია, მაგრამ მისი ზოგადსაყოველთაობა მოითხოვს სამყაროთა ზოგადსაყოველთაობას, რაც დღევანდელ საფეხურზე არ არის, ამ მოთხოვნებს ძალა აქვთ ცალკეული ქვეყნებისათვის და არა მთელი დედამიწის მოსახლეობისათვის.

ესთეტიკური მოვლენები ისეთივე შეფარდებითი ბუნებისაა, როგორც ზნეობრივი. არ არსებობს ზოგადსაყოველთაო მშვენიერება ან უმშვენიერობა. დარვინი თავის წიგნში "ადამიანის წარმოშობა" წერს, რომ იყო დრო, როცა ადამიანი წინა ორ კბილს იძრობდა იმისათვის, რომ უფრო ლამაზი გამოჩენილიყო. დღეს საეჭვოა სილამაზეზე ასეთი აზრის ადამიანი მოიპოვებოდეს. იქვე დარვინი ამბობს, რომ ადამიანები კბილებს იღებავდნენ: ამბობდნენ, როგორ შეიძლება ადამიანს თეთრი კბილები ჰქონდესო. დღეს ასეთად გაგებულ სილამაზეს არავინ არ გაიზიარებს. ამ გაგებით ზოგადსაყოველთაო სილამაზე, რომელსაც აქსიომური სახე მიეცემა, არ არსებობს.

ხელოვნებაში სხვადასხვანაირი მიმართულებაა: რეალისტური, სიმბოლისტური და სხვა. ზოგს რეალისტური მხატვრობა მოსწონს, ზოგს არარეალისტური. ტყუილად შეეცდება ვინმე, რომ ვისაც რეალისტური მხატვრობა მოსწონს, მას დაუსაბუთოს საწინააღმდეგო და მისი მოწონება უარყოს. ეს ლოგიკურ დასაბუთებას არ ემორჩილება. ცხადია, რა მიმართულების გამომხატველიც არ უნდა იყოს ნაწარმოები, ის არის მაღალი, საშუალო დონის და უვარგისი. ყველა ეს გულისხმობს ნაწარმოებში რაღაც ნიშნის ნაკლებობას ან მის მეტობას. ან ამ ნიშანთა ურთიერთგანლაგებას, მაგრამ თითოეულ შემფასებელს თავისი საზომი აქვს და რაღაც ზოგადსაყოველთაო საზომი აქ არ არის, ამიტომ მისი აქსიომური გამოხატვა შეუძლებელი ამოცანაა. მოწონება არმოწონება ემყარება ადამიანის ესთეტიკური გემოვნების წყობას და მხატვრულ ნაწარმოებში ამ გემოვნების წყობას ეძებს და თუ ნაწარმოები ამ გემოვნებას არეკლავს, ის მოწონების ღირსი ხდება, თუ არა და არ ხდება მოწონების ღირსი. რა თქმა უნდა, არის ადამიანებში საერთო ესთეტიკური შეფასებაც, მაგრამ მთელ ესთეტიკურ გემოვნებას ეს საერთო არ ამოსწურავს. ჰარტმანი ღირებულების აქსიომებზე დაფუძნებისათვის ემყარება საგნის ბუნებრივ თვისებებს, რითაც საგნის ავკარგიანობა არის განსაზღვრული.

თუ საგანს თვისებების მთელი ერთობლიობა აქვს კარგია, თუ ბევრი აკლია – ცუდია. ამიტომ ის საგნის ავკარგიანობის განსაზღვრისათვის არითმეტიკულ მოქმედებას იყენებს. კერძოდ, მიმატებას, გამოკლებას, გამრავლებას და გაყოფას; მისი აზრით, ღირებულების თეორიას ეს არითმეტიკული მოქმედებები დააფუძნებს. ჯონი არის მოსწავლე, ის რომ კარგი მოსწავლე იყოს, მას უნდა ჰქონდეს 90 ნიშანი, მაგრამ მას ნამდვილად 70 აქვს, ამიტომ ის არის ცუდი მოსწავლე. ის რომ კარგი მოსწავლე გახდეს, უნდა ამაღლდეს 90-მდე, ანუ უნდა მიიმატოს 20 ნიშანი. აქ გამართლება აქვს მიმატებას და გამოკლებას, რადგან საგანს რაღაც აკლია და განსაზღვრულია ისიც, თუ რამდენი აკლია. ამიტომ 70+20 90, მეორე მხრივ, მას უნდა ჰქონდეს 90 და არა 70. რამდენიც უნდა მიემატოს, მას ამას გავიგებთ გამოკლებით.

მას, რაც უნდა ჰქონდეს, გამოაკლდება ის, რაც აქვს და სხვაობა იქნება ის, რაც უნდა მიემატოს, რომ ჯონი კარგ მოწაფემდე ამაღლდეს. რაც შეეხება გამრავლებას და გაყოფას, ეს მოქმედებები სრულიად ხელოვნურად არის შემოტანილი და მათ შემოტანას არავითარი გამართლება არა აქვს. ჯონი რომ კარგ მოწაფე იქცეს, მან 70 ნიშანი 90-მდე უნდა აიყვანოს. ყველა ღირებულებითი საგანი ასეთი ხომ არ არის. მაგალითად, ცხენი, რომლის მაგალითი ჰარტმანს ხშირად მოჰყავს, ოთხი ფეხის, საჯდომის და ზურგის მეინეა, მაშ., ცხენს ყველა ნიშანი აქვს, მაგრამ ყველა ცხენი ამ ნიშნების მქონე შეიძლება კარგი არ იყოს, რადგან მარტო მათი რიცხობრიობა ცხენის კარგობისათვის საკმარისი არ არის, საჭიროა, თითონ ეს მხარეები იყოს კარგი, მივიღეთ სრული ტავტოლოგია. ცხენი რომ კარგი იყოს, ამიტომ ის კარგი უნდა იყოს. შეიძლება ცხენს ზურგი არა ჰქონდეს, მაგრამ ის მაინც კარგი იყოს, ასე რომ, აქ მთავარი არა თვისებათა რიცხობრიობაა, არამედ შინაგანი წყობა, რაც ავკარგიანობის მაჩვენებელია. ღირებულების უმაღლეს არეში, ზნეობრივი და ჭვრეტითი მოვლენების არეში, ნიშანთა რიცხობრიობით ვერ შეფასდება ვერც ზნეობრივი და ვერც მხატვრული მოვლენა.

კეთილი ადამიანი არის ის, ვინც კეთილ საქმეს აკეთებს, ვისაც ადამიანებისათვის ვნების მიყენება არ სურს და აშკარად არც მოქმედებს. აქ რაღაც ბუნებრივი თვისებების მიმატება-გამოკლება არაფერს არ შველის, რადგან კეთილი ადამიანობა არ არის რაღაც თვისება, როგორიცაა ცხენისათვის კუდი, ფაფარი, ძუა და სხვა თვისებები. კეთილი ადამიანი არის ის, ვინც ადამიანისათვის სასარგებლო საქმეს ასრულებს. აქ ის უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი მრავალნაირ მიმართებებშია მოქცეული და რა უნდა ჩაითვალოს კეთილ საქმედ და უკეთილოდ ეს ამ მიმართებითაა განსაზღვრული, ყოველ შემთხვევაში როგორი მიმართებაც არ უნდა იყოს, მან ადამიანი და ისიც თავისი მშობელი თუ შვილი თავისი გადარჩენისათვის არ უნდა გასწიროს, რადგან ასეთ ვითარებაში მისი სიცოცხლე, რომელიც თითქოს უმაღლესი უნდა იყოს, უღირსად იქცევა, ხოლო უღირსი სიცოცხლე იგივე სიკვდილია, რომელიც ადამიანისაგან წყევლა-კრულვით მოიხსენიება; ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანში არის რაღაც უმაღლესი სიკეთის გრძნობა, რომლითაც ასეთი ადამიანის მოქმედება ფასდება, მაშ, აქ არა მიმატება და გამოკლება რაღაც თვისებებისა, არამედ ადამიანის ზნეობრივი უმაღლესი გრძნობა, რომელიც, როგორც კეთილი, ისე დახასიათდება. მხატვრული სინამდვილე თუ თვისებების მიმატება გამოკლებას და ამის საფუძველზე აქსიომებს დაემორჩილება, ეს იმას ნიშნავს, მხატვრობაში გაქრება მისი ძირითადი ნიშანი — შემოქმედებითობა; თუ ხელოვანი რაღაც აქსიომას დაემორჩილება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამას არ უნდა გასცილდეს და შებოჭოს თავისი შემოქმედება, ჰარტმანის თვალსაზრისში გარკვეული ადგილი უკავია ღირებულების საზომის საკითხს. საზომი ერთეულია, მეტრი, სანტიმეტრი, გრამი, კილოგრამი. ეს საზომი ერთეულები შექმნილია იმისათვის, რომ გასაზომი საგანი მას დაემორჩილოს. ეს საზომი ერთეულები ზომის საშუალებებია, რითაც მოცემული საგანი იზომება. ამავე დროს ესენი ცდაში მოცემული საგნებია, ანუ ესენი ფაქტადაა

ქცეული, ეს ფაქტი ამავე დროს ღირებულების მატარებელია, რამდენადაც ის არა უბრალოდ სიგრძის ან სიმძიმის მქონეა, არამედ ისინი სხვა საგნების სიგრძის და სიმძიმის გამზომელებიცაა, ასე რომ, ამ შემთხვევაში ფაქტს თან ახლავს ამავე დროს ღირებულებითი ნიშანი, რომელიც მისი ბუნებრივი თვისებებისაგან განსხვავდება და ამავე დროს მის საფუძველზეა წარმოშობილი. ამ ფარგლებში ჰარტმანი ფაქტის და ნორმის დამოკიდებულების გაგებაში სწორია, მაგრამ შეიძლება თუ არა საზომის ასეთი გაგება გავრცელდეს მთელ ღირებულების არეზე, შესაძლებელია თუ არა საზომი იყოს ფაქტი ხელოვანში, როგორც მაღალ ღირებულებათა არეში; ასევე სამართალში საზომის ფაქტად არსებობს ეჭვს იწვევს.

ჩვეულებრივად შეიძლება ასე იქცეოდეს რომელიმე თეორეტიკოსი და ამბობდეს, რომ ხელოვნებაში, სამართალში ფაქტი არის ზომა, რომლის მიხედვით, დანარჩენი ამგვარი მოვლენები იზომება, მაგრამ ეს მოქმედება სრულ მეცნიერულ დასაბუთებას ვერ უძლებს. მაგალითად, ჩვენში, საქართველოში, შოთა რუსთაველი და მისი პოემა მიაჩნიათ უმაღლეს მხატვრულ მოვლენად, რომელიც ყველა სახის მხატვრული მოვლენისადმი საზომის როლს ასრულებს. ამიტომ "ვეფხისტყაოსანი" არის უმაღლესი მხატვრული ნაწარმოები. ეს ნაწარმოები არის ფაქტი, რომელიც დროშია და იგი ამავე დროს საზომის მოვალეობასაც ასრულებს. ეს თვალსაზრისი ნაკლოვანია არა იმიტომ, რომ ის, როგორც ფაქტი, საზომის მოვალეობას ასრულებს. ფაქტი არ შეიძლება საზომი იყოს, რადგან ის თვითონ საჭიროებს საზომს. როცა საკითხი დაისმება "ვეფხის ტყაოსნის" შესაფასებლად, მაშინ შეუძლებელია ეს ფაქტი ისევ თავისი თავით გაიზომოს. ეს გამოვა ფაქტის ფაქტით გაზომვა. "ვეფხის ტყაოსანი უმაღლესი მხატვრული ნაწარმოებია იმიტომ, რომ ის არის "ვეფხის ტყაოსანი". ასეთ ტავტოლოგიამდე მივყევართ ფაქტის საზომად აღიარებას. აქედან გამოსავალი იმაშია, რომ ღირებულების საზომად არა ფაქტი ვცნოთ, არამედ რაღაც იდეალი, რომლის განხორციელებასაც ეს მოცემული მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს, აქედან მივიღებთ შემდეგნაირ ვითარებას. "ვეფხის ტყაოსანი" იმიტომ არის მაღალი მხატვრული ნაწარმოები, რომ ის წარმოადგენს მშვენიერების იდეის განხორციელებას. ასეთი დებულებით ფაქტი კი არ არის საზომი, არამედ იდეალია ამ ფაქტის საზომი. ეს იდეალია საზომი როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე სამართლისა და ზნეობრივ სამყაროში. ადამიანის კეთილი მოქმედება ფასდება იმ იდეალის მიხედვით, რომელიც მოცემულ საზოგადოებას აქვს. ასევე ადამიანის სამართლებრივი მოქმედება უდანაშაულოდ ან დანაშაულად ითვლება იმ იდეალის მიხედვით, რაც მოცემულ საზოგადოებას აქვს.

ადამიანის მოკვლა დანაშაულია როგორც ზნეობის, ისე სამართლის მიხედვით, რადგან ადამიანია საზოგადოების უმაღლესი ღირებულება. აქ ფაქტი და ღირებულების საზომი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუ მეტრი, სანტიმეტრი, გრამი, კილოგრამი რაღაც საგანს ერთვის და ფაქტის სახით არსებობს; საზომი, როგორც ღირებულებითი მოვლენა, ზნეობრივ და სამართლებრივ სამყაროში რაიმეს არ ერთვის, არამედ წმინდა სახითაა მოცემული, ზნე-

ობრივი და სამართლებრივი კანონები წმინდა მოთხოვნებია და ისინი მუდმივად მოქმედებს და განხორციელებას მოითხოვენ; ისინი შეიძლება დაიწერონ და ვისმესაგან წაკითხული იქნენ, მაგრამ ამით ისინი ფაქტად არსებობას არ იძენენ; ისინი არსებობენ როგორც იდეალები, რომლებიც განხორციელებას მოითხოვენ. როცა განხორციელდებიან ისინი ფაქტად არ იქცევიან, არამედ რაღაც ფაქტს ერთვიან და ის იდეალით იზომება, მხოლოდ ამ იდეალით შეიძლება დადასტურდეს ის იდეალის განხორციელებაა თუ არა. მეტრი, სანტიმეტრი, გრამი, კილოგრამი რაღაც საზომებია, მაგრამ ისინი ამავე დროს ბუნებრივ საგანთა რიგშიაც იჭერენ ადგილს, მაშინ, როდესაც ზნეობრივ-სამართლებრივი კანონები ბუნებრივ საგანთა რიგში არასდროს არ მოექცევიან; მათ ბუნებრივ თვისებებად არ ჩაითვლება მათი ქაღალდზე დაწერა, რადგან მათი დაწერა არ მონაწილეობს მათ ღირებულებაში, ისინი დაიწერება თუ არა, მაინც არსებობენ. რაც შეეხება თვითონ არსებობას, ეს არ არის დამოკიდებული რაღაც ბუნებრივი თვისებების არსებობაზე, მეტრი, სანტიმეტრი დამოკიდებულია რაღაც ბუნებრივ საგანზე, რის გარეშეც მათ არსებობა არა აქვთ, ხოლო სამართლისა და ზნეობის კანონები ასეთი ბუნებისა არაა, მათ უშუალო არსებობა აქვთ.

ჰარტმანის მიზანია ღირებულების თეორიის, როგორც ფილოსოფიის, მეცნიერებად ქცევა. თუნდაც რომ მას ეს ამოცანა გადაეწყვიტა და ღირებულების აქსიომები დაედგინა, მაინც ის ღირებულების ფილოსოფიის გაუქმებას ვერ შესძლებდა, რადგან უპირველესად საჭირო იქნებოდა ამ დარგის აქსიომურობის დასაბუთება, რაც ისევ აქსიომებით არ მოხდებოდა, არამედ ფილოსოფიით; ასე რომ, ფილოსოფია იქნებოდა ზოგადი თეორია, რაშიც აქსიომურობა დასაბუთებას მიიღებდა. ამას თვითონ ჰარტმანის წიგნი ადასტურებს, რადგან ის მსჯელობს ისეთ საკითხზე, როგორიცაა ღირებულების ბუნება, მისი მიმართება საგნებთან და სხვა ამგვარი; ეს უკვე აქსიომურობას წინ უსწრებს, რაც ფილოსოფიის ცნებაში თავსდება. აქსიომურობა გულისხმობს, რომ დადგენილია ცნებები, რა არის კარგი, რა არის ულამაზო; ამის რკვევა აქსიომებს წინ უსწრებს და აქსიომურობას ადგენს, ან არ ადგენს; ასე რომ, ფილოსოფია, როგორც ღირებულების თეორია, გაუქმებული კი არ არის, არამედ იარაღად გამოდის აქსიომური თეორიისათვის. შეიძლება თუ არა ღირებულების ზოგადი თეორია აქსიომური იყოს? რაკი ღირებულების არე ფართოა, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ დარგებს, რომელთაც განსხვავებული ცნებები აქვთ, ყველა მათთვის საერთო აქსიომური თეორიის აგება შეუძლებელია. ესთეტიკა და ეთიკა სხვადასხვაა და რაც ერთისათვისაა აქსიომა, ის მეორისათვის აქსიომა არ არის, ამიტომ მათთვის საერთო აქსიომები არ არსებობს და ზოგადი ღირებულების თეორია მხოლოდ ფილოსოფიური შეიძლება იყოს. რაკი ღირებულება ბუნებრივი საგანი არ არის, რომლის შესწავლა შეიძლება ცდისეული გზით, რითაც საგნის შესახებ ცოდნა დგინდება, რაშიც საგნის ბუნებაა გამოხატული, არამედ ის საგნისადმი ადამიანის გრძნობადი დამოკიდებულების გამოხატულებაა, ხოლო გრძნობადობა პიროვნულია, რითაც ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ამიტომ ზოგადი აქსიომური

თეორიის აგება ღირებულების დარგებზე შეუძლებელი საქმეა, ის მხოლოდ ფილოსოფიური კვლევის საგანი უნდა იყოს, რომელმაც უნდა გამოხატოს ადამიანის თავისუფალი დამოკიდებულება ღირებულების სამყაროსადმი.

სამყაროსადმი მეცნიერულ და ღირებულებით მიდგომას შორის ის განსხვავებაა, რომ მეცნიერული მიდგომა თავისთავადი ბუნებისაა, რისთვისაც მისი გრძნობები და მის საფუძველზე აგებული ცნობიერება სამყაროსადმი გამორიცხულია, ადამიანი მეცნიერული მიდგომის დროს საგნის სასიამოვნო თუ უსიამოვნო მხარეებს არ ითვალისწინებს. იგი მხოლოდ მისი არსებითი ბუნების დადგენისათვის მუშაობს. მეცნიერული მიდგომა შეგრძნობადი დამოკიდებულებაა საგნისადმი, ღირებულებითი დამოკიდებულება, პირიქით, საგნებისადმი გრძნობადი დამოკიდებულებაა, რის საფუძველზეც საგნების შეფასება ხდება მათი ადამიანთა დამოკიდებულების საფუძველზე, ადამიანი ღირებულებაში თავის მეს აქცევს, ანუ იქ ის იმას მოქმედებს, როგორც მისი ნება მოითხოვს. აქ ის არჩევანის წინაშეა, იმას მიიღებს, რაც მას აძლევს სიამოვნებას; მას უარყოფს, რაც მას უსიამოვნებას აყენებს, ასეა ეს განსაკუთრებით სამომხმარებლო საგნებისადმი დამოკიდებულებაში. შემდეგ ჭვრეტის საგნებში, ის მას აირჩევს საჭვრეტ საგნად, რომელშიც უფრო მეტ სიამოვნებას, სიტკბოებას მიიღებს. ზნეობრივ სამყაროში კი იმას აირჩევს, რაც მის პიროვნებას საზოგადოებრივ სახელს მოუხვეჭს, რაც მას ზნეობრივ ადამიანად აქცევს. ზნეობრივი ღირებულება ისეთი თავისუფლების სამეფოა, სადაც თუ ის უმაღლეს სიკეთეს მიაღწევს, ბრწყინვალებით შეიმოსება. ეს, თავის მხრივ, თავდადებით შრომას მოითხოვს. ზნეობრივი ღირებულების მწვერვალზე ასვლა შემოქმედებითი შრომითაა შესაძლებელი, რითაც ადამიანს თავისი ნიჭიერება მთელი ხალხის საზოგადოების საკუთრებად უქცევია.

## ФИЛОСОФСКОЕ ПОНЯТИЕ ЦЕННОСТИ

### Р е з ю м е

Расмотрены познавательное и оценочное отношения человека к действительности: познавательное отношение подразумевает познание сущности вещей, т.е. установление о них истинных положений, носящих сверхличностный и общеобязательный характер. Оценочный подход предполагает личностное отношение к предметам, которое в отличие от истины лишено общеобязательного значения. То, что нравится одной личности, может не нравиться другой, так что истина располагает самостоятельным критерием, у оценки же такого критерия нет. Человек рассматривает действительность сообразно осуществлению цели, ему нравится то, благодаря чему осуществляются цели и желания. Таким образом, если познание определено сущим, оценка зависит от должного. Соответственно суждения делятся на истинные и ценностные: истинные

суждения выражают предмет как сущий, ценностные же суждения выражают должное состояние предмета. Истинные суждения не обладают степенью, истинное положение не может превышать самое себя. Ценностные суждения обладают степенью, ибо они выражают личностное отношение человека к предмету, предпочтение одного предмета по сравнению с другим. В работе рассмотрена точка зрения Гегеля на соотношение сущего и должного, согласно которой они в конечном итоге совпадают.

Анализируется идущая от Мура концепция, которой придерживается Р.Гартман. Согласно ему, философию ценностей можно превратить в точную науку о ценностях, так же как Галилей и Ньютон сделали физику точной наукой. Дело в том, что превращение физики в точную науку не отменило философии природы; точно так же формализация теории ценностей не отменит философии ценностей.

Основой ценности предмета не является единство его признаков, хотя предмет вне признаков не существует. Здесь упущена из внимания форма предмета, которая участвует в его оценке. Главное в том, что ни признаки, ни форма не составляют основу самостоятельности ценности, так как ценностный подход к предмету подразумевает личностное к нему отношение. То, что нравится одному человеку, может не нравиться другому. Поскольку Гартман производит формализацию ценности и основывает ценность на признаках предмета, он использует четыре действия арифметики. В этом случае умножение и деление приводит к полной бессмыслице, что же касается сложения и вычитания, их применение может быть оправдано, если определить ценность через признаки предмета. Но так как мерилом ценности являются не признаки предмета, но отношение к ним человека, их формализация и применение арифметических методов лишены основания.

## გამოყენებული ლიტერატურის
## ს ი ა


I. К.Маркс и Ф.Энгельс, том Ш, с.27, М., 1929.

2. Гегель, Наука логики, том I, с.194-200. М., 1970.

3.Robert S.Hartman,The Structure of Value.Foundations of Scientific Axiology.London and Amsterdam,1967, 36, 4I, 42, 53, 87, I00, I0I, I02, I03, I09, I49, I96, I97, 202, 2I0, 2I9, 220, 232, 246.

4.F.Brentano,Vom Ursprung sittlicher Erkenntnis.Leipzig,1889.

# შინაარსი


## თავი I. ღირებულების ცნება 3

1. შემეცნებითი და შეფასებითი მიმართება . . . . . . . . . . . . 3
2. ღირებულება ადამიანის საგნისადმი მიმართებაა . . . . . . . . 7
3. მეცნიერული და ღირებულებითი მსჯელობები . . . . . . . . . . . 10

## თავი II. არსი და ჯერარსი

1. ადამიანი როგორც მიზნობრივად მოქმედი . . . . . . . . . . 16
2. ადამიანი როგორც უმაღლესი ღირებულება . . . . . . . . . . 21
3. ჰეგელი არსისა და ჯერარსის შესახებ . . . . . . . . . . . . 35

## თავი III. მატერიალური და იდეალური ღირებულება

V 1. ნივთიერი ღირებულება . . . . . . . . . . . . . . . . . . 42
2. გონითი ღირებულება . . . . . . . . . . . . . . . . 51
3. გონითი და გრძნობითი ღირებულების ურთიერთობა . . . . . . . . 60

## თავი IV. ღირებულების თეორიის აქსიომეტრიისათვის

1. ღირებულების ფილოსოფიის ღირებულების მეცნიერებად ქცევა . . . 65
2. ფორმულები, როგორც ღირებულების მეცნიერების საფუძველი . . . 80
3. ღირებულების გვარ-სახეობითი და აქსიომური განსაზღვრება . . . 83
4. ღირებულების აქსიომური სურათი . . . . . . . . . 90
5. საგნის ცნებითი და აღწერითი ნიშნები . . . . . . . . . . . . 96
6. ღირებულების გაზომვა არითმეტიკით . . . . . . . 99

რეზიუმე რუსულ ენაზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 111

**ГЕОРГИЙ ИСАКОВИЧ ШУШАНАШВИЛИ**

ФИЛОСОФСКОЕ ПОНЯТИЕ ЦЕННОСТИ

**(на грузинском языке)**

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
**1985**

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოც. კ. ს ა ნ ა ი ა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა
დოქტორი ფ. ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2824

რედაქტორი — გ. შუშანაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი — ელ. ფარქოსაძე
მხატვრული რედაქტორი — ირ. სიხარულიძე
ტექრედაქტორი — მ. გიორგაძე

გადაეცა წარმოებას 1.VII.1985; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.V.1985;
ქაღალდის ზომა 60×90$^{1}/_{16}$; ქაღალდი ოფსეტური;
ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი საბეჭდი თაბახი 7,25; პირობითი
საღ. გატ. 7,37; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,2;

უე 01573; ტირაჟი 600; შეკვეთა № 2289;

ფ ა ს ი 1 მ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19